საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 718 2020 წლის 24 აპრილი ქ. თბილისი

ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2019 წლისთვის) მონიტორინგის წლიური ანგარიშის მოწონების თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2019 წლისთვის) მონიტორინგის წლიური ანგარიში.

2. „საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, „ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2019 წლისთვის) მონიტორინგის წლიური ანგარიშის“ საკითხზე საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო სხდომებზე მომხსენებლად დაინიშნოს საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებათა დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში – ლელა აქიაშვილი.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**

2019

ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წლიური ანგარიში

თბილისი, 2020

სარჩევი

1. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმა 4

2. სამართლიანი სასამართლოს უფლება და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა 9

3. ადამიანის უფლებები და სამართალდამცავი სისტემა 24

4. ბრალდებულთა, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა უფლებები 32

5. წამებასა და არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლა 70

6. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა 74

7. გამოხატვის თავისუფლება 81

8. შეკრების თავისუფლება 83

9. შრომითი უფლებები 86

10. საკუთრების უფლების დაცვა 99

11. ეკოლოგიური უფლებები 101

12. გენდერული თანასწორობა და ქალთა გაძლიერება 106

16. ბავშვთა უფლებები 153

17. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა 186

18. რელიგიის თავისუფლებისა და რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვა 198

19. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები 212

20. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა 230

21. იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები 245

22. მიგრანტთა და ლტოლვილთა უფლებები 257

23. ეკო-მიგრანტთა უფლებები 260

24. ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფი ხაზების სიახლოვეს მცხოვრები ადამიანების უფლებების დაცვა 262

25. ბიზნესი და ადამიანის უფლებები 281

26. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის დანერგვა პოლიტიკის წარმოების პროცესში და კარგი მმართველობის ინსტრუმენტების განვითარება 289

27. ადამიანის უფლებების საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება 290

I. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2018-2020) 2019 წლის შესრულების ანგარიშს, რომელიც შემუშავდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს მიერ და განკუთვნილია როგორც სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებებისათვის, ასევე, საქართველოს მთავრობისათვის და წარმოადგენს ინფორმაციულ დოკუმენტს საქართველოს სამინისტროებისა და სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის.

ანგარიში მოიცავს 2019 წლის ბოლომდე საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმით (სამოქმედო გეგმა) გათვალისწინებული აქტივობების შესრულების შესახებ ინფორმაციას. მასში მოცემულია სამოქმედო გეგმის საფუძველზე განსახორციელებელი აქტივობების სტატუსი, მათი შესრულების ინდიკატორები, მოცემულია სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი უწყებების და პარტნიორი უწყებების საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, ასევე სამქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. დოკუმენტით გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის N629 დადგენილებით დამტკიცებული პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელოს მოთხოვნები სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის შემუშავებასთან დაკავშირებით, დაცულია თანმიმდევრობა და მისი შემუშავების წესი.

ანგარიშში წარმოდგენილია საქართველოს სახელმწიფო უწყებების მიერ განხორციელებული ის ცალკეული საქმიანობები, რომლებიც შესაბამისობაშია „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2014-2020 წლებისთვის)“ დამტკიცების შესახებ საქართველოს პარლამენტის დადგენილებასთან. აღნიშნული ანგარიში ასახავს იმ თანმიმდევრულ პოლიტიკას, რომლის საბოლოო მიზანია ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით როგორც ხარისხობრივი, ისე რაოდენობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება. ანგარიშში წარმოდგენილი განხორციელებული რეფორმები, მათი ხელშესახები სამართლებრივი და ინსტიტუციური ცვლილებები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეროვნულ დონეზე არსებულ გამოწვევებსა და საჭიროებებს, რაც ამ მიმართულებით განგრძობადი განვითარებისთვის აუცილებელი წინაპირობაა.

საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2018-2020 წლებისთვის) დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2018 წლის 17 აპრილის N182 დადგენილებით, რომლითაც განისაზღვრა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში გასატარებელი ღონისძიებები და პასუხისმგებელ უწყებათა უფლებამოსილების ფარგლები. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულება და მიღწეული შედეგების შენარჩუნება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სამართლებრივი ფასეულობებისა და დემოკრატიული სახელმწიფოს სტანდარტების შესაბამისად დაცვას.

2019 წლის შესრულების ანგარიშის მიზანს წარმოადგენს არა მხოლოდ განსაზღვრული ამოცანების მიღწევის ფორმულირება, არამედ ისეთი პრობლემების გადაჭრა, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობესებას შეუქცევად ხასიათს შესძენდა. ზემოაღნიშნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში შემუშავებული 27 პრიორიტეტული მიმართულების შესრულების სტატუსი შეიძლება განისაზღვროს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით: პირველ რიგში, დასახული ამოცანის ფარგლებში მოქცეული აქტივობების

სტატუსების რაოდენობრივი ან პროცენტული მაჩვენებელი შესრულების ინდიკატორების მიხედვით; აქტივობების განხორციელებისას გამოკვეთილი კონკრეტული სტატისტიკური პროგრესის მაჩვენებლის მიხედვით; იმ შემთხვევაში, როდესაც ამოცანის მისაღწევად განსაზღვრულია მხოლოდ ერთი აქტივობა, ამოცანის შესრულების სტატუსი შეიძლება დადგინდეს აქტივობის შესრულებიდან გამომდინარე. შესრულების ინდიკატორებზე დაფუძნებული განხორციელების შედეგად, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმის (2018-2020 წლებისთვის) 2019 წლის ანგარიშის ფარგლებში გამოვლინდა როგორც გამოკვეთილი პროგრესი კონკრეტული მიმართულებებით ძირითად ნაწილში, ასევე, ნაწილობრივი პროგრესი სხვადასხვა პრიორიტეტულ სფეროებზე.

2019 წლის ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშში წარმოდგენილი ამოცანების სტატუსები მეტწილად განსაზღვრულია შემდეგნაირად: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა, მიმდინარე - მეტწილად შესრულდა, განხორციელდა, არ დაწყებულა, პრობლემურია. პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით ანგარიშში განსაზღვრული ამოცანების 41% - განხორციელდა, 27% - მეტწილად შესრულდა, 24% - ნაწილობრივ შესრულდა, 7% - არ დაწყებულა და 1% - პრობლემურია.



II. საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2018-2020) 2019 წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების დეტალური მიმოხილვა

1. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმა

მიზანი: 1.1. სისხლის სამართლის პოლიტიკის, კანონმდებლობისა და პრაქტიკის გაუმჯობესება ადამიანის უფლებათა დაცვის გაუმჯობესების მიზნით, საერთაშორისო და კონსტიტუციური სტანდარტების შესაბამისად;

ამოცანა: 1.1.1. ნათელი და განჭვრეტადი სისხლის სამართლის ნორმების ფორმირებისთვის საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება, მათ შორის სისხლის სამართლის კოდექსის ლიბერალიზაციის, მოსამართლეთა დისკრეციის მიზნით;

ამოცანის ინდიკატორი: მომზადებული და ინიცირებულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები; შემუშავებულია შესაბამისი გაიდლაინები;

საქმიანობა 1.1.1.1. ირიბი მტკიცებულებების დასაშვებობის თაობაზე საკანონმდებლო რეგულაციების განმტკიცება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განმახორციელებელ უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

2019 წლის განმავლობაში სისხლის სამართლის სისტემის საბჭოს სამდივნო მუშაობდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილებათა პროექტის შემუშავებაზე. პროცესი გაგრძელდება 2020 წლის განმავლობაშიც.

საქმიანობა 1.1.1.2. სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი ცვლილებების (დანაშაულის ამსრულებლობა და დანაშაულში თანამონაწილეობა; მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი; ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებანი; სასჯელის მიზნები და სახეები; სასჯელის დანიშვნა და სხვ.) მომზადება და ინიცირება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განმახორციელებელ უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის საბჭოს სამდივნომ სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლების, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და აკადემიის

წარმომადგენელთა აქტიური ჩართულობით მოამზადა სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებათა პროექტი, რომელიც სისხლის სამართლის საბჭომ 2018 წლის 31 მაისს დაამტკიცა. ამჟამად ცვლილებათა პროექტი საბოლოო კონსულტაციების ეტაპზეა. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის საბჭო პროცესის დასრულებას 2020 წლის განმავლობაში გეგმავს.

საქმიანობა 1.1.1.4. გამოძიების დაწყების არსებულ სტანდარტებზე მონიტორინგის განხორციელება და შესაბამისი გაიდლაინების შემუშავება საჭიროებისამებრ;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს გენერალური პროკურატურა;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი, მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, აქტიურად ახორციელებს სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგს გამოძიების დაწყების მომენტიდანვე. ამავე დეპარტამენტის მიერ 2019 წელს შემუშავდა 7 რეკომენდაცია, რომლებიც დაიგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოებში.

ამოცანა: 1.1.2. აღდგენითი მართლმსაჯულებისა და განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გაძლიერება;

ამოცანის ინდიკატორი: „განრიდების პროგრამებში ჩართულ პირთა % მაჩვენებელი შენარჩუნებულია არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელთან მიმართებაში“; „(განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მონიტორინგის მექანიზმი შემუშავებული და დანერგილია“; წარმოებული და გასაჯაროებულია სეგრეგირებული სტატისტიკური მაჩვენებლები 6 თვეში ერთხელ; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე, განრიდებისა და აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამებში ჩართულ/გადამზადებულ პროფესიონალთა რაოდენობა; შემუშავებულია სისხლის სამართლის მედიაციის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა რეგიონული საჭიროებების შესაბამისად; შემუშავებულია განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ელექტრონული საქმის წარმოების სისტემა;

საქმიანობა 1.1.2.1. პროკურორების, სოციალური მუშაკების, მოსამართლეებისა და მედიატორების გადამზადება განრიდებისა და მედიაციის საკითხებში;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი;

პარტნიორი უწყება: საქართველოს გენერალური პროკურატურა, პრობაციის ეროვნული სააგენტო, სასამართლო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

აღდგენითი მართლმსაჯულების, განრიდების და მედიაციის პროგრამების ფარგლებში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებისა, უწყებათაშორისი საკოორდინაციო მექანიზმის გაუმჯობესების და პროცესში ჩართული პროფესიონალების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა რეგულარული აქტივობები, მათ შორის რეგიონებშიც, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით.

2019 წლის განმავლობაში, განრიდების პროგრამებში ჩაერთო 437 არასრულწლოვანი და 360 ოცდაერთ წლამდე ასაკის პირი. ამავე პერიოდში წარმატებული მედიაციის მაჩვენებელმა შეადგინა 55% და გაიმართა 328 მედიაციის საერთო შეხვედრა (კონფერენცია).

გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერითა და მოწვეული ექსპერტის მონაწილეობით და სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა არაერთი სამუშაო შეხვედრა და ტრენინგი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში ჩართული პროფესიონალების, პროკურორების, სოციალური მუშაკების, მედიატორებისა და გამომძიებლების აქტიური ჩართულობით.

2019 წლის განმავლობაში ასევე მიმდინარეობდა აქტივობები მედიატორებისათვის, მათი პრაქტიკული უნარების გაუმჯობესების მიზნით. მათ შორისაა „ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის“ ორგანიზებით და სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოსთან პარტნიორობით ჩატარებული ფართომასშტაბიანი კონფერენცია, არაერთი სამუშაო შეხვედრა და სუპერვიზიის სესიები „მედიატორთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება“. ეს უკანასკნელი მოიცავდა სუპერვიზიის სესიებს მედიატორებისთვის, განრიდების პროგრამებში მედიაციის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობასა და სამუშაო შეხვედრას მოსამართლეებთან აღდგენითი მართლმსაჯულების საპილოტე პროგრამის - მედიაცია სისხლის სამართალში, ფარგლებში საკოორდინაციო მექანიზმის გაუმჯობესების მიზნით.

პრობაციის ეროვნული სააგენტოს პრობაციის ოფიცრებისათვის და სპეციალური პენიტენციური სამსახურის მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, 2019 წელს, ევროკავშირის პროექტების მხარდაჭერით, გაიმართა 2 ტრენინგი „აღდგენითი მართლმსაჯულება - მედიაცია სისხლის სამართალში“. ამას გარდა, ევროკავშირის პროექტების მხარდაჭერით გაიმართა სამუშაო შეხვედრა მოსამართლეებისთვის აღდგენითი მართლმსაჯულებისა და სისხლის სამართლის მედიაციის საკითხებზე.

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს 10 რეგიონში ევროკავშირის პროექტის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა“ ფარგლებში გაიმართა სამუშაო შეხვედრები/ტრენინგები სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრისა და არასამთავრობო ორგანიზაცია GCRT-ს თანამშრომლობით. შეხვედრებში მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი თვითმმართველობების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ადგილობრივ

დონეზე დასაქმებული პროკურორები, სოციალური მუშაკები, მედიატორები, გამომძიებლები და სხვა უწყებების წარმომადგენლები. 2019 წლის განმავლობაში, განრიდების პროგრამებში ჩაერთო 437 არასრულწლოვანი და 360 21 წლამდე ასაკის პირი. ამავე პერიოდში წარმატებული მედიაციის მაჩვენებელმა შეადგინა 55% და გაიმართა 328 მედიაციის საერთო შეხვედრა (კონფერენცია).

საქმიანობა 1.1.2.2. სტატისტიკური მონაცემების მიღება შესაბამისი უწყებებიდან, დამუშავება და გამოქვეყნება;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი;

პარტნიორი უწყება: საქართველოს გენერალური პროკურატურა, პრობაციის ეროვნული სააგენტო, სასამართლო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2019 წლის განმავლობაში სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი, სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად, საქართველოს პროკურატურასთან თანამშრომლობით ახორციელებდა განრიდების საქმისწარმოების პროცესის ზედამხედველობასა და მონიტორინგს ინდივიდუალურ რეჟიმში, აღრიცხავდა და აქვეყნებდა შესაბამის სტატისტიკურ მონაცემებს განრიდების პროგრამების ვებ-გვერდზე.

საქმიანობა 1.1.2.3. შესაბამისი სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიის მომზადება და სისხლის სამართლის უწყებათაშორისი საბჭოსათვის წარდგენა;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

სისხლის სამართლის მედიაციის საპილოტე პროგრამის ფარგლებში, მიმდინარეობს კომუნიკაცია პარტნიორ უწყებებთან, გაიმართა სამუშაო შეხვედრები/ტრენინგები იმ უწყებების თანამშრომლებისათვის, რომელთაგანაც შესაძლებელია ბენეფიციართა გადმომისამართება მედიაციის პროცესის ინიცირების მიზნით, მათ შორის, პროკურორების, მოსამართლეების, სპეციალური პენიტენციური სამსახურის სოციალური მუშაკების, პრობაციის ოფიცრების მონაწილეობით. 2020 წლისათვის დაიგეგმა მსგავსი შეხვედრების/ტრენინგების გამართვა საქართველოს პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებისათვის. პარალელურად საპილოტე რეჟიმში მიმდინარეობს სისხლის სამართლის მედიაციის პროცესის მონიტორინგი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, როგორც 2018 წელს, 2019 წლისათვის, სისხლის სამართლის მედიაციის საპილოტე პროგრამის ამოქმედების პირობებში, ვითარების

შეცვლის გამო, შესაბამისი სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიის შემუშავებისა და საბჭოსთვის წარდგენის საჭიროება არ იყო დღის წესრიგში.

საქმიანობა 1.1.2.4. „განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მონიტორინგის მექანიზმის შემუშავება“;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი;

პარტნიორი უწყება: პრობაციის ეროვნული სააგენტო; საქართველოს გენერალური პროკურატურა;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

მონიტორიგნის მექანიზმის გაძლიერების და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი რეგულარულ ქმედით ღონისძიებებს ახორციელებდა. სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრის მედიატორთა საქმიანობის მონიტორინგისა და მედიატორთა შეფასების ფორმები დამტკიცებულია ცენტრის შიდა აქტით.
2019 წელს განრიდების პროგრამების ფარგლებში მონიტორინგს სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი ახორციელებდა ინდივიდუალურ დონეზე და ხარვეზების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი რეკომენდაციით მიმართავდა რელევანტურ უწყებას. ინდივიდუალური საქმეების მონიტორინგის მაჩვენებელი ემთხვევა განრიდების პროგრამებში ჩართულ პირთა სტატისტიკურ მაჩვენებელს, რომელმაც 2019 წლისათვის 797-ს შეადგენდა.

პრაქტიკის გაუმჯობესებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის, მათ შორის, მონიტორინგის მექანიზმის გაძლიერების პროცესში ჩართული იყვნენ ირლანდიელი ექსპერტებიც (გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით). მონიტორინგის მექანიზმის დახვეწაზე მუშაობა გაგრძელდება სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ 2020 წელს ექსპერტის რეკომენდაციების შესაბამისად.

საქმიანობა 1.1.2.5. განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ელექტრონული საქმის წარმოების სისტემის შემუშავება, დანერგვა და მისი მუდმივი განახლება;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი; საქართველოს გენერალური პროკურატურა;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

შემუშავებულია განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის პროექტის ტექნიკური დოკუმენტაცია, - კერძოდ კი TOR, პროექტის წესდება, პროექტის დოკუმენტი, ტექნიკური დოკუმენტი, არქიტექტურა, საქმეების დეტალური ჩაშლა. მიმდინარეობს დაფინანსების წყაროს მოძიებაზე მუშაობა სისტემის შემუშავების მიზნით.

2. სამართლიანი სასამართლოს უფლება და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა

მიზანი: 2.1. დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ანგარიშვალდებული მართლმსაჯულების სისტემის უზრუნველყოფა;

ამოცანა: 2.1.1. სასამართლოსა და ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გარანტიების საკანონმდებლო და სისტემური უზრუნველყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: განახლებულია მოსამართლეთა შერჩევის და დაწინაურების კრიტერიუმები და პროცედურა; გაუმჯობესებულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინსტიტუციური გარანტიები და საქმიანობის წესი; შემუშავებულია სკოლის მსმენელების, მოსამართლეობის კანდიდატებს შორის კონკურსის დროს გადაწყვეტილების დასაბუთების თაობაზე წინადადებები; ამუშავებულია სასამართლოში ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამა ყველა ინსტანციის სასამართლოში;

საქმიანობა 2.1.1.1. მოსამართლის დაწინაურების ცხადი, გამჭვირვალე და ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებული სისტემის შემუშავება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს საერთო სასამართლოები; საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს პარლამენტი;

შესრულების სტატუსი: არ დაწყებულა.

საანგარიშო პერიოდში, აღნიშნული საქმიანობის ფარგლებში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლის დაწინაურების ცხადი, გამჭვირვალე და ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებული სისტემის შემუშავება არ განხორციელებულა.

შენიშვნა: 2019 წლის 1 მაისს და 13 დეკემბერს მიღებულ იქნა №07-3/301 და №07-3/371 კანონები, რომლის თანახმადაც: სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარესა და თავმჯდომარის მოადგილეს, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთაგან 5 წლის ვადით თანამდებობაზე დანიშნავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო დასაბუთებული გადაწყვეტილებით;

გაფართოვდა იმ საკითხთა წრე, რომლის თაობაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს გამოყენებული იქნება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ინტერესთა კონფლიქტის მომწესრიგებელი 353 მუხლი; იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დაეკისრა ვალდებულება გამოაქვეყნოს დასაბუთება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, აგრეთვე სააპელაციო სასამართლოში მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ განწესების შესახებ; განისაზღვრა, რომ ანგარიშვალდებულების ფარგლებში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველწლიურ ანგარიშს წარუდგენს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციას; საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომების საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, საბჭოს ვებგვერდზე ქვეყნდება საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, საბჭოს შემადგენლობის ცვლილების შესახებ ინფორმაცია და მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისა და მისი შედეგების შესახებ ინფორმაცია; გაიზარდა დამოუკიდებელი ინსპექტორის დამოუკიდებლობის სტანდარტი. კერძოდ, განისაზღვრა, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორი თანამდებობიდან შეიძლება გათავისუფლდეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არა უმრავლესობის, არამედ სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის გადაწყვეტილებით; მნიშვნელოვნად გაიზარდა იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს ფუნქციები. კერძოდ, იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მისაღებ კონკურსს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ნაცვლად, უშუალოდ იუსტიციის უმაღლესი სკოლა ჩაატარებს; შეიცვალა იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთათვის დადგენილი მოთხოვნები; განიმარტა დისციპლინური გადაცდომის ცნება და უფრო ნათლად ჩამოყალიბდა მოსამართლის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის სახეები; მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში ყოველგვარი სუბიექტურობის გამორიცხვის და მოსამართლის დაცულობის მაღალის სტანდარტის შემოღების მიზნით, დამკვიდრდა როგორც დასაბუთებული ვარაუდის, ისე ალბათობის მაღალი ხარისხის მტკიცებულებითი სტანდარტი; მნიშვნელოვანია, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატების წარდგენისა და არჩევის უპრეცედენტოდ გამჭვირვალე, საჯარო, ღია და ხანგრძლივი პროცესი, რამაც უნდა უზრუნველყოს პროცესის რამდენიმე ეტაპად საზოგადოებრივი დაკვირვების ქვეშ წარმართვა.

საქმიანობა 2.1.1.2. სკოლის მსმენელების, მოსამართლეობის კანდიდატებს შორის კონკურსის დროს გადაწყვეტილების დასაბუთების შესახებ წინადადებების მომზადება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს საერთო სასამართლოები; საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს პარლამენტი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

სასამართლო სისტემის რეფორმის ე.წ. „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებები ითვალისწინებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის - განკარგულების, მათ შორის, რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში მოსამართლის უვადოდ განწესების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების, ასევე რაიონული და სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეებისა და თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე განწესების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებისა და გამოქვეყნების ვალდებულებას. ორგანული კანონის თანახმად, განკარგულებაში უნდა მიეთითოს ის საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ან მისი შესაბამისი ნორმა, რომლის საფუძველზეც მიღებულ იქნა განკარგულება. დასაბუთებას ადგენს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი. ამასთან, სავალდებულო წესით გამოქვეყნდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის განსხვავებული აზრიც. რაც შეეხება იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელებს, საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, გადაწყვეტილებას კანდიდატის სკოლაში მსმენელად ჩარიცხვის თაობაზე, მიიღებს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭო, რომელსაც ამავდროულად დაეკისრება აღნიშნულის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება.

საქმიანობა 2.1.1.3. საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის განახლება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს საერთო სასამართლოები; საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს პარლამენტი;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

სასამართლო რეფორმის ე.წ. "მეოთხე ტალღის" საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის განახლების მიზნით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამართლებრივი და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტი მუშაობს შესაბამისი ცვლილებების პროექტზე, რომელიც იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად უახლოეს მომავალში წარედგინება.

საქმიანობა 2.1.1.4. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების დამოუკიდებლობის გარანტიების, სტატუსის, კომპეტენციის, დაკომპლექტების წესის, გადაწყვეტილებების დასაბუთებისა და მისი გასაჩივრების მექანიზმების შემდგომი სრულყოფა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს საერთო სასამართლოები; საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს პარლამენტი;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში, კონსტიტუციით განისაზღვრა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტატუსი და მისი დაკომპლექტების წესი. რეფორმამდე, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ex officio თავმჯდომარეობდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. რეფორმის შედეგად, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს თანამდებობრივად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობა შეუნარჩუნდა, თუმცა საბჭოს თავმჯდომარეს იუსტიციის უმაღლესი საბჭო აირჩევს საკუთარ მოსამართლე წევრთაგან, 4 წლის ვადით.

სასამართლო რეფორმის ე.წ. "მეოთხე ტალღის" ფარგლებში "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილმა ცვლილებებმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის - განკარგულების დასაბუთების ვალდებულება გაითვალისწინა. ამასთან, ორგანულმა კანონმა დაადგინა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესში მონაწილე პირთათვის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ პირის კანდიდატად რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში გასაჩივრების შესაძლებლობაც.

ამოცანა: 2.1.2. ანგარიშვალდებული მართლმსაჯულების უზრუნველყოფის მიზნით, მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების, დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურების და ეთიკის ნორმების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა;

ამოცანის ინდიკატორი: დადგენილია ნათელი, დეტალური და განჭვრეტადი პასუხისმგებლობის საფუძვლები; უზრუნველყოფილია დისციპლინურ გადაცდომებზე რეაგირების მექანიზმების ეფექტიანობა, სამართლიანობა და განჭვრეტადობა; განახლებულია ეთიკის ნორმები;

საქმიანობა 2.1.2.1. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და ეთიკის ნორმების საფუძვლების დახვეწა საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის შესწავლისა და განზოგადების საფუძველზე, დისციპლინური პასუხისმგებლობის პროცესის ეტაპების ოპტიმიზაცია და პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო; მოსამართლეთა

კონფერენცია (სადისციპლინო კოლეგია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა); **შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.**

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა დისციპლინური სამართალწარმოების გაუმჯობესებისა და სამოსამართლო ეთიკის ნორმების დახვეწის მიმართულებით. სასამართლო რეფორმის ე.წ. „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფისთვის საერთაშორისო ექსპერტების მიერ წარდგენილი რეკომენდაციების საფუძველზე განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების შედეგად, დაიხვეწა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების ჩამონათვალი (ორგანული კანონი აღარ ითვალისწინებს ეთიკის ნორმების დარღვევას, როგორც დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს); დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების 5 წლიანი ხანდაზმულობის ვადა შემცირდა 3 წლამდე; დადგინდა დისციპლინური სამართალწარმოების თითოეულ ეტაპზე გამოსაყენებელი მტკიცებულებითი სტანდარტები; დამოუკიდებელ ინსპექტორს, კანონით განსაზღვრული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის, დისციპლინურ საჩივარზე ხარვეზის დადგენისა და სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის უფლებამოსილება მიენიჭა.

დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის გამჭვირვალობის თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ ორგანულმა კანონმა გაითვალისწინა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ როგორც წლიური ანგარიშის წარდგენის, ასევე, 4 თვეში ერთხელ მაინც მისი პროაქტიული გამოქვეყნების ვალდებულება.
რაც შეეხება სამოსამართლო ეთიკის წესების დახვეწის მიზნით გატარებულ ღონისძიებებს, სამოსამართლო ეთიკის წესების საერთაშორისო სტანდარტებთან სრული ჰარმონიზაციის მიზნით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინიციატივით შეიქმნა სამივე ინსტანციის სასამართლოთა მოსამართლეებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. ამასთან, პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, სამუშაო პროცესში ჩართული იყვნენ საერთაშორისო ექსპერტები, რომლებმაც სამუშაო ჯგუფს მოსაზრებები წარუდგინეს მოქმედ სამოსამართლო ეთიკის წესებსა და ევროპულ პრაქტიკასთან დაკავშირებით. ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადდა

საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი სამოსამართლო ეთიკის ახალი წესების პროექტი. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ პროექტი 2020 წლის 31 იანვრის სხდომაზე მოიწონა და მიიღო მოსამართლეთა კონფერენციისთვის წარდგინებით მიმართვის გადაწყვეტილება.

საქმიანობა 2.1.2.2. საკონსულტაციო მექანიზმის შექმნა შესაბამისი საკანონმდებლო წინადადებების მოსამზადებლად მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებისა და ეთიკის ნორმების შემდგომი დახვეწისა და სრულყოფისათვის;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო; მოსამართლეთა კონფერენცია (სადისციპლინო კოლეგია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა);

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების თაობაზე საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება სასამართლო სისტემის რეფორმის ე.წ. „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში, პარლამენტის თავმჯდომარის ხელმძღვანელობით შექმნილ სამუშაო ჯგუფში მიმდინარეობდა, რომელიც აერთიანებდა როგორც ხელისუფლების სამივე შტოს, ასევე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. რაც შეეხება ეთიკის ნორმების დახვეწასა და სრულყოფას, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინიციატივით შეიქმნა სასამართლოს სამივე ინსტანციის მოსამართლეებით დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი, რომლის ამოცანად მოქმედი ეთიკის წესების დახვეწა განისაზღვრა. სამუშაო ჯგუფის საქმიანობის მაქსიმალური ეფექტიანობის მისაღწევად, პარტნიორმა დონორმა ორგანიზაციებმა სამუშაო პროცესში საერთაშორისო ექსპერტები ჩართეს. მუშაობის საწყის ეტაპზე ექსპერტებმა ეთიკის არსებული წესები და პრაქტიკა გააანალიზეს და სამუშაო ჯგუფის წევრებს საკუთარი რეკომენდაციები წარუდგინეს. სამუშაო ჯგუფის ფარგლებში მომზადებული პროექტი, შემდგომ ეტაპზე სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის იმპლემენტაციის მიზნით შექმნილ მეორე სამუშაო ჯგუფს წარედგინა. სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში, ჯგუფის წევრებთან ერთად, დამოუკიდებელი ინსპექტორი, ასევე, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. პროექტის მუხლობრივი განხილვისა და გამოთქმული შენიშვნების შესაბამისად მასში ცვლილებების ასახვის შემდეგ, სამუშაო ჯგუფმა სამოსამართლო ეთიკის წესების პროექტი ხმათა უმრავლესობით მიიღო და ის განსახილველად იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წარუდგინა. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2020 წლის 31 იანვრის სხდომაზე სამოსამართლო ეთიკის წესების პროექტი მოიწონა და მიიღო გადაწყვეტილება მოსამართლეთა კონფერენციისთვის წარდგინებით მიმართვის შესახებ.

მიზანი: 2.2. ხარისხიანი მართლმსაჯულებისა და პროფესიონალიზმის უზრუნველყოფა;

ამოცანა: 2.2.1. საწყისი მომზადებისა და განგრძობადი განათლების ხარისხის გაუმჯობესება;

ამოცანის ინდიკატორი: შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები; საქმიანობის სტანდარტები განახლებულია საერთაშორისო რეკომენდაციების შესაბამისად;

საქმიანობა 2.2.1.1. საუკეთესო პოტენციალის მქონე კადრების დასასაქმებლად შესაბამისი წინაპირობების შექმნა მოზიდვა და შერჩევა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო; საქართველოს უზენაესი სასამართლო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

სასამართლო სისტემაში საუკეთესო პოტენციალის მქონე კადრების მოზიდვის მიზნით, შესაბამისი წინაპირობების შექმნაზე სასამართლო რეფორმის ე.წ. „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფი მუშაობდა. რეფორმის ფარგლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით, იუსტიციის მსმენელთა მოსამზადებელი პროგრამის ხანგრძლივობა 16 თვემდე გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ პროგრამამ გაითვალისწინა მსმენელის სტაჟირების შესაძლებლობა არა მხოლოდ საერთო სასამართლოების სისტემის შიგნით, არამედ, ასევე საკონსტიტუციო სასამართლოში, ადვოკატურასა და ნოტარიატში, პროკურატურაში და/ან სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში. მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს იუსტიციის მსმენელის სწავლებისას უცხო ქვეყნების ავტორიტეტულ სასწავლო ორგანიზაციაში სწავლების ან/და სტაჟირების გათვალისწინების შესაძლებლობა. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭო იუსტიციის მსმენელთა განახლებულ, 16-თვიან სწავლებაზე მორგებულ პროგრამას განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების ამოქმედების (2020 წლის 1 სექტემბრის) შემდეგ დაამტკიცებს. ამასთან, საუკეთესო პოტენციალის მქონე კადრების სასამართლო სისტემაში მოზიდვის მიზნით, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს 2019 წლის 3 მარტის გადაწყვეტილებით, იუსტიციის მსმენელთა სტიპენდია გაორმაგდა და 2000 ლარი შეადგინა.

საქმიანობა 2.2.1.2. იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელთა შერჩევის კრიტერიუმების განახლება და პროცედურის დახვეწა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო; საქართველოს უზენაესი სასამართლო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

სასამართლო რეფორმის ე.წ. „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონში განხორციელებული ცვლილებები გვთავაზობს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელთა მიღების პროცესის ახლებურად რეგულირებას. კერძოდ, ორგანული კანონის თანახმად, იუსტიციის მსმენელთა მისაღები კონკურსის ჩატარების უფლებამოსილება იუსტიციის უმაღლეს სკოლას მიენიჭა. იუსტიციის უმაღლესი საბჭო კი, სრულად ჩამოშორებულია პროცესს. ამასთან, ცვლილებებით განისაზღვრა იუსტიციის მსმენელობის კანდიდატის შერჩევისას მხედველობაში მისაღები შემდეგი კრიტერიუმები: საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგი, კვალიფიკაცია, სამართლებრივი ანალიზის, დასაბუთების, ზეპირი კომუნიკაციისა და გამოხატვის უნარები. რაც შეეხება სკოლაში მისაღებ იუსტიციის მსმენელთა რაოდენობას, ორგანული კანონის პროექტით განისაზღვრა შემდეგი წესი: იუსტიციის უმაღლესი საბჭო კონკურსის გამოცხადებამდე დაადგენს იმ წელს ჩასარიცხი მსმენელების მიერ სკოლაში სწავლის სრული კურსის დასრულების დროისთვის დასანიშნ მოსამართლეთა ვაკანსიების სავარაუდო რაოდენობას და სკოლას დასამტკიცებლად წარუდგენს მისაღებ იუსტიციის მსმენელთა საერთო რაოდენობას, რომელიც 20%-ით აღემატება მოსამართლეთა ვაკანსიების სავარაუდო რაოდენობას. ცვლილებების თანახმად, იუსტიციის მსმენელობის კანდიდატთა მისაღები კონკურსის ფორმასთან, მსმენელობის კანდიდატების რეგისტრაციასა და კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები სკოლის წესდებით განისაზღვრება.

საქმიანობა 2.2.1.3. სასამართლო აპარატის შესაძლებლობების გაძლიერება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო; საქართველოს უზენაესი სასამართლო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

სასამართლოს აპარატის შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის "მოსამართლეთა და სასამართლოს სხვა მოხელეთა გადამზადების" 2019 წლის პროგრამის ფარგლებში, სასამართლოს მოხელეებისთვის განხორციელდა 46 ტრენინგი, რომელშიც 692 მოხელე მონაწილეობდა, ასევე, 8 გაერთიანებული ტრენინგი მოსამართლეებისა და სასამართლოს მოხელეებისთვის, რომელშიც 89 მოსამართლემ და მოხელემ მიიღო მონაწილეობა. სასამართლოს მოხელეთა გადამზადების პროგრამა ხელმისაწვდომია იუსტიციის უმაღლესი სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე[1]. ამასთან, სასამართლოს მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით (ევროკავშირი, ევროსაბჭო, USAID/PROLoG, UNICEF, UNDP, OHCHR), რეგულარულად ტარდება მართლმსაჯულების ზამთრისა და ზაფხულის სკოლები, რომლებიც სასამართლოს მოხელეებისა და სტუდენტებისთვის არის განკუთვნილი. მართლმსაჯულების ზამთრისა და ზაფხულის სკოლები მოიცავს ტრენინგებს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობაზე, გამოხატვის თავისუფლების, დისკრიმინაციის აკრძალვისა და სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან დაკავშირებულ ევროსასამართლოს

[1] https://www.hsoj.ge/uploads/mokh2019.pdf

პრეცედენტულ სამართალზე, ასევე, ბავშვთა უფლებების, აღდგენითი მართლმსაჯულებისა და დავის გადაწყვეტის ალტერნატიული გზების თაობაზე. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა როგორც ზამთრის (2019 წლის თებერვალში), ასევე ზაფხულის სკოლა (2019 წლის ივლისში).

საქმიანობა 2.2.2.2. ხარისხის გაზომვის ინდიკატორების შემუშავება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო; საქართველოს უზენაესი სასამართლო;

შესრულების სტატუსი: არ დაწყებულა.

საქმიანობა 2.2.2.3. მოსამართლეთა შემდგომ განვითარებაზე ორიენტირებული პერიოდული შეფასების სისტემის დახვეწა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო; საქართველოს უზენაესი სასამართლო.

შესრულების სტატუსი: არ დაწყებულა.

მიზანი: 2.3. სასამართლო სისტემის ეფექტიანობის უზრუნველყოფა;

ამოცანა: 2.3.1. სასამართლო სისტემის ეფექტიანობის გაზრდა, ორგანიზაციული და ადმინისტრაციული სტრუქტურის დახვეწით;

ამოცანის ინდიკატორი: შემუშავებულია მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა საჭირო რაოდენობის განსაზღვრის წესი; შესაბამისი კვლევის საფუძველზე დადგენილია გონივრული დატვირთულობის სტანდარტები; გაზრდილია დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების გამოყენების შემთხვევების რაოდენობა;

საქმიანობა 2.3.1.1. საქმეთა რაოდენობის ანალიზის შესაბამისად მოსამართლეთა ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო; საქართველოს უზენაესი სასამართლო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის – „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID/PROLoG) ექსპერტმა, იესპერ ვიტრუპმა, ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ადგილობრივ ექსპერტებთან ერთად, 2018 წელს მოამზადა კვლევა, რომლის მიზანიც იყო საქართველოს საერთო სასამართლოებში მოსამართლეთა ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრა. კვლევა ჩატარდა როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მეთოდოლოგიის გამოყენებით. ჩატარებული კვლევის საფუძველზე, ექსპერტების მიერ დადგინდა, რომ ოპტიმალური რაოდენობის მისაღწევად, საერთო სასამართლოების მოსამართლეთა რაოდენობა უნდა გაიზარდოს, საშუალოდ, 100 ერთეულით. ამჟამად მიმდინარეობს კვლევის მეორე ფაზა, რომელიც მიზნად ისახავს მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების სასამართლოებში განაწილების შეფასებას, ასევე საქმეთა წონების განსაზღვრის გონივრული სისტემის შემუშავება. 2020 წლის პირველ ნახევარში ექსპერტი იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მოსამართლეთა და აპარატის თანამშრომელთა საჭირო რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას შესთავაზებს.

საქმიანობა 2.3.1.2. კომერციული/საგადასახადო პალატ(ებ)ის დაარსება და ამოქმედება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო; საქართველოს უზენაესი სასამართლო;

შესრულების სტატუსი: პრობლემურია.

საქმიანობა 2.3.1.3. სტატისტიკური მონაცემების მოპოვებისა და დამუშავების თანამედროვე სტანდარტების დანერგვა საერთაშორისო პრაქტიკაში არსებული საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინებით;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო; საქართველოს უზენაესი სასამართლო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სტატისტიკის სექტორმა დონორი ორგანიზაციების[2] მხარდაჭერით მონაცემთა შეგროვების ახალი სტანდარტები დანერგა, კერძოდ:

- ევროკავშირის პროექტის ექსპერტის მხარდაჭერით - შეიქმნა ინდიკატორთა ჩამონათვალი, რომელთა მიხედვითაც სასამართლომ უნდა აწარმოოს სტატისტიკა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის თაობაზე გამოცემული დამცავი

[2] ევროპის საბჭოს პროექტი „დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“ და „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა და პრევენცია“

ორდერების და გასაჩივრებული შემაკავებელი ორდერების საფუძველზე ძალადობის ყველა ფორმის მიხედვით;

- დამცავი ორდერების მიხედვით სრულყოფილი მონაცემების აღრიცხვის მიზნით, დაიწყო მუშაობა ელექტრონული პროგრამის შექმნაზე, რომელიც სტამბოლის კონვენციით გათვალისწინებული ყველა საჭირო მონაცემის (დიდი ხუთეული) აღრიცხვის საშუალებას მოგვცემს;
- ევროპის საბჭოს პროექტის მხარდაჭერით[3] დისკრიმინაციისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების სტატისტიკური აღრიცხვის გაუმჯობესების მიმართულებით სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების მიხედვით, მიმდინარე წელს შეიქმნა დისკრიმინაციის აღრიცხვის გაუმჯობესებული ფორმები, გაიწერა ფორმების შევსების ინსტრუქციები, მონაცემთა შესატანად შეიქმნა Excel-ის დაფორმატებული ფაილები. აღნიშნული ფორმები 2019 წლის 1-ლი ოქტომბრიდან სატესტო რეჟიმში უკვე დაინერგა პირველი ინსტანციასა და სააპელაციო სასამართლოებში. შესაბამისად, პროექტის მხარდაჭერით, საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თანაშემწეებისათვის ჩატარდა ტრენერთა ტრენინგები, რომლის ერთი სესია მიმართული იყო ახალი ფორმების მნიშვნელობასა და შევსების ინსტრუქციებზე;
- დისკრიმინაციისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების, ასევე სსკ-ის 53[1] მუხლის, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებების გამოყენების აღრიცხვის გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა სისხლის სამართლის საქმეების აღრიცხვის მოქმედ სტატისტიკურ ბარათებშიც;
- მომზადდა და ვებგვერდზე გამოქვეყნდა სტატისტიკური ინფორმაცია ნაფიცი მსაჯულების მიერ განხილული საქმეების თაობაზე, სადაც მონაცემების ანალიზი გაკეთებულია სხვადასხვა მაჩვენებლების მიხედვით სასამართლოების, სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების, მსჯავრდებულთა შემადგენლობის, დანიშნული სასჯელების ჭრილში.

საქმიანობა 2.3.1.4. დავების მოგვარების ალტერნატიული მექანიზმების განვითარება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო; საქართველოს უზენაესი სასამართლო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

2019 წლის 18 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „მედიაციის შესახებ." კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2019 წლის 30 სექტემბერს დაამტკიცა მედიატორთა ერთიანი რეესტრის ფორმა, 2019 წელს კი მიიღო გადაწყვეტილება მედიატორთა ერთიან რეესტრში კანდიდატთა რეგისტრაციის

[3] ევროპის საბჭოს პროექტი „დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში"

თაობაზე. კანონის მოთხოვნების შესაბამისად, 2019 წლის 27 დეკემბერს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება „სასამართლო მედიაციის პროგრამის დამტკიცების შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს სასამართლო მედიაციის ფუნქციონირებისათვის საჭირო საკითხებს. პროგრამით განისაზღვრა სასამართლო მედიაციის დანერგვის სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმა მოიცავს ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა, სასამართლო მედიაციის ამოქმედების მიზნით საჭიროებების შესწავლა, მედიაციის ცენტრების მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა, სასამართლო მედიაციის შესახებ ცნობადობის ამაღლება და პროგრამის რეგულარული მონიტორინგის განხორციელება. აღსანიშნავია, რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2020 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით განსაზღვრა სასამართლო მედიაციის პროგრამის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი. პროგრამის იმპლემენტაცია უახლოეს მომავალში დაიწყება. ამასთან, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების წესი, რომლითაც განისაზღვრა მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების წყარო, ოდენობა და საქმიანობის ანაზღაურების პროცედურა.

საქმიანობა 2.3.1.5. სასამართლოთა თავჯდომარეთა და მენეჯერების ფუნქციების შესწავლა და გამიჯვნა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო; საქართველოს უზენაესი სასამართლო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა;

საქმიანობა 2.3.1.6. სასამართლოს თავმჯდომარეების თანამდებობაზე გამწესების პროცედურების დახვეწის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო; საქართველოს უზენაესი სასამართლო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

სასამართლოს თავმჯდომარეთა თანამდებობაზე განწესების პროცედურების დახვეწის მიზნით, მუშაობა მიმდინარეობდა სასამართლო რეფორმის ე.წ. „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში შექმნილ სამუშაო ჯგუფში, რომელიც ხელისუფლების სამივე შტოს წარმომადგენლებით იყო დაკომპლექტებული. შედეგად, საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებებით შეიცვალა სასამართლოს თავმჯდომარეთა თანამდებობაზე განწესების პროცედურა. კერძოდ, რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე, აგრეთვე მისი მოადგილე, თანამდებობაზე დაინიშნებიან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე. ამასთან, პროცედურა ითვალისწინებს კანდიდატის შესარჩევად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეებთან კონსულტაციების გამართვის ვალდებულებასაც.

მიზანი: 2.4. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ამოცანა: 2.4.1. სასამართლო ხელმისაწვდომობის გაზრდა მომხმარებელზე ორიენტირებული სერვისების განვითარებით;

ამოცანის ინდიკატორი: სასამართლოს ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული საჭიროებების ანალიზი ჩატარებულია; სასამართლოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აუდიტი ჩატარებულია;

საქმიანობა 2.4.1.1. შშმ პირებისათვის სასამართლო ინფრასტრუქტურული გარემოსა და ტექნოლოგიური ადაპტირების საკითხის შესწავლა და გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად სტანდარტის თანმიმდევრული გაუმჯობესება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო; საქართველოს უზენაესი სასამართლო; საქართველოს საერთო სასამართლოები;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

სასამართლო სისტემაში გარემოს, ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიების შშმ პირებისათვის ადაპტირების შეფასების მიზნით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინიციატივითა და ევროპის საბჭოს პროექტის მხარდაჭერით, ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ მოამზადა დასკვნა/ანგარიში - „სასამართლო შენობების მისაწვდომობის შეფასება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის“, რომელიც საზოგადოებას 2019 წლის ოქტომბერში წარედგინა. კვლევის ფარგლებში, უცხოელ ექსპერტთან თანამშრომლობით შეფასდა 65 სასამართლოს შენობა, როგორც ადგილზე დათვალიერებით, ისე ექსპერტების მიერ შედგენილი კითხვარების მეშვეობით. საერთო სასამართლოებმა უკვე დაიწყეს მუშაობა კვლევის ფარგლებში გამოვლენილი ხარვეზების შესწორებაზე.

საქმიანობა 2.4.1.2. მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეებისათვის ტრენინგების ჩატარება - მომხმარებლებთან კომუნიკაციის სტრატეგიის და სასამართლო პროცესზე ინფორმაციის მარტივად და გასაგებად მიწოდების მიზნით;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო; საქართველოს უზენაესი სასამართლო; საქართველოს საერთო სასამართლოები;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო; მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა - საქართველოს უზენაესი სასამართლო.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის "მოსამართლეთა და სასამართლოს სხვა მოხელეთა გადამზადების" 2019 წლის პროგრამის ფარგლებში 7 ტრენინგი ჩატარდა მოსამართლეთა და სასამართლოს მოხელეთათვის თემაზე: "სასამართლო სხდომების მართვა და კომუნიკაცია". ტრენინგების ფარგლებში გადამზადდა 77 მოსამართლე და 21 სასამართლოს მოხელე. სკოლის ამავე პროგრამის ფარგლებში, 13 მოსამართლე გადამზადდა თემაზე: "კომუნიკაციის ფსიქოლოგია". 2019 წელს კომუნიკაციის საკითხებზე 2 ტრენინგი ჩატარდა სასამართლოს მანდატურებისთვისაც, რომლის ფარგლებშიც 51 მანდატური გადამზადდა. ევროპის საბჭოს „სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის“ ფარგლებში მომზადდა სოციალური მედიის მართვის სახელმძღვანელო და გაიმართა 2 სამუშაო შეხვედრა სასამართლოს მედიის სამსახურების მონაწილეობით.

საქმიანობა 2.4.1.3. სასამართლო სისტემის ფუნქციონირების ზოგად პრინციპებზე, წესებსა და სხვა პროცედურებზე მოკლე გასაგები ინფორმაციის მომზადება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო; საქართველოს უზენაესი სასამართლო; საქართველოს საერთო სასამართლოები;

შესრულების სტატუსი: არ დაწყებულა.

საქმიანობა 2.4.1.4. ეროვნული პრაქტიკის შესაბამისობის ანალიზი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან სასამართლო პრაქტიკის განზოგადებაზე პასუხისმგებელი რგოლების აქტიური გაძლიერებითა და ჩართვით;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო; საქართველოს უზენაესი სასამართლო; საქართველოს საერთო სასამართლოები;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ეროვნული სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილებაში მომზადდა შემდეგი სახის კვლევები:

- სამოხელეო დანაშაულის პრაქტიკის ანალიზი (2017-2018);
- გადაუდებელი აუცილებლობის დროს პროკურორის შუამდგომლობების საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის კანონიერებაზე მიღებული განჩინებების ანალიზი (2016-2018);
- ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონოდ შეძენა-შენახვასთან დაკავშირებული საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი (2018-2019 წლის 1-ელ აგვისტომდე);
- ირიბი ჩვენების გამოყენების საკითხი ძალადობრივი დანაშაულების შემთხვევაში;
- დამცავ ორდერთან დაკავშირებული პრაქტიკის ანალიზი (2018);
- სასამართლო პრაქტიკა საჯარო ინფორმაციის გაცემასა და პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით (2010-2019 წლები);

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკურმა განყოფილებამ მოამზადა კვლევები ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა:

- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებათა და გადაწყვეტილებათა კრებული საქართველოს საქმეებზე 2018-2019 წლები[4];
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თემატური საძიებელი[5];
- აღკვეთის ღონისძიებათა გამოყენება არასრულწლოვანთა მიმართ: საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში[6];
- წამების აკრძალვა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლებით გათვალისწინებული სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში[7]. ნაშრომი გამოცემულია ევროკავშირის და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმის მხარდაჭერა სასამართლო რეფორმის სისხლისსამართლებრივი ასპექტები“, ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის პროგრამის ფარგლებში.

საქმიანობა 2.4.1.5. იურიდიული პროფესიის სხვა წარმომადგენლებთან ურთიერთობების განვითარება სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს ფორმატში;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო; საქართველოს უზენაესი სასამართლო; საქართველოს საერთო სასამართლოები;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2019 წელს საქართველოს უზენაეს სასამართლოში სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს ფარგლებში ჩატარდა სხდომები:

- სახელმწიფოს პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძვლები გერმანიისა და საქართველოს მაგალითის მიხედვით, პასუხისმგებლობა სახელმწიფოს მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე, სახელმწიფოს პასუხისმგებლობის გამომწვევი შემადგენლობების განხილვა ცალკეული შემთხვევების საფუძველზე და სხვა;
- მხარეთა შეჯიბრებითობის საკითხებზე სისხლის სამართლის პროცესში, კერძოდ შეჯიბრებითობის და ინკვიზიციური მოდელის განსხვავება, პროცესის მონაწილეთა როლები, პროცესის ეფექტურობა, ჭეშმარიტების დადგენა და სხვა;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის თანამშრომლობის ფარგლებში დისკუსია თემაზე: „ნიუ-იორკის

[4] http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/adamianis-uflebata-evropuli-sasamartlos-ganch.-da-gadawy.-krebuli-saqartvelo-saqmeebze-2018-2019.pdf

[5] http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/adamianis-uflebata-evropuli-sasamartlos-gadawyvetilebebis-tematuri-saziebeli.pdf

[6] http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/agkvetis-gonisziebis-gamoyeneba-arasrulwlovanta-mimart.pdf

[7] http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/wamebis-akrzalva-me3-me6-muxlebit.pdf

კონვენცია: 60 წლის და კვლავ აქტუალური“ ნიუ იორკის კონვენციის ახალი ტენდენციები და გამოწვევები;

- სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ონლაინ-კომენტარის პრეზენტაცია, რომელშიც მონაწილეობდა დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე საერთაშორისო ექსპერტი ულრიხ ჰაგენლოხი; შეხვედრა მხარდაჭერილი იყო გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების მიერ (GIZ);
- საქართველოში კონკურენციის სამართლის განვითარების პერსპექტივებზე, ცვლილებები ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის კონტექსტში. საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მოსამართლეები სავას პაპასავა და იან ფორესტერი.

3. ადამიანის უფლებები და სამართალდამცავი სისტემა

მიზანი: 3.1. დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის იზოლატორში შესახლებულ პირთა დაცვის პროცედურული და ინსტიტუციური გარანტიების გაძლიერება;

ამოცანა: 3.1.1. დროებით მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ პირთა სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება;

ამოცანის ინდიკატორი: სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით შესაბამის ორგანოში შესული და განხილული საჩივრების რაოდენობა;

საქმიანობა 3.1.1.1. დროებითი მოთავსების იზოლატორში მყოფი პირების უზრუნველყოფა საჭირო სამედიცინო მომსახურებით;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

2019 წელს ახალი სამედიცინო პუნქტი გაიხსნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების 4 იზოლატორში. შესაბამისად, დღეისათვის, ქვეყნის მასშტაბით მოქმედი 29 დროებითი მოთავსების იზოლატორიდან, სამედიცინო პუნქტი უკვე 19 იზოლატორში ფუნქციონირებს, სადაც მოსათავსებელ/მოთავსებულ პირებს სამედიცინო შემოწმება სტამბოლის პროტოკოლის მოთხოვნების შესაბამისად უტარდებათ. 2019 წლის მანძილზე, სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტში, სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით, საჩივარი არ შემოსულა.

საქმიანობა 3.1.1.2. დროებითი მოთავსების იზოლატორში მყოფი პირების მიერ საკუთარი ხარჯებით სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 2 აგვისტოს №423 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების შინაგანაწესის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მოთავსებულ პირს საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვს, იზოლატორში მოთავსების მთელი პერიოდის განმავლობაში, შემოწმების ჩატარების მიზნით, საკუთარი ხარჯებით მოიწვიოს ექსპერტი. ამასთანავე, 2019 წლის განმავლობაში, საკუთარი ხარჯებით სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის მოთხოვნით, სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში შესახლებულ არცერთ პირს, დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტისთვის არ მიუმართავს.

საქმიანობა 3.1.1.3. სამედიცინო პერსონალის განგრძობადი კვალიფიკაციის ამაღლება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

2019 წელს, ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში, გადამზადდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იზოლატორებში დასაქმებული 20 ექიმი, სტამბოლის პროტოკოლის შესაბამისად, დაზიანებების დოკუმენტირებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის, სუიციდისა და თვითდაზიანებების პრობლემებზე, ასევე გადამდები დაავადებების პრევენციის საკითხებზე. ამავდროულად, ამავე წელს, ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით, დაიწყო ახალი პროექტი, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა ორი ტრენერთა ტრენინგი ექიმებისთვის, რომლებიც უზრუნველყოფენ მომავალში დასასაქმებელი და მოქმედი ექიმების გადამზადებას დაზიანებების დოკუმენტირების კუთხით. აღნიშნული ტრენინგების შედეგად შერჩეული იქნა 9 ექიმი, რომელთა მომზადების პროცესი დასრულდა 2020 წლის თებერვალში.

საქმიანობა 3.1.1.4. არასამედიცინო პერსონალის განგრძობადი კვალიფიკაციის ამაღლება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2018 წელს განხორციელდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იზოლატორების თანამშრომელთა მომზადება-გადამზადების სასწავლო კურსის განახლება, რომელზეც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში, 2018-2019 წლებში, მივლენილი იქნა იზოლატორების უკლებლივ ყველა თანამშრომელი.

ამოცანა: 3.1.2. დაკავებულ/პირთათვის ადეკვატური საყოფაცხოვრებო, სანიტარული და სხვა პირობების შექმნა;

ამოცანის ინდიკატორი: შიდაუწყებრივი მონიტორინგის პერიოდული ანგარიშები; დამოუკიდებელი (სახალხო დამცველის ჩათვლით) მონიტორინგის ანგარიშების მიხედვით უზრუნველყოფილია საცხოვრებელი, სანიტარული, ჰიგიენური, კვების და სხვა მატერიალური პირობები;

საქმიანობა 3.1.2.1. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დროებითი მოთავსების იზოლატორების გამართული ფუნქციონირება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საცხოვრებელი, სანიტარული, ჰიგიენური და სხვა მატერიალური პირობები;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

2019 წელს ჩატარდა სარემონტო სამუშაოები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 8 დროებითი მოთავსების იზოლატორში. ამავდროულად, დასრულდა ახალი იზოლატორისა და ადმინისტრაციული პატიმრებისთვის განკუთვნილი დაწესებულების მშენებლობა ქ. თბილისში. ორივე დაწესებულება სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

საქმიანობა 3.1.2.2. დროებითი მოთავსების იზოლატორებში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კვებითი პირობების უზრუნველყოფა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

გარდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორისა, ქვეყნის მასშტაბით ყველა სხვა იზოლატორში დაკავებულებს მიეწოდებათ მზა მშრალი საკვები ულუფები, ხოლო თბილისის იზოლატორში საკვების მიწოდება ხორციელდება ადგილობრივი სასადილოდან. საქვაბე კვება ასევე უზრუნველყოფილი იქნება თბილისის ახალ იზოლატორსა და ადმინისტრაციული პატიმრებისთვის განკუთვნილ დაწესებულებაში. 2019 წლის

ბოლომდე იგეგმებოდა საქვაბე კვების შემოღება მინიმუმ ოთხ იზოლატორში, რაც ამ ეტაპზე არ განხორციელებულა.

მიზანი: 3.2. ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფა;

ამოცანა: 3.2.1. იძულების ღონისძიებების გამოყენების საგამონაკლისო ხასიათისა და პროპორციულობის პრინციპის დაცვის უზრუნველყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: შიდაუწყებრივი მონიტორინგის პერიოდული ანგარიშები; დამოუკიდებელი (სახალხო დამცველის ჩათვლით) მონიტორინგის ანგარიშების მიხედვით იძულებითი ღონისძიებების გამოყენებას აქვს საგამონაკლისო ხასიათი და პროპორციულობის პრინციპი დაცულია; გადამზადებული პოლიციელების მზარდი პროცენტული რაოდენობა;

საქმიანობა 3.2.1.1. სამხრე ვიდეოკამერის გამოყენების წესის შემუშავება და დანერგვა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზედამხედველობის განყოფილების ინიცირებით, "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საზოგადოებრივი უსაფრთხოების დასაცავად ფორმის ტანსაცმელზე განთავსებული ვიდეოკამერის საშუალებით განხორციელებული ჩანაწერების შენახვისა და გამოყენების პროცედურების დამტკიცების თაობაზე შემუშავდა "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბრის №1310 ბრძანების ცვლილების პროექტი, რომელიც დამტკიცდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 26 დეკემბრის №139 ბრძანებით. ბრძანებით განისაზღვრა, რომ პატრულ-ინსპექტორის მიერ ფორმის ტანსაცმელზე დამაგრებული სამხრე ვიდეოკამერის მეშვეობით მოპოვებული მონაცემები ინახება სპეციალურ სერვერზე. სპეციალურ სერვერზე ინფორმაციის განთავსება ხდება სამხრე ვიდეოკამერაზე პასუხისმგებელი პატრულ-ინსპექტორის მიერ. აღნიშნული მონაცემები ინახება 30 დღის ვადით. სამხრე ვიდეოკამერების მეშვეობით მოპოვებული მონაცემების დამუშავება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

საქმიანობა 3.2.1.2. პოლიციელთა განგრძობადი განათლება ადამიანის უფლებებზე და იძულებითი ღონისძიებების სტანდარტებთან და გამოყენების ტექნიკასთან დაკავშირებით;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია მუდმივად ახორციელებს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების ცნობიერების ამაღლების პოლიტიკას ადამიანის უფლებების სწავლების კუთხით. ზემოაღნიშნული საგანი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- სიცოცხლის უფლება;
- წამების აკრძალვა;
- თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება;
- სამართლიანი სასამართლოს უფლება;
- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება;
- აზრის, სინდისის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლება;
- სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება;
- დისკრიმინაციის დაუშვებლობა;
- შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება;
- თავისუფალი მიმოსვლის უფლება;
- საკუთრების უფლება.

სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში, ძალის გამოყენების მეთოდები პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამებში/კურსებში იფარება რამდენიმე საგნის ფარგლებში, მათ შორის თეორიული ნაწილი იფარება ადამიანის უფლებების, პოლიციის შესახებ კანონისა და საცეცხლე (ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების წესები) და ტაქტიკური მომზადების სწავლებისას, ხოლო პრაქტიკული ნაწილი ტაქტიკური მომზადებისა და ფიზიკური იძულების სპეციალური ილეთების საგნის სწავლებისას.

გარდა ამისა, სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში 2019 წლის მარტში "ევროკავშირი საქართველოსთვის" და გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარიატის ოფისის მხარდაჭერით ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი ადამიანის უფლებათა სასწავლო პროგრამის განახლების მიზნით და დაინერგა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლებისათვის შექმნილი მოდული ადამიანის უფლებებში.

2019 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ადამიანის უფლებების სწავლების კუთხით მომზადდა/გადამზადდა:

- პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 50 მსმენელი;

- საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 88 მსმენელი;
- უბნის ინსპექტორთა მომზადების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 32 მსმენელი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის ტერიტორიული ორგანოების მართლწესრიგის ოფიცერთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 62 მსმენელი;
- პოლიციელთა საბაზისო მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 256 მსმენელი;
- გამომძიებელთა საბაზისო მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა - 19 მსმენელი;
- მესაზღვრე-კონტროლიორთა კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგი - 30 მსმენელი;
- პატრულ-ინსპექტორის პოზიციის დასაკავებელი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სპეციალური გადამზადების კურსი - 138 მსმენელი;
- გამომძიებელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსი -108 მსმენელი;
- სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მოსამსახურეთა ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების სპეციალური მომზადების კურსი - 276 მსმენელი;
- წვევამდელთა და პოლიციის უმცროს ლეიტენანტთა სპეციალური წოდების მისანიჭებელი სპეციალური მომზადების პროგრამა - 313 მსმენელი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების თანამშრომელთა მომზადება-გადამზადების სასწავლო კურსი - 46 მსმენელი;
- ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების სპეციალური მომზადების კურსი (ნახევრად ელექტრონული სწავლების მეთოდი - 57 მსმენელი.

ამოცანა: 3.2.2. პოლიციის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: პოლიციის სამმართველოების რაოდენობა, სადაც დამონტაჟდა სათვალთვალო კამერები/ დამონტაჟებული კამერების რაოდენობა;

საქმიანობა 3.2.2.1. პოლიციის ყველა სამმართველოს შენობაში სათვალთვალო კამერების დამონტაჟება და ფუნქციონირების წესის განსაზღვრა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

ვიდეო-სათვალთვალო კამერები დამონტაჟებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ადმინისტრაციულ შენობებზე. ამასთან, 2019 წლის 25 აპრილის, გამოიცა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფაილური სისტემებისა და მათში არსებული მონაცემების შენახვის ვადების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 იანვრის

№53 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 25 აპრილის N1/198 ბრძანება, რომლითაც სამინისტროს ადმინისტრაციული შენობების შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერების შენახვის მინიმალურ ვადად, სახალხო დამცველის რეკომენდაციის გათვალისწინებით, განისაზღვრა 14 დღე.

ამოცანა: 3.2.3. სამართალდამცავ ორგანოებში გადაცდომებზე ეფექტიანი რეაგირება და აღმოფხვრა;

ამოცანის ინდიკატორი: სამართალდამცავების მიერ ჩადენილ გადაცდომებზე შესულ განცხადებათა და რეაგირების ურთიერთმიმართება;

საქმიანობა 3.2.3.1. სამართალდამცავების მიერ ჩადენილი გადაცდომების პროაქტიული გამოვლენა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში 2019 წელს მიღებულ იქნა 6068 საჩივარი/განცხადება. მათ საფუძველზე ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, სამინისტროს თანამშრომლის მხრიდან გადაცდომის ფაქტი არ დადასტურდა - 3946 შემთხვევაში. მხოლოდ 109 საჩივარი/განცხადების საფუძველზე დაწყებული სამსახურებრივი შემოწმება დასრულდა არასაკმარისი მტკიცებულებების გამო. შეტყობინებების ნაწილი გადაგზავნილი იქნა ქვემდებარეობით, ხოლო 1070 შემთხვევაში მოქალაქე არ აცხადებდა პრეტენზიას და მას გაეწია მოთხოვნილი კონსულტაცია. სულ, აღნიშნულ პერიოდში (საჩივარ/განცხადებების, სამინისტროს დანაყოფებიდან მიღებული და მოპოვებული ინფორმაციების საფუძველზე ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმებების შედეგად) დაკისრებული იქნა 1447 დისციპლინური სახდელი. ამავე პერიოდში სისტემატურად ტარდებოდა სამინისტროს დანაყოფების ინსპექტირება, ფინანსური დარღვევების, დისციპლინური და სხვა გადაცდომების პროაქტიულად გამოსავლენად. ჩატარებული ინსპექტირებების შედეგად დაკისრებული იქნა 18 სახდელი და გაიცა 31 სარეკომენდაციო ბარათი.

საქმიანობა 3.2.3.2. სამართალდამცავების მიერ ჩადენილ გადაცდომებზე რეაგირების მექანიზმის დახვეწა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

2019 წელს გენერალურ ინსპექციაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც მუშაობს დისციპლინური წარმოების პროცედურების საუკეთესო პრაქტიკის მოძიებასა და დანერგვაზე. ამავე წლის თებერვალში ჩატარდა გასვლითი სამუშაო შეხვედრა უცხოელი ექსპერტების ჩართულობით. შეხვედრაზე განხილულ იქნა დისციპლინური წარმოების პროცედურების პრაქტიკა ევროპული ქვეყნების მაგალითზე.

ამოცანა: 3.2.4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმის გაძლიერება;

ამოცანის ინდიკატორი: ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით განხორციელებული საქმიანობის ანგარიში;

საქმიანობა 3.2.4.1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის შექმნა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2018 წლის იანვარში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა ინსტიტუციური მექანიზმი - ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი, რომელიც ოჯახური დანაშაულის, ქალთა მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციული ნიშნით და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის, ტრეფიკინგის, არასრულწლოვანთა მიერ და მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე მიმდინარე გამოძიებისა და ადმინისტრაციული საქმისწარმოების მონიტორინგს ახორციელებს. 2019 წელს დეპარტამენტის მანდატი გაფართოვდა და იგი გარდაიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტად.

4. ბრალდებულთა, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა უფლებები

მიზანი: 4.1. ბრალდებულ/მსჯავრდებულთა უფლებების დაცვა საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად;

ამოცანა: 4.1.1. პენიტენციურ სისტემაში ადამიანის უფლებების დაცვის კანონმდებლობისა და პრაქტიკის დახვეწა;

ამოცანის ინდიკატორი: შიდა და გარე მონიტორინგის ორგანოების, ეროვნული პრევენციული ჯგუფის, ასევე საერთაშორისო მონიტონგის მექანიზმების მიერ მომზადებული გეგმიური თუ არაგეგმიური ანგარიშებსა ან/და დასკვნებში მოცემული რეკომენდაციები გათვალისწინებულია შესაბამის სამართლებრივ ცვლილებებში; შიდა და გარე მონიტორინგის ორგანოების, ეროვნული პრევენციული ჯგუფის, ასევე საერთაშორისო მონიტონგის მექანიზმების მიერ პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზები აღმოფხვრილია;

საქმიანობა 4.1.1.1. მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ არსებული მოქმედი კანონმდებლობისა და პრაქტიკის პერმანენტული ანალიზი და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებისა და შიდა რეგულაციების მომზადება და ინიცირება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ხელმძღვანელობით სამუშაო ჯგუფმა რამდენიმე თვიანი მუშაობის შედეგად მოამზადა პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგია და 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა (შემდგომ - სტრატეგია და სამოქმედო გეგმა), რომელიც 2019 წლის 22 თებერვალს საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა.

სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესაბამისად, პენიტენციურ და დანაშაულის პრევენციის სისტემებში დაიწყო რეფორმის ახალი ტალღა, რომელიც ემსახურება ეფექტიანი სისტემების არსებობას და მათ შესაბამისობას ევროპულ სტანდარტებთან, როგორც სასჯელის აღსრულების, ასევე, სასჯელის ალტერნატიული სახეებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისა და იმავდროულად თავისუფლება აღკვეთილ პირთა უფლებების დაცვის მხრივ.

სტრატეგია და სამოქმედო გეგმა პასუხობს ყველა იმ საერთაშორისო თუ ადგილობრივ რეკომენდაციებსა და გამოწვევებს, რომელზეც მიუთითებს საქართველოს სახალხო დამცველი თუ ევროპის საბჭოს წამებასთან ბრძოლის კომიტეტი (CPT), მათ შორის პენიტენციური დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაძლიერების (გადატვირთულობის პრობლემის აღმოფხვრისა და მცირე დაწესებულებების ფორმირების კუთხით), მსჯავრდებულთა საჭიროებებზე მორგებული სარეაბილიტაციო ღონისძიებების რაოდენობის გაზრდის, პენიტენციური ჯანდაცვის შემდგომი განვითარების, თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერების საკითხებს.

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვა მიმდინარე რეფორმის ქვაკუთხედი პრინციპია, რომლის შესაბამისადაც იგეგმება და ხორციელდება საჭიროებებს მორგებული ღონისძიებები. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და სპეციალური პენიტენციური სამსახური არაერთი თემატური მიმართულებით მუშაობს პენიტენციურ და დანაშაულის პრევენციის სისტემებში ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული მიდგომების იმპლემენტაციისა და შედეგად, ეფექტიანი, უმაღლესი ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სისტემების არსებობისათვის.

2019 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, სპეციალური პენიტენციური სამსახურის, სსიპ დანაშულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მჭიდრო თანამშრომლობით ევროკავშირის „პენიტენციური და პრობაციის მხარდაჭერის პროექტთან“ (EU4Justice) შემუშავდა კონცეფციები შემდეგ თემატურ მიმართულებებზე: პენიტენციურ დაწესებულებაში მსჯავრდებულთა წახალისებისა და მსჯავრდებულთა შორის ძალადობის პრევენციის კონცეფცია, რომლის მიზანია მსჯავრდებულთა კონსტრუქციული ქცევის წახალისება მათთვის პრივილეგიების მინიჭებისა და ჩამორთმევის გზით; პენიტენციურ დაწესებულებაში ორგანიზებული დანაშაულის გავლენის შემცირების კონცეფცია; თავისუფლებააღკვეთილ პირთა გათავისუფლებისთვის მომზადების კონცეფცია; პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის შემდგომი განვითარების კონცეფცია. ამასთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით მუშაობს უწყებათაშორისი საზოგადოებრივი დაცვის მექანიზმის შექმნაზე. აღნიშნული კონცეფციების ფარგლებში იდენტიფიცირებულია ნორმატიული აქტები, რომლებშიც საჭირო გახდება ცვლილებების შეტანა, ამდენად, კონცეფციებზე შეჯერების შედეგად განხორციელდება შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები.

საანგარიშო პერიოდში შეიქმნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანს წარმოადგენს ახალგაზრდა ზრდასრული მსჯავრდებული და ბრალდებული პირებისთვის არსებული პატიმრობის პირობების შესწავლა/გადახედვა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება. სამუშაო ჯგუფი განიხილავს საერთაშორისო თუ ეროვნული მონიტორინგის ორგანოების შეფასებებსა და რეკომენდაციებს,

პატიმრობის პირობებთან მიმართებით არსებულ საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკას და შედეგად, წარმოადგენს კონკრეტულ რეკომენდაციებს.

რეფორმის მნიშვნელოვანი ნაწილია მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და დასაქმების მაქსიმალური ხელშეწყობა. ამ მიზნით საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბერის №492 ბრძანებით დამტკიცდა სსიპ - „მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის“ დებულება, ასევე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბერის №491 ბრძანებით დამტკიცდა მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების წესი. შედეგად, 2020 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი, რომელიც ორიენტირებულია მსჯავრდებულთა საჭიროებებისა და შესაძლებლობების დადგენაზე, რაც მნიშვნელოვანია მათი სწავლების, აგრეთვე, პროფესიული მომზადებისა/გადამზადებისა და დასაქმების კუთხით. დამატებით აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით განხორციელდა შემდეგი საკანონმდებლო ცვლილებები:
- 2019 წლის 8 მაისს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცდა „მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე მსჯავრდებულის საშიშროების რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესის შესახებ“ N395 ბრძანება, რომელიც განსაზღვრავს მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების შეფასება/გადაფასების წესს და კრიტერიუმებს. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების შეფასების გუნდი ახორციელებს მსჯავრდებულთა რისკების შეფასება/გადაფასებას. აღნიშნული ბრძანების №2 დანართის III ნაწილი ითვალისწინებს სარეაბილიტაციო აქტივობებში მსჯავრდებულის ჩართულობის, ცვლილებების მოტივაციისა და დანაშაულის მიმართ მისი დამოკიდებულების შეფასებას. ამ ნაწილის შევსება მოითხოვს ინტერვიუს მსჯავრდებულთან. ამ ცვლილებით მსჯავრდებულს გაუჩნდა შანსი დააფიქსიროს მისი მზაობა და პოზიცია ზემოაღნიშნული საკითხების მიმართ.

2019 წლის 13 მაისს, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით შევიდა ცვლილება „ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის №35 ბრძანებაში და ცვლილების შედეგად ელექტრონული მეთვალყურეობისას გადაღებული მასალა შეინახება არანაკლებ 30 დღისა. ამავე ბრძანების მიხედვით გადაღებული მასალის შენახვის 30-დღიანი ვადა პენიტენციური დაწესებულებების მიმართ ამოქმედდება ეტაპობრივად და მოიცავს 2020 წლის 1 ივლისიდან 2021 წლის იანვრის პერიოდს, მას შემდეგ, რაც ზემოაღნიშნულ დაწესებულებებში მოეწყობა სათანადო ინფრასტრუქტურა.

2019 წლის 31 დეკემბერს, „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №5 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №116 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის მიხედვითაც ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულებს შესაძლებლობა ექნებათ წახალისების ფორმით, სანიმუშო ყოფაქცევის ან/და საქმიანობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების შემთხვევაში, დაწესებულების დირექტორის წარდგინებით, სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით ისარგებლონ დაწესებულების გარეთ დამატებითი ხანმოკლე გასვლის უფლებით. აღნიშნული შესაძლებლობა მათ ხელს შეუწყობს მათ რესოციალიზაციასა და რეაბილიტაციას.

2019 წლის 6 მარტს მიღებულ იქნა საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება N388 – N01-18/ნ (ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 აპრილი), რომლითაც დამტკიცდა ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები. აღნიშნული ბრძანება არეგულირებს პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვებისა და სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმებს მათთვის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო კვების ორგანიზებისთვის აუცილებელ ნორმებს.

საქმიანობა 4.1.1.2. ბრალდებულთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ არსებული მოქმედი კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზისა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით შესაბამისი ხარვეზების გამოვლენა და აღმოფხვრა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

იხილეთ აქტივობა 4.1.1.1.

ამოცანა: 4.1.2. პენიტენციურ დაწესებულებებში გადატვირთულობის პრევენცია;

ამოცანის ინდიკატორი: მსჯავრდებულები უზრუნველყოფილნი არიან საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული მინიმალური საცხოვრებელი ფართით; სასამართლოებში საბჭოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებების რაოდენობის მაქსიმალურად შემცირება;

საქმიანობა 4.1.2.1. ყველა მსჯავრდებულის უზრუნველყოფა მინიმუმ 4მ^2 საცხოვრებელი ფართით მრავალადგილიან საკნებში და მინიმუმ 6მ^2 საცხოვრებელი ფართით ერთადგილიან საკანში;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

ახალი, მცირე ზომის დახურული ტიპის დაწესებულებების მშენებლობა, ხოლო არსებული დაწესებულებების გაუმჯობესება უსაფრთხოების, ადამიანის უფლებებისა და რეაბილიტაციის სფეროში მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად პენიტენციური სისტემის რეფორმის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. ამ კუთხით „პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგიითა და 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმით“ დეტალურად არის განსაზღვრული განსახორციელებელი აქტივობები.

აღსანიშნავია, რომ რეფორმის შედეგად, პენიტენციურ სიტემაში ყველა მსჯავრდებული უზრუნველყოფილია სულ მცირე 4მ^2 საცხოვრებელი ფართით. გამოწვევას წარმოადგენს N2, N8, N14, N15 და N17 დაწესებულებები მსჯავრდებულ/ბრალდებულთა რიცხოვნობის გათვალისწინებით.

2019 წელს დასრულდა N14 პენიტენციურ დაწესებულებაში ბარაკების ტიპის საცხოვრებელი შენობების რეკონსტრუქცია, გადაკეთდა საკნის ტიპის საცხოვრებლებად და აღიჭურვა სათანადოდ, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს ამ დაწესებულებაში გადატვირთულობის პრობლემის აღმოფხვრას. გარდა ამისა, ამჟამად დაგეგმილია და შესაბამისი სამუშაოები უკვე მიმდინარეობს ახალი მცირე-ზომის დაწესებულებების ასაშენებლად, რათა მნიშვნელოვნად განიტვირთოს არსებული დაწესებულებები. პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურული გაძლიერებისა და თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტებზე მორგებული ცვლილებების უზრუნველსაყოფად:

- ქარელში 134 პატიმარზე გათვალისწინებულ დაწესებულებაზე პროექტის ექსპერტიზა მიმდინარეობს;
- დაბა ლაითურში 700 მსჯავრდებულზე გათვალისწინებული დაწესებულების პროექტირება დასრულდა. გამოცხადდა ტენდერი სამშენებლო სამუშაოებისთვის;
- ქსნის მე-15 და მე-19 დაწესებულებების ტერიტორია გაიყოფა 4 ნაწილად და შეიქმნება 3 მცირე ზომის ახალი დაწესებულება; პროექტის პირველ ნაწილს უტარდება ექსპერტიზა; მიმდინარეობს დაწესებულებების დაყოფის, შემდეგი ნაწილის პროექტირება და ექსპერტიზა;
- რუსთავში გაიხსნება 700 პატიმარზე განსაზღვრული ახალი დაწესებულება. მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები. დასრულდა 25 ჰექტარზე ტერიტორიის მოსწორების სამუშაოები. გაკეთდა გარე პერიმეტრის ორი ღობე. პროექტირების დასრულების შემდგომ განხორციელდება ექსპერტიზა და მომზადდება დოკუმენტაცია სატენდერო პროცედურების დასაწყებად.

პენიტენციურ სისტემაში სარემონტო თუ საპროექტო სამუშაოები მიმდინარეობს არსებულ გამოწვევებზე ეფექტიანი საპასუხო ღონისძიებებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მიდგომების გათვალისწინების გზით.

საქმიანობა 4.1.2.2. პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის ეფექტური ფუნქციონირება, მათ შორის გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის დახვეწა, ინდივიდუალური მიდგომის იმპლემენტაცია და მსჯავრდებულთა ჩართვა განხილვის პროცესში;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

პენიტენციური სისტემის რეფორმის ფარგლებში საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 22 დეკემბრის N366 ბრძანებით, დამტკიცდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის ახალი დებულება, რომლის შესაბამისადაც დეპარტამენტის სახით ცალკე სტრუქტურულ ქვედანაყოფად ჩამოყალიბდა ადგილობრივი საბჭოების სამსახურებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი. დეპარტამენტის საქმიანობის ფარგლებში 2019 წლის განმავლობაში გაგრძელდა ეფექტიანი და ოპერატიული საქმიანობა საბჭოების გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობის მექანიზმის დახვეწისა და სრულყოფის, მათ შორის განხილვის პროცესში მსჯავრდებულთა ჩართულობის საკითხის გაუმჯობესების კუთხით. პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმი ყოველწლიურად უფრო მეტად აქტიურად ფუნქციონირებს. აღსანიშნავია, რომ 2019 წლის განმავლობაში ადგილობრივი საბჭოების მიერ ზეპირი მოსმენით განხილულ იქნა 571 მსჯავრდებულის საკითხი, აქედან პირობით ვადამდე გათავისუფლების შემთხვევაში განხილული იქნა 217 მსჯავრდებულის საკითხი, ხოლო სასჯელის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხი ზეპირი მოსმენით განხილულ იქნა 354 მსჯავრდებულის მიმართ, (შინაპატიმრობა - 274; საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა - 80).

სულ, 2019 წლის განმავლობაში პენიტენციური დაწესებულებები ვადამდე დატოვა 1522 მსჯავრდებულმა. აქედან, პირობით ვადამდე გათავისუფლდა 1286 მსჯავრდებული (მათ შორის: 1246 კაცი მსჯავრდებული, 40 ქალი მსჯავრდებული და 8 არასრულწლოვანი მამაკაცი); სასჯელის მოუხდელი ნაწილი უფრო მსუბუქი სასჯელით - შინაპატიმრობით შეეცვალა 194 მსჯავრდებულს, აქედან 192 სრულწლოვან მამაკაც მსჯავრდებულს და 2 ქალ მსჯავრდებულს, ხოლო სასჯელის მოუხდელი ნაწილი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეეცვალა 42 სრულწლოვან მამაკაც მსჯავრდებულს.

რაც შეეხება, სასამართლოებში საბჭოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებების რაოდენობას, აღსანიშნავია, რომ 2019 წლის განმავლობაში სასამართლოში სულ გასაჩივრდა ადგილობრივი საბჭოს 114 გადაწყვეტილება მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ ან მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლაზე უარის თქმის შესახებ, საიდანაც სასამართლოს მიერ სრულად დაკმაყოფილდა 8 საჩივარი (გათავისუფლების თაობაზე), ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 35 საჩივარი, რომლებიც ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა შესაბამის ადგილობრივ საბჭოს, არ დაკმაყოფილდა საჩივარი და უცვლელი დარჩა ადგილობრივი საბჭოს 35 გადაწყვეტილება,

საჩივრის ავტორების მიერ 15 საჩივარი იქნა უკან გახმობილი, სამართალწარმოება შეწყდა 6 შემთხვევაში, ხოლო არასათანადო მოპასუხედ ცნო ერთ შემთხვევაში. ამჟამად, სასამართლოში მიმდინარეობს აღნიშნულ საკითხებზე 14 საჩივრის განხილვა, რომლებიც გასაჩივრდა 2019 წელს.

აღსანიშნავია, რომ „პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგიისა და 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის“ ფარგლებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას პირობით ვადამდე გათავისუფლების მეთოდოლოგიის გაუმჯობესება წარმოადგენს. ამ კუთხით შექმნილია სამუშაო ჯგუფი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, სპეციალური პენიტენციური სამსახურისა და დანაშულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს თემატური წარმომადგენლებით. ჯგუფის მუშაობის შედეგად მომზადდა პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის გაუმჯობესების კონცეფცია, რომელზე შეჯერების შედეგადაც განხორციელდება შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები.

ამოცანა: 4.1.3. საყოფაცხოვრებო და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესება;

ამოცანის ინდიკატორი: განხორციელებული კონკრეტული ინფრასტრუქტურული პროექტები, შიდა და გარე მონიტორინგის მექანიზმების რეკომენდაციების შესაბამისად; პენიტენციური დაწესებულებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული გადაცემული საჭირო ინვენტარის რაოდენობა; ყველა მსჯავრდებული უზრუნველყოფილია კანონმდებლობით დადგენილი საჭირო ინვენტარით;

საქმიანობა 4.1.3.1. პენიტენციურ სისტემაში განთავსებულ მსჯავრდებულ/ბრალდებულთა კანონმდებლობით გათვალისწინებული რბილი ინვენტარითა და აუცილებელი პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით რეგულარულად უზრუნველყოფა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული ბრალდებულები/მსჯავრდებულები მუდმივ რეჟიმში უზრუნველყოფილნი არიან რბილი ინვენტარითა და აუცილებელი პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით. თითოეული პენიტენციური დაწესებულება რეგულარულად, მათი საჭიროების მიხედვით, მარაგდება შესაბამისად. დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პერსონალის მიერ ყოველდღიურ რეჟიმში ხდება ჰიგიენურ პირობებზე ზრუნვა. ამასთან, ყოველთვიურად ხდება თითოეული დაწესებულების დეზინფექცია, საჭიროების შემთხვევაში, პენიტენციური დაწესებულების დირექტორის მოთხოვნით, შესაძლებელია დამატებითი დეზინფექციის ჩატარება.

პატიმართა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ 2018 წლის 5 ოქტომბერს გამოცემული ბრძანებების შედეგად ცვლილებები იქნა შეტანილი თხუთმეტივე პენიტენციური დაწესებულების დებულებაში და ყველა ბრალდებულს/მსჯავრდებულს მაცივრით სარგებლობის უფლება მიეცა. ზემოხსენებული ცვლილებების შედეგად, ყველა ბრალდებულს/მსჯავრდებულს ყველა დაწესებულებაში უფლება აქვს, დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში შეიძინოს და საკანში შეიტანოს მაცივარი, რომლის მაქსიმალური მოცულობა შეიძლება იყოს 100სმX60სმX60სმ.

საქმიანობა 4.1.3.2. საჭიროებიდან გამომდინარე, არსებული ინფრასტრუქტურის განახლება და ახალი პროექტების შემუშავება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

2019 წლის განმავლობაში დაიწყო და განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული ღონისძიებები:

- №14 პენიტენციურ დაწესებულებაში ბარაკების ტიპის საცხოვრებელი შენობების რეკონსტრუქცია და მათი გადაკეთება საკნის ტიპის საცხოვრებლად, ასევე დაწესებულების გარშემო მოეწყო ახალი დაწესებულების შემომზღუდავი რკინა-ბეტონის ღობე ახალი კოშკურებით;
- №16 პენიტენციურ დაწესებულებაში 300 მსჯავრდებულზე სასადილო-სამზარეულო შენობის მშენებლობა; ასევე ამ ეტაპზე დაწესებულების ტერიტორიაზე მიმდინარეობს ახალი ინფრასტრუქტურის მოწყობა, რაც გულისხმობს ახალი სასეირნო სივრცეების მშენებლობას, სპორტული მოედნების მოწყობას, საკნების სარეკონსტრუქციო სამუშაოებს;
- პენიტენციურ დაწესებულებებში სამარტოო საკნების მოწყობა;
- პენიტენციურ დაწესებულებებში სამედიცინო პუნქტის რემონტი;
- 2019 წელს №12 პენიტენციური დაწესებულება (გორგასლის ქ N77), რომელიც მოძველებული ინფრასტრუქტურით ვერ აკმაყოფილებდა კანონმდებლობის შესაბამის მოთხოვნებს გადავიდა რუსთავში, N16 პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე;
- №5 ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში მოეწყო ახალი ამანათების მიღებისათვის თანამდეროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სივრცე, ასევე ტერიტორიაზე განთავსდა ბავშვთა გარე სათამაშო ატრაქციონები;
- სრულად გარემონტდა №11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების საცხოვრებელი შენობა, სადაც განახლდა ყველა საკანი, სველი წერტილი, სასწავლო ოთახები, სამედიცინო ოთახები, სასადილო და ა.შ;
- №2 პენიტენციურ დაწესებულებაში კაპიტალურად გარემონტდა სამედიცინო ოთახები, მოეწყო ახალი მოკლევადიანი პაემნების ოთახები;

- №15 პენიტენციურ დაწესებულებაში მოეწყო მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა შემოწმების ოთახი, ასევე დაწესებულების 16 საკანში გადიდდა საკნის ფანჯრები, რითაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბუნებრივი შუქისა და ვენტილაციის პირობები;
- 2018-2019 წლებში №8 პენიტენციურ დაწესებულებაში მოეწყო ამანათების მიღებისათვის განკუთვნილი თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სივრცე, ასევე გრძელვადიან პაემნებთან მისასვლელი მიწისზედა მეტალის გალერეა, დაწესებულებაში ამჟამად მიმდინარეობს მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა საცხოვრებელ შენობებში განთავსებული 37 ერთეული საშხაპე ოთახების კაპიტალური სარემონტო სამუშაოები;
- №6 პენიტენციურ დაწესებულებაში კაპიტალურად გარემონტდა საშხაპე ოთახები, მოეწყო ამანათების მიღებისათვის განკუთვნილი თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სივრცე, ასევე ინფრასტრუქტურულად განახლდა დაწესებულების სამედიცინო პუნქტი, სადაც მოეწყო სტანდარტების შესაბამისი რენდგენოლოგიური კაბინეტი, №6 პენიტენციურ დაწესებულებაში პირველად მოეწყო და აღიჭურვა მინის ბარიერის გარეშე მოკლევადიანი საოჯახო პაემნებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა (6 ოთახი), აღნიშნულ პერიოდში სისტემატიურად მიმდინარეობდა მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა საცხოვრებელი საკნებისა და სველი წერტილების სარემონტო სამუშაოები;
- №3 პენიტენციურ დაწესებულებაში გარემონტდა სამედიცინო დანიშნულების ოთახები, ბიბლიოთეკა, ასევე მოეწყო დეესკალაციის 4 საკანი;
- გარემონტდა №9 პენიტენციურ დაწესებულებაში სარეჟიმო კორპუსი;
- №5 ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში და №11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებებში მოეწყო საოჯახო პაემნების ოთახები;
- №2, №15, №6, №17 და №18 პენიტენციურ დაწესებულებებში გარემონტდა საშხაპე ოთახები (ადაპტირებული №18 პენიტენციურ დაწესებულებაში).

გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღინიშნა დაწყებულია უკვე ქმედითი სამუშაოები ახალი მცირე ზომის დაწესებულებების მშენებლობისა და არსებული დაწესებულებების პირობების გასაუმჯობესებლად/გასარემონტებლად.

ამოცანა: 4.1.4. მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება, პრევენციაზე დაფუძნებული სამედიცინო მომსახურების, ფსიქიკური ჯანმრთელობის მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობა და წამალდამოკიდებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: წინა წლებთან შედარებით, დაავადებათა გავრცელების შემცირებული მაჩვენებელი პენიტენციურ სისტემაში (სტატისტიკური მონაცემები C ჰეპატიტი; ტუბერკულოზი; სუიციდის რისკის მქონე პირთა და პროგრამაში ჩართულ პირთა რაოდენობის ურთიერთმიმართება; სუიციდის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობა ვისაც შიდა მონიტორინგის მიხედვით შეუმცირდა სუიციდის რისკის დონე; პატიმართა სართო რაოდენობასთან მიმართებით სუიციდის მცდელობების პროცენტული რაოდენობა

შემცირებულია; ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამა სრულად პასუხობს არსებულ საჭიროებებს;

საქმიანობა 4.1.4.1. სამოქალაქო ჯანდაცვის ექვივალენტური სამედიცინო მომსახურებით ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

პენიტენციურ სისტემაში, C ვირუსული ჰეპატიტის, აივ-ინფექცია/შიდსის და ტუბერკულოზის დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე ხელმისაწვდომობა უნივერსალურია.

2019 წლის განმავლობაში C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ჩატარდა - 3987 სკრინინგი და მკურნალობაში ჩაერთო - 687 პირი. ამავე წელს, ანტიტუბერკულოზური მკურნალობის საჭიროების მქონე პირთა გამოვლენის მიზნით, ჩატარდა - 56300 სკრინინგი, "DOTS" და "DOTS+" მკურნალობის პროგრამაში ჩართულ პაციენტთა რაოდენობამ შეადგინა - 42, მათ შორის, 33 ახალი შემთხვევა. აივ-ინფექცია/შიდსის გამოვლენის მიზნით, ჩატარდა - 6129 სკრინინგი და ანტირეტროვირუსული მკურნალობის პროგრამაში ჩაერთო - 5 ახალი პაციენტი.

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სუიციდის პრევენციის პროგრამაში პირის ჩართვა ხდება ფსიქოლოგის ან ფსიქიატრის მიერ სუიციდის რისკის იდენტიფიცირების შემთხვევაში. 2019 წელს, სუიციდის რისკის მქონე ყველა იდენტიფიცირებული პირი ჩაერთო სუიციდის პრევენციის პროგრამაში, სულ - 123 ბენეფიციარი. შესაბამისად, სუიციდის პრევენციის პროგრამა 123 ბენეფიციარს დაეხმარა სუიციდალური კრიზისის დაძლევაში.

ამ ეტაპზე, პენიტენციურ სისტემაში ხორციელდება ფარმაცევტული პროდუქტით ხანმოკლე და ხანგრძლივი დეტოქსიკაციის პროგრამები, რომელშიც ჩართვის კრიტერიუმები დადგენილია მოქმედი კანონმდებლობით. პროგრამას ახორციელებს ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი და ის ხელმისაწვდომია სისტემაში განთავსებული, საჭიროების მქონე ყველა პირისთვის, რომელიც აკმაყოფილებს დადგენილ კრიტერიუმებს.

დამატებით აღსანიშნავია, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში სამედიცინო სერვისის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება, „ჯანმრთელი“ გარემოს შექმნა გადამდები დაავადებების პრევენციის და შემცირების, სუიციდისა და თვითდაზიანების პრევენციის ზომებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების გაუმჯობესების გზით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, რომელიც ასევე ასახულია პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმაში. აღნიშნულის ფარგლებში მოხდა პენიტენციური ჯანდაცვის სტანდარტის გადახედვა და

მომზადებულია ცვლილებათა პაკეტი. ამასთან, ევროპის საბჭოს „თავისუფლებააღკვეთილ პირთა ფსიქიკური ჯანდაცვის გაუმჯობესება საქართველოში“ პროექტთან თანამშრომლობით შემუშვებულია პენიტენციურ სისტემაში ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების სტრატეგიის პირველადი დოკუმენტი და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მონახაზი რეკომენდაციების სახით.

2019 წლის განმავლობაში პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს მიეწოდებათ სამოქალაქო სექტორის ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურება. ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს სასჯელის მოხდის ადგილას ხელი მიუწვდებათ მედპერსონალის 24-საათიან მომსახურებაზე, უზრუნველყოფილია მკურნალობის უწყვეტობა. საჭიროების შემთხვევაში, იგეგმება რეფერალი როგორც №18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში, ისე სამოქალაქო სექტორის სპეციალიზებულ კლინიკებში. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის პროცესში ჩართულია 26 პროფილის 53 ექიმი-სპეციალისტი.

2019 წლის განმავლობაშიც პენიტენციურ სისტემაში წარმატებით ხორციელდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები (აივ-ინფექცია/შიდსის, C ჰეპატიტის მართვის, ტუბერკულოზის მართვის და სხვ.) 2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით ანტირეტროვირუსული მკურნალობა უტარდებოდა 89 ბრალდებულ/მსჯავრდებულს.

პენიტენციურ სისტემაში უზრუნველყოფილია სამედიცინო სერვისებზე შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა. მოთხოვნათა რეგისტრაცია ელექტრონულ პროგრამაში ხდება დაუყოვნებლივ და მსჯავრდებულთათვის/ბრალდებულთათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება ხდება რიგითობის პრინციპით, სამედიცინო ჩვენებათა გათვალისწინებით - უპირატესობით სარგებლობენ ურგენტული ან/და სასწრაფო დაყოვნებადი სამედიცინო დახმარების საჭიროების მქონე პაციენტები, რომელთა რაოდენობაც მაღალია, 2019 წლის დეკემბრიდან აქტიურად დაიწყო დაგეგმილი რეფერალების განხორციელება და დღეის მდგომარეობით შესრულდა 244 სტაციონარული და 127 ამბულატორიული რეფერალი სამოქალაქო სექტორის კლინიკაში.

დღეის მდგომარეობით, პენიტენციურ სისტემაში გარდაცვალების მაჩვენებელი არ სცდება საშუალო ევროპულ მაჩვენებელს, რომელიც 10000 პატიმარზე არის არაუმეტეს 25 შემთხვევისა. გარდაცვალების ძირითად მიზეზს წარმოადგენს გულ-სისხლძარღვთა სისტემის და ონკოლოგიური დაავადებები, ისე როგორც ეს პროცესი ვითარდება სამოქალაქო სექტორშიც. რაც შეეხება სუიციდის შემთხვევებს, პენიტენციურ სისტემაში სუიციდით გარდაცვალების მაჩვენებელი არ სცდება საშუალო ევროპულ მაჩვენებელს, რომელიც 10000 პატიმარზე არის არაუმეტეს 7 შემთხვევისა.

დამატებით აღსანიშნავია, რომ 2019 წლის განმავლობაში პრევენციული სამედიცინო გასინჯვები ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში ჩატარდა.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის ინიციატივით დაგეგმილი პრევენციული სამედიცინო გასინჯვები 2019 წლის 13 აპრილიდან დაიწყო და ეტაპობრივად განხორციელდა, როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოს ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში. სასჯელის მოხდის ადგილზე, მათივე თანხმობით, ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებს ჩაუტარდათ კარდიოლოგის, ნევროლოგის, ოტორინოლარინგოლოგის, უროლოგის, დერმატო-ვენეროლოგის, ენდოკრინოლოგის, ოფთალმოლოგის, ონკოლოგის, რევმატოლოგის, ზოგადი ქირურგის, ინფექციონისტის კონსულტაციები, ელექტროკარდიოგრაფია და ულტრასონოგრაფიული გამოკვლევა. სულ ჩატარდა 4743 კონსულტაცია/გამოკვლევა. ჩატარებული გამოკვლევებისა და კონსულტაციების შედეგად, რიგ შემთხვევებში გამოიკვეთა შემდგომი სამედიცინო საჭიროებები, რომელთაგან, სამედიცინო ჩვენების შესაბამისად, ზოგიერთი სერვისი უკვე მიეწოდათ ბრალდებულ/მსჯავრდებულებს. ხოლო გეგმიური ინტერვენციები დაგეგმილია და ჩაუტარდებათ რეკომენდაციების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ პრევენციული სამედიცინო გასინჯვები იგეგმება და გაგრძელდება ასევე 2020 წელს, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა თანხმობით, ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში.

გარდა ამისა, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ინიციატივით 2019 წლის 9 დეკემბერს დაიწყო პროექტი, რომელიც 2016 წლიდან დაგროვილი ე.წ. სამედიცინო რიგის, ანუ სამედიცინო მომსახურების მომლოდინეთა მომსახურებას და ამ რიგის განულებას ისახავს მიზნად. პროექტის დასაწყისისთვის მოცემულ ე.წ. რიგში 2382 ბრალდებულ/მსჯავრდებული იყო რეგისტრირებული რეფერალთა ბაზაში, რომელთაგან გეგმიური ამბულატორიის 1800 შემთხვევაში და გეგმიური სტაციონარის 500 შემთხვევაში სამედიცინო მომსახურების ვადები დაირღვა. 2019 წლის 9 დეკემბრიდან 28 დეკემბრის ჩათვლით, გეგმიური სტაციონარული დახმარება, არსებული რიგიდან (სხვადასხვა სახის ოპერაციული მკურნალობა) გაეწია ჯამში 163 მსჯავრდებულს, ხოლო გეგმიური ამბულატორიული დახმარება (რენტგენი და კტ), 14 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, ასევე არსებული რიგიდან - 114 მსჯავრდებულს. მხოლოდ დეკემბრის თვეში, სამოქალაქო სექტორის კლინიკაში ჩატარდა 400 000 ლარის ღირებულების ინტერვენციები, მათ შორის მიმდინარე გეგმიური და გადაუდებელი ურგენტი) სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურება.

საქმიანობა 4.1.4.2. ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავება და დამტკიცება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

ევროპის საბჭოს „თავისუფლებააღკვეთილ პირთა ფსიქიკური ჯანდაცვის გაუმჯობესება საქართველოში“ პროექტთან თანამშრომლობით მომზადდა პენიტენციურ დაწესებულებებში

ფსიქიკური ჯანდაცვის სტრატეგიის პირველადი პროექტი. არსებული სტრატეგიის დოკუმენტის გათვალისწინებით, სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტმა იმუშავა ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების განვითარების სამოქმედო გეგმაზე და მომზადებულია აღნიშნული დოკუმენტის პირველადი ვერსია. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს მუშაობა დოკუმენტის საბოლოო ვერსიაზე.

პენიტენციურ სისტემაში ფსიქიკური ჯანდაცვის შემდგომი გაუმჯობესების, ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან (პაციენტთან) ხანგრძლივი რემისიის მიღების, მკურნალობაზე დამყოლობის გაუმჯობესების მიზნითა და ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემებიდან გამომდინარე სტაციონარიზაციის შემცირებისათვის მნიშვნელოვანია კრიზისის მართვის მექანიზმის არსებობა. ევროსაბჭოს პროექტთან თანამშრომლობით შემუშავდა კრიზისის მართვის ჩარჩო დოკუმენტი, რომლის შესაბამისად ჩატარდა სამეტაპიანი ტრენერთა ტრენინგი თემაზე - „კრიზისის მართვა პენიტენციურ სისტემაში“. გადამზადდა სისტემის 40 თანამშრომელი. 2019 წლის ნოემბრის თვიდან N8 პენიტენციურ დაწესებულებაში საპილოტე რეჟიმში მუშაობა დაიწყო სამოქალაქო სექტორის სპეციალისტებით დაკომპლექტებულმა სამმა მობილურმა ჯგუფმა. სამოქალაქო სექტორში არსებული მოდელის გათვალისწინებით, მობილური ჯგუფები დაკომპლექტებულია ექიმი-ფსიქიატრის, ფსიქოლოგის და ექთნის შემადგენლობით, რომლებიც ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე 70-მდე პაციენტთან მუშაობენ.

საქმიანობა 4.1.4.3. პენიტენციურ დაწესებულებებში სუიციდის პრევენციის პროგრამითა და სამოქმედო გეგმით გათვალისიწინებული ღონისძიებების განხორციელება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

2019 წლის განმავლობაში მულტიდისციპლინურმა გუნდებმა სუიციდური კრიზისის დაძლევაში დახმარება გაუწია 123 ბენეფიციარს, მათ შორის: 109 კაცს, 11 ქალს და 3 არასრულწლოვანს.

პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგიისა და 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სუიციდის პრევენციის პროგრამის მიმდინარეობის შეფასება, საჭიროებების იდენტიფიცირება და შემდგომი გაუმჯობესების გეგმის შემუშავება. ამ მიმართულებით მომზადებულია ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სუიციდის პრევენციის პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 11 თებერვლის N13 ბრძანების ცვლილების პროექტი. 2019 წლის განმავლობაში სუიციდის პრევენციის პროგრამის მიმდინარეობის პერიოდში, ადგილობრივი კოორდინატორებისა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული სხვა პირების მიერ მოწოდებული პრობლემური

საკითხების გათვალისწინებით, სუიციდის პრევენციის პროგრამის საბჭომ გამოკვეთა ძირითადი საჭიროებები პროგრამის შემდგომი განვითარების სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის.

საქმიანობა 4.1.4.4. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამების განხორციელების წესის შესაბამისი სერვისით ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

პენიტენციურ სისტემაში წამალდამოკიდებული ბრალდებულებისთვის /მსჯავრდებულებისთვის ხელმისაწვდომია ექიმი-ნარკოლოგის მომსახურება და ექიმი-სპეციალისტის მიერ გაცემული რეკომენდაციის შესაბამისი მედიკამენტური მკურნალობა. 2019 წლის განმავლობაში - 728 ბრალდებულს/მსჯავრდებულს ჩაუტარდა ნარკოლოგის კონსულტაცია. ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტით დეტოქსიკაცია ხელმისაწვდომია №2 და №8 პენიტენციურ დაწესებულებებსა და №18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში.

პენიტენციურ სისტემაში ნარკოტიკის მომხმარებელთათვის გაუმჯობესებული სამკურნალო პროგრამების მიწოდება „პენიტენციური და დანაშულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგიის და 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმით“ განსაზღვრული ამოცანაა. ამ მიზნით უწყებათაშორის სამუშაო ფორმატში მიმდინარეობს მუშაობა პენიტენციურ დაწესებულებებში ნარკოდამოკიდებული პირებისათვის ხანგრძლივი ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამების შემოტანის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. გრძელვადიანი ჩანაცვლებითი თერაპიის დანერგვის საჭიროების შეფასების მიზნით, „ევროკავშირის მხარდაჭერა ნარკოტიკებისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში“ (EU-ACT) პროექტის მხარდაჭერით გერმანელი ექსპერტის მიერ შეფასდა პენიტენციური სისტემის არსებული მდგომარეობა და მომზადდა ანგარიში რეკომენდაციებით, რომლის თანახმადაც, პირველ ეტაპზე ჩატარდება ტრენინგები სამედიცინო და რეჟიმის პერსონალისათვის, ცნობიერების ამაღლებისა და პრაქტიკული გამოცდილების გაცნობის მიზნით (როგორც ქართველი, ისე უცხოელი პრაქტიკოსი ექსპერტების მონაწილეობით) და შესაბამისად დაიგეგმება სამომავლოდ გასატარებელი ღონისძიებები.

მიზანი: 4.2. განსაკუთრებული საჭიროებების მქონე (მოწყვლადი) ბრალდებულების/მსჯავრდებულების უფლებების დაცვის უზრუნველყოფა პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში;

ამოცანა: 4.2.1. პენიტენციური და პრობაციის სისტემების თანამშრომელთა ცნობიერების

ამაღლება განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მსჯავრდებულებთან მიდგომის თავისებურებებზე, თანასწორობისა და შემწყნარებლობის საკითხებზე;

ამოცანის ინდიკატორი: ახალი შემუშავებული და/ან განახლებული პროგრამები/ტრენინგები შეესაბამება არსებულ საჭიროებებსა და საერთაშორისო სტანდარტებს; გადამზადებულ თანამშრომელთა მზარდი პროცენტული მაჩვენებელი;

საქმიანობა 4.2.1.1. სასწავლო პროგრამების გადახედვა და საჭიროებისამებრ განახლება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

2019 წელს საჭიროებისამებრ განხორციელდა ყველა მოქმედი სასწავლო პროგრამის გადახედვა/განახლება და მომზადდა ახალი სასწავლო პროგრამა - ,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან და პატიმრების სხვა განსაკუთრებულ კატეგორიებთან მოპყრობის თავისებურებები", რომელთა მიხედვითაც განხორციელდა ტრენერთა ტრენინგი და ტრენინგები პენიტენციური სისტემის თანამშრომელთათვის. სულ ტრენინგი გაიარა 31 თანამშრომელმა.

საქმიანობა 4.2.1.2. სასჯელაღსრულების სისტემის იმ თანამშრომელთა გადამზადება რომლებსაც შეხება აქვთ განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბრალდებულ/მსჯავრდებულებთან;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

2019 წელს დაიწყო და დღემდე ეტაპობრივად მიმდინარეობს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე (მოწყვლადი) ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან მიმართულებით მომუშავე თანამშრომელთა გადამზადება.

სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს და სპეციალური პენიტენციური სამსახურის ბაზაზე, ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მხარდაჭერით და ორგანიზაცია „ძდექთან" თანამშრომლობით:

- შეიქმნა „ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური და სექსუალური ძალადობის" იდენტიფიცირების კითხვარი მსჯავრდებული ქალების რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით. აღნიშნულ თემატიკაზე გადამზადდა 15 სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი;

- შეიქმნა სარეაბილიტაციო პროგრამა „ქალ-გა“ ქალი მსჯავრდებულებისათვის, რომლის მიზანია, ქალების რეაბილიტაცია და გაძლიერება იმისთვის, რომ ხელი შეეწყოს გათავისუფლების შემდეგ საზოგადოებაში რეინტეგრაციას და მათ მიმართ შესაძლო ძალადობის განხორციელების პრევენციას. აღნიშნულ თემატიკაზე გადამზადდა 15 სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი.

საქმიანობა 4.2.1.3. არასრულწლოვან ბრალდებულ/მსჯავრდებულთა საჭიროებებზე, საერთაშორისო და ადგილობრივ კომპეტენტურ ორგანიზაციებთან/სტრუქტურებთან თანამშრომლობით შესაბამისი სასწავლო პროგრამებისა და მასალების განახლება და გაუმჯობესება საჭიროებისამებრ;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

პენიტენციურ სისტემაში მიმდინარე რეფორმის ფარგლებში თანამშრომელთა პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერება და მათთვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ტრენინგების მიწოდება პრიორიტეტული საკითხია. საანგარიშო პერიოდში სპეციალური პენიტენციური სამსახურისა და სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავდა და ინერგება შემდეგი სასწავლო პროგრამები/მოდულები:

- ციხის მართვის თანამედროვე მეთოდები - ევროკავშირის „პენიტენციური და პრობაციის მხარდაჭერის პროექტთან“ თანამშრომლობით პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შექმნილი მოდულის მიხედვით, 2018-2019 წლებში გადამზადდა პენიტენცური სისტემის მენეჯმენტის (სპეციალური პენიტენციური სამსახურისა და ყველა პენიტენციური დაწესებულების მენეჯერი) 89 წარმომადგენელი;
- ესკორტირებისა და სპეციალური ღონისძიებების მთავარი სამმართველოს ესკორტის ოფიცრების საორიენტაციო კურსი - 2019 წლის იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით, გადამზადებულია, ყველა ახალი კონკურსის გზით დანიშნული ესკორტის ოფიცერი (122 თანამშრომელი). საორიენტაციო კურსი მოიცავს აუცილებელ სამართლებრივ აქტებს, უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას, სტრესის მართვის, ეფექტური კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის მიმართულებებს;
- სოციალური უნარების და ეთიკის სტანდარტების მოდული - 2019 წლის სექტემბრიდან ნოემბრის ბოლომდე გადამზადდა N6 პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოებისა და სამართლებრივი რეჟიმის ყველა თანამშრომელი (114 თანამშრომელი). მოდული, შეიქმნა ევროკავშირის „პენიტენციური და პრობაციის მხარდაჭერის პროექტის“ ექსპერტთან თანამშრომლობით პენიტენციური დაწესებულების სპეციფიკისა და დინამიური უსაფრთხოების კონცეფციის გათვალისწინებით. ტრენინგი მოიცავს - პენიტენციურ სისტემაში სტრეს-ფაქტორების განსაზღვრის თეორიულ ნაწილს, მათ შორის არაკონტროლირებადი ფაქტორების, ასევე, სტრესული ემოციების

იდენტიფიცირებისა და მათი თანამშრომელზე ზეგავლენის მექანიზმებთან დაკავშირებულ პრაქტიკულ დავალებებს, რთული ემოციებისა და არაკონტროლირებადი სტრეს-ფაქტორების ემოციური რეგულაციის დემონსტრირების პრაქტიკულ სავარჯიშოებს, დეესკალაციისა და პოზიტიური კომუნიკაციის ტექნიკებს, რაც საშუალებას აძლევს თანამშრომელს დაძაბულობის გარეშე კონცენტრირდეს კონკრეტულ პრობლემაზე. დაგეგმილია აღნიშნული მოდულით თითოეული დაწესებულების რეჟიმის თანამშრომლის გადამზადება (მათ შორის არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების თანამშრომლების);

- არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მომუშავე თანამშრომელთა გადამზადება. 2019 წლის ნოემბრის თვეში განხორციელდა პენიტენციური დაწესებულებების, მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის სოციალურ მუშაკთა და ფსიქოლოგთა გადამზადება (9 თანამშრომელი). მოდული მოიცავს მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტებს, საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მარეგულირებელ კანონმდებლობას, ზოგადი წესების, არასრულწლოვანთა კოდექსის მიზნებისა და პრინციპების, ანტისოციალური ქცევისა და ფსიქოლოგიური ასპექტების მიმოხილვას.

ამასთან, ევროკავშირის „პენიტენციური და პრობაციის მხარდაჭერის პროექტთან“ თანამშრომლობით დაიგეგმა/განხორციელდა ტრენინგები შემდეგი მიმართულებებით:

- ჩართულობის უნარ-ჩვევები;
- კომუნიკაცია;
- სტრატეგიული დაგეგმვა და სტრატეგიული აზროვნება, თანამშრომელთა აქტივობები და პატიმართა სამყარო;
- მოტივაციური ინტერვიუირება;
- მსჯავრდებულთა რისკებისა და საჭიროებების შეფასება;
- შემთხვევის მართვა და შეფასების ინსტრუმენტები;
- შემთხვევის მართვა და შეფასების ინსტრუმენტები (არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთან მომუშავე მოსამსახურეებისათვის);
- ადამიანური რესურსების მართვა;
- ტრენინგი RNA-სა და პირობით–ვადამდე გათავისუფლების პრინციპებზე;
- ტრენერთა ტრენინგი ჩართულობის უნარ-ჩვევებში;
- ტრენერთა ტრენინგი ოჯახში ძალადობის რისკების შეფასებაზე;
- ოჯახში ძალადობის რისკების შეფასების ინსტრუმენტები;
- ტრენინგი ინციდენტებისა და არეულობის შესახებ და სხვა.

საქმიანობა 4.2.1.4. არასრულწლოვნებთან მომუშავე პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომელთა მომზადება/კვალიფიკაციის ამაღლება არასრულწლოვანთა მოპყრობის, მათი სპეციფიკური საჭიროებების, ასაკობრივი თავისებურებების შესახებ;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

2019 წლის ნოემბერში ტრენინგით ,,სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში“ გადამზადდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის 10 თანამშრომელი.

საქმიანობა 4.2.1.5. გენდერული თანასწორობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე საერთაშორისო და ადგილობრივ კომპეტენტურ ორგანიზაციებთან/სტრუქტურებთან თანამშრომლობით შესაბამისი სასწავლო პროგრამების მომზადება და არსებული პროგრამების განახლება და გაუმჯობესება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალური პენიტენციური სამსახურისთვის თანამშრომელთა პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერება და საჭიროებებს მორგებული ტრენინგების შეთავაზება ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს. პენიტენციური სისტემის ისტორიაში პირველად, ესკორტის ოფიცრები სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში დასაქმდნენ ღია კონკურსის გზით და დადგენილი წესების (გასაუბრება, წერითი დავალება) შესაბამისად. პენიტენციურ სისტემაში დასაქმებული ესკორტის ოფიცრები გადიან სავალდებულო ტრენინგს - ესკორტის ოფიცრების საორიენტაციო კურსს. 2019 წლის იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით გადამზადდა ყველა ახალი კონკურსის გზით დანიშნული ესკორტის ოფიცერი (122 თანამშრომელი). საორიენტაციო კურსი მოიცავს აუცილებელ სამართლებრივ აქტებს, უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას, სტრესის მართვის, ეფექტური კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის მიმართულებებს და ფარავს დისკრიმინაციის აკრძალვისა და ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღკვეთის თემებს.

არსებულ პროგრამებთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის მხარდაჭერით პენიტენციური, დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის სისტემებისათვის შემუშავდა ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის იდენტიფიცირების სკრინინგ ინსტრუმენტი და ჯგუფური სამოტივაციო პროგრამა ქალებისათვის - „ქალგა“.

საქმიანობა 4.2.1.7. პენიტენციური და პრობაციის სისტემების თანამშრომელთა ტრენინგები ქალთა უფლებებსა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე, საერთაშორისო სტანდარტებისა და რეკომენდაციების, ასევე ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

- პენიტენციურ სისტემაში 2019 წლის იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით სავალდებულო ტრენინგი - ესკორტის ოფიცრების საორიენტაციო კურსი გაიარა ყველა ახალმა, კონკურსის გზით დანიშნულმა ესკორტის ოფიცერმა (122 თანამშრომელი);
- 2019 წლის დეკემბერში ტრენინგით ,,ფასილიტატორების მომზადება ქალთა სამოტივაციო პროგრამა „ქალგას“ მიხედვით გადამზადდა პენიტენციური, პრობაციისა და დანაშაულის პრევენციის სისტემების 15 თანამშრომელი;
- 2017-2019 წლებში პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში შემუშავდა პროგრამა „ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სწავლების კურსი“ - პროგრამის მიზანია პარტნიორზე მოძალადე პირების ცნობიერებისა და პასუხისმგებლობის ამაღლება; ემოციების მართვის და ემპათიის გამომუშავება ძალადობის მსხვერპლი ქალების მიმართ; გენდერული როლებისა და ძალადობის გამოყენების შესახებ აზროვნების, რწმენა-შეხედულებების მოდიფიცირება; გენდერული თანასწორობის ცნების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. პროგრამის შემუშავების ფარგლებში 2019 წელს მიმდინარეობდა მულტისექტორული სამუშაო შეხვედრები, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ პრობაციის და პენიტენციური სამსახურის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარატამენტების ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები. (10-12 სპეციალისტი);
- 2019 წელს თბილისში აშშ-ის საელჩოს ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს (INL) მხარდაჭერით პენიტენციური, პრობაციისა და დანაშაულის პრევენციის თანამშრომლები სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ აშშ-ში, სადაც გაიარეს ტრენერთა ტრენინგი სექსუალური მოძალადეების ქცევის კორექციის პროგრამის შესახებ (10 მონაწილე);

2019 წელს პოლონურ ფონდთან “Human Doc”-თან პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ გააფორმა მემორანდუმი, რომელიც გულისხმობს თანამშრომლობას ბენეფიციარების ან/და მათი ოჯახის წევრებისათვის ფსიქო-სოციალური მომსახურების გაწევის, ფონდის პარტნიორი ორგანიზაციების პროგრამებსა და პროექტებში ჩართვის მიზნით. აღნიშნულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით 2019 წელს ჩატარდა სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებისთვის ტრენინგი „ოჯახში ძალადობის ჩამდენ იმ პირებთან მუშაობა, რომლებიც ვერ უმკლავდებიან აგრესიას და ვერ აკონტროლებენ სიბრაზეს“. ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ექვსმა თანამშრომელმა.

საქმიანობა 4.2.1.8. თანამესაკნეთა და სხვა ბრალდებულ/მსჯავრდებულთა შშმ პირთა უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით შეხვედრებისა და ტრენინგების ჩატარება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

პენიტენციურ სისტემაში დანერგილია ფსიქო-სოციალური ტრენინგი "სტიგმა და დისკრიმინაცია", რომელსაც დაწესებულებაზე მიმაგრებული სოციალური მუშაკები უტარებენ მსჯავრდებულებს. ტრენინგი ეხება სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფებს, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს. 2019 წელს ტრენინგში "სტიგმა და დისკრიმინაცია" პენიტენციურ სისტემაში ჩართული იყო 62 მსჯავრდებული.

ამოცანა: 4.2.2. პენიტენციურ დაწესებულებებში საცხოვრებელი და ყოფითი პირობების მორგება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა განსაკუთრებულ საჭიროებებზე;

ამოცანის ინდიკატორი: პენიტენციურ დაწესებულებებში საცხოვრებელი და ყოფითი პირობები მორგებულია ბრალდებულ/მსჯავრდებულთა განსაკუთრებულ საჭიროებებზე;

საქმიანობა 4.2.2.1. პენიტენციურ სისტემაში მყოფი ქალი ბრალდებულების/მსჯავრდებულების სპეციფიკური საჭიროებების შეფასება და გამოვლენა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

ქალთა N5 პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული საჭიროებებისა და ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ინტერესების გათვალისწინებით ხდება გასატარებელი ღონისძიებების/ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება.

2019 წელს ქალთა N5 პენიტენციურ დაწესებულებაში დაინერგა შეფასების ინსტრუმენტი - „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პირველადი სკრინინგი“, რომელიც ძალადობისგან დაცვის ეროვნულ ქსელთან თანამშრომლობის ფარგლებში შემუშავდა. შეფასების პროცესის თანახმად მიღებული შედეგები ქულობრივია და სპეციალური კრიტერიუმების მეშვეობით ხდება ბენეფიციარის გადამისამართება შესაბამის მომსახურებაში.

საქმიანობა 4.2.2.3. შშმ პირების საჭიროების გათვალისწინებით კომპაქტურად განთავსების ადგილებში შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

2019 წელს N2 პენიტენციურ დაწესებულებაში დასრულდა ხანმოკლე პაემნებისთვის განკუთვნილი 14 ოთახის კაპიტალური რემონტი და განხორციელდა სივრცეების ადაპტირება შშმ პირთათვის და მოეწყო შესაბამისი პანდუსები, ასევე N14 პენიტენციურ დაწესებულებაში დამონტაჟდა ორი ლიფტი შშმ პირთათვის.

ამოცანა: 4.2.3. შშმ პირებისთვის სათანადო მომსახურების უზრუნველყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: შშმ პირებზე ადაპტირებული ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამების რაოდენობა; მოთხოვნის შემთხვევაში, სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილე შშმ ბრალდებულ/მსჯავრდებულთა რაოდენობა;

საქმიანობა 4.2.3.1. პენიტენციურ დაწესებულებებში დადგენილი წესებისა და ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, შშმ პირების საჭიროებებზე მორგებული აბილიტაცია/რეაბილიტაციის პროგრამების დანერგვა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

აბილიტაცია/რეაბილიტაციის მიმართულებით პენიტენციურ სისტემაში მიმდინარეობს ფიზიკური და სენსორული შეზღუდვის მქონე ბენეფიციართა უზრუნველყოფა ხელჯოხით, ეტლით, სათვალით, ყურსასმენი აპარატით და საჭიროებისამებრ სხვა აღჭურვილობით.

მიზანი: 4.3. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ხელშეწყობა;

ამოცანა: 4.3.1. მსჯავრდებულ/ბრალდებულთათვის ფსიქოსოციალური, საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების და სარეკრეაციო პროგრამების გაუმჯობესება;

ამოცანის ინდიკატორი: პენიტენციურ დაწესებულებებში დანერგილი ფსიქოსოციალური ტრენინგებისა და სარეაბილიტაციო პროგრამების ურთიერთმიმართება არსებულ საჭიროებებთან; საგანმანათლებლოდ პროფესიულ პროგრამებში ჩართულ ბენეფიციართა

მზარდი რაოდენობა წინა წლებთან შედარებით; შესაბამისი რისკის მსჯავრდებულები უზრუნველყოფილნი არიან უმაღლესი განათლების მიღების საშუალებით;

საქმიანობა 4.3.1.1. პროგრამების ერთიანი სტანდარტის შემუშავება და პროგრამების პაკეტის შექმნა სპეციალური ჯგუფების გათვალისწინებით (მათ შორის, ძალადობაზე, ქცევის კორექციაზე, ნივთიერება დამოკიდებულობაზე, აზროვნების და ხედვის შეცვლაზე, ჯანსაღ ცხოვრებაზე, გათავისუფლებისათვის მზადებაზე და სხვა);

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების მიმდინარე რეფორმის ფარგლებში მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მხარდაჭერა და მათ საჭიროებებსა და ინტერესებს მორგებული პროგრამების/ინტერვენციების შემუშავება სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 22 დეკემბრის N366 ბრძანებით დამტკიცდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის ახალი დებულება, რომლის მიხედვითაც შეიქმნა სარეაბილიტაციო პროგრამების განმავითარებელი დამოუკიდებელი მდგრადი სტრუქტურული ერთეული მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის სახით. დეპარტამენტი უზრუნველყოფს სარეაბილიტაციო ინიციატივების შემუშავებას, იმპლემენტაციასა და პროცესის მონიტორინგს. პენიტენციურ სისტემაში სოციალური სერვისების შემდგომი გაუმჯობესებისა და შინაარსობრივი საქმიანობის ეფექტიანობის მაქსიმალური უზრუნველყოფისთვის სისტემის სოციალური მუშაკები გადანაწილდნენ შემთხვევის მმართველებად (ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან უშუალოდ მომუშავე პირები) და შემთხვევის ადმინისტრატორებად (ტექნიკურ საკითხებზე პასუხისმგებელი პირები).

საანგარიშო პერიოდში გადაიხედა და დაიხვეწა პენიტენციური და პრობაციის სისტემებისთვის შემუშავებული რისკებისა და საჭიროებების ინსტრუმენტი (RNA), რომლის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის შედეგად მსჯავრდებულებისთვის განხორციელდება მათ საჭიროებებს მორგებული ინტერვენციების შემუშავება/მიწოდება. მოცემულ ეტაპზე, პენიტენციურ და პრობაციის სისტემაში არსებული შეფასების ინსტრუმენტებზე დაყრდნობით, გამოკვეთილი საჭიროებების საფუძველზე ორივე უწყებისთვის შემუშავებულია ერთობლივი სარეაბილიტაციო პროგრამები:

- „ჯგუფური სამოტივაციო პროგრამა ქალებისათვის- ქალგა“;
- „პოზიტიური აზროვნების უნარ-ჩვევების ინტერვენციის პროგრამა(TSP)“.

ორივე პროგრამის პილოტირება ჩატარებულია პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში. 2019 წელს დასრულდა ზემოაღნიშნულ პროგრამებში პენიტენციური და პრობაციის სისტემების

თანამშრომლების ფასილიტატორებად გადამზადება. 2020 წელს დაიგეგმა დამატებით, 3 ერთობლივი პროგრამის შექმნა-განახლება.

საქმიანობა 4.3.1.2. უმაღლესი განათლების ელექტრონული პროგრამის დანერგვა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: არ დაწყებულა.

2019 წელს 34 მსჯავრდებული სწავლობდა ბაკალავრის, 3 კი მაგისტრატურის საფეხურზე. ყველა იმ უმაღლესიდან, რომელსაც გააჩნია გაციფრულებული სალექციო პროგრამები, მიმდინარეობდა მასალის მიწოდება შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებებში, ოჯახის წევრების მიერ. ცენტრალიზებულად, უმაღლესი განათლების ელექტრონული პროგრამის დანერგვა ვერ ხერხდება უმაღლეს სასწავლებლებში შესაბამისი არარსებული მომსახურების გამო.

საქმიანობა 4.3.1.3. პროფესიულ/საგანმანათლებლო (VET) პროგრამების რაოდენობის გაზრდა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

საქართველოს განათლების სამინისტროსთან მემორანდუმის ფარგლებში, პენიტენციურ დაწესებულებებში 8 კოლეჯის მიერ განხორციელდა 20 პროფესიული პროგრამა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 868 ბენეფიციარმა. ამას გარდა, 224 მსჯავრდებული ჩართული იყო სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პედაგოგების მიერ მოწოდებულ სახელობო (ხელოსნობის) პროგრამებში.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს შორის დადებული მემორანდუმის საფუძველზე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ მომზადდა ,,მსჯავრდებული პირებისათვის და ყოფილი პატიმრებისათვის პროფესიული განათლების მიღების ხელმისაწვდომობის პროგრამა“. პროგრამა ითვალისწინებს მსჯავრდებულებისათვის (პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებული, პირობით ვადამდე გათავისუფლებული და პირობითი მსჯავრდებული) პროფესიული მომზადების პროგრამების (ტრეინინგ-კურსი, მოდული) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას მათი რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მიზნით. 2019 წელს აღნიშნული პროგრამის“ ფარგლებში დაფინანსდა 10 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლებმაც განახორციელეს სხვადასხვა მიმართულების (ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები, მომსახურებები, სოფლის მეურნეობა, ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი, მიმართულებათა

შორისი დარგები და მეცნიერებები) 31 მოკლევადიანი პროფესიული პროგრამები (ტრეინინგ-კურსი, მოდული), მათ შორის უცხო ენების შემსწავლელ კურსები (ინგლისური, ქართული (არაქართულ ენოვანი ბენეფიციარებისთვის), გერმანული). პროფესიული პროგრამების განსახორციელებლად 2019 წელს, პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ იქნა 268,412.00 ლარი.

პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულებისათვის, მოკლევადიან პროფესიულ პროგრამებზე სწავლება მიმდინარეობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს №2, №3, №5, №6, №7, №8, №9, №11, №12, №14, №15, №16, №17 პენიტენციური დაწესებულებების სათანადოდ აღჭურვილ კლასებში. პროგრამები, განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ხელსაწყო-იარაღებით, ინვენტარითა და მასალებით უზრუნველყო საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ. ხოლო პედაგოგების შრომის ანაზღაურება, ადმინისტრაციული ხარჯის ანაზღაურება, პროფესიული მომზადების დამადასტურებელი სერტიფიკატისა და სხვა ხარჯების ანაზღაურება უზრუნველყო საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ/მონაწილეობით და საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარდგინებით დაფუძნებულმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა. ამრიგად, 2019 წელს, პროფესიულ მოკლევადიან პროგრამებზე სულ მომზადება გაიარა 500-მდე მსჯავრდებულმა (მათ შორის 48 პირობითმა მსჯავრდებულმა).

საქმიანობა 4.3.1.4. საერთაშორისო და ადგილობრივ კომპეტენტურ ორგანიზაციებთან/სტრუქტურებთან თანამშრომლობით პენიტენციური სისტემის სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების მომზადება/გადამზადება ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობის ტექნიკისა და სარეაბილიტაციო პროგრამების მიმართულებით;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის ფარგლებში სოციალურ მუშაკთა შეფასების პროცესის დასრულებისა და მათი შემთხვევის მმართველებად და შემთხვევის ადმინისტრატორებად გადანაწილების შედეგად დაიგეგმა და განხორციელდა თემატური ტრენინგები. საანგარიშო პერიოდში პენიტენციური სისტემის ყველა სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი გადამზადდა შემთხვევის მართვისა და შეფასების ინსტრუმენტების გამოყენების თემაზე.

ამასთან, საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში პენიტენციური სისტემის ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები გადამზადდნენ შემდეგი მიმართულებებით:

- ინდივიდუალური მუშაობის ტექნიკები:

- მოტივაციური ინტერვიუირება - 46 მოსამსახურე;
- ჩართულობის უნარ-ჩვევები - 24 მოსამსახურე;

○ ჯგუფური მუშაობის ტექნიკა:
- „ჯგუფური სამოტივაციო პროგრამა ქალებისათვის- ქალგა“ – 5 მოსამსახურე;
- „პოზიტიური აზროვნების უნარ-ჩვევების ინტერვენციის პროგრამა (TSP)“ – 15 მოსამსახურე;

○ ბენეფიციარის ინდივიდუალური შეფასების ტექნიკა:
- რისკისა და საჭიროებების შეფასება - 33 მოსამსახურე;
- ალკოჰოლის, თამბაქოს და ნივთიერებათა მოხმარების სკრინინგ ინსტრუმენტის (ASSIST) გამოყენება - 6 მოსამსახურე;
- მეუღლის/პარტნიორის მიმართ ძალადობის რისკის შეფასების ინსტრუმენტის (SPAPRA) გამოყენება - 6 მოსამსახურე.

ამოცანა: 4.3.2. მსჯავრდებულთა დასაქმების შესაძლებლობის გაზრდის უზრუნველყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: პენიტენციურ დაწესებულებებში საწარმოო ზონების და დასაქმების ახალი მინი კერების შექმნა; დასაქმებულთა მზარდი პროცენტული რაოდენობა;

საქმიანობა 4.3.2.1. საწარმოო ზონების და დასაქმების მინი კერების და ინდივიდუალური მეწარმეობის ხელშეწყობა შექმნა პენიტენციური დაწესებულებების ტერიტორიაზე;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

- 2019 წელს №16 პენიტენციურ დაწესებულებაში მოეწყო სოციალური საწარმო, რომელიც შეასრულებს სხვადასხვა სახის კომპიუტერულ-ელექტრონულ დაკვეთებს;
- დაწესებულებაში მომსახურე კვების კომპანიამ და მაღაზიამ დაიწყო მსჯავრდებულების დაქირავება და დასაქმება დაწესებულების ტერიტორიაზე;
- 2019 წელს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დიგიტალიზაციის პროექტში დასაქმდა 10 მსჯავრდებული;
- 2019 წელს დაწესებულებაში მომსახურე კვების კომპანიაში „ფილანსერი“ სულ დასაქმებულია მაღაზიაში - 24 მსჯავრდებული, სასადილოში - 43 მსჯავრდებული;
- 2019 წელს ქალთა N5 პენიტენციურ დაწესებულებაში მოქმედ სამკერვალოში დასაქმებული იყო 25 მსჯავრდებული ქალი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში 2020 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა სსიპ - “მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი“, რომლის მიზანია მსჯავრდებულთა განათლებასა და დასაქმებაზე ზრუნვა. საანგარიშო პერიოდში, მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და მათი დასაქმებისათვის შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით

შესწავლილ იქნა აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე პენიტენციური დაწესებულებების ინფრასტრუქტურული შესაძლებლობები სწავლების, დასაქმებისა და სხვა აქტივობების განხორციელების მიმართულებით, მიმდინარეობს დასავლეთ საქართველოში მდებარე დაწესებულებების შესწავლა. მიღებული შედეგების შესაბამისად, მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის მიერ მოხდება მიზნობრივი აქტივობების/პროექტების შემუშავება.

ამოცანა: 4.3.3. არასრულწლოვანთა რესოციალიზაციისთვის მზადების ხელშეწყობა, გარდამავალი მენეჯმენტის დახვეწა;

ამოცანის ინდიკატორი: განახლებული გარდამავალი მენეჯმენტი; გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამის ბენეფიციართა საერთო რაოდენობის პერმანენტული ზრდა;

საქმიანობა 4.3.3.1. გარდამავალი მენეჯმენტის გადახედვა და ცვლილება საჭიროების შემთხვევაში;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

პენიტენციური და პრობაციის სისტემების რეფორმის ფარგლებში გარდამავალი მენეჯმენტის საკითხს მნიშვნელოვანი ყურადღება ენიჭება, რამდენადაც, ეფექტიანი სისტემების განვითარება თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებებისა და ინტერესების მაქსიმალური დაცვის, ასევე, მათი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის უწყვეტობის ხელშეწყობის მიზნით მოიაზრებს ერთიანი მიდგომებისა და შესაბამისი მომსახურების არსებობას. ამისათვის, რეფორმის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა თემატურ ღონისძიებებში პენიტენციური და პრობაციის სისტემების წარმომადგენლები ერთობლივად ერთვებიან და გარდამავალი მენეჯმენტის მოთხოვნების შესაბამისად შეიმუშავებენ მეთოდოლოგიურ ინსტრუმენტებს.

საანგარიშო პერიოდში პენიტენციური, პრობაციისა და დანაშაულის პრევენციის სისტემების ჩართულობით შემუშავდა "არასრულწლოვანთა მიმართ ოჯახის ფარგლებში მეგობრული და მხარდამჭერი გარემოს შექმნის სამოქმედო გეგმა", რომელიც გადაეცა შუა რგოლის მენეჯერებს და პრაქტიკოსებს, ახალი მიდგომისა და გამართული გარდამავალი მენეჯმენტის სისტემებში დასანერგად. მეთოდოლოგიის პილოტირება 2019 წლის ბოლოს დაიწყო არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მიმართ. პროცესში პრაქტიკოსებისა და მათი ზედამხედველების მიერ ჩანიშნული და აღწერილი წესი მოგვცემს საშუალებას, პილოტირების 8 თვიანი პროცესის დასრულებისას მომზადდეს შესაბამისი ინსტრუქცია.

ამოცანა: 4.3.4. ქალ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის ხელშეწყობა;

ამოცანის ინდიკატორი: გენდერული ნიშნით შექმნილი სპეციალური ფსიქო-სოციალური პროგრამების რაოდენობა საჭიროების მქონე მსჯავრდებულთა პროგრამებში ჩართვის მზარდი პროცენტული რაოდენობა; პროგრამებში ჩართული ქალი ბრალდებულების/მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის პერმანენტული ზრდა; ხელმისაწვდომი ნივთების ნუსხაში საჭიროებისამებრ შეტანილი ცვლილებები; მოხსენება/ანგარიში ფსიქოსოციალურ პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ;

საქმიანობა 4.3.4.1. მცირე დასაქმების კერების გახსნის შესაძლებლობის შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

სსიპ - „მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი“, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში 2020 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა. მისი მიზანია მსჯავრდებულთა განათლებაზე, პროფესიულ განვითარებასა და დასაქმებაზე ზრუნვა.

2019 წლის მეორე ნახევარში შესწავლილი იქნა აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე პენიტენციური დაწესებულებების ინფრასტრუქტურული შესაძლებლობები სწავლების, დასაქმებისა და სხვა აქტივობების განხორციელების მიმართულებით, მათ შორის გათვალისწინებულ იქნა ქალ მსჯავრდებულთა სპეციფიკა.

საქმიანობა 4.3.4.2. გენდერული ნიშნით შექმნილი სპეც. ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მიდგომების შემდგომი დახვეწა და შესაბამისი პროგრამების შექმნა/დანერგვა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

2018-2019 წლებში პრობაციის სისტემისთვის განახლდა, ხოლო პენიტენციური სისტემისთვის შეიქმნა ერთობლივი "მოძალადეთა ქცევის კორექციის პროგრამა", ესპანურ მოდელზე დაყრდნობით და ესპანელი ექსპერტის ჩართულობით, გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან თანამშრომლობის ფარგლებში. 2019 წელს, პროგრამა წარმატებით პილოტირდა ორივე სისტემაში. 2019 წელს, №16 და

№17 პენიტენციურ დაწესებულებებში და "მოძალადეთა ქცევის კორექციის პროგრამაში" ჩართული იყო 10 ბენეფიციარი.

საქმიანობა 4.3.4.3. ქალ მსჯავრდებულთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის მიდგომების შემდგომი დახვეწა და პროგრამების დანერგვა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში ააიპ - „ძალადობისგან დაცვის ქსელთან“ თანამშრომლობის ფარგლებში შემუშავდა ძალადობის მსხვერპლი ქალების იდენტიფიცირების სკრინინგ კითხვარი, რომელმაც პილოტირება გაიარა №5 ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში და პრობაციის ბიუროებში. ინსტრუმენტი დაინერგა პენიტენციურ სისტემაში.

საქმიანობა 4.3.4.4. გენდერული სპეციფიკის გათვალისწინებით ხელმისაწვდომი ნივთების ნუსხის გადახედვა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2019 წლის განმავლობაში ქალი ბრალდებულები/მსჯავრდებულები უზრუნველყოფილნი არიან გენდერულ საჭიროებებს მორგებული ნივთებით.

მიზანი: 4.4. ყოფილ მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია;

ამოცანა: 4.4.1. ყოფილ პატიმრებთან ინდივიდუალური მუშაობა მათი ეფექტიანი რესოციალიზაციის მიზნით;

ამოცანის ინდიკატორი: მომსახურების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა; წარმატებული შემთხვევების რაოდენობა, რომელიც განისაზღვრება; პროფესიონალის მიერ ბენეფიციარის მდგომარეობის შეფასება მომართვისას და მუშაობის დასრულების შემდეგ;

საქმიანობა 4.4.1.1. სოციალური მუშაკის ინდივიდუალური მუშაობა თითოეულ ბენეფიციართან და მისი შეფასება შესაბამისი ფორმით, რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესის დაგეგმვა და განხორციელება;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

2019 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 1 იანვრამდე, „ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამაში“ ჩართვის სურვილი გამოთქვა 297-მა ყოფილმა მსჯავრდებულმა. პროგრამის სოციალურმა მუშაკებმა ინდივიდუალურად იმუშავეს 134 ბენეფიციართან. შემთხვევის პროგრესის შეფასების საფუძველზე, ამათგან 94 იყო წარმატებული.

ამოცანა: 4.4.2. ყოფილი პატიმრებისთვის ფსიქოლოგიური და თერაპიული მომსახურების გაწევა;

ამოცანის ინდიკატორი: მომსახურების მიმღებთა რაოდენობა; წარმატებული შემთხვევების რაოდენობა, რომელიც განისაზღვრება; პროფესიონალის მიერ ბენეფიციარის მდგომარეობის შეფასება მომართვისას და მუშაობის დასრულების შემდეგ;

საქმიანობა 4.4.2.1. ფსიქო კონსულტირება - ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის ბენეფიციარებისთვის ფსიქოლოგიური კონსულტაციის გაწევა;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

2019 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 1 იანვრამდე, ფსიქოლოგის მომსახურებით ისარგებლა 27-მა ბენეფიციარმა. შემთხვევის პროგრესის შეფასების საფუძველზე, ამათგან 18 იყო წარმატებული.

ამოცანა: 4.4.3. ყოფილი პატიმრების პროფესიული გადამზადება;

ამოცანის ინდიკატორი: გადამზადებული ყოფილი პატიმრების რაოდენობა;

საქმიანობა 4.4.3.1. პროფესიული გადამზადების კურსებში ჩართვა - პროფესიული გადამზადების მსურველი ბენეფიციარების პროფესიული გადამზადება;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი;

პარტნიორი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი - მიმდინარე - მეტწილად

შესრულდა; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - განხორციელდა.

2019 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 1 იანვრამდე, „ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის“ პროფესიული გადამზადების კურსი წარმატებით დაასრულა 9 ბენეფიციარმა.

სსიპ - კოლეჯის „იბერია“ და სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ, პირობით მსჯავრდებულების, პირობით ვადამდე გათავისუფლებული მსჯავრდებულებისათვის განხორციელდა 11 მოკლევადიანი (სამთვიანი) პროფესიული (ტრეინინგ-კურსი, მოდული) პროგრამა. პროგრამებზე სწავლება მიმდინარეობდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ/მონაწილეობით დაფუძნებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სადაც დაწესებულებამ უზრუნველყო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ინვენტარით, სასწავლო მასალებით. დაწესებულების მიერ, ანაზღაურებულ იქნა, როგორც პროფესიული მასწავლებლისა და ადმინისტრაციული ხარჯი, ასევე პროფესიული მომზადების დამადასტურებელი სერტიფიკატის და სხვა ხარჯები. ზემოაღნიშნული პროგრამის განხორციელებაში ჩართულია არასამთავრობო ორგანიზაცია, ააიპ იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია თანხმობა , პირობით მსჯავრდებულებს აწვდის დამატებით სერვისებს რესოციალიზაცია-რეინტეგრაციის მიზნით (ბენეფიციართა ინფორმირება, ტრანსპორტირება, კვება და ა.შ.).

2019 წელს, პროფესიულ მოკლევადიან პროგრამებზე სულ მომზადება გაიარა 500-მდე მსჯავრდებულმა (მათ შორის 48 პირობითმა მსჯავრდებულმა).

ამოცანა: 4.4.4. ყოფილი პატიმრებისთვის საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა;

ამოცანის ინდიკატორი: პატიმართა საზოგადოებაში ინტეგრაციის სტრატეგია ითვალისწინებს შესაბამის საჭიროებებს;

საქმიანობა 4.4.4.1. დასაქმების ბაზრის საჭიროებები კვლევის განხორციელება;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

შრომის ბაზრის კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა საჭიროებები, რომლის საფუძველზეც ბენეფიციარების გადამზადება სამომავლოდ იგეგმება.

საქმიანობა 4.4.4.2. დასაქმების ბაზრის საჭიროებები კვლევის შედეგებზე დაფუძნებით ყოფილ

პატიმართა გადამზადება და დასაქმების ხელშეწყობა;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

დასაქმების ხელშეწყობის მიზნით 2019 წელს დაფინანსდა 34 ბენეფიციართა ბიზნეს იდეა.

საქმიანობა 4.4.4.3. ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის ბენეფიციარების დასაქმება სოციალურ საწარმოში;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

2019 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 1 იანვრამდე, დასაქმდა „ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამაში“ ჩართული 10 ბენეფიციარი. ამავე პერიოდში სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ ბაზაზე მოქმედ სოციალურ საწარმო „შეცვალე სცენარი“-ში დასაქმებული იყო 3 ბენეფიციარი.

საქმიანობა 4.4.4.4. ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის ბენეფიციარების ბიზნეს იდეების დაფინანსება;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

ყოფილ პატიმართა ბიზნეს იდეების დაფინანსების მიზნით, 2018 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ გამოაცხადა საგრანტო კონკურსი 180 000 ლარის ოდენობით, რომლითაც 2019 წელს დაფინანსდა 34 ბენეფიციარის ბიზნეს იდეა, 500-დან 5000 ლარის ფარგლებში ინდივიდუალურად.

მიზანი: 4.5. პენიტენციური სისტემის მართვა, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომებით;

ამოცანა: 4.5.1. მსჯავრდებულთა კლასიფიკაციის, შემთხვევის მართვის, რისკებისა და საჭიროებების შეფასების გზით სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის, რეკლასიფიკაციისა და გარდამავალი მენეჯმენტის (გათავისუფლების მზადების პროცესი და

რეფერალის მექანიზმი) მეთოდოლოგიის სრულყოფა; **ამოცანის ინდიკატორი:** ყველა მსჯავრდებულის საშიშროების რისკი განსაზღვრულია და განთავსებულია შესაბამის დაწესებულებაში; ქცევაზე დაფუძნებული რისკის შეფასების ინსტრუმენტში შეტანილია ცვლილებები რომელიც ეფუძნება კლასიფიკაციის/საშიშროების შეფასების ინსტრუმენტი ობიექტურ, ქულათა დაჯამების სისტემას; შეფასებულია პილოტირების შედეგები და რეკომენდაციების გათვალისწინებულია იმპლემენტაციის პროცესში; **საქმიანობა 4.5.1.1.** მულტიდისციპლინური გუნდის მიერ რისკის შეფასება და მსჯავრდებულთა შესაბამის დაწესებულებაში განთავსების შესახებ საკითხის პერიოდული გადახედვა, სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით მსჯავრდებულთა სრული პოპულაციის დასაფარად **პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; **შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.**

2019 წლის 8 მაისს, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცდა №395 ბრძანება „მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე მსჯავრდებულის საშიშროების რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესის შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს მსჯავრდებულთა საშიშროების რისკის შეფასება/გადაფასების პროცედურებსა და კრიტერიუმებს.

აღნიშნული ბრძანების დამტკიცების შემდგომ მიმდინარეობდა მონაცემთა პირველადი დამუშავების ჯგუფისა და მსჯავრდებულის საშიშროების რისკების შეფასების გუნდის ფორმირების პროცედურები, რომლებიც დასრულდა 2019 წლის 22 მაისს, რის შემდგომაც განახლდა და უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს მსჯავრდებულთა მიმართ საშიშროების რისკების შეფასებისა და გადაფასების პროცესი.

2019 წლის განმავლობაში საშიშროების რისკი შეუფასდა 2530 მსჯავრდებულს (პირველადი შეფასება). აქედან 149 მსჯავრდებულს დაუდგინდა - დაბალი რისკის სახე, 2096 მსჯავრდებულს - საშუალო რისკის სახე, 257 მსჯავრდებულს - მომეტებული რისკის სახე და 28 მსჯავრდებულს - მაღალი რისკის სახე; თითოეული მსჯავრდებული, რომელთაც შეუფასდა საშიშროების რისკი, განთავსდა რისკის შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებებში.

საქმიანობა 4.5.1.2. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ საშიშროების რისკის შეფასება და

მსჯავრდებულთა შესაბამის დაწესებულებაში განთავსების შესახებ საკითხის პერიოდული გადახედვა; **პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; **შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.**

„მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე მსჯავრდებულის საშიშროების რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 8 მაისის №395 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-17 მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით გათვალისწინებულია მსჯავრდებულთა საშიშროების რისკის გადაფასების პერიოდულობა მსჯავრდებულთათვის დადგენილი რისკის (საშიშროების მაღალი რისკი, საშიშროების მომეტებული რისკი, საშიშროების საშუალო რისკი, საშიშროების დაბალი რისკი) მიხედვით.

საქმიანობა 4.5.1.3. N16, N5 და N17 პენიტენციურ დაწესებულებებში შემთხვევის მართვის თანამედროვე მეთოდით მუშაობა და რისკებისა და საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტის პილოტირება და დანერგვა; **პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; **შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.**

პენიტენციურ და პრობაციისა სისტემაში განახლდა ზრდასრულთა რისკისა და საჭიროების შეფასების ინსტრუმენტი. კერძოდ, რისკის გამოთვლა ხდება ქულების საშუალებით. ამ მხრივ, დასრულდა მუშაობა ზრდასრულ მსჯავრდებულთა რისკისა და საჭიროების შეფასების ფორმაზე და შემთხვევის მართვის ინსტრუქციაზე. 2019 წლის სექტემბერში №5 და №16 დაწესებულებებში დაიწყო შემთხვევის მართვის და განახლებული შეფასების ინსტრუმენტების დანერგვა (პილოტირების შემდგომი ეტაპი).

№17 პენიტენციურ დაწესებულებაში 2019 წლის ნოემბრის თვეში დაიწყო განახლებული რისკისა და საჭიროებების ინსტრუმენტის პილოტირება მსჯავრდებულებთან, რომელთაც კალენდარულ გათავისუფლებამდე დარჩენილი აქვთ არაუმეტეს 2 წელი და არანაკლებ 6 თვე. პილოტირების პროცესი ითვალისწინებს პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების ადგილობრივი საბჭოსთვის წარსადგენი მსჯავრდებულის დახასიათების განახლებული ფორმის ეფექტიანობის დადგენას.

ამოცანა: 4.5.2. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ცნობიერების ამაღლება მათი უფლებების მიმართულებით: საჩივრების მექანიზმთან, დისციპლინურ და ადმინისტრაციულ პროცედურებთან დაკავშირებით ეფექტური, მათ შორის, შშმ პირებისათვის ხელმისაწვდომი მეთოდებით ინფორმაციის მიწოდების გზით;

ამოცანის ინდიკატორი: ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უფლებებისა და მოვალეობების ამსახველი ბუკლეტები სხვადასხვა ენებზე ნათარგმნი, გამოცემული და ხელმისაწვდომია მსჯავრდებულ/ბრალდებულებისათვის პენიტენციურ დაწესებულებებში; შემცირებულია შესაბამისი საჩივრების რაოდენობა;

საქმიანობა 4.5.2.1. მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა უფლებების შესახებ საინფორმაციო ბროშურების და პლაკატების განახლება დაბეჭდვა, დარიგება და თვალსაჩინო ადგილას განთავსება (აზერბაიჯანულ, სომხურ, თურქულ, რუსულ, ინგლისურ, არაბულ და სპარსულ ენებზე);

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

ევროკავშირის „პენიტენციური და პრობაციის მხარდაჭერის პროექტის“ (EU4Justice) მხარდაჭერით მომზადდა ბრალდებულ/მსჯავრდებულთა უფლებების შესახებ განახლებული ბროშურები. ბროშურები ითარგმნება პენიტენციური დაწესებულებების პოპულაციის ენობრივი საჭიროებებიდან გამომდინარე.

საქმიანობა 4.5.2.2. საგანმანათლებლო კონსულტაციების ან/და ჯგუფური შეხვედრების გამართვა ბრალდებულ/მსჯავრდებულთათვის, მათ შორის, შშმ პირებისათვის, მათი უფლებების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებების შესახებ გაიმართა ტრენინგები, რომლებშიც ჩართული იყო 323 მსჯავრდებული.

ამოცანა: 4.5.3. უცხოელ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: ეროვნული და საერთაშორისო მონიტორინგის

მექანიზმების/ორგანიზაციების მიერ მომზადებული ანგარიშები;

საქმიანობა 4.5.3.1. უცხოელ ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს მათთვის გასაგებ ენაზე განემარტოთ, მათი უფლებები და მოვალეობები, ციხის რეჟიმის პირობები, იურიდიული კონსულტაციის და დახმარების უფლება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

2019 წლის განმავლობაშიც ყველა ბრალდებული/მსჯავრდებულის ინფორმირება მათი უფლებების შესახებ, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან, ხორციელდება დაწესებულებაში შეყვანის დროს. საჭიროების შემთხვევაში ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მსჯავრდებულების უზრუნველყოფა ხდება თარჯიმნის როგორც წერილობითი, ისე ზეპირი მომსახურებით.

ამოცანა: 4.5.4. პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული გასაჩივრების პროცედურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

ამოცანის ინდიკატორი: გასაჩივრებათა რაოდენობა შიდამონიტორინგის ანგარიშების შესაბამისად; გასაჩივრების არსებულ მექანიზმებში გამოვლენილი ხარვეზების შესახებ პერიოდული ანალიზის შესაბამისად განხორციელებული ცვლილებები;

საქმიანობა 4.5.4.1. გასაჩივრების არსებული მექანიზმის ხარვეზების პერიოდული შესწავლა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის გარანტირებულია პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებულ საკითხებზე გასაჩივრების უფლება. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მხრიდან ხდება საჩივრის წარდგენა უფლებამოსილ ორგანოებსა და საერთო სასამართლოებში. ყველა დაწესებულებაში ხელმისაწვდომია საჩივრის ყუთები.

2019 წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, საჩივრის ყუთის მეშვეობით, პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული ბრალდებულების/მსჯავრდებულების მიერ დაახლოებით 6077 კონფიდენციალური მოთხოვნა/საჩივარი იქნა გაგზავნილი ადრესატებისთვის.

მსჯავრდებულის საშიშროების რისკების შეფასების გუნდის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების მექანიზმს ითვალისწინებს „მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესის თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 8 მაისის №395 ბრძანებით დამტკიცებული წესი.

2019 წელს, მსჯავრდებულის საშიშროების რისკების შეფასების სასამართლოში გუნდის გადაწყვეტილება გაასაჩივრა 11-მა მსჯავრდებულმა, რომელთაგან 2 საქმეზე არ დასრულებულა პირველ ინსტანციაში სასამართლო განხილვა, ხოლო ერთი მსჯავრდებულის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და გასაჩივრებულია საქართველოს უზენაეს სასამართლოში, შესაბამისად, არ არის დასრულებული წარმოება, დანარჩენი 8 მსჯავრდებულის სასარჩელო მოთხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული სასამართლოს მიერ. 2019 წელს, თბილისის საქალაქო სასამართლოში გასაჩივრებული იქნა სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებული 114 გადაწყვეტილება. გასაჩივრებული გადაწყვეტილებებიდან:

- სრულად დაკმაყოფილდა (გათავისუფლების თაობაზე) 8 საჩივარი;
- ნაწილობრივ დაკმაყოფილდა (ხელახლა განხილვა) 35 საჩივარი;
- არ დაკმაყოფილდა 35 საჩივარი;
- გახმობილი იქნა 15 საჩივარი;
- საქმისწარმოება შეწყდა 5 სარჩელზე;
- განუხილველი დარჩა 6 საჩივარი;
- საქმისწარმოება არ დასრულებულა 14 საჩივარზე.

საქმიანობა 4.5.4.2. გასაჩივრების მექანიზმის შესწავლის შემდგომ შესაბამისი ცვლილებების განხორციელება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

იხილეთ აქტივობა 4.5.4.1.

ამოცანა: 4.5.5. ბრალდებულ/მსჯავრდებულთა პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონისა და საერთაშორისო ვალდებულებების მიხედვით;

ამოცანის ინდიკატორი: ბრალდებულ მსჯავრდებულთა პირადი ცხოვრების უფლების სავარაუდო დარღვევების შესახებ საჩივრების რაოდენობა შემცირებულია; ყველა პენიტენციური დაწესებულების დოკუმენტაცია დაარქივებულია;

საქმიანობა 4.5.5.1. პერსონალური ინფორმაციის გასაჯაროებაზე პასუხისმგებელი პირების ცნობიერების ამაღლება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

2019 წელს სსიპ - პენიტენციური და პრობაციის სისტემის მოსამსახურეთა მომზადების ცენტრის მიერ განხორციელებული ტრენინგების ფარგლებში, პენიტენციური სისტემის 849 მოსამსახურემ გაიარა მომზადება/გადამზადება თემაზე - პერსონალური მონაცემების დაცვა.

გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული მომზადების ცენტრი გარდაიქმნა საქართველოს იუსტიციის სამინსიტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად - მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრად და მომზადების ცენტრის ფუნქციები გადაეცა სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრს, სამომავლოდ, იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ განხორციელდება სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა გადამზადება, მათ შორის პერსონალური ინფორმაციის გასაჯაროებაზე პასუხისმგებელი პირებთან მიმართებითაც.

საქმიანობა 4.5.5.2. არქივის ცენტრალიზების ფარგლებში პენიტენციურ დაწესებულებათა დაარქივებული დოკუმენტაცია ეტაპობრივად გადაეცემა და დარჩენილის კანონის შესაბამის ვადაში განადგურება (ცენტრალიზების პროცესი დაწყებულია);

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

სსიპ - საქართველოს ეროვნულ არქივს გადაეცა სპეციალური პენიტენციური სამსახურის საუწყებო არქივში დაცული 1930-1945 წლების პერიოდის დოკუმენტაცია შემდგომი შენახვის, დაცვისა და გამოყენების მიზნით.

ამოცანა: 4.5.6. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის დანერგვა პენიტენციურ დაწესებულებებში;

ამოცანის ინდიკატორი:

საქმიანობა 4.5.6.1. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომაზე მაღალი და შუა რგოლის მენეჯერების გადამზადება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

2018 წლის ნოემბრიდან 2019 წლის 14 მარტის ჩათვლით, განხორციელდა 16 დღიანი, 8 მოდულისგან შემდგარი ტრენინგი - „ციხის მართვის თანამედროვე მეთოდები". ზემოაღნიშნული ტრენინგი გაიარა 15 პენიტენციური დაწესებულების, 82-მა თანამშრომელმა (მაღალი რგოლის მენეჯერებმა). ტრენინგი სხვა ბევრ საკითხთან ერთად, მოიცავდა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების შესწავლას.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და მის ფარგლებში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელების, საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერებისათვის 2019 წელს დეკემბერში UNDP-ის მხარდაჭერით გაიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ ორგანიზებული საჯარო ლექცია: „ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები". საჯარო ლექციაზე განხილული იქნა ადამიანის უფლებათა 2014-2020 წლების ეროვნული სტრატეგია, ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომები, და ამ ყველაფრის ურთიერთმიმართება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო სპეციალური პენიტენციური სამსახურის მენეჯმენტის 7-მა წარმომადგენელმა.

5. წამებასა და არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლა

მიზანი: 5.1. ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის უზრუნველსაყოფად ძალისხმევის გაძლიერება;

ამოცანა: 5.1.1. არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი, პროცედურული და ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერება;

ამოცანის ინდიკატორი: გაანალიზებული და, საჭიროების შემთხვევაში, გაუმჯობესებულია შესაბამისი საკანონმდებლო, კანონქვემდებარე აქტები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; შესაბამის უწყებების ინსტიტუციონალური სტრუქტურა; შესაბამისი ცვლილებები მომზადებულია ნორმატიულ აქტებში; შემუშავებულია ახალი საკანონმდებლო აქტი;

საქმიანობა 5.1.1.2. შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინსიტროს ფსიქიატრიული დაწესებულებების შიდა მონიტორინგის მექანიზმის შემუშავება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

WHO QualityRights tool kit-ით შეფასდა ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების მიმწოდებელი 12 სტაციონარული დაწესებულება.

ამოცანა: 5.1.2. წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების დოკუმენტირება სტამბოლის პროტოკოლის შესაბამისად;

ამოცანის ინდიკატორი: წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფორმების შესახებ სამედიცინო პერსონალისთვის ჩატარებულია კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრეინინგები სუპერვიზიის საფუძველზე შემუშავებულია ანგარიშები;

საქმიანობა 5.1.2.1. წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფორმების შესახებ სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამედიცინო მომსახურების სამსახური მუდმივ რეჟიმში მონიტორინგს უწევს იზოლატორებში დასაქმებული ექიმების საქმიანობას და მათ მიერ დაკავებული პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის სათანადოდ დოკუმენტირებას. სამედიცინო შემოწმებისას დაშვებული ხარვეზების კორექტირებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, იზოლატორში დასაქმებულ ექიმებს პერიოდულად უტარდებათ ტრენინგები სტამბოლის პროტოკოლის შესაბამისად დაზიანებების დოკუმენტირებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის, სუიციდისა და თვითდაზიანებების პრობლემებზე, ასევე, გადამდები დაავადებების პრევენციის საკითხებზე. 2019 წელს, ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში, 20 ექიმს ჩაუტარდა ტრენინგი დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსებული პირის სხეულზე არსებული დაზიანებების სათანადო დოკუმენტირების მიმართულებით. ასევე, ამავე წელს, ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით, დაიწყო ახალი პროექტი, რომლის ფარგლებშიც სამედიცინო პერსონალს ორ ეტაპად ჩაუტარდა ტრენერთა ტრენინგი, რათა შექმნილიყო ტრენერთა ბაზა, მომავალში დასასაქმებელი და მოქმედი ექიმების გადამზადების მიზნით. აღნიშნული ღონისძიებების შედეგად შეირჩა 9 ექიმი, რომლებმაც გადამზადების პროცესი დაასრულეს 2020 წლის დასაწყისში.

საქმიანობა 5.1.2.2. წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფორმების სუპერვიზია და შიდა მონიტორინგის მექანიზმის შექმნა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

სამედიცინო შემოწმების კუთხით არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და ერთიანი სტანდარტების დანერგვის მიზნით, 2019 წელს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ შემუშავდა სამედიცინო შემოწმების ჩატარების დეტალური ინსტრუქციის პროექტი. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს სახელმძღვანელოს იზოლატორებში დასაქმებული ექიმებისთვის, რათა მათ მაქსიმალური სიზუსტით უზრუნველყონ დაკავებული პირისგან სრული ინფორმაციის მიღება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის და არსებული ჩივილების შესახებ, სხეულზე არსებული დაზიანებების დეტალური დოკუმენტირება სტამბოლის ოქმის შესაბამისად, დაკავებულის მიმართ განხორციელებული შესაძლო ძალადობის ფაქტის გამოვლენა და საჭიროების შემთხვევაში, სავარაუდო ფაქტის შესახებ საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის შეტყობინების გაგზავნა. ზემოაღნიშნული ინსტრუქციის დამტკიცება იგეგმება უახლოეს პერიოდში. 2019 წელს, ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში ჩატარდა ორი ტრენინგი, რომელიც მოიცავდა დაკავებულის სხეულზე არსებული დაზიანებების ფოტოგადაღების საკითხებს. აღნიშნული ტრენინგების ფარგლებში გადამზადდა 30 ექიმი. 2020 წლის განმავლობაში, გადამზადებული ტრენერების მიერ, ექიმებს ეტაპობრივად ჩაუტარდებათ ტრენინგები ფოტოგადაღებისა და ფოტომასალის შენახვის წესის თაობაზე, დამტკიცებული ინსტრუქციის

შესაბამისად. ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში, 2020 წელს, იზოლატორებში დასაქმებულ ყველა ექიმს ჩაუტარდება ტრენინგები ჯანდაცვის მენეჯმენტის და დანაშაულის შესაძლო მსხვერპლთან კომუნიკაციის საკითხებზე.

ამოცანა: 5.1.3. გამოძიების დამოუკიდებლობის, ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის ხარისხის გაზრდის ხელშეწყობა;

ამოცანის ინდიკატორი: გამოძიების სრულფასოვანი, დამოუკიდებელი და ეფექტიანი მექანიზმის შექმნის მიზნით შემუშავებულია საკანონმდებლო ჩარჩო რომელიც შესაბამისობაშია საერთაშორისო რეკომენდაციებთან;

საქმიანობა 5.1.3.2. გამოძიებასთან დაკავშირებული სტატისტიკის პროაქტიულად მიწოდება საზოგადოებისთვის;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ყოველწლიურად ქვეყნდება რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა ცალკეული მუხლების მიხედვით. გარდა ამისა, რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა პროაქტიულად ქვეყნდება ყოველთვიურადაც.

მიზანი: 5.2. ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მყოფ პირთა ჯანმრთელობის უფლების დაცვა;

ამოცანა: 5.2.1.ჯანმრთელობის დაცვის სერვისების გაუმჯობესება;

ამოცანის ინდიკატორი: ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მყოფი მკურნალობისა სერვისები გაუმჯობესებულია;

საქმიანობა 5.2.1.1. ფსიქიატრიულ დაწესებულებებში (მ.შ. სასჯელაღსრულების სისტემის სამკურნალო დაწესებულებების ფსიქიატრიულ განყოფილებებში) მყოფი პირების უზრუნველყოფა ფსიქიკური და სომატური ჯანმრთელობის თანამედროვე სერვისებით, მათ შორის ამბულატორიული სერვისებით;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა;

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო - განხორციელდა.

არანებაყოფლობით ფსიქიატრიულ სტაციონარულ მკურნალობაზე მყოფი ყველა ის პაციენტი, რომელიც წარმოადგენს საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის და სხვა სახელმწიფო პროგრამების ბენეფიციარს, უფლებამოსილია სომატური დაავადებების სამკურნალოდ ისარგებლოს აღნიშნული პროგრამებით. რეფერალური პროგრამის ფარგლებში, შესაძლებელია, განხილულ იქნას იმ მომსახურების დაფინანსების საკითხი, მიუხედავად პაციენტის მოქალაქეობისა, რომელიც არ იფარება ზემოაღნიშნული სახელმწიფო პროგრამებით ან დაზღვევით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

2019 წელს N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების ფსიქიატრიულ განყოფილებაში განთავსებული პაციენტები უზრუნველყოფილი არიან როგორც ფსიქიკური, ასევე, საჭიროების შემთხვევაში სომატური სამედიცინო სერვისებით.

ამოცანა: 5.2.2. იძულების ღონისძიებების გამოყენების პრინციპებისა და პროცედურების შემუშავება;

ამოცანის ინდიკატორი: შემუშავებულია და დამტკიცებულია ცვლილებები კანონქვემდებარე აქტებში;

საქმიანობა 5.2.2.1. ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პაციენტისათვის ფიზიკური და ქიმიური შეზღუდვის მეთოდების გამოყენების წესისა და პროცედურების შესახებ შესაბამისი ფსიქიკური ჯანმრთელობის საკანონმდებლო აქტების გადახედვა და განახლება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

საქართველოს პარლამენტის მიერ მომზადდა ფსიქიკური დახმარების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებები. მიმდინარეობს დაინტერესებულ მხარეებთან შეთანხმების პროცედურები.

6. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

მიზანი: 6.1. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პატივისცემის უზრუნველყოფა და პერსონალური მონაცემების დაცვის მაღალი სტანდარტის დამკვიდრება;

ამოცანა: 6.1.1. პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობის შემდგომი დახვეწა ევროკავშირის მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან დაახლოების გზით;

ამოცანის ინდიკატორი: განხორციელებულია საკანონმდებლო ცვლილებები, მიღებულია კანონქვემდებარე აქტები;

საქმიანობა 6.1.1.2. კანონქვემდებარე აქტების შემუშავება და განახლება პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს მთავრობა; საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის აპარატი;

შესრულების სტატუსი: მიმდინარეობს - ნაწილობრივ შესრულდა.

ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციისა (ძალაში შევიდა 2018 წლის 25 მაისს) და ევროპის საბჭოს 108 კონვენციის მოდერნიზების გათვალისწინებით, ინსპექტორის აპარატმა მოამზადა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ახალი კანონის პროექტი. შემუშავების პროცესში ჩართული იყვნენ ადგილობრივი და ევროპელი ექსპერტები. მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის განახლების საჭიროება განხილულ იქნა საქართველოს პარლამენტის, მთავრობისა და კერძო და არასამთავრობო სექტორების წარმომადგენლებთან. კანონპროექტი, შემდგომი საკანონმდებლო პროცედურებისთვის წარდგენილია საქართველოს პარლამენტში და მისი დამტკიცების შემდეგ მოხდება შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების შემუშავება.

საქმიანობა 6.1.1.3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის კომენტარების მომზადება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის აპარატი;

შესრულების სტატუსი: არ დაწყებულა.

აღნიშნული აქტივობის განხორციელების ვადა დამოკიდებულია "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის მიღების პერიოდზე. კანონპროექტი საკანონმდებლო პროცედურებისთვის წარდგენილია საქართველოს პარლამენტში.

ამოცანა: 6.1.2. პერსონალური მონაცემების დაცვის მაღალი სტანდარტის დამკვიდრება, როგორც კერძო ისე საჯარო სექტორში, კანონმდებლობის პრაქტიკაში ეფექტური დანერგვის გზით;

ამოცანის ინდიკატორი: განხორციელებული ინსპექტირებების რაოდენობა გაზრდილია 10%-ით წინა წელთან შედარებით; განხილულია განცხადებები; გაცემულია კონსულტაციები; ჩატარებულია ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები; მომზადებულია წელიწადში სულ მცირე ორი რეკომენდაცია;

საქმიანობა 6.1.2.1. ინსპექტირებების განხორციელება საჯარო სექტორში, მათ შორის სამართალდამცავ უწყებებში;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის აპარატი;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ 2019 წელს განხორციელდა საჯარო სექტორში არსებული 58 ორგანიზაციის შემოწმება, მათ შორის, სამართალდამცავი უწყებებიდან შემოწმდა 33 ორგანიზაცია/მონაცემთა დამმუშავებელი.

საქმიანობა 6.1.2.2. ინსპექტირებების განხორციელება კერძო სექტორში;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის აპარატი;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ 2019 წელს განხორციელდა კერძო სექტორში არსებული 79 ორგანიზაციის/მონაცემთა დამმუშავებლის შემოწმება.

საქმიანობა 6.1.2.3. მოქალაქეთა განცხადებების განხილვა და გამოვლენილ დარღვევებზე ეფექტური რეაგირება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის აპარატი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2019 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა შეისწავლა მოქალაქეთა 176 განცხადება და შეტყობინება და განახორციელა შესაბამისი რეაგირება.

საქმიანობა 6.1.2.4. საჯარო და კერძო დაწესებულებებისთვის ტრენინგების უზრუნველყოფა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის აპარატი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2019 წლის განმავლობაში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის თემაზე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა ჯამში 33 ტრენინგი და საინფორმაციო შეხვედრა ჩაატარა, რომელშიც 600-ზე მეტი მსმენელი მონაწილეობდა. მათ შორის, 15 აქტივობა ჩატარდა საჯარო უწყებების წარმომადგენლებისთვის. განხორციელებული სასწავლო აქტივობებისა და საინფორმაციო შეხვედრების მიზანს პერსონალურ მონაცემთა დაცვის თემაზე ცნობიერების ამაღლება და მონაწილეთა პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერება წარმოადგენდა. ტრენინგები მოიცავდა თეორიულ და პრაქტიკულ ინფორმაციას პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობის, ინსპექტორის მანდატის, მონაცემების დამუშავების პრინციპებისა და საფუძვლების, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონით გათვალისწინებულ სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

საქმიანობა 6.1.2.5. საჯარო და კერძო დაწესებულებებისთვის კონსულტაციების უზრუნველყოფა პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებზე;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის აპარატი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2019 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა საჯარო და კერძო დაწესებულებებისთვის გასწია 1784 კონსულტაცია, 3000 თემატიკაზე.

საქმიანობა 6.1.2.6. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის ფაქტების იდენტიფიცირება, გამოძიება და სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს გენერალური პროკურატურა;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ნებისმიერი დანაშაულებრივი ფაქტის, მათ შორის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის ფაქტების შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ იწყებს გამოძიებას.

ამოცანა: 6.1.3. პერსონალური მონაცემების დაცვაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოს ინსტიტუციური გაძლიერება და ეფექტურობის ზრდა;

ამოცანის ინდიკატორი: დანერგილია საქმისწარმოების სისტემა; განახლებულია ტექნიკური ინფრასტრუქტურა; ამაღლებულია თანამშრომელთა კვალიფიკაცია; განხორციელებულია პროექტები სხვა ქვეყნის საზედამხედველო ორგანოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად; დადებულია თანამშრომლობის მემორანდუმები;

საქმიანობა 6.1.3.1. სპეციალური საქმისწარმოების სისტემის შექმნა და დანერგვა და ტექნიკური ინფრასტრუქტურის განახლება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის აპარატი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2019 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) თანამშრომლობის ფარგლებში, მოქალაქეთა ელექტრონული მომართვიანობის მექანიზმებისა და სამსახურის საქმისწარმოების პროცესის გაუმჯობესების მიზნით, დაინერგა და ამოქმედდა საქმისწარმოების პროგრამა (Case Manegement). პროგრამა იძლევა მონაცემთა აღრიცხვის საშუალებას პერსონალურ მონაცემთა დაცვის თემაზე სამსახურში შემოსული შეტყობინებების, განხილული განცხადებების, გაწეული კონსულტაციების, ინსპექტირებების, გაცემული ნებართვებისა და სასამართლო დავების შესაბამისად. ასევე, პროგრამაში გათვალისწინებულია მოქალაქეებთან ინტერაქციისა და უკუკავშირის დაბრუნების შესაძლებლობა.

ამასთან, 2019 წლის განმავლობაში განახლდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ტექნიკური ინფრასტრუქტურა, რისი საჭიროებაც, მეტწილად, განპირობებული იყო 2019 წლის 1-ლი ნოემბრიდან სამსახურის საგამოძიებო ფუნქციის ამოქმედებით. გაწეული ღონისძიებები მოიცავდა ქ. თბილისსა და ქ. ქუთაისში ახალ გახსნილი ოფისებისთვის კომპიუტერული და სხვადასხვა საოფისე ტექნიკის, დაშვების ელ. სისტემის, კომპიუტერული ქსელის მოწყობის, ფოტო-ვიდეო აპარატურის, ვიდეო სამეთვალყურეო სისტემისა და სამსახურის ეფექტიანი საქმიანობისათვის დამატებითი ინვენტარის უზრუნველყოფას.

საქმიანობა 6.1.3.2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის თანამშრომელთა სისტემატური გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის აპარატი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2019 წლის განმავლობაში, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, ჩატარდა 8 სასწავლო აქტივობა, რომლის ფარგლებშიც გადამზადება გაიარა 60-მა მსმენელმა.

სამუშაო სპეციფიკის გათვალისწინებით სასწავლო აქტივობები განხორციელდა შემდეგი თემატური მიმართულებებით: რისკების შეფასება, კომუნიკაციის უნარ-ჩვევების დახვეწა, ევროკავშირის სამართლის ზოგადი მიმოხილვა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევები, წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები და ეფექტიანი გამოძიება, გენდერული თანასწორობა და ქალთა მიმართ ძალადობა და შრომის უსაფრთხოება.

ამასთან, 2019 წლის დეკემბრიდან დღემდე, ევროპის საბჭოს დისტანციური სწავლების პლატფორმის (HELP) ფარგლებში პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ კურსს სამსახურის 23 თანამშრომელი გადის.

საქმიანობა 6.1.3.3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის აპარატი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2019 წლის განმავლობაში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური აქტიურად იყო ჩართული მონაცემთა დაცვის სფეროს ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ფორმატებში. კერძოდ, სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგ ღონისძიებებში: ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული კონფერენცია ფინეთში, ევროპის საბჭოს საკონსულტაციო კომიტეტის (T-PD) ბიუროსა და პლენარული სხდომები, საერთაშორისო კონფერენციები ევროპის საბჭოს 108+ კონვენციასა და მონაცემთა დაცვის (ICDPPC) შესახებ. ამასთან, 2019 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური წარმოადგენდა საქართველოს ევროპის საბჭოს ხელოვნური ინტელექტის საკითხებზე მომუშავე სპეციალური კომიტეტის (CAHAI) პირველ სამუშაო შეხვედრაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ 2019 წლის მაისში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა უმასპინძლა პერსონალური მონაცემების დაცვის სფეროში ერთ-ერთ ყველაზე მაღალი დონის ევროპულ ფორუმს - საგაზაფხულო კონფერენციას, რომელსაც ევროპის ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების 100-მდე მაღალი რანგის დელეგატი ესწრებოდა. მათ შორის, წარმოდგენილი იყო ევროკომისია და ევროპის საბჭო.

ამოცანა: 6.1.4. პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების კულტურის დამკვიდრების ხელშეწყობა;

ამოცანის ინდიკატორი: შემუშავებულია კომუნიკაციისა და საგანმანათლებლო სტრატეგია; ჩატარებულია საინფორმაციო შეხვედრები, სემინარები და ლექციები; განახლებულია ინსპექტორის აპარატის ვებგვერდი და ადაპტირებულია შშმ პირთათვის;

საქმიანობა 6.1.4.2. საინფორმაციო შეხვედრების, სემინარების და ლექციებისა ჩატარება მიზნობრივი ჯგუფებისთვის;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის აპარატი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საანგარიშო პერიოდში, ინსპექტორის სამსახურმა ჩაატარა 33 ტრენინგი და საინფორმაციო შეხვედრა, რომელშიც 600-ზე მეტი პირი მონაწილეობდა. ამასთან, 2019 წლის 28 იანვარს საზოგადოებას წარედგინა განახლებული ვებგვერდი და საინფორმაციო ვიდეორგოლი. აღნიშნული ვიდეორგოლი რამდენიმე ტელევიზიის: რუსთავი 2-ის, იმედის, საზოგადოებრივი მაუწყებლისა და აჭარის ტელევიზიის ეთერში რეკლამის სახით გავიდა. ასევე, მედიასა და სოციალურ ქსელში ჩატარდა კამპანია ახალი ვებგვერდის შესახებ. სამსახური მონაწილეობდა არაერთ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებაში, მათ შორის: რეგიონებში ევროპის დღეებისადმი მიძღვნილ კამპანიაში, სოციალურ ქსელში გავრცელებულ კამპანიაში „#მოგვმართე“ და „#დაიცავიშენიუფლებები“; მედია საშუალებების წარმომადგენლებისათვის გამართულ აქტივობაში - ,,პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა მედიასივრცეში“; ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გამართული ღონისძიებაში - „ღია ბანკინგი – ციფრული ეკოსისტემის განვითარებისთვის". ამასთან, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისა და ევროპის საბჭოს თანამშრომლობის ფარგლებში, მოეწყო HELP-ის დისტანციური სასწავლო კურსისა და მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელოს ქართული თარგმანის საზოგადოებისთვის წარდგენა.

საქმიანობა 6.1.4.3. საინფორმაციო მასალის დამზადება და გავრცელება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის აპარატი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2019 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა შეიმუშავა კომერციული ბანკების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების თემაზე რეკომენდაცია/სახელმძღვანელო. დოკუმენტი

მიზნად ისახავს დაეხმაროს საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს მათი კლიენტების პერსონალური მონაცემების დამუშავებისას, რათა მათ უზრუნველყონ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების დაცვა. რეკომენდაციის/სახელმძღვანელოს წარდგენა მოხდა საბანკო სექტორისა და სხვა მიზნობრივი ჯგუფების წარმომადგენლებისთვის. ასევე, რეკომენდაცია განთავსებულია სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. სხვადასხვა კამპანიისა და ღონისძიების ფარგლებში მოქალაქეებს დაურიგდათ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საინფორმაციო ბროშურები და ბრენდირებული ნივთები.

ამოცანა: 6.1.5. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად საქმიანობის განხორციელების მიზნით თანამშრომლებისთვის ცნობიერების ამაღლება;

ამოცანის ინდიკატორი: ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა; მონაწილეთა რაოდენობა;

საქმიანობა 6.1.5.1. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერებისა და დაცვის საკითხებზე ტრენინგების ორგანიზება და ჩატარება ახალი თანამშრომლებისთვის;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თანამშრომლებისათვის პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით ჩატარდა 4 ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 51 თანამშრომელმა. ტრენინგზე განხილული იყო ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, საერთაშორისო კანონმდებლობა, სასამართლოს გადაწყვეტილებები და სააგენტოს პრაქტიკა.

ამოცანა: 6.1.6. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მონაცემთა ბაზის ადმინისტრირების წესის გადახედვა და დახვეწა;

ამოცანის ინდიკატორი: შემუშავებულია კანონქვემდებარე აქტი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად;

საქმიანობა 6.1.6.1. საკითხის ტექნიკური მხარის შესწავლა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

აღნიშნული საქმიანობა განხორციელდა. ამასთან, მომზადდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 1 მარტის №271 და "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფაილური სისტემებისა და მათში არსებული მონაცემების შენახვის ვადების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 იანვრის №53 ბრძანებების ცვლილების პაკეტი.

საქმიანობა 6.1.6.2. კანონქვემდებარე აქტის შემუშავება და მიღება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზედამხედველობის განყოფილების ინიცირებით, სამართალდარღვევების შესახებ ინფორმაციის შენახვის ვადების განსაზღვრის თაობაზე მომზადდა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიანი აღრიცხვის, საინფორმაციო ბანკის ფუნქციონირებისა და სააღრიცხვო-ანალიტიკური საქმიანობის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 1 მარტის №271 და "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფაილური სისტემებისა და მათში არსებული მონაცემების შენახვის ვადების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 იანვრის №53 ბრძანებების ცვლილების პაკეტი. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ბრძანების პროექტის დახვეწის პროცესი.

7. გამოხატვის თავისუფლება

მიზანი: 7.1. გამოხატვის თავისუფლების და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ამოცანა: 7.1.1. ჟურნალისტებისათვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტების აღკვეთა, სწრაფი და დროული რეაგირება;

ამოცანის ინდიკატორი: შესაბამისი დეტალური სტატისტიკა წარმოებული და ხელმისაწვდომია (მოთხოვნისთანავე ან/და ვებ-გვერდზე); ყველა კონკრეტულ შემთხვევაზე რეაგირება განხორციელებულია;

საქმიანობა 7.1.1.1. ჟურნალისტებისათვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტების სწრაფი და ეფექტიანი გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს გენერალური პროკურატურა;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ნებისმიერი დანაშაულებრივი ფაქტის, მათ შორის, ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტების შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე დაუყოვნებლივ იწყებს გამოძიებას.

საქმიანობა 7.1.1.2. სპეციალური სტატისტიკის წარმოება, ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის თაობაზე;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს გენერალური პროკურატურა;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ყოველწლიურად ქვეყნდება რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა ცალკეული მუხლების მიხედვით. ასევე, მისი გაცემა ხდება მოთხოვნის შესაბამისად.

ამოცანა: 7.1.3. ციფრული პლატფორმების განვითარების გზით გამოხატვის თავისუფლების ხელშეწყობა;

ამოცანის ინდიკატორი: მომზადებულია შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციები;

საქმიანობა 7.1.3.1. ციფრული პლატფორმების შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით, საჭიროების შემთხვევაში საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის გადახედვა და შესაბამისი ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა, რეკომენდაციების და პროექტის მომზადება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მომზადებულია საქართველოს კანონის პროექტი „ელექტრონული კომერციის შესახებ“ ევროკავშირის

სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი, მიმდინარეობს კანონპროექტის დახვეწის სამუშაოები. კანონპროექტის მიხედვით, შუალედური მომსახურების მიმწოდებელი არ იქნება პასუხისმგებელი გადაცემულ ან შენახულ ინფორმაციაზე და არ ექნება ზოგადი მონიტორინგის ვალდებულება გადაცემულ ან/და შენახულ ინფორმაციაზე, რაც ერთი მხრივ, აარიდებს ISP-ებს ზედმეტ ვალდებულებებს, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფს გამოხატვის თავისუფლებაში არამართლზომიერი ჩარევის რისკების მინიმუმამდე დაყვანას და ხელს შეუწყობს, ადამიანის უფლებათა დაცვასა და ციფრული პლატფორმების შემდგომ განვითარებას.

8. შეკრების თავისუფლება

მიზანი: 8.1. შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების მაღალი სტანდარტით დაცვის გარანტიების შექმნა;

ამოცანა: 8.1.1. შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების დარღვევის ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირება და უფლების დარღვევის პრევენცია;

ამოცანის ინდიკატორი: პირები შეუფერხებლად სარგებლობენ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებით; ეფექტიანი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნა წარმოებულია;

საქმიანობა 8.1.1.1. შეკრების და მანიფესტაციის უფლების ხელყოფის ფაქტების სწრაფი და ეფექტიანი გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს გენერალური პროკურატურა;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ნებისმიერი დანაშაულებრივი ფაქტის, მათ შორის, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების ხელყოფის ფაქტების შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე დაუყოვნებლივ იწყებს გამოძიებას.

საქმიანობა 8.1.1.2. შეკრებისა და მანიფესტაციის დროს უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები უზრუნველყოფენ თოთოეული მოქალაქის გამოხატვის თავისუფლებას.

საქმიანობა 8.1.1.3. სამართალდამცავთა მომზადება გადამზადება შეკრებისა და მანიფესტაციის მართვის ტექნიკასა და მეთოდებზე;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

შეკრებისა და მანიფესტაციის, თავისუფლების თვითნებური შეზღუდვისა და ძალადობის ფაქტების თავიდან აცილებისა და ასეთ შემთხვევებზე ეფექტიანად რეაგირების მიზნით სსიპ - საქართველოს შიანაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია, როგორც პროფესიული მომზადების, ასევე გადამზადების პროგრამებზე ახორციელებს პოლიციელთა სწავლებას ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შეკრება-მანიფესტაციის მონაწილეთა უფლებების დაცვას და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების გააზრებასა და შესრულებას. აღნიშნული უფლების სწავლებისას განიხილება, ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა:

- შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლების არსი და განმარტება ეროვნული თუ საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად;
- კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვები შეკრებებისა და მანიფესტაციების მიმართ;
- ძალის გამოყენება შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს;
- პოლიციის როლი და მნიშვნელობა ამ უფლების დაცვისას.

2019 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით აღნიშნული თემატიკით მომზადდა/გადამზადდა:

- პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 50 მსმენელი;
- საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 88 მსმენელი;
- უბნის ინსპექტორთა მომზადების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 32 მსმენელი;
- პოლიციელთა საბაზისო მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 256 მსმენელი;
- გამომძიებელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსი -108 მსმენელი;

- სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მოსამსახურეთა ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების სპეციალური მომზადების კურსი - 276 მსმენელი;
- წვევამდელთა და პოლიციის უმცროს ლეიტენანტთა სპეციალური წოდების მისანიჭებელი სპეციალური მომზადების პროგრამა - 313 მსმენელი;
- ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების სპეციალური მომზადების კურსი (ნახევრად ელექტრონული სწავლების მეთოდი - 57 მსმენელი.

9. შრომითი უფლებები

მიზანი: 9.1. შრომის უფლების დაცვა საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად;

ამოცანა: 9.1.1. საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის პროცესის გაგრძელება;

ამოცანის ინდიკატორი: საერთაშორისო ინსტიტუტების/მექანიზმების, საქართველოს სახალხო დამცველის/არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებში ასახული პოზიტიური დინამიკა; მომზადებული განსახილველ პრიორიტეტულ საკითხების შესახებ დოკუმენტი; შემუშავებული რეკომენდაციები და საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი; პარტნიორობის სამმხრივ კომისიაზე ინიცირებული საკითხებისა და კომისიის შესაბამისი რეკომენდაციების რაოდენობა (მზარდი დინამიკა წინა წლებთან მიმართებით);

საქმიანობა 9.1.1.1. დოკუმენტის "შრომითი უფლებები საქართველოში - ცვლილებების დღის წესრიგი" საფუძველზე პრიორიტეტული საკითხების განსაზღვრა და საჭიროების შემთხვევაში პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის შემადგენლობაში შემავალი სამთავრობო უწყებები;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

დოკუმენტით "შრომითი უფლებები საქართველოში - ცვლილებების დღის წესრიგით" გათვალისწინებული საკითხები და ასოცირების შეთანხმების დანართის დირექტივებით გათვალისწინებული ვალდებულებები უმეტესწილად ემთხვევა ერთმანეთს. შესაბამისად, ცალკეული დოკუმენტების მომზადების საჭიროება არ დგას.

საქმიანობა 9.1.1.2. პრიორიტეტული საკითხების სოციალურ პარტნიორებთან განხილვა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი პირველი ეტაპის ცვლილებების პაკეტის მომზადება და ინიცირება საქართველოს პარლამენტში;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის შემადგენლობაში შემავალი სამთავრობო უწყებები;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

იხილეთ საქმიანობა 9.1.1.1.

საქმიანობა 9.1.1.3. პრიორიტეტული საკითხების სოციალურ პარტნიორებთან განხილვა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი მეორე ეტაპის ცვლილებების პაკეტის მომზადება და ინიცირება საქართველოს პარლამენტში;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის შემადგენლობაში შემავალი სამთავრობო უწყებები;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

იხილეთ საქმიანობა 9.1.1.1.

საქმიანობა 9.1.1.4. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტების რეკომენდაციების (შრომითი ხელშეკრულებები, დღიური სამუშაო საათები, ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურება, შესვენების დროები, გათავისუფლების საფუძვლები, მასობრივი დათხოვნა და სხვ.)შესაბამისად ცვლილებების მიზანშეწონილობის განხილვა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის შემადგენლობაში შემავალი სამთავრობო უწყებები;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტების რეკომენდაციები და ასოცირების შეთანხმების დანართის დირექტივებით გათვალისწინებული ვალდებულებები უმეტესწილად ემთხვევა ერთმანეთს. შესაბამისად, ცალკეული დოკუმენტების მომზადების საჭიროება არ დგას.

2019 წლის 19 თებერვალს, ცვლილებები შევიდა კანონმდებლობაში, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა დამსაქმებლის ვალდებულება დაიცვას პირთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი არამარტო შრომით სახელშეკრულებო ურთიერთობებში, არამედ წინასახელშეკრულებო ურთიერთობებშიც, რაც გულისხმობს ვაკანსიის შესახებ განცხადების გამოქვეყნებისა და გასაუბრების ეტაპზე დისკრიმინაციის დაუშვებლობას რაიმე ნიშნით, დაზუსტდა შევიწროებისა და სექსუალური შევიწროების ცნებები არსებულ კანონმდებლობაში. გრძელდება მუშაობა დანართი XXX განსაზღვრული სხვა დირექტივების შესაბამისად, საკანონმდებლო ცვლილებების განსახორციელებლად.

საქმიანობა 9.1.1.5. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტების რეკომენდაციების განხილვის შედეგად ცვლილებების პაკეტის მომზადება მიზანშეწონილობის შემთხვევაში;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის შემადგენლობაში შემავალი სამთავრობო უწყებები;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

იხილეთ საქმიანობა 9.1.1.4.

საქმიანობა 9.1.1.6. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტების რეკომენდაციების განხილვის შედეგად, მიზანშეწონილობის შემთხვევაში მომზადებული ცვლილებების პაკეტის ინიცირება საქართველოს პარლამენტში;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს მთავრობა;

პარტნიორი უწყება: სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის შემადგენლობაში შემავალი სამთავრობო უწყებები;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

იხილეთ საქმიანობა 9.1.1.4.

საქმიანობა 9.1.1.7. შრომის სამართლის და დისკრიმინაციის აკრძალვისა და გენდერული თანასწორობის სფეროს სამართლებრივ ინსტრუმენტებთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების ხელშეწყობა (საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების XXX დანართით განსაზღვრული დირექტივების ვადების შესაბამისად);

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის შემადგენლობაში შემავალი სამთავრობო უწყებები;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებით საქართველომ აიღო ვალდებულება ეტაპობრივად დაუახლოვოს საქართველოს კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობას. ამ მხრივ აღსანიშნავია ასოცირების შეთანხმების XXX დანართი, რომელიც მოიცავს ისეთ მიმართულებებს (ჯამში 40 დირექტივა), როგორიცაა:

- დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები;
- დისკრიმინაციის აკრძალვა და გენდერული თანასწორობა;
- ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე (26 დირექტივა).

დანართით ასევე განსაზღვრულია ის ვადები, რომლის ფარგლებშიც უნდა განხორციელდეს ამ დირექტივების მოთხოვნების ასახვა ქართულ კანონმდებლობაში. აღნიშნული დირექტივებიდან 3 დირექტივის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი წარედგინა საქართველოს პარლამენტს 2017 წელს და 2019 წლის თებერვლის თვეში განხორციელდა ცვლილებები შემდეგ საკანონმდებლო აქტებში:

- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“;

დირექტივების მოთხოვნები ითვალისწინებდა პირთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვის გაუმჯობესებას და ვრცელდება მათ შორის შრომით ურთიერთობებზე (მათ შორის: შერჩევის კრიტერიუმებსა და დაქირავების პირობებზე, ასევე კარიერული წინსვლის ხელმისაწვდომობაზე, პროფესიული ორიენტაციის, კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ყველა ფორმის ხელმისაწვდომობაზე, დასაქმებისა და შრომის, შრომითი ურთიერთობების შეწყვეტისა და შრომის ანაზღაურების პირობებზე, დასაქმებულთა ან დამსაქმებელთა ორგანიზაციის წევრობაზე და საქმიანობაზე, ან ისეთი ორგანიზაციის წევრობაზე და საქმიანობაზე, რომელთა წევრებიც განსაზღვრულ პროფესიულ ჯგუფს განეკუთვნებიან, ასეთი ორგანიზაციებიდან მიღებული სარგებლის ჩათვლით), სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის პირობებზე, განათლებაზე, საქონლისა და მომსახურების მიწოდებაზე (მათ შორის: სოციალურ დაცვაზე, სოციალურ უზრუნველყოფაზე, სოციალურ შეღავათებზე, ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე, განათლების ხელმისაწვდომობაზე).

განხორციელებული ცვლილებების მიხედვით :

- განისაზღვრა დამსაქმებლის ვალდებულება დაიცვას პირთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი არამარტო შრომით სახელშეკრულებო ურთიერთობებში, არამედ წინასახელშეკრულებო ურთიერთობებშიც, რაც გულისხმობს ვაკანსიის შესახებ განცხადების გამოქვეყნებისა და გასაუბრების ეტაპზე დისკრიმინაციის დაუშვებლობას რაიმე ნიშნით;
- იკრძალება პირისთვის მითითების მიცემა, განახორციელოს მესამე პირის მიმართ დისკრიმინაცია;
- იკრძალება დასაქმებულისთვის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა და/ან რაიმე სახის უარყოფითი მოპყრობა და მასზე ზემოქმედება იმის გამო, რომ მან დისკრიმინაციისაგან დასაცავად განცხადებით ან საჩივრით მიმართა შესაბამის ორგანოს ან ითანამშრომლა ასეთ ორგანოსთან;
- განისაზღვრა დამსაქმებლის, ასევე საჯარო დაწესებულების ვალდებულება მიიღოს ზომები სამუშაო ადგილზე პირთა თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად, მათ შორის ასახოს დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები შრომის შინაგანაწესში, კოლექტიურ ხელშეკრულებებსა და სხვ. დოკუმენტებში და უზრუნველყოს მათი შესრულება;
- განისაზღვრა, რომ დაზღვევის მომსახურების მიწოდებისას სქესის, როგორც რისკფაქტორის, ისევე როგორც ორსულობის/დედობის ფაქტორის გამოყენებამ, არ უნდა გამოიწვიოს განსხვავება დაზღვევის პრემიებისა და სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობების განსაზღვრისას;
- დაზუსტდა შევიწროებისა და სექსუალური შევიწროების ცნებები არსებულ კანონმდებლობაში; ასევე აღნიშნული ტერმინების განმარტებები დაემატა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონს და სხვ.

საქმიანობა 9.1.1.8. შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან (საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების XXX დანართით განსაზღვრული დირექტივების ვადების შესაბამისად);

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის შემადგენლობაში შემავალი სამთავრობო უწყებები;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

2018 წლის 7 მარტს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მხარი დაუჭირა საქართველოს კანონს ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“, რომელიც ძალაში შევიდა გამოქვეყნებისთანავე. ხოლო 2019 წლის 19 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, რომელიც 2019 წლის 1 სექტემბრიდან გავრცელდა ეკონომიკური საქმიანობის ყველა დარგზე და ზედამხედველ ორგანოს გაეზარდა მანდატი, რაც გამოიხატება შედეგში, რომ დღე-ღამის ნებისმიერ დროს, სასამართლოს ნებართვისა და წინასწარი შეტყობინების გარეშე განახორციელოს შრომის უსაფრთხოების ნორმების შემოწმება. მიმდინარეობს მუშაობა შრომის ინსპექტირების მექანიზმის ინსტიტუციურ განვითარებაზე/დახვეწაზე. აღნიშნული სამართლებრივი აქტი დაფუძნებულია „სამუშაო ადგილზე მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით ზომების შემოღების შესახებ“ 1989 წლის 12 ივნისის 89/391/EEC ევროსაბჭოს დირექტივაზე, რომელიც ქართულ კანონმდებლობაში აისახა ასოცირების ხელშეკრულების XXX დანართით განსაზღვრული ვადების შესაბამისად. გარდა ამისა, ორგანული კანონის 25-ე მუხლითა და აღნიშნული საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების შესაბამისად შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ მომზადდა შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტები.

ამოცანა: 9.1.2. შრომის უსაფრთხოების/შრომითი უფლებების მარეგულირებელი ნორმების დაცვა შრომის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

ამოცანის ინდიკატორი: შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი შრომის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ფუნქციონირებს; შემოწმებული კომპანიების რაოდენობა; გაცემული რეკომენდაციების 50%-ზე მეტი შესრულების მაჩვენებელი; შექმნილი სამართლებრივი ჩარჩო ინსპექციის კომპეტენციების ზრდის კუთხით; შრომის ინსპექტორთა შესაძლებლობების ზრდის მიმართულებით გატარებულ ღონისძიებათა რაოდენობა;

საქმიანობა 9.1.2.1. შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის (შრომის ინსპექციის) ეფექტურ მექანიზმად გარდაქმნა, მისი ინსტიტუციური, ადმინისტრაციული გაძლიერებისა და კომპეტენციების ზრდის საშუალებით შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტების შესაბამისად, რაც გულისხმობს უფლებამოსილების სფეროს გაფართოებას, მათ შორის, თავისუფალი წვდომის უზრუნველყოფას დასაქმების ყველა ადგილზე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის კომპონენტების ინსპექტირებისთვის;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის შემადგენლობაში შემავალი სამთავრობო უწყებები;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის ინსტიტუციური გაძლიერებისა და განვითარების მიზნით, 2018 წლის დასასრულს შრომის ინსპექტორთა რაოდენობა განისაზღვრა 40

საშტატო ერთეულით, რომელიც 100 ერთეულამდე გაიზარდა 2020 წლის იანვრის მდგომარეობით. 2018 წლის დასასრულს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შეიქმნა ორი სამმართველო: ინსპექტირების სამმართველო და მონიტორინგისა და ზედამხედველობის სამმართველო, რომელთა დაკომპლექტება 2019 წლის მაისიდან დაიწყო და დეკემბრის თვეში დასრულდა. შრომის ინსპექტორთა შესაძლებლობების/უნარების გაზრდის მიმართულებით განხორციელდა 9 ტრენინგი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის, გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და სხვა ადგილობრივი უწყებების მხარდაჭერით. ასევე გაფორმდა 4 თანამშრომლობის მემორანდუმი ადგილობრივ და საერთაშორისო უწყებებთან. გარდა ამისა, 2019 წლის 19 თებერვალს განხორციელებული ცვლილებების თანახმად, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, რომელიც 2019 წლის 1 სექტემბრიდან გავრცელდა ეკონომიკური საქმიანობის ყველა დარგზე და გაიზარდა ზედამხედველი ორგანოს მანდატი დღე-ღამის ნებისმიერ დროს, სასამართლოს ნებართვისა და წინასწარი შეტყობინების გარეშე განახორციელოს შრომის უსაფრთხოების ნორმების შემოწმება.

გარდა ამისა, მიმდინარეობს მუშაობა შრომის ინსპექტირების მექანიზმის ინსტიტუციურ განვითარებაზე/დახვეწაზე. შრომის უსაფრთხოების ორგანული კანონის 25-ე მუხლით განსაზღვრული ვადების შესაბამისად, მომზადებულ იქნა საკანონმდებლო აქტების პროექტები შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით. დეპარტამენტმა მიმდინარე წელს სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების სისტემების დანერგვის/დაცვის ხელშეწყობის მიზნით განახორციელა 1575 ინსპექტირება და რეინსპექტირება, მათ შორის, ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად 1264 (პირველადი და შემდგომი, დარღვევების აღმოფხვრამდე) ინსპექტირება - 558 ობიექტზე; ინსპექტირების 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 150 ინსპექტირება 150 ობიექტზე, მათ შორის, 19 კომპანიის 107 ობიექტი შემოწმდა შრომითი უფლებების მიმართულებით; იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის და მათზე რეაგირების მიზნით საქართველოს მთავრობის №112 დადგენილების შესაბამისად, 127 ინსპექტირება - 127 ობიექტზე; საწარმოო უბედური შემთხვევის მოკვლევისთვის - 35 ინსპექტირება; 2019 წელს განხორციელებული ინსპექტირებები ჯამში შეეხო დაახლოებით 210 390 დასაქმებულს, რაც 2018 წლის მაჩვენებელს 20-ჯერ აღემატება.

საქმიანობა 9.1.2.2. შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის (შრომის ინსპექციის) ეფექტურ მექანიზმად გარდაქმნა, მისი ინსტიტუციური, ადმინისტრაციული გაძლიერებისა და კომპეტენციების ზრდის საშუალებით შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტების შესაბამისად, რაც გულისხმობს უფლებამოსილების სფეროს გაფართოებას, მათ შორის თავისუფალი წვდომის უზრუნველყოფას დასაქმების ყველა ადგილზე, შრომის უფლებების დაცვის კომპონენტების ინსპექტირებისთვის;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის შემადგენლობაში შემავალი სამთავრობო უწყებები;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის ინსტიტუციური გაძლიერებისა და განვითარების პარალელურად ინსპექტირების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დეპარტამენტი ახორციელებს სარეკომენდაციო ხასიათის ინსპექტირებებს შრომითი უფლებების დაცვის მიმართულებით. აღნიშნული მიმართულებით 2018 წელს შემოწმდა 8 კომპანიის 46 ობიექტი, 2019 წელს კი შემოწმდა 19 კომპანიის 107 ობიექტი. დამსაქმებლებთან, დასაქმებულებთან გასაუბრებით, სხვადასხვა სახის დოკუმენტაციის გაცნობისა და შესწავლის შემდგომ, აღნიშნულ კომპანიებში გამოვლინდა შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების დარღვევა, რაზედაც დეპარტამენტის მიერ კომპანიებს მიეცათ შესაბამისი რეკომენდაციები. გარდა აღნიშნულისა, "შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განისაზღვრა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის საჯარო სამართლის იურიდიული პირად (შრომის ინსპექცია) გარდაქმნა და მისი ინსტიტუციური გაძლიერება. ასევე მისი მანდატის გაზრდა, კონკრეტულად შემუშავდა კანონპროექტი შრომის ინსპექციის შესახებ, რომლის თანახმად შრომის ინსპექციის მანდატი სავალდებულო წესით გავრცელდება შრომით უფლებებზეც. აღნიშნულის პარალელურად, საქართველოს ორგანულ კანონში "საქართველოს შრომის კოდექსი" დაგეგმილია ცვლილებების განხორციელება, რომლის თანახმადაც შრომითი უფლებების დაცვის მიმართულებით ზედამხედველ ორგანოდ განისაზღვრება შრომის ინსპექცია. აღნიშნული ცვლილებები უნდა განხორციელდეს 2020 წლის განმავლობაში.

ამოცანა: 9.1.3. საქართველოს მიერ სავალდებულოდ აღიარებული შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და შრომის უფლებასთან დაკავშირებით არსებული სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების/ კონვენციების იმპლემენტაციის მონიტორინგის პროცესის გაგრძელება;

ამოცანის ინდიკატორი: კონვენციებისა და რეკომენდაციების გამოყენების საკითხებში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტთა კომიტეტის/ევროპის საბჭოს, საქართველოს სახალხო დამცველის/არასამთავრობო ორგანიზაციების, ყოველწლიურ დასკვნებში ასახული პოზიტიური დინამიკა;

საქმიანობა 9.1.3.1. წლის განმავლობაში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რატიფიცირებული მინიმუმ 3 კონვენციის მოთხოვნების შეფასების და საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის ანალიზი მათი პრაქტიკაში ეფექტურად განხორციელების მიზნით;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის შემადგენლობაში შემავალი სამთავრობო უწყებები;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა და კვლავ გრძელდება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რატიფიცირებული კონვენციების მოთხოვნების შეფასების ანალიზი.

საქმიანობა 9.1.3.2. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის არარატიფიცირებული N81, N129, N155, N176, N183, N102, N156 კონვენციების მოთხოვნების შეფასების და საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის ანალიზის საფუძველზე მათი რატიფიცირების მიზანშეწონილობის განხილვა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის შემადგენლობაში შემავალი სამთავრობო უწყებები;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფი განიხილავდა კონვენციების მიზანშეწონილობის საკითხს.

საქმიანობა 9.1.3.3. ევროპის საბჭოსათვის, ქარტიის მოთხოვნების შეფასების და საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის ანალიზი;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის შემადგენლობაში შემავალი სამთავრობო უწყებები;

შესრულების სტატუსი: არ დაწყებულა.

ევროპის სოციალური ქარტიის მოთხოვნების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის ანალიზი, ისევე როგორც არარატიფიცირებული მუხლების/პუნქტების რატიფიცირების მიზანშეწონილობის განხილვა დაგეგმილია 2020 წელს.

საქმიანობა 9.1.3.4. ევროპის სოციალური ქარტიის არარატიფიცირებული მუხლების/პუნქტების რატიფიცირების მიზანშეწონილობის განხილვა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის შემადგენლობაში შემავალი სამთავრობო უწყებები;

შესრულების სტატუსი: არ დაწყებულა.

ევროპის სოციალური ქარტიის მოთხოვნების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის ანალიზი, ისევე როგორც არარატიფიცირებული მუხლების/პუნქტების რატიფიცირების მიზანშეწონილობის განხილვა დაგეგმილია 2020 წელს.

ამოცანა: 9.1.4. შრომითი უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით შრომითი მედიაციის წარმოების პროცესის სრულყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: მედიაციის საშუალებით წარმოებული კოლექტიური შრომითი დავების რაოდენობა მორიგების შემთხვევების დინამიკის ჩათვლით; მედიატორთა ტრენინგების რაოდენობა; მედიაციის შედეგად მიღებული შეთანხმებების აღსრულების მზარდი მაჩვენებელი; მომზადებული კოლექტიური შრომითი დავების განვითარების ხედვის დოკუმენტი; კოლექტიური შრომითი დავების მედიაციის მექანიზმის განვითარების ხედვით განსაზღვრულ საკითხებზე მომზადებული წინადადებები და ინიცირებული ცვლილებები;

საქმიანობა 9.1.4.1. კოლექტიური შრომითი დავების მედიაციის მექანიზმის განვითარების ხედვით განსაზღვრული საკითხების განხილვა და შესაბამისი ცვლილებების განხორციელება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის შემადგენლობაში შემავალი სამთავრობო უწყებები;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

საანგარიშო პერიოდში ადგილი ჰქონდა 10 მომართვას შრომითი მედიატორის დანიშვნის შესახებ. 9 მათგანზე მიმდინარეობდა მედიაციის პროცესი. 6 მათგანი დასრულდა შეთანხმების გარეშე, 2 დავა დასრულდა შეთანხმებით, ხოლო ერთი დავა ამჟამად მიმდინარეობს. 2019 წლის აპრილში, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ჩატარდა პირველი სერტიფიცირებული (საერთაშორისო) ტრენინგი შრომითი მედიატორებისთვის საერთაშორისო სასწავლო ცენტრის- ITC/ILO- ტრენერების მონაწილეობით. მიმდინარეობს მუშაობა განვითარების ხედვის ჩამოყალიბებაზე.

საქმიანობა 9.1.4.2. კოლექტიური შრომითი დავების მედიაციის მექანიზმის განვითარების ხედვით განსაზღვრული საკითხების განხილვა და შესაბამისი ცვლილებების განხორციელება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის შემადგენლობაში შემავალი სამთავრობო უწყებები;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა და კვლავ გრძელდება მუშაობა განვითარების ხედვის ჩამოყალიბებაზე.

საქმიანობა 9.1.4.3. შრომითი დავების ეფექტურად მოგვარების მიზნით მართლმსაჯულებაზე დასაქმებულთა მისაწვდომობის გაძლიერების წინადადებების განხილვა და რეფორმის ხედვის შემუშავება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის შემადგენლობაში შემავალი სამთავრობო უწყებები;

შესრულების სტატუსი: არ დაწყებულა.

აღნიშნული აქტივობის განხორციელება იგეგმება 2020 წელს.

ამოცანა: 9.1.5. სოციალური დიალოგის განვითარება/გაძლიერება ცენტრალურ და რეგიონულ დონეზე;

ამოცანის ინდიკატორი: კოლექტიური ხელშეკრულებების (დასაქმებისა და შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმებით) რაოდენობის ზრდა; დამოუკიდებელი და ძლიერი დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ორგანიზაციები; გაფიცვებისა და ლოკაუტის რაოდენობების შემცირების დინამიკა; გაძლიერებული სოციალური პარტნიორობა და სოციალური დიალოგის დინამიკა; წლის განმავლობაში ჩატარებული სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის მინიმუმ 2 და სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მინიმუმ 4 შეხვედრა; კომისიის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები/დიალოგის შედეგად არსებული შედეგები;

საქმიანობა 9.1.5.1. სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის გაძლიერება, მათ შორის მისი სისტემატიზებული მუშაობის უზრუნველყოფის გზით; აჭარის რეგიონში სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის გაძლიერება, მათ შორის მისი სისტემატიზებული მუშაობის უზრუნველყოფის გზით; სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის პილოტირება საქართველოს სხვა რეგიონებში (მინიმუმ ერთი რეგიონი);

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის შემადგენლობაში შემავალი სამთავრობო უწყებები;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის 6 შეხვედრა. ასევე, სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის ერთი სხდომა. სხდომის მიზანი იყო შპს - „საქნახშირი ჯი აი ჯი ჯგუფი“-ს მმართველობაში არსებული ქ. ტყიბულის მინდელის სახელობის შახტაში შრომის უსაფრთხოების მიმართულებით არსებული მდგომარეობის შესწავლის შესახებ ანგარიშის მოსმენა. მხარეებმა მოიწონეს ანგარიში. 2019 წლის განმავლობაში ჩატარებული შეხვედრები ასევე დაეთმო სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის გადახედვას, შრომისა და დასაქმების სტრატეგიის პროექტს და სხვადასხვა აქტების, მათ შორის, მონიტორიან დანადგარებთან მუშაობისთვის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის პროექტებს.

2019 წლის განმავლობაში ჩატარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალური პარტნიორობის ტერიტორიული სამმხრივი კომისიის 3 სხდომა.

ამოცანა: 9.1.6. სამუშაო ძალის შრომითი მიგრაციის რეგულირება და მართვა, ლეგალური შრომითი მიგრაციის სქემების დანერგვა;

ამოცანის ინდიკატორი: გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა; საზღვარგარეთ და ქვეყნის შიგნით ლეგალური მიგრაციით დასაქმებულთა რაოდენობა;

საქმიანობა 9.1.6.1. შრომითი მიგრაციის სფეროში ქვეყანათაშორისი თანამშრომლობის გაძლიერება საერთაშორისო ხელშეკრულებების გაფორმების გზით;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2019 წლის 30 სექტემბერს, ხელი მოეწერა შეთანხმებას საქართველოს მთავრობასა და ბულგარეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის „შრომითი მიგრაციის რეგულირების შესახებ“. ამასთან, მიმდინარეობს მუშაობა რიგ ქვეყნებთან დროებითი შრომითი მიგრაციის სფეროში თანამშრომლობის შესაძლებლობების იდენტიფიცირებისთვის. ადგილობრივი დამსაქმებლების მიერ წარმოდგენილია 152 შევსებული შეტყობინების ფორმა შრომითი იმიგრანტების შრომითი მოწყობის შესახებ.

10. საკუთრების უფლების დაცვა

მიზანი: 10.1. საკუთრების უფლების დაცვის უზრუნველყოფა/ხელშეწყობა;

ამოცანა: 10.1.1. საკუთრების უფლების დაცვის ხელშეწყობის მიზნით სამართლებრივი ბაზის დახვეწა;

ამოცანის ინდიკატორი: სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ" საქართველოს კანონის ფარგლებში, საჯარო რეესტრში სპორადული წესით/სისტემური წესით რეგისტრირებულია უფლებების რაოდენობა; შექმნილია შესაბამისი მიწის ნაკვეთების საკადასტრო მონაცემთა ბაზა; შექმნილია მიწის მონიტორინგის და შეფასების სისტემა და შემუშავებულია და დამტკიცებულია მიწის სისტემური რეგისტრაციის ეროვნული სტრატეგია;

საქმიანობა 10.1.1.1. სახელმწიფო პროექტის ფარგლებში საჯარო რეესტრში სპორადული წესით უფლებების რეგისტრაცია/აღრიცხვა;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

მიწის რეგისტრაციის რეფორმა საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ და სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ დაიწყო 2016 წლის 1-ლი აგვისტოდან. რეფორმის ფარგლებში, მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის პროცედურა გამარტივდა, მოიხსნა ბარიერები, რომლებიც მესაკუთრეს ექმნებოდა, ხოლო რეგისტრაციის პროცედურა წახალისდა.

2019 წლის 11 დეკემბერს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ" კანონით დადგენილი შეღავათები და მოქალაქის ინტერესების დაცვაზე ორიენტირებული მთელი რიგი სხვა პროცედურები აღარ არის დროებითი და კანონის მუდმივმოქმედ ნორმებად გარდაიქმნა. ამდენად, რეფორმის ფარგლებში უფლებათა რეგისტრაცია მიმდინარეობდა 2019 წელსაც და გაგრძელდება სამომავლოდ. მიწაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნით სააგენტოს ყოველდღიურად წარედგინება 1500-დან 2000-მდე განცხადება, რეფორმის ფარგლებში, მისი დაწყებიდან 2020 წლის თებერვლის მდგომარეობით, უკვე რეგისტრირებულია 775 800-ზე მეტი მიწის ნაკვეთი. აქედან, 2019 წელს დარეგისტრირდა 232 100-ზე მეტი მიწის ნაკვეთი.

საქმიანობა 10.1.1.2. საპილოტო პროექტის ფარგლებში მიწის მონიტორინგის და შეფასების სისტემის შექმნა;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

მოქალაქეთათვის მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური რეგისტრაციისათვის გამარტივებული პროცედურების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, კანონის მოქმედების ვადა რამდენჯერმე გაგრძელდა, შესაბამისად, ის მოქმედებდა 2019 წელსაც. კანონის საბოლოო რედაქციის თანახმად, იგი აღარ არის დროებითი - გამარტივებული და მოქალაქის ინტერესზე მორგებული რეგულაციები მუდმივმოქმედ ნორმებად გარდაიქმნა.

საპილოტო პროექტის ფარგლებში 2019 წელს შექმნილია მიწის მონიტორინგის და შეფასების სისტემა. აღნიშნული სისტემის საფუძველზე მოხდება საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ საპილოტო არეალებში მდებარე მიწის ნაკვეთებზე უფლებათა რეგისტრაციისა და პროცედურების ეფექტიანობის, მათ შორის მიწის რეგისტრაციის რაოდენობრივი ზემოქმედების (მიწასთან დაკავშირებული ტრანზაქციების, დავების, განხორციელებული ინვესტიციების, მეურნეობების პროდუქტიულობისა და მომგებიანობის) შეფასება.

საქმიანობა 10.1.1.3. მიწის სისტემური რეგისტრაციის ეროვნული სტრატეგიის შემუშავება და დამტკიცება;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

როგორც აღინიშნა, „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების ვადა რამდენჯერმე გაგრძელდა. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა და საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო 2019 წლის 11 დეკემბერს. საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის პროცესი კიდევ უფრო გამარტივდა.
მსოფლიო ბანკის ჩართულობით, საერთაშორისო ექსპერტის მიერ, მომზადდა მიწის სისტემური რეგისტრაციის საპილოტო პროექტის შეფასების საბოლოო ანგარიში. დოკუმენტში ასახულია რეკომენდაციები მთელი ქვეყნის მასშტაბით მიწაზე უფლებების სისტემური რეგისტრაციის წესით

წარმოებისთვის, ასევე ინფორმაცია საჭირო ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შესახებ.

ამოცანა: 10.1.2. საკუთრების უფლების დაცვის უზრუნველსაყოფად, იურიდიულ პირთა რეგისტრაციასთან მიმართებით მაღალი სტანდარტების დანერგვა/ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: შექმნილია მაღალი ხარისხის მონაცემთა ელექტრონული ბაზები; დამუშავებული და სისტემატიზებულია ელექტრონული მონაცემები; უზრუნველყოფილია სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ადგილმდებარეობის საჯაროობა;

საქმიანობა 10.1.2.1. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციას დაქვემდებარებული იურიდიული პირების სარეგისტრაციო დოკუმენტაციის სისტემატიზაცია, შესწავლა და მათი ელექტრონული რეესტრის მონაცემებთან შედარება, აღმოჩენილი უზუსტო/ხარვეზიანი ელექტრონული ჩანაწერის დოკუმენტაციასთან შესაბამისობაში მოყვანა, არქივში დაცული სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ადგილმდებარეობის განსაზღვრა და მათი გაციფრება/საჯაროდ ხელმისაწვდომობა;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

საქმიანობა მოიცავს როგორც იურიდიულ პირთა სარეგისტრაციო დოკუმენტაციის შესწავლასა და დამუშავებას, ისე დოკუმენტაციის გაციფრებას (სკანირებას) და სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე განთავსებას. დოკუმენტაციის შესწავლისა და დამუშავების შედეგად, სისტემატიზირებულია და ელექტრონული რეესტრის მონაცემებთან შესაბამისობაშია მოყვანილი საქმის 49%. დოკუმენტაციის გაციფრების (სკანირების) შედეგად, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ვებგვერდზე განთავსდა და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია სუბიექტთა სარეგისტრაციო დოკუმენტაციის 100%. შესაბამისად, ჯამში 2019 წლის მდგომარეობით, შესრულებულია აქტივობის 74.5%.

11. ეკოლოგიური უფლებები

მიზანი: 11.1. ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი გარანტიების განმტკიცება გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესის საჯაროობის მექანიზმების გაუმჯობესებით და გარემოსდაცვით სფეროში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის საერთაშორისო სამართლებრივი კრიტერიუმების დანერგვით, აგრეთვე გარემოსდაცვით საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;

ამოცანა: 11.1.1. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესის საჯაროობის და ამ პროცესში საზოგადოების მონაწილეობის მექანიზმების გაუმჯობესება საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების შესაბამისად;

ამოცანის ინდიკატორი: გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილე საზოგადოების წარმომადგენლების გაზრდილი რაოდენობა; "გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" საფუძველზე გამართული საჯარო განხილვების გაზრდილი რაოდენობა;

საქმიანობა 11.1.1.1. "გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში" მოცემული გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებული დებულებების ეფექტიანი განხორციელება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2018 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედებული ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი" ითვალისწინებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საჯარო განხილვების ჩატარებას საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, რაც მანამდე მოქმედი კანონმდებლობით, საქმიანობის განმახორციელებლის ვალდებულებას წარმოადგენდა. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების ეტაპი ორ ნაწილად გაიყო - სკოპინგის და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის ეტაპები. ორივე ეტაპზე ტარდება საჯარო განხილვა, რაც თავისთავად ზრდის საზოგადოების გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის დონეს.

კოდექსით ასევე გაიზარდა საქმიანობების რაოდენობა, რომლებიც ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას ან სკრინინგის პროცედურის (განსაზღვრავს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების საჭიროებას) გავლის შემდგომ, შესაძლოა დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. 2018 წლის 1 იანვრიდან სკრინინგის გადაწყვეტილების, სკოპინგის დასკვნის და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით სამინისტროში წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ასევე, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია თავსდება სამინისტროს ვებგვერდზე და ეგზავნება შესაბამის მუნიციპალიტეტ(ებ)ს საინფორმაციო დაფაზე განთავსების

მიზნით. მოთხოვნის შემთხვევაში, სამინისტრო და შესაბამისი მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს აღნიშნული დოკუმენტების ნაბეჭდი ეგზემპლარების ან ელექტრონული ვერსიების ხელმისაწვდომობას. საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია ასევე ქვეყნდება ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილას. მოსაზრებების და შენიშვნების წარმოდგენა ხდება როგორც წერილობით, ასევე ზეპირად, საჯარო განხილვის დროს. სამინისტრო იხილავს ყველა შენიშვნას/მოსაზრებას და საზოგადოების მონაწილეობის შედეგებს ასახავს გადაწყვეტილებებში. სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ასევე ქვეყნდება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ეგზავნება შესაბამის მუნიციპალიტეტს საინფორმაციო დაფაზე გამოქვეყნების მიზნით. გამომდინარე იქიდან, რომ სამინისტრო უზრუნველყოფს ოფიციალურ ვებგვერდსა და შესაბამისი მუნიციპალიტეტის საინფორმაციო დაფაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით განცხადებების კანონმდებლობით დადგენილ ვადებში განთავსებასა და საზოგადოებისგან შენიშვნების მიღებას, გაიზარდა საზოგადოების ინფორმირების დონე.

საჯარო განხილვების ორგანიზებას და ჩატარებას უზრუნველყოფს სამინისტრო, როგორც გარემოზე ზემოქმედების შეფასების სკოპინგის ანგარიშის და გზშ-ის ანგარიშის განხილვის ეტაპზე. საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს სამინისტროს მიერ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება, თუ მიიჩნევს, რომ სამინისტრომ არ უზრუნველყო გადაწყვეტილების მიღების პროცესში მისი მონაწილეობა ან სხვაგვარად დაარღვია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.
გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე ჩატარებული საჯარო განხილვების რაოდენობა:

- 2018 წელი - 31 საჯარო განხილვა; საჯარო განხილვაზე დამსწრეთა რაოდენობა დაახლოებით - 550;
- 2019 წელი - 82 საჯარო განხილვა; საჯარო განხილვაზე დამსწრეთა რაოდენობა დაახლოებით -700;

სკოპინგის დასკვნის გაცემის ადმინისტრაციულ ეტაპზე ჩატარებული საჯარო განხილვების რაოდენობა:

- 2018 წელი - 60; საჯარო განხილვაზე დამსწრეთა რაოდენობა დაახლოებით - 920;
- 2019 წელი - 188; საჯარო განხილვაზე დამსწრეთა რაოდენობა დაახლოებით -2500;

2018 წლის პირველი ივლისიდან ამოქმედებული სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ფარგლებში 2018 წელს გაიცა ერთი, ხოლო 2019 წელს 3 სკრინინგის გადაწყვეტილება; ამასთან, 2019 წელს სამინისტროს მიერ გაიცა 3 სკოპინგის დასკვნა. სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკრინინგისა და სკოპინგის პროცედურების თაობაზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია თავსდება სამინისტროს ვებგვერდზე და ეგზავნება შესაბამის მუნიციპალიტეტ(ებ)ს საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით.

საქმიანობა 11.1.1.2. „საჯარო განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ მინისტრის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის დამტკიცება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის №2-94 ბრძანებით, დამტკიცდა „საჯარო განხილვის წესი“, რომელიც ადგენს საჯარო განხილვის ჩატარების, მასში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ მიზნით შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის წესებს.

ამოცანა: 11.1.2. გარემოსდაცვით სფეროში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების შესაბამისად;

ამოცანის ინდიკატორი: გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით სასამართლოსთვის და ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვიანობის რაოდენობის ფარდობა გასული ერთი წლის მონაცემებთან მიმართებით;

საქმიანობა 11.1.2.1. ორჰუსის კონვენციის სტანდარტების დანერგვა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

ორჰუსის კონვენციის სტანდარტების დანერგვის მიზნით, მთელი საქართველოს მასშტაბით გაიმართა ტრენინგები "გარემოსდაცვითი დემოკრატია - ადამიანის უფლებები და ვალდებულებები". ტრენინგები მოიცავდა ორჰუსის კონვენციის მიხედვით გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის საკითხებს და ასევე გარემოსდაცვითი კონტროლის და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის საკითხებს. ტრენინგები ჩატარდა საქართველოს ყველა მხარეში, ასევე აჭარასა და თბილისში სახელმწიფო, ადგილობრივი არასამთავრობო და მედიის წარმომადგენლებისთვის. ტრენინგებში მონაწილეობდა 475 პირი. რაც შეეხება სამინისტროსთვის მომართვიანობას გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით - სამინისტრო უზრუნველყოფს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის მაქსიმალურ ხელმისაწვდომობას, რაც გულისხმობს ინფორმაციის პროაქტიულობასა და საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფას. საჯარო ინფორმაციის 100%-იანი მაჩვენებლით ხელმისაწვდომობისთვის, სამინისტრო 2017 და 2018 წლებში

დასახელდა ყველაზე ღია უწყებად და გადაეცა სიგელი. 2018 წელს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით მომართა 210 განმცხადებელმა. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, რეაგირება განხორციელდა ყველა განცხადებაზე. კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, სრულად დაკმაყოფილდა 204 განცხადება. ინფორმაცია ნაწილობრივ გაიცა 5 განმცხადებელზე, ხოლო დასაბუთებული უარი მიიღო 1 განმცხადებელმა.
2019 წელს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით მომართა 234 განმცხადებელმა: რეაგირება განხორციელდა ყველა განცხადებაზე. კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, სრულად დაკმაყოფილდა 219 განცხადება. ინფორმაცია ნაწილობრივ გაიცა 5 განცხადებაზე, ხოლო დასაბუთებული უარი მიიღო 2 განმცხადებელმა. 7 განცხადება კომპეტენციის ფარგლებში განსახილველად გადაეგზავნა შესაბამის უწყებას. ერთ შემთხვევაში განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი განცხადება იყო ბუნდოვანი, შესაბამისად, მას გაეგზავნა წერილი ინფორმაციის დაზუსტების შესახებ, თუმცა განმეორებითი მოთხოვნა არ წარმოუდგენია.

2 შემთხვევაში უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, განმცხადებელმა ადმინისტრაციული წესით გაასაჩივრა სამინისტროში. ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება, სადაც მოწვეული იყო საჩივრის წარმდგენი. შედეგად, 1 ადმინისტრაციული საჩივარი დაკმაყოფილდა, ხოლო მეორე საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა თავად საჩივრის ავტორმა. სამინისტროს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით 2019 წელს ადმინისტრაციული საჩივრით მომართა 9 პირმა (7 საჩივარი -2018 წელს), ხოლო სასამართლო პროცესი გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებით გაიმართა 8 საქმეზე (16 პროცესი - 2018 წელს).

ამოცანა: 11.1.3. გარემოსდაცვით საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;

ამოცანის ინდიკატორი: გარემოსდაცვით საკითხებზე ჩატარებული 50 ტრენინგი/ლექცია-სემინარი; გარემოსდაცვით საკითხებში დატრენინგებული პირების გაზრდილი რაოდენობა; გარემოსდაცვითი თემატიკით სოციალურ მედიაში გავრცელებული საინფორმაციო-შემეცნებითი სიახლეების რაოდენობა;

საქმიანობა 11.1.3.1. გარემოსდაცვითი საგანმანათლებლო პროგრამების და ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების განხორციელება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2019 წელს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ გარემოსდაცვით საკითხებზე გაიმართა 66 ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობდა 1953 პირი, მათ შორის, სამინისტროს სისტემაში დასაქმებული 158 პირი, ხოლო დაინტერესებული საზოგადოება - 1795 პირი. ასევე, გაიმართა გარემოსდაცვითი ცნობიერების დონის ასამაღლებელი 35 ლექცია-სემინარი, რომელსაც ესწრებოდა 1402 მოსწავლე, სტუდენტი და მასწავლებელი.

გარემოსდაცვითი თემატიკით სოციალურ მედიაში გავრცელდა 474 საინფორმაციო-შემეცნებითი სიახლე. ამასთან, უშუალოდ სამინისტროს მიერ, ოფიციალურ ვებ-გვერდსა და ფეისბუქ გვერდზე ყოველდღიურად ვრცელდება ინფორმაცია სამინისტროს მიმდინარე, განხორციელებული თუ დაგეგმილი საქმიანობისა და აქტივობების შესახებ, მათ შორის, გარემოსდაცვითი მიმართულებით, წლის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებები იმართება გარემოსდაცვითი მწვანე დღეების აღსანიშნავად, რის შესახებაც საზოგადოების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება ხდება სოციალური ქსელებისა და სატელევიზიო გადაცემების საშუალებებით.

12. გენდერული თანასწორობა და ქალთა გაძლიერება

პასუხისმგებელი უწყება: სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი ყველა უწყება.

- მოქმედების სფერო - ქალთა ეკონომიკური გაძლიერება
- მოქმედების სფერო - გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ჯანმრთელობის სფეროში
- მოქმედების სფერო - ქალებისა და გოგონების მიმართ საზიანო პრაქტიკებთან ბრძოლა
- მოქმედების სფერო - გენდერული თანასწორობა განათლების სფეროში

მიზანი: 12.1. გენდერული თანასწორობის ეროვნული მექანიზმების გაძლიერება ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე;

ამოცანა: 12.1.2. გენდერული თანასწორობის ადგილობრივი მექანიზმების ჩამოყალიბება და გაძლიერება;

ამოცანის ინდიკატორი: გენდერული თანასწორობის საკითხებში მრჩევლის არსებობა ყველა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ რგოლში შესაბამისი ფუნქციებითა და უფლებამოსილებით;

საქმიანობა 12.1.2.1. მუნიციპალიტეტების აღმასრულებელ რგოლში გენდერული თანასწორობის საკითხებში მრჩევლის დანიშვნა, მისი ფუნქციებისა და უფლებამოსილების განმსაზღვრელი დოკუმენტის შემუშავება;

პასუხისმგებელი უწყება: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია;

პარტნიორი უწყება: ეთხოვოს საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს; ეთხოვოს მუნიციპალიტეტებს; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები ყოველწლიურად მონაწილეობას იღებენ ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის არსებული მექანიზმების წარმომადგენლების მონაწილეობით ორგანიზებულ სხვადასხვა ტიპის შეხვედრებში. 2019 წლის 11 სექტემბერს, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე სიტყვით გამოვიდა საქართველოს საკრებულოს წევრ ქალთა ფორუმის ყოველწლიურ კონფერენციაზე, სადაც მან ისაუბრა ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის მნიშვნელობაზე ადგილობრივ თვითმმართველობასა და ცენტრალურ ხელისუფლებაში. სიტყვით გამოსვლისას თავმჯდომარემ ისაუბრა ასევე ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით საბჭოს მიერ განხორცილებულ საქმიანობაზე, სექსუალური შევიწროების შესახებ განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებსა და შრომის კოდექსის რეფორმის ფარგლებში განსახორციელებელ ცვლილებებზე. გენდერული თანასწორობის საბჭო გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, 2019 წლის 20 ნოემბერს გეგმავდა ყოველწლიური კონფერენციის ჩატარებას - „გენდერული თანასწორობა ადგილობრივ დონეზე: პოლიტიკიდან პრაქტიკამდე“. თუმცა, იმ დროისათვის არსებული ობიექტური გარემოებების გამო კონფერენციის ჩატარება რამდენიმე დღით ადრე გაუქმდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გენდერული თანასწორობის საბჭოს როლი გენდერული თანასწორობის ადგილობრივი მექანიზმების ჩამოყალიბების პროცესში შემოიფარგლება სხვადასხვა ტიპის ყოველწლიური ღონისძიებების ჩატარებით, რომელიც მიზნად ისახავს გამოავლინოს ადგილობრივ დონეზე არსებული გენდერული თანასწორობის კუთხით არსებული გამოწვევები და ამავე დროს, საბჭოს მხრიდან მოხდეს ინფორმაციის გაზიარები განხორციელებული საქმიანობისა და სამომავლო პრიორიტეტების შესახებ. საბჭო ასევე აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ დონეზე არსებულ მექანიზმებთან თემატური მოკვლევების ჩატარების პროცესში, ხდება მათთან შეხვედრების ორგანიზება როგორც მოკვლევის ჩატარების პროცესში, ასევე, ადგილი აქვს კვლევის შედეგების პრეზენტაციას შესაბამის რეგიონებში.

გენდერული თანასწორობის საკითებზე პასუხისმგებელი პირი განსაზღვრულია ყველა მუნიციპალიტეტში. 2019 წელს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით შემუშავდა გზამკვლევი - "პრაქტიკული რჩევები ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისათვის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების პროცესში." აღნიშნული დოკუმენტის დანართად მუნიციპალიტეტებისთვის წარმოდგენილია გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო აღწერილობის ნიმუში.

მიზანი: 12.2. სახელმწიფო პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის პრინციპების ინტეგრირება;

ამოცანა: 12.2.1. საჭიროებების გამოვლენა და სახელმწიფო უწყებების გაძლიერება გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად;

ამოცანის ინდიკატორი: საპილოტე პროექტის სახით, განხორციელებულია წელიწადში მინიმუმ ერთი დოკუმენტის გენდერული გავლენის შეფასება; გენდერული თანასწორობის სამწლიანი ოპერაციული სამოქმედო გეგმა შემუშავებულია;

საქმიანობა 12.2.1.1. თითოეულ უწყებაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გენდერული შეფასების განხორციელება ადამიანური რესურსებისა და არსებული პრაქტიკის შესაფასებლად, გენდერული შეფასების შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების მომზადება;

პასუხისმგებელი უწყება: სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი ყველა უწყება, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია;

შესრულების სტატუსი: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - არ დაწყებულა; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო - მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო - განხორციელდა.

საქართველოს პარლამენტმა „ღია პარლამენტის“ მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში აიღო ვალდებულება დანერგოს საპარლამენტთაშორისო კავშირის (IPU) მიერ შემუშავებული პარლამენტის თვითშეფასების ინსტრუმენტი. ეს ინსტრუმენტი საკანონმდებლო ორგანოებს შესაძლებლობას აძლევს შეაფასონ თავიანთი საქმიანობა უმთავრესი დემოკრატიული ღირებულებების მიხედვით. 2018 წლის 11-12 ივნისს თბილისში გაიმართა პარლამენტის თვითშეფასების სამუშაო შეხვედრა. თვითშეფასების ინსტრუმენტი პარლამენტთაშორისი საერთაშორისო კავშირის (IPU) მეთოდოლოგიას ეყრდნობა და საქართველოს კონტექსტზეა ადაპტირებული. პარლამენტის თვითშეფასების ნაწილია მისი გენდერული თვითშეფასების პროცესი, რომლის განხორციელებასაც გენდერული თანასწორობის საპარლამენტო საბჭოს 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს. თვითშეფასების სამუშაო შეხვედრამდე, ადგილობრივ კონტექსტზე ადაპტირდა მეთოდოლოგიის კითხვარი და პარლამენტის წევრებსა და აპარატის თანამშრომლებს მიეცათ შესაძლებლობა ელექტრონული კითხვარის საშუალებით შეეფასებინათ პარლამენტი. 2018 წლის ბოლოს დასრულდა მუშაობა პარლამენტის თვითშეფასების ანგარიშზე, რომელიც მოიცავს გენდერულ თვითშეფასებასაც და განთავსებულია პარლამენტის ვებგვერდზე.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ცნობიერების ამაღლების მიზნით იგეგმება თანამშრომელთათვის გენდერული თანასწორობის პრინციპების გაცნობა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, მოწვეული ექსპერტის ჩართულობით, გენდერული თანასწორობისა და სოციალური ინკლუზიის კომპონენტთან დაკავშირებით, შემუშავდა სამუშაოს შეფასებისა და მისი განხორციელების გზამკვლევის რეკომენდაციები, რაც ხელს შეუწყობს თანამშრომლებს უწყების გენდერული თანასწორობისა და სოციალური ინკლუზიის პოლიტიკის უკეთ გააზრებაში, ასევე მომავალში დაეხმარება ამ მიმართულებით უფრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმაში. 2019 წელს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ შეიმუშავა სამინისტროს თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტის რეკომენდაციების შესრულების ანგარიში.

საქმიანობა 12.2.1.2. გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე პირის განსაზღვრა;

პასუხისმგებელი უწყება: სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი ყველა უწყება, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ განისაზღვრა გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე პირი - ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და ანალიზის სამმართველოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში განისაზღვრა გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე პირი - ექსპერტულ დონეზე, ასევე ჩამოყალიბდა შიდა სამუშაო ჯგუფი, სხვადასხვა მიმართულებებით - შესაბამისი დეპარტამენტების წარმომადგენელთაგან. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის ბრძანებით სამინისტროში განსაზღვრულია გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი.

ამოცანა: 12.2.2. გენდერული ანალიზის დანერგვა და ანგარიშვალდებულების მექანიზმის განსაზღვრა;

ამოცანის ინდიკატორი: საპილოტე პროექტის სახით, განხორციელებულია წელიწადში მინიმუმ ერთი დოკუმენტის გენდერული გავლენის შეფასება; ყველა კანონპროექტის, წარდგენისას წარმოდგენილია გენდერული გავლენის შეფასების ანგარიში; გენდერული თანასწორობის სამწლიანი ოპერაციული სამოქმედო გეგმა შემუშავებულია;

საქმიანობა 12.2.2.1. კანონპროექტებისა და პოლიტიკის დოკუმენტების გენდერული გავლენის შეფასების პილოტირება;

პასუხისმგებელი უწყება: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია;

პარტნიორი უწყება: საქართველოს სამინისტროები;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს თანამშრომლებისგან დაკომპლექტებული გენდერული გავლენის შეფასების ჯგუფის მიერ განხორციელდა გენდერული გავლენის შეფასება "საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ" კანონის ცვლილების პროექტზე.

საქმიანობა 12.2.2.2. გენდერული თანასწორობის შიდა უწყებრივი დოკუმენტის შემუშავება მასში შესაბამისი ანგარიშვალდებულების მექანიზმის ინტეგრირებით;

პასუხისმგებელი უწყება: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია;

პარტნიორი უწყება: საქართველოს სამინისტროები;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

უწყებათაშორისი კომისიის მიერ შესაბამისი უწყებების, მათ შორის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ჩართულობით შემუშავებულია გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის ინსტიტუციური განვითარების სამოქმედო გეგმის პროექტი. აღნიშნული სამოქმედო გეგმის პროექტში განსაზღვრული ვალდებულებების შესაბამისად, საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროში შემუშავებულია შიდა უწყებრივი დოკუმენტი - გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის პროექტი.

ამოცანა: 12.2.3. გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების დამუშავება;

ამოცანის ინდიკატორი: არსებობს სტატისტიკური ინფორმაციის გენდერულად სეგრეგირებული შეგროვების ერთიანი სტანდარტი; სამინისტროების მიერ ყოველწლიურად სტატისტიკის ეროვნული სამსახურისთვის უწყების ფარგლებში დასაქმებულთა გენდერულად სეგრეგირებული მონაცემები მიწოდებულია;

საქმიანობა 12.2.3.1. სამინისტროების მიერ კომპეტენციის ფარგლებში, სისტემის ფარგლებში, სტატისტიკური ინფორმაციის გენდერულად სეგრეგირებული შეგროვების ერთიანი სტანდარტის შექმნა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს სამინისტროები, სსიპ - სტატისტიკის ეროვნული სამსახური;

შესრულების სტატუსი: სსიპ - სტატისტიკის ეროვნული სამსახური - მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო - განხორციელდა; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

სსიპ - სტატისტიკის ეროვნული სამსახური მოიაზრება, როგორც გენდერულად სეგრეგირებული შეგროვების ერთიანი სტანდარტის შემუშავების შემდეგ მონაცემების მიმღები უწყება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქსტატი თავის კომპეტენციის ფარგლებში, განახორციელებს სამოქმედო გეგმით დაკისრებულ ფუნქციას - გენდერულად სეგრეგირებული შეგროვების ერთიანი სტანდარტის შემუშავების შემდეგ. საქსტატი, კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამის უწყებებს გაუწევს კონსულტაციას.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის თანამშრომელთა მონაცემები მუშავდება გენდერულ ჭრილში და ქვეყნდება პროაქტიულად, ასევე, ხორციელდება სხვადასხვა სტატისტიკის წარმოება (პროფესიულ მოხელეთა შეფასების სტატისტიკა, თანამდებობრივი სარგოების სტატისტიკა, პროფესიული განვითარების პროგრამებში მონაწილეობის სტატისტიკა, საავადმყოფო ფურცლით სარგებლობის სტატისტიკა, სამსახურში მიღებისა და გადინების სტატისტიკა) გენდერთან მიმართებაში. სისტემატურად განახლებული ინფორმაცია თავსდება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვებგვერდზე სამინისტროში დასაქმებულთა გენდერულად სეგრეგირებული სტატისტიკის შესახებ.

საქმიანობა 12.2.3.2. სამინისტროების მიერ ყოველწლიურად სტატისტიკის ეროვნული სამსახურისთვის უწყების ფარგლებში დასაქმებულთა გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების მიწოდება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს სამინისტროები, სსიპ - სტატისტიკის ეროვნული სამსახური;

შესრულების სტატუსი: სსიპ - სტატისტიკის ეროვნული სამსახური - მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო - განხორციელდა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, შესაბამისი მონაცემები იგზავნება საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ რეგულარულად ხდება გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების დამუშავება და მოთხოვნის შესაბამისად, აღნიშნული მონაცემების დაინტერესებული უწყებებისთვის მიწოდება. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ საქსტატს გაეგზავნა უწყებაში დასაქმებულთა გენდერულად სეგრეგირებული 2019 წლის სტატისტიკა.

ამოცანა: 12.2.4. ბიუჯეტის ფორმირების პროცესში გენდერული თანასწორობის პრინციპების გათვალისწინება;

ამოცანის ინდიკატორი: გენდერული გავლენის შეფასების ანგარიში მომზადებულია და რეკომენდაციები ინტეგრირებულია ბიუჯეტის კანონპროექტში;

საქმიანობა 12.2.4.1. შესაძლებლობების ფარგლებში, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ 2019 და 2020 წლების კანონპროექტების გენდერული ანალიზი (მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი), რეკომენდაციების მომზადება და ინტეგრირება საბოლოო დოკუმენტებში;

პასუხისმგებელი უწყება: სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი ყველა უწყება;

პარტნიორი უწყება: ეთხოვოს საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისს;

შესრულების სტატუსი: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო - მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ მომზადდა სახელმწიფო ბიუჯეტის გენდერული ანალიზი, რომლის მომზადების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა როგორც აღნიშნული, ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2018-2020), ასევე

"საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა". გენდერული ანალიზისას დოკუმენტალურ საფუძვლებად გამოყენებულ იქნა: „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი და მისი თანდართული მასალები; „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი და მისი თანდართული მასალები; დოკუმენტის ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ანალიზისას ასევე გამოყენებულ იქნა პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ შემუშავებული გენდერული მნიშვნელოვნების ინდექსი.[8]

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ წინასწარ, ბიუჯეტის ფორმირების პროცესში კონკრეტული მუხლების სახით არ გაწერილა, თუმცა ბიუჯეტის შესრულების კუთხით გაიხარჯა გარკვეული რესურსი (სამინისტროს სასწავლო ცენტრში ჩატარებული სპეციალური ტრენინგი, გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან თანამშრომლობით შემუშავდა გზამკვლევი სამშვიდობო მოლაპარაკებებში ქალთა ჩართულობაზე, ასევე მიმდინარეობს ტრენერთა ტრენინგი).

მიზანი: 12.6. შრომის ბაზარზე ქალთა მონაწილეობის გაზრდა და შრომით ურთიერთობებში გენდერული თანასწორობის დამკვიდრების ხელშეწყობა;

ამოცანა: 12.6.1. დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში გენდერული კრიტერიუმები ინტეგრირებულია; საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის სახელმძღვანელოს გენდერული მეინსტრიმინგი და გენდერზე პასუხისმგებელი პირების სამუშაო აღწერილობების დამუშავება განხორციელებულია; შესაბამისი დროებითი სპეციალური ღონისძიებები შემუშავებულია ; ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირთა შესაძლებლობები გაძლიერებულია;

საქმიანობა 12.6.1.1. შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის სტრატეგიისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის გენდერული მეინსტრიმინგი;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს მთავრობა;

შესრულების სტატუსი: პრობლემურია.

[8] იხ.: http://pbo.parliament.ge/media/k2/attachments/gender_budget_2018.pdf). დოკუმენტი განთავსდა პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ვებ-გვერდზე იხ.: http://pbo.parliament.ge/media/k2/attachments/saxelmcifo_biujetis_genderuli_analizi_2019.pdf.

დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამა მოიცავს შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის ზომებს, ხოლო აქტივობაში მითითებული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ვადა ამოიწურა 2018 წელს. რაც შეეხება დასაქმების ხელშეწყობის აღნიშნულ პროგრამას, მისი მიზნებიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ქალებისთვის დასაქმების ხელშეწყობის აქტივობებზე.

საქმიანობა 12.6.1.2. დროებითი სპეციალური ღონისძიებების შემუშავება ეთნიკური უმცირესობებისა და შშმ ქალების მეტი რაოდენობით დასაქმების მიზნით;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

2019 წელს სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს (შემდგომში - ბიურო), მიერ შშმ პირებისთვის ადაპტირდა ადმინისტრირებული ვებ-გვერდი - csb.gov.ge. კერძოდ, უსინათლო და მცირემხედველთათვის განკუთვნილია ვებგვერდის ადაპტირებული ვერსია სამი სხვადასხვა ფუნქციით: ხმოვანი, კონტრასტული და ზრდადი. ასევე, ეტაპობრივად მიმდინარეობს ბიუროს სხვა სერვისების ადაპტირებაც.

საქმიანობა 12.6.1.3. საჯარო დაწესებულებებში ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირთა გენდერული ტრეინინგი;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს სამინისტროები;

შესრულების სტატუსი: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - არ დაწყებულა; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - მიმდინარე - მეტწილად შესრულდა; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო - განხორციელდა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გენდერული ტრენინგი დაგეგმილია მიმდინარე წელს. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან ერთად ჩაატარა სააგენტოს გენდერული აუდიტი და შეიმუშავა სამოქმედო გეგმა. გენდერული აუდიტის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუები სააგენტოს ყველა თანამშრომელთან ასევე ჩატარდა 2 სემინარი გენდერულ თემაზე და სექსუალური შევიწროების და მსხვერპლზე ფოკუსირებული გამოძიების მექანიზმის გამოყენებაზე. მიმდინარე ეტაპზე დაგეგმილია საჭიროებებზე მორგებული სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია, ამ პროცესზე UN Women-მა გამოყო კონსულტანტი.

2019 წელს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ არაერთი ტრენინგ კურსი ჩატარდა, რომლებიც გენდერული ნიშნით, ასევე, სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას შეეხებოდა. აღნიშნულ თემაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთათვის

ტრენინგების ჩატარებას სამინისტრო, სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, სისტემატურად ახორციელებს. ტრენინგების ფარგლებში განხილულია გენდერული დისკრიმინაციის ნიშნითა და სექსუალური ძალადობის საკითხები.

2019 წლის 28-30 იანვარს, აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების დეპარტამენტის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი "ტრენერთა ტრენინგი გენდერული თანასწორობა და მეინსტრიმინგი". ასევე, 2019 წლის 22-25 ნოემბერს სამინისტროს თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი „ადამიანის უფლებების დაცვა და ეკონომიკური თანასწორობა".

ამოცანა: 12.6.2. პროფესიული განვითარების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: მიმდინარეობს კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებებში მონაწილეთა გენდერულად სეგრეგირებული სტატისტიკის ყოველწლიური წარმოება; შემუშავებულია სასწავლო კურსები/მოდულები; ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები/გოგონებისათვის ჩატარებულია პროფესიული გადამზადებისა და უნარ-ჩვევების გასაძლიერებელი ღონისძიებები;

საქმიანობა 12.6.2.1. არსებული შესაძლებლობების ფარგლებში, დასაქმებულთა თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებსა და ტრეინინგებში;

პასუხისმგებელი უწყება: სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი ყველა უწყება;

შესრულების სტატუსი: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - მიმდინარე - მეტწილად შესრულდა; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო - განხორციელდა.

2019 წლის იანვარში საბჭოს სხდომის ფარგლებში, პრიორიტეტად დასახელდა ქალთა ეკონომიკური გაძლიერება; საბჭოს ახალი საკონტროლო ფუნქცია არის თემატური მოკვლევის ჯგუფის შექმნა. მარტის დასაწყისში ორი თემატური მოკვლევის ჯგუფის ჩამოყალიბება შემდეგ თემებზე - „სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობა“ და „პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის“. მოკვლევის შედეგების თანახმად, სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალების მონაწილეობის დაბალი მაჩვენებლის მიზეზი კომპლექსური პრობლემებია, კერძოდ გამოიკვეთა სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც ქალებს პროგრამებამდე მისვლაში უშლის ხელს და ასევე პრობლემები, რომლებიც უშუალოდ პროგრამების დიზაინსა და განხორციელების მეთოდებს უკავშირდება. ამ მიმართულებით საბჭომ შეიმუშავა შესაბამისი რეკომენდაციები, რომლებიც დაყოფილია ორ ნაწილად: 1. ზოგადი რეკომენდაციები, რომლებიც სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტის ცვლილებაზეა მიმართული და რომელთაც სხვადასხვა ადრესატი ჰყავს; 2. სპეციფიური

რეკომენდაციები, რომლებიც კონკრეტულად მოკვლევის პროცესში ჩართულ სააგენტოებზეა მიმართული. აღნიშნული დასკვნა (ანგარიში) 2019 წლის 12 ივნისში წარედგინა პარლამენტის ბიუროს.

"პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის" თემატური მოკვლევის ჯგუფის ანგარიშის თანახმად, თემატური მოკვლევის ფარგლებში არ გამოვლენილა ძირეული საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროება, რაც პროფესიული განათლების ქალებისთვის ხელმისაწვდომობას გაზრდიდა. როგორც ჯგუფის ანგარიშშია მითითებული, პროფესიული განათლებისა და გადამზადების ხელმისაწვდომობის კუთხით ქალებისთვის უმთავრესი დაბრკოლება პროფესიული სასწავლებლების სიმცირეა. პრობლემურია შემდეგი საკითხები: პროფესიული განათლების უახლოეს დაწესებულებამდე მგზავრობა, ასევე საცხოვრებელი ადგილის, თუნდაც, რამდენიმე თვიანი ცვლილება ბევრი გოგოსა და ქალისთვის არის დაბრკოლება, რადგან ოჯახებისთვის ნაკლებ სასიამოვნოა მათი საერთო საცხოვრებლებში ცხოვრებაც, ასევე არის ინფრასტრუქტურული პრობლემებიც; პროფესიული განათლების მიმართ საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები და დაბალი პრესტიჟი ქალებისთვის; პროფესიების გენდერული დაყოფა, ანუ „ქალური“ და „კაცური“ პროფესიების არსებობა, რომელშიც, ამავე დროს, ქალები შედარებით დაბალანაზღაურებად პროფესიებზე ირიცხებიან. აღნიშნული თემატური მოკვლევის რეკომენდაციები განკუთვნილია აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი უწყებებისთვის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვისა და პარლამენტისათვის. თემატური მოკვლევის ჯგუფის ანგარიში 2019 წლის 2 სექტემბერს წარედგინა ბიუროს. ორივე თემატური მოკვლევის ანგარიშები განხილულ იქნა საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მიმდინარე წლის 4 თებერვალს.

რაც შეეხება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ყველა თანამშრომელს აქვს თანაბარი შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს პროფესიული განვითარების პროგრამებში. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებებში და ტრენინგებში მონაწილეობის მისაღებად შეთავაზება ხდება ორივე სქესის თანამშრომელთათვის თანაბრად. ასევე, 2019 წელს იწარმოებოდა კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებებში, ტრენინგებში მონაწილეთა გენდერულად სეგრეგირებული სტატისტიკა.

საქმიანობა 12.6.2.2. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების/გოგონების პროფესიული გადამზადება და უნარ-ჩვევების გაძლიერება;

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებზე საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

პარტნიორი უწყება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემია;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებზე სახელმწიფო მინისტრის აპარატმა საანგარიშო პერიოდში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან თანამშრომლობით განახორციელა პროექტი "როგორ დავგეგმოთ და განვავითაროთ ბიზნესი" პანკისის ხეობაში მცხოვრები ქალებისთვის. პროექტი მიზნად ისახავდა ბიზნესის დაწყება/განვითარებისთვის საჭირო ცოდნის გაფართოებას და უნარ-ჩვევების გაძლიერებას. საუკეთესო 11 ბიზნეს პროექტი დაფინანსდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მიერ.

ამოცანა: 12.6.4 სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების პრევენცია და მასზე ეფექტიანი რეაგირება;

ამოცანის ინდიკატორი: საჯარო უწყებების თანამშრომელებს გავლილი აქვთ კურსი სექსუალური შევიწროების შესახებ; წელიწადში მინიმუმ ერთი ფართომასშტაბიანი კამპანია წარმოებულია; შეხვედრები/დისკუსიები საქართველოს ბიზნეს ასოციაციასა და კერძო კომპანიების წარმომადგენლებთან; ამ მიმართულებით საუკეთესო კომპანიები გამოვლენილი და დაჯილდოებულია;

საქმიანობა 12.6.4.1. ცნობიერებისა და ცოდნის ამაღლება ყველა საჯარო უწყებაში სექსუალური შევიწროების შესახებ;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

2018 წლის განმავლობაში, სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურომ, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით განახორციელა პროექტი - „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონსა და ანტიკორუფციულ მექანიზმებზე ცნობიერების ამაღლების გზით, საჯარო სამსახურის რეფორმის დანერგვის მხარდაჭერა“. პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგების ციკლი, რომელსაც საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული პირები დაესწრნენ. მონაწილეები გაეცნენ საქართველოს მთავრობის დადგენილებით „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესის განსაზღვრის შესახებ“ განსაზღვრულ რეგულაციებს სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროვების აღმოფხვრის შესახებ, ასევე, სექსუალური შევიწროების დაუშვებლობისა და ამგვარი ფაქტების მხილების შიდაუწყებრივ და ზოგად პროცედურებს. პროექტი 2019 წლის მარტში დასრულდა და სულ 528 პირი გადამზადდა.

საჯარო დაწესებულებებში სექსუალური შევიწროების შესახებ ცნობიერების ამაღლებისთვის, ამავე პროექტის ფარგლებში, მომზადდა ორი ანიმაციური რგოლი ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა „კეთილსინდისიერება საჯარო სამსახურში“ და „სექსუალური შევიწროება საჯარო სამსახურში“. აღნიშნული ანიმაციური რგოლების პრეზენტაცია გაიმართა 2018 წლის 19 დეკემბერს, ფართომასშტაბიან ღონისძიებაზე - „მოხელის დღე“, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ერთად, დაესწრნენ საქართველოს მთავრობის, საჯარო დაწესებულებების,

საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

გარდა ამისა, 2018 წლის ბოლოს, ბიუროს ოფიციალური წერილით, ყველა საჯარო დაწესებულებას დაეგზავნა ელექტრონული კურსის - „სექსუალური შევიწროვების აღმოფხვრა სამუშაო ადგილზე“ შესახებ ინფორმაცია და ეთხოვათ მონაწილეობის მიღება. კურსი გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) მიერ შემუშავდა, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და გაეროს კონვენციის „ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღკვეთის შესახებ (CEDAW)“ განსაზღვრებების შესაბამისად.

2019 წელს ბიურო კვლავ შეუერთდა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ სამთავრობო 16 დღიან კამპანიას, რომლის მთავარი თემაც სექსუალური შევიწროება იყო. შესაბამისად, სექსუალური შევიწროების ფენომენისა და კანონმდებლობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდისთვის, ბიურომ დაუგზავნა ოფიციალური წერილი ყველა საჯარო დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულს და მიაწოდა ინფორმაცია საჯარო დაწესებულებების მიერ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. გარდა აღნიშნულისა, სექსუალური შევიწროების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდისთვის, ბიურომ საჯარო დაწესებულებებს გაუზიარა ვიდეორგოლი, საჯარო სამსახურში სექსუალური შევიწროების შესახებ. ვიდეორგოლი მომზადდა საქართველოს ბიუროს მიერ, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის UK aid-ისა და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით.

საქმიანობა 12.6.4.2. ფართო საზოგადოებაში სექსუალური შევიწროების შესახებ ცნობიერების ამაღლება;

პასუხისმგებელი უწყება: ეთხოვოს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს;

პარტნიორი უწყება: ეთხოვოს გენდერული თანასწორობის საბჭოს; გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია;

შესრულების სტატუსი:

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი რეკომენდაციებს ან წინადადებებს უგზავნის სახელმწიფო უწყებებს, რომლებიც ვალდებულნი არიან განიხილონ ისინი და 20 დღის განმავლობაში წერილობით აცნობონ სახალხო დამცველს მათი განხილვის შედეგები. გაიზარდა სასამართლოსადმი მიმართვის ვადაც, კერძოდ ამ საკითხზე სარჩელით მიმართვა შესაძლებელია 3 თვის ნაცვლად 1 წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას დისკრიმინაციულად მიაჩნია. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განისაზღვრა საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების ცნება და დარღვევის შემთხვევაში დადგინდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. 2019 წლის 3 მაისს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ მომზადებული სექსუალური

შევიწროების რეგულირების კანონი. საბჭო აღნიშნულ კანონზე თვეების განმავლობაში მუშაობდა და გადიოდა კონსულტაციებს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან. 2019 წლის 23 მაისის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომაზე, განხილულ იქნა კანონის მიღების მნიშვნელობა და ის სამუშაო პროცესი, რომელიც გაწეულ იქნა ამ კუთხით. 2019 წლის განმავლობაში საბჭოს წევრებმა მონაწილეობა მიიღეს რეგიონალურ შეხვედრებში, რომლებიც მიზნად ისახავდა სექსუალური შევიწროების შესახებ მიღებული რეგულაციების თაობაზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას. აღნიშნული ტიპის შეხვედრები დაგეგმილია ასევე 2020 წლის განმავლობაში.

2019 წელს სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა სექსუალური შევიწროების შესახებ შეხვედრა ჩაატარეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 110 და ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების 150 წარმომადგენელთან, საჯარო სკოლების 25 მასწავლებელთან, შრომის ინსპექტორებთან, დამსაქმებელთა ასოციაციის, პროფესიული კავშირების და სხვადასხვა საჯარო უწყებების 80 თანამშრომელთან.

საქმიანობა 12.6.4.3. სექსუალური შევიწროებისა და მასზე რეაგირებისთვის შიდა პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების წახალისება კერძო სექტორში;

პასუხისმგებელი უწყება: ეთხოვოს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს;

პარტნიორი უწყება: ეთხოვოს გენდერული თანასწორობის საბჭოს; გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია;

შესრულების სტატუსი:

2019 წელს საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა კერძო სექტორში სექსუალური შევიწროებისა და მასზე რეაგირებისთვის შიდა პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების შესახებ ტრენინგი ჩაუტარეს შრომის ინსპექტორებს, დამსაქმებელთა ასოციაციის და პროფესიული კავშირების წარმომადგენლებს.

მიზანი: 12.7. ქალთა აუნაზღაურებელი შრომის აღიარება, შემცირება და რედისტრიბუცია;

ამოცანა: 12.7.2. სოფლად მცხოვრები მოსახლეობის უზრუნველყოფა სასმელი წყლით, ინფრასტრუქტურული და სატრანსპორტო სერვისებით;

ამოცანის ინდიკატორი: საჭიროებების კვლევა განხორციელებულია, პროექტის ღირებულების შეფასებულია, პროექტის ხუთწლიანი განრიგი შემუშავებულია;

საქმიანობა 12.7.2.1. სოფლად მცხოვრები მოსახლეობის უზრუნველყოფა სასმელი წყლით, ელექტროენერგიით, გაზმომარაგებით, გზითა და საჯარო ტრანსპორტით;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; შპს „გაზის ტრანსპორტირების კომპანია"; ეთხოვოს მუნიციპალიტეტებს;

პარტნიორი უწყება: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - მიმდინარე - მეტწილად შესრულდა; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრქტურის სამინისტრო - განხორციელდა.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 აპრილის №791 განკარგულებით დამტკიცდა საქართველოს რეგიონების გაზიფიცირების 2019-2021წწ გეგმა. განკარგულების მე-9 პუნქტის შესაბამისად, მომზადდა წინადადებები და გეგმაში შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 17 ოქტომბრის N2193 განკარგულებით, რაც ითვალისწინებს დამატებით სამუშაოებს. კერძოდ, გეგმის ფარგლებში სამი წლის განმავლობაში უნდა მოხდეს 295 დასახლებულ პუნქტში არსებული 73833 პოტენციური აბონენტის გაზიფიცირებისათვის საჭირო სამუშაოების განხორციელება. აღნიშნული სამუშაოებისათვის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 40 მილიონი ლარი, რაც ითვალისწინებდა 14894 აბონენტისთვის ბუნებრივი გაზის ქსელში ჩართვის შესაძლებლობის მიცემას. განკარგულების ფარგლებში, 2019 წლის მდგომარეობით 10199 აბონენტს მიეცა ბუნებრივი გაზის ქსელში ჩართვის შესაძლებლობა. გარდა ამისა, წლის დასაწყისში გაგრძელდა 2018 წლის გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები, რის შედეგადაც ბუნებრივ გაზზე წვდომა მიეცა 4764 აბონენტს. ჯამში 2019 წლის განმავლობაში ბუნებრივი გაზის მიწოდების სქელში ჩართვის საშუალება მიეცა 14963 პოტენციურ აბონენტს 61 დასახლებულ პუნქტში.

კონკრეტული წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით პასუხისმგებელი სამინისტროსთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში მოსახლეობის მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო, 2010 წლიდან ყოველწლიურად ხორციელდება ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების მაღალმთიანი სოფლების მუდმივად მაცხოვრები აბონენტების (დაახლოებით 5700 აბონენტი) მიერ იანვარი-მაისისა და ოქტომბერი-დეკემბრის პერიოდში მოხმარებული ბუნებრივი გაზის ღირებულების ანაზღაურება. პროგრამის ფარგლებში, 2019 წელს დაგეგმილი იყო 5700 აბონენტისთვის მოხმარებული ბუნებრივი გაზის ღირებულების ანაზღაურება, რისთვისაც ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 8,000 ათასი ლარი. 2019 წელს აღნიშნული სრულად განხორციელდა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა დაახლოებით 6 ათასი აბონენტის მიერ მოხმარებული 14 327 562 მ3 ბუნებრივი გაზის ღირებულება 8156.78 ათასი ლარის ოდენობით.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა ინფრასტრუქტურის სამინისტრომ რეგიონების განვითარების მიზნით არსებული ფონდებითა და პროგრამებით 2019 წელს 6774 ინფრასტრუქტურული პროექტი დააფინანსა, ესენია: საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 493 პროექტი; წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის მოწესრიგების 51 პროექტი; საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის 30 პროექტი; ასევე დაფინანსდა სპორტული ინფრასტრუქტურის, მუნიციპალური, კულტურის, საგანმანათლებლო, ჯანდაცვის ობიექტების ინფრასტრუქტურის

რეაბილიტაციის პროექტები, სანიაღვრეებისა და ნაპირსამაგრი სამუშაოების, სკვერებისა და ბაღების, ხიდების მოწყობის სამუშაოები. გარდა ამისა, სამინისტროს სისტემაში არსებულმა საავტომობილო გზების დეპარტამენტმა განახორციელა 195 პროექტი, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ -11 პროექტი, მუნიციპალური განვითარების ფონდმა -70 პროექტი.

ამოცანა: 12.7.3. სამუშაო გარემოს შეთავსების უზრუნველყოფა მშობლის ვალდებულებებთან;

ამოცანის ინდიკატორი: დედობის შვებულების არსებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით შესაბამისი ინიციატივა მომზადებული და წარდგენილია; თანასწორი, ანაზღაურებადი და არაგადაცემადი მამობის/მშობლის შვებულებასთან დაკავშირებული რეგულაციები შემუშავებულია და წარდგენილია;

საქმიანობა 12.7.3.1. დედობის შვებულების არსებული ხარვეზების გამოსწორება (კერძო და საჯარო სექტორებში მარეგულირებელი ჩარჩოს ჰარმონიზების წახალისება);

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების XXX დანართით განისაზღვრა ის დირექტივები, რომელთა ტრანსპოზიციაც უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობაში შრომისა და დასაქმების, ასევე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით. ქალთა უფლებების დაცვის მხრივ აღსანიშნავია XXX დანართის 2006/54/EC და 92/85/EEC დირექტივები, რომლებიც შეეხება ქალების შრომითი უფლებების გაუმჯობესებას (კერძოდ ადგენს, რომ ქალს, რომელიც იმყოფება შვებულებაში ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, უნდა ჰქონდეს შვებულების პერიოდის გასვლის შემდეგ სამსახურში მის თანამდებობაზე ან ტოლფას თანამდებობაზე დაბრუნების უფლება იმ პირობებით, რომლებიც მისთვის ნაკლებ ხელსაყრელი არ არის, და ასევე უფლება ისარგებლოს ნებისმიერი გაუმჯობესებული სამუშაო პირობებით, რისი უფლებაც მას ექნებოდა სამუშაოზე ყოფნის პერიოდში და სხვ.) და ითვალისწინებს ორსული, ახალნამშობიარები და მეძუძურ მუშაკთათვის შრომის უსაფრთხო პირობებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით ზომების შემოღებას (დაცვას მათ მიერ მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი, ასევე ღამის სამუშაოების შესრულების დროს, განსაზღვრავს მშობიარობის გამო შვებულების ხანგრძლივობას, კერძოდ, ადგენს 2 კვირიან სავალდებულო დეკრეტულ შვებულებას, ორსული დასაქმებულებისთვის ადგენს სამედიცინო გამოკვლევებისთვის გაცდენილი საათების ანაზღაურების ვალდებულებას და სხვ.). საქართველოს პარლამენტი სახელმწიფო უწყებებთან, მათ შორის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჩართულობით და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად მუშაობს ქალთა შრომითი უფლებების გაუმჯობესებისთვის დასახელებული დირექტივებიდან

გამომდინარე ვალდებულებების ფარგლებში, ისევე ზოგადად დედობის/მშობლის შვებულების დარეგულირების კუთხით.

საქმიანობა 12.7.3.2. თანასწორი, ანაზღაურებადი და არაგადაცემადი მამობის/მშობლის შვებულებასთან დაკავშირებული რეგულაციები შემუშავებულია და წარდგენილია შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელ საკანონმდებლო ჩარჩოში ინტეგრაციის მიზნით;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

იხილეთ აქტივობა 12.7.3.1.

ამოცანა: 12.7.4. სტერეოტიპებთან ბრძოლა და ცნობიერების ამაღლება აუნაზღაურებელი შრომის თანაბრად გადანაწილების ხელშეწყობის მიზნით;

ამოცანის ინდიკატორი: მინიმუმ 3 ფართომასშტაბიანი კამპანია განხორციელებულია;

საქმიანობა 12.7.4.1. ფართომასშტაბიანი კამპანიების განხორციელება აუნაზღაურებელი შრომის თანაბრად გადანაწილების ხელშეწყობის მიზნით, მათ შორის მამაკაცების ჩართულობის გაზრდის მიზნით;

პასუხისმგებელი უწყება: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: ეთხოვოს სახალხო დამცველის აპარატს; გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია; ეთხოვოს საზოგადოებრივ მაუწყებელს;

შესრულების სტატუსი: პრობლემურია.

აღნიშნული აქტივობის განხორციელება დაგეგმილია 2020 წელს.

მიზანი: 12.8. სოფლად მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური გაძლიერება;

ამოცანა: 12.8.2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში ქალთა ჩართულობის გაძლიერება;

ამოცანის ინდიკატორი: კვლევა სოფლად მცხოვრებ ქალთა საჭიროებების გამოსავლენად ჩატარებულია გენდერულად სეგრეგირებულ მონაცემებსა და მათ ანალიზზე დაყრდნობით;

საქმიანობა 12.8.2.1. სოფლად მცხოვრებ ქალთა ინფორმირებისთვის საინფორმაციო კამპანიების განხორციელება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მნიშვნელობის შესახებ;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

2019 წლის 11 დეკემბერს „სასოფლო სამეურნეო კოოპერატივის შესახებ„ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილების საფუძველზე, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების ხელშემწყობი პროგრამების განხორციელება დაევალა სსიპ-სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ მიმართულებით, საქმიანობა შედარებით შეფერხებულად მიმდინარეობდა, თუმცა რეორგანიზაციის პროცესის საბოლოოდ დასრულების შემდგომ, კვლავ გაგრძელდება მუშაობა. რაც შეეხება განხორციელებულ აქტივობებს, 2019 წელს, კოოპერატივების განვითარების ხელშემწყობ პროგრამებთან დაკავშირებით რეგიონებში, კერძოდ, სამცხე-ჯავახეთის, კახეთის, იმერეთის, სამეგრელოსა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში ჩატარდა საინფორმაციო კამპანიები და საკონსულტაციო შეხვედრები კოოპერატივების მნიშვნელობასა და საქმიანობის საკითხებთან დაკავშირებით, რომელსაც ესწრებოდნენ მეპაიე ქალებიც.

საქმიანობა 12.8.2.2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნისა და ფუნქციონირების პროცესში სამართლებრივი და ტექნიკური კონსულტაციის უზრუნველყოფა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

2019 წელს, კოოპერატივების განვითარების ხელშემწყობ პროგრამებთან დაკავშირებით რეგიონებში ჩატარდა საინფორმაციო კამპანიები და საკონსულტაციო შეხვედრები, რომლის დროსაც განიხილებოდა კოოპერატივების შექმნასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები. შეხვედრებს ესწრებოდნენ ქალბატონებიც. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 147 კოოპერატივში თავმჯდომარე ქალია, სასოფლო-სამეურნეო სტატუსით ფუნქციონირებს 40 ქალთა კოოპერატივი და სასოფლო სამეურნეო სტატუსის მქონე 1044 კოოპერატივში გაერთიანებულ 10739 მეპაიეს შორის, 2594 (24.1%) მეპაიე ქალია.

საქმიანობა 12.8.2.3. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში ჩართული ქალებისთვის შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებების პროგრამების განხორციელება სამეწარმეო უნარების განვითარებასა და ახალ ტექნოლოგიებზე აქცენტირებით;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

2019 წლის ბოლოს (ოქტომბერი-დეკემბერი) ჩატარდა თემატური ტრენინგები: კოოპერატივების შიდასაწარმოო ურთიერთობები და სამართლებრივი რეგულაციები, სათიბ-საძოვრების მართვა და მსხვილფეხა საქონლის მოვლა და ხელოვნური განაყოფიერება. ტრენინგებში მონაწილე 78 კოოპერატივის 110 მეპაიედან 24 (26.4%) მეპაიე ქალია.

ამოცანა: 12.8.3. სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით პროფესიული განათლების გაძლიერება;

ამოცანის ინდიკატორი: სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით პროფესიული განათლების მიღების მნიშვნელობაზე ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლების ამპანიები განხორციელებულია;

საქმიანობა 12.8.3.1. ახალგაზრდების მოტივაციის ამაღლების მიზნით, ფართომასშტაბიანი კამპანიის განხორციელება სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით პროფესიული განათლების მიღების მნიშვნელობაზე;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: ეთხოვოს საზოგადოებრივ მაუწყებელს;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით 2019 წელს განხორციელდა შემდეგი აქტივობები: საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღების ფარგლებში სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით, სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაციის მიზნით, გაიმართა ღია კარის დღეები იმ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებიც ახორციელებენ, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით, სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს; განხორციელდა კერძო სექტორის წარმომადგენლების შესაძლებლობების განვითარების აქტივობები სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების კუთხით; მომზადდა და სოციალურ ქსელში გავრცელდა ვიდეორგოლი სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაციის მიზნით;

სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაციის მიზნით საანგარიშო პერიოდში სფეროს წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა რადიო და სატელევიზიო გადაცემებში.

ამოცანა: 12.8.5. სოფლად მცხოვრებთათვის საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებებზე წვდომის გაუმჯობესება;

ამოცანის ინდიკატორი: სოფლად საკომუნიკაციო საშუალებებზე და ინტერნეტზე წვდომის გაუმჯობესებულია სულ მცირე 30%-ით; საინფორმაციო ტექნოლოგიებში სოფლად მცხოვრებ პირთა შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებები განხორციელებულია;

საქმიანობა 12.8.5.1. სოფლად საკომუნიკაციო საშუალებებზე და ინტერნეტზე წვდომის გაუმჯობესება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020 – 2025 წლების ეროვნული სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ორგანოები, სატელეკომუნიკაციო კომპანიები;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

ევროკავშირის „ციფრული ბაზრების ჰარმონიზაციის“ პროექტის HDM/EU4Digital-ის ფარგლებში, ევროკავშირის ფინანსური და მსოფლიო ბანკის საექსპერტო დახმარებით მომზადებულ იქნა საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი „საქართველოს

ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020 – 2025 წლების ეროვნული სტრატეგიის და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ. სტრატეგიის პროექტის ფარგლებში 2019 წელს უკვე დაიწყო განხორციელების გეგმით გათვალისწინებულ სხვადასხვა აქტივობებზე მუშაობა, მათ შორის:

- მსოფლიო ბანკის დახმარებით მიმდინარეობდა ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის განახლებაზე მუშაობა, პროგრამის განახლების და შემდგომში მისი განხორციელების მიზნით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც უშუალოდ მინისტრი ხელმძღვანელობს, მის შემადგენლობაში შედიან მინისტრის მოადგილე სამინისტროს კავშირგაბმულობის, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტის, „ოუფენ-ნეტის“, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „საქართველოში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის N375 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ, პროგრამის განხორციელებისთვის შეირჩა ევროკავშირის შესაბამისი სახელმძღვანელოს I მოდელი (ე.წ. ლიეტუას რეინის მოდელი) ერთიანი ქსელის განვითარება ე.წ “თეთრ ზონებში“ - სადაც არ არის ქსელი და კერძო კომპანიები არ გეგმავენ აშენებას მომდევნო 3 წლის განმავლობაში;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ პარტნიორ ორგანიზაციებთან - ა(ა)იპ „მთის სათემო ქსელთან“, საქართველოს მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო ოპერატორების ასოციაციასთან თანამშრომლობით ხორციელდებოდა ფშავის-ხევსურეთის და გუდამაყრის რეგიონების სათემო ინტერნეტ ქსელის მშენებლობა. პროექტის განხორციელებაში, აგრეთვე მონაწილეობდნენ ISOC-ის ევროპის ოფისი, სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, ჩეხეთის საელჩო საქართველოში, დუშეთის მუნიციპალიტეტი, კომპანია „ვეონი საქართველო“, შპს „ინტელკომ ჯგუფი“, შპს „დიგიტალ ტექნოლოგი“, შპს „სქაიტელ“ და შპს „ენბი ნეტი“. ფშავ-ხევსურეთის და გუდამაყრის სათემო ინტერნეტიზაციის პროექტის ფარგლებში, მაღაროსკარისა და უკანა ფშავის ხეობების, ასევე ბარისახოს და ე.წ. გორშელმის ხეობებში გუდანისა და როშკის მიმართულებების გარდა) აბონენტების ჩართვა დასრულდა სრულად. განხორციელდა უკანა ფშავის დასახლებების, სოფლები თხილიანა, შუაფხო, მუქო, ხოშარა, მათურა, ვაკის სოფელი, ახადი, ჭიჩო, უძილაურთა ჩალათხევი, ელიაგზა დაფარვა ინტერნეტით. განხორციელდა 120 აბონენტის სატესტო რეჟიმში ჩართვა. ასევე განხორციელდა ფასანაური-წინამხარი-კიტოხის მაგისტრალის დასრულება გუდამაყრის ხეობაში. მაგისტრალურ დონეზე შეერთებები განხორციელდა შემდეგი სიმძლავრეებით: ჟინვალი-გუდრუხის მაგისტრალი 1.1 გბ/წმ, გუდრუხი-მოწამოს მაგისტრალი 1გბ/წმ, გუდრუხი კუდოს მთის მაგისტრალი - 0.6 გბ/წმ, მოწმაო-წელთგზა - 0.5 გბ/წმ, წელთგზა-დათვიჯვარი 0.5 გბ/წმ, დათვიჯვარი-შატილი - 0.4 გბ/წმ, მოწმაო-ვაკისსოფელი - 0,4 გბ/წმ;

- მიმდინარეობდა მუშაობა კანონპროექტზე „სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების თაობაზე“. კანონპროექტის პროექტის მიზანია, საქართველოს მასშტაბით (მისი ყველა რეგიონის ჩათვლით) სატელეკომუნიკაციო ოპერატორებმა შეძლონ ნაკლები ფინანსური დანახარჯებით გააფართოვონ საკუთარი ქსელები, გამარტივებულად მიიღონ ინფორმაცია საკომუნიკაციო მიზნებისათვის გამოსადეგი ფიზიკური ინფრასტრუქტურის შესახებ და სხვა.

საქმიანობა 12.8.5.2. სოფლად მცხოვრებ პირთა შესაძლებლობების გაძლიერება საინფორმაციო ტექნოლოგიებში;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო პროგრამის „ინტერნეტი განვითარებისთვის“ ფარგლებში, ახორციელებს მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის მფლობელ მეწარმეების ტრენინგს, საქართველოს რეგიონებში. 2019 წელს ჩატარდა 108 ტრენინგი; ტრენინგი გაიარა 785-მა მეწარმემ.

მიზანი: 12.9. ეკონომიკურ რესურსებზე ქალთა თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა;

ამოცანა: 12.9.1. სასოფლო-სამეურნეო მიწასა და უძრავ ქონებაზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: მიწისა და უძრავი ქონების მესაკუთრის შესახებ გენდერულად სეგრეგირებული მონაცემები მუშავდება რეგულარულად; მიწაზე/უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მქონე პირთა გენდერულად სეგრეგირებული მონაცემები შეგროვებული და გაანალიზებულია; სასოფლო-სამეურნეო მიწის უფასო რეგისტრაციის ფართომასშტაბიანი პროგრამები განხორციელებულია; პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის უფასოდ მიღების პროგრამები განხორციელებულია; მიწის/უძრავი ქონების რეგისტრაციის შესახებ უფასო იურიდიული კონსულტაციები განხორციელებულია; ცნობიერების ამაღლების კამპანიები წარმოებულია;

საქმიანობა 12.9.1.1. მიწისა და უძრავი ქონების საკუთრების უფლების შესახებ გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების დამუშავება;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2019 წლის განმავლობაში სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ამუშავებდა რეგისტრირებული უფლების სუბიექტის შესახებ გენდერულად სეგრეგირებულ მონაცემებს და მოთხოვნის შემთხვევაში, ახორციელებდა საჯარო ინფორმაციის გაცემას.

საქმიანობა 12.9.1.3. სასოფლო-სამეურნეო მიწის უფასო რეგისტრაციის ფართო მასშტაბიანი პროგრამების განხორციელების პროცესის გაგრძელება;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2016 წლის 1-ლი აგვისტოდან საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ და სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ დაიწყო მიწის რეგისტრაციის რეფორმა. რეფორმის ფარგლებში 2020 წლის თებერვლის მდგომარეობით უკვე რეგისტრირებულია 775 800-ზე მეტი მიწის ნაკვეთი. აქედან, 2019 წელს დარეგისტრირდა 232 100-ზე მეტი მიწის ნაკვეთი. რეფორმის ფარგლებში სარეგისტრაციო დოკუმენტაციის მოძიება და სისტემატიზაცია, გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერების დამოწმება, სანოტარო მედიაცია, მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება, ფაქტების კონსტატაცია უსასყიდლოდ (საზღაურის გარეშე) სრულდება, ხოლო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება და მასში ცვლილება სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის გადახდის გარეშე რეგისტრირდება. 2019 წლის 11 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომლის თანახმადაც, მოქალაქეები უფასო მომსახურებით ისარგებლებენ 2022 წლის 1 იანვრამდე. 2022 წლის 1 იანვრამდე სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალში მდებარე უძრავ ქონებაზე სამკვიდრო მოწმობა საზღაურის გადახდევინების გარეშე გაიცემა.

საქმიანობა 12.9.1.4. სოფლად მცხოვრები სოციალურად დაუცველი პირებისთვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის უფასოდ მიღების პროგრამების განხორციელების პროცესის გაგრძელება;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

სოფლის ტიპის დასახლებებში რეგისტრირებულ 14190 (6742 ქალი) პირზე გაცემულია პირადობის ელექტრონული მოწმობა შეღავათით „სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრი“.

საქმიანობა 12.9.1.5. მიწის/უძრავი ქონების რეგისტრაციის შესახებ უფასო იურიდიული კონსულტაციის პროაქტიული შეთავაზება მოსახლეობისთვის ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის ინდივიდუალური და სულ მცირე 10 გასვლითი შეხვედრა;

პასუხისმგებელი უწყება: ეთხოვოს სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურს;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2019 წლის განმავლობაში სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლებმა მიწის/უძრავი ქონების რეგისტრაციის, მიწის სპორადული რეგისტრაციისა და სამსახურის სერვისების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით, განახორციელეს შეხვედრები შემდეგ ტერიტორიულ ერთეულებში: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ.დარჩელი, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელი დაგვა, წალკის მუნიციპალიტეტის სოფელი დაშბა, სოფ. ბეშთაშენი, ლაგოდეხის მუნიციპალიეტის სოფ. ბაიასუბანი, გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვეში, გორის მუნიციპალიტეტის სოფ.ფლავისმანი, ქარელის მუნიციპალიტეტის სოფ.ყინწვისი, ქარელის მუნიციპალიტეტის სოფ.კეხიჯვარი, შუახევის მუნიციპალიტეტის სოფ.ნაგაზაული, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. სტეფანწმინდა, ხობის მუნიციპალიტეტის სოფ.პირველი მაისი, მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ.სალხინო, მესტიის მუნიციპალიტეტის სოფ.უშგული, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ.ზემო მაჩხაანი.

ამოცანა: 12.9.2. ქალთა მეწარმეობის ხელშეწყობა;

ამოცანის ინდიკატორი: ქალთა მეწარმეობის კუთხით არსებული საჭიროებათა კვლევა განხორციელებულია და შესაბამისი ღონისძიებების სამოქმედო გეგმა შემუშავებულია საქსტატის მიერ მიწოდებული შესაბამისი მონაცემების ანალიზის საფუძველზე; მეწარმეობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამებში უზრუნველყოფილია ქალების და კაცების თანაბარი მონაწილეობა; ქალთა მეწარმეობის მხარდასაჭერად საჯარო და კერძო სექტორს შორის პარტნიორობის პლატფორმა ჩამოყალიბებულია; ქალთა მეწარმეობის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიები განხორციელებულია;

საქმიანობა 12.9.2.1. ქალთა მეწარმეობის კუთხით არსებული საჭიროებათა ანალიზი და საპასუხო ღონისძიებების შემუშავება;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - „აწარმოე საქართველოში“;

პარტნიორი უწყება: სსიპ - სტატისტიკის ეროვნული სამსახური;

შესრულების სტატუსი: არ დაწყებულა.

აღნიშნული აქტივობა სააგენტოს არ განუხორციელებია.

საქმიანობა 12.9.2.2. ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამებში;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - „აწარმოე საქართველოში“;

პარტნიორი უწყება: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის კომპონენტში 2015-დან 2018 წლის ჩათვლით ჯამში დაფინანსებული იყო 9384 ბენეფიციარი, რომელთაგან 3783 (40.3%) არის ქალი. აღნიშნული პროგრამის განხორციელების ოთხივე წლის განმავლობაში ქალ მეწარმეებს ენიჭებოდათ პრიორიტეტი. 2020 წელსაც, პროგრამის ახალი რედაქციით გათვალისწინებულია ქალი მეწარმეების წახალისება. ასევე, 2019 წელს განხორციელებულ პროგრამაში "აწარმოე უკეთესი მომავლისთვის" დაფინანსებული 48 ბენეფიციარიდან 22 იყო ქალი (45.8%).

საქმიანობა 12.9.2.3. ქალთა მეწარმეობის მხარდასაჭერად საჯარო და კერძო სექტორებს შორის პარტნიორობის მოდელის ჩამოყალიბება, საბანკო და მიკრო-საფინანსო სექტორის, ბიზნეს-ასოციაციების ჩართულობით;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: სსიპ - აწარმოე საქართველოში;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მართავს შეხვედრებს ქალ მეწარმეებთან. სსიპ - აწარმოე საქართველო, როგორც აქტივობაზე პასუხისმგებელი უწყების პარტნიორი, აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა ტიპის ქალ მეწარმეობის გაძლიერების კუთხით ორგანიზებულ საინფორმაციო თუ სხვა ტიპის ღონისძიებებში.

ამოცანა: 12.9.3. ბუნებრივ რესურსებზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: გენდერული თანასწორობისა და გარემოს დაცვის საკითხებზე საბაზისო კვლევა ჩატარებულია და პრიორიტეტული მიმართულებები გამოვლენილია; ბუნებრივი კატასტროფების რისკების მართვის პოლიტიკის დოკუმენტებში გენდერულად სპეციფიური პრიორიტეტები ინტეგრირებულია; ნარჩენების გადამუშავების კუთხით ადგილობრივი მეწარმეობის განვითარების შესაძლებლობები შესწავლილია და საპასუხო ღონისძიებები შესაბამისად დაგეგმილია;

საქმიანობა 12.9.3.1. გენდერული თანასწორობისა და გარემოს დაცვის საკითხებზე საბაზისო კვლევის ჩატარება და პრიორიტეტული მიმართულებების გამოვლენა;

პასუხისმგებელი უწყება: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია;

პარტნიორი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ, „კლიმატის მწვანე ფონდის“ ხელშეწყობით სამინისტროს ინიციატივით ხორციელდება პროექტი ,,მრავალმხრივი საფრთხეების ადრეული გაფრთხილების სისტემის გაფართოება და კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოყენება საქართველოში“ (2019-2026 წწ), რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს მოსახლეობაზე, საარსებო გარემოსა და ინფრასტრუქტურაზე კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ბუნებრივი საფრთხეების ზემოქმედების შემცირებას, ეროვნულ დონეზე მოქმედი, მრავალმხრივი საფრთხეების ადრეული შეტყობინების სისტემის (MHEWS) უზრუნველყოფითა და ადგილობრივ დონეზე რისკის შესახებ ინფორმირებული მოქმედების გზით.

პროექტი შეიმუშავებს კლიმატის კრიტიკულ რისკთან დაკავშირებულ ინფორმაციას, რაც დაეხმარება საქართველოს მთავრობას ეროვნულ დონეზე განახორციელოს რიგი ქმედებები, ტრანსფორმაციული პოლიტიკა და ამის შეამციროს მოსახლეობის მოწყვლადობა კლიმატთან დაკავშირებული საფრთხეების მიმართ. პროექტის სამი ძირითადი კომპონენტია:

1. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ბუნებრივ საფრთხეებზე დაკვირვების გაფართოებული ქსელი და მოდელირების შესაძლებლობები, იმისათვის რომ უზრუნველყოფილ იქნეს სანდო ინფორმაცია კლიმატთან დაკავშირებული საფრთხეების, მოწყვლადობის და რისკის შესახებ;
2. ეფექტიანი ეროვნული რეგულაციებით, კოორდინირების მექანიზმებითა და ინსტიტუციონალური შესაძლებლობებით მრავალმხრივი საფრთხეების ადრეული

შეტყობინების სისტემის მხარდაჭერა და კლიმატთან დაკავშირებული ახალი საინფორმაციო პროდუქტების შექმნა;

3. მრავალმხრივი საფრთხეების ადრეული შეტყობინების სისტემის (MHEWS) და რისკის შემცირების პრიორიტეტული ღონისძიებების განხორციელების გზით მოსახლეობის მედეგობის გაზრდა სათემო დონეზე.

პროექტის ფარგლებში 10 მუნიციპალიტეტში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ: მერიის წარმომადგენლები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დირექტორები, სკოლის დირექტორები, სამოქალაქო განათლების მასწავლებლები, სკოლის თვითმმართველობისა და ეკო კლუბის თავმჯდომარეები, უნივერსიტეტის წარმომადგენლები, სტუდენტები, თემზე დაფუძნებული ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები.

საქმიანობა 12.9.3.3. განახლებადი და სუფთა ენერგიის წყაროების ათვისებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: ინვესტორები;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

2019 წლის განმავლობაში ექსპლუატაციაში შევიდა 5 ჰიდროელექტროსადგური, ჯამური დადგმული სიმძლავრით 56,6მგვტ, ჯამური ინვესტიციით 85,6 მლნ.აშშ$, კერძოდ:

- მესტიაჭალაჰესი 2, დადგმული სიმძლავრე - 30.00მგ.ვტ, ინვესტიცია - 39.20 მლნ.აშშ დოლარი;
- არაგვიჰესი 2, დადგმული სიმძლავრე - 1.95მგ.ვტ, ინვესტიცია - 3.50 მლნ.აშშ დოლარი;
- ოროჰესი, დადგმული სიმძლავრე - 1.12მგ.ვტ, ინვესტიცია - 1.30 მლნ.აშშ დოლარი;
- მესტიაჭალაჰესი 1, დადგმული სიმძლავრე 20.00მგ.ვტ, ინვესტიცია - 34.20 მლნ.აშშ დოლარი;
- ავანი ჰესი, დადგმული სიმძლავრე - 3.50, ინვესტიცია - 7.37 მლნ.აშშ დოლარი.

მიზანი: 12.10. სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანდაცვის უზრუნველყოფა;

ამოცანა: 12.10.1. ჯანდაცვის მუშაკთა შესაძლებლობების გაძლიერება და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სახელმძღვანელო პრინციპების დანერგვა სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროს სერვისების მიწოდებისათვის;

ამოცანის ინდიკატორი: ხორციელდება ახალი გაიდლაინებისა და პროტოკოლების მუდმივი მონიტორინგი, ადაპტირება, დამტკიცება და მათი რეგულარული მიწოდება ჯანდაცვის მუშაკთათვის;

საქმიანობა 12.10.1.1. სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის, მათ შორის ოჯახის დაგეგმვის მეთოდების შესახებ, ახალი გაიდლაინებისა და პროტოკოლების რეგულარულად ადაპტირება, დამტკიცება და მიწოდება ჯანდაცვის მუშაკთათვის მოზარდების, ტრანსგენდერი, ტრანსექსუალი და გენდერულად არაკონფორმული პირების საჭიროებების გათვალისწინებით;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

2018 წლიდან გაეროს მოსახლეობის ფონდი უწევს ტექნიკურ დახმარებას შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემდეგი გაიდლაინების/პროტოკოლების გადახედვა/ადაპტირებას, და მოამზადებს მათ სამინისტროს გაიდლაინების საბჭოს დამტკიცებისთვის: ფიზიოლოგიური მშობიარობა; ინსტრუმენტული საშოსმხრივი მშობიარობა; მშობიარობის შემდგომი ცხელების მართვა; თრომბოემბოლიზმის პრევენცია ანტენატალურად და მშობიარობის შემდგომ პერიოდში; ნაადრევი მშობიარობის მართვა; მშობიარობის შემდგომი სისხლდენა - საწყისი სარეანიმაციო ნაბიჯები და საშვილოსნოს ჰიპო-ატონური სისხლდენის მართვა.

მიზანი: 12.11. სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ განათლება და ცნობიერების ამაღლება;

ამოცანა: 12.11.1. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება რეპროდუქციულ და სქესობრივ ჯანმრთელობასა და უფლებებზე;

ამოცანის ინდიკატორი: ხორციელდება ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია რეპროდუქციულ და სქესობრივ ჯანმრთელობასა და უფლებებზე;

საქმიანობა 12.11.1.1. რეპროდუქციულ და სქესობრივ ჯანმრთელობასა და უფლებებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიების წარმოება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: ეთხოვოს საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

2015 წლიდან ქვეყანაში ფუნქციონირებს ჯანმრთელობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიზანია საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის შესახებ განათლებისა და ცნობიერების ამაღლება, ასევე, ჯანმრთელობის ხელშემწყობი გარემოს შექმნა. პროგრამა ითვალისწინებს: ჯანმრთელი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას და გაძლიერებას; თამბაქოს მოხმარების კონტროლის გაძლიერებას; ჯანსაღი კვების შესახებ განათლებას; ალკოჰოლის ჭარბი მოხმარების შესახებ ცნობიერების ამაღლებას; ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობას.

ამოცანა: 12.11.2. მოზარდთა განათლება რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ;

ამოცანის ინდიკატორი: რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ ასაკის შესაბამისი სასწავლო მასალა მომზადებულია და ინტეგრირებულია ზოგადი განათლების სისტემაში; სახელმწიფო ახალგაზრდულ ბანაკების დამტკიცებულ პროგრამაში გენდერულ თანასწორობაზე და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ ასაკის შესაბამისი სატრენინგო მასალა გათვალისწინებულია;

საქმიანობა 12.11.2.1. რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ ასაკის შესაბამისი სასწავლო მასალის მომზადება და ინტეგრირება ზოგადი განათლების სისტემაში;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

ეროვნული სასწავლო გეგმების, საბაზო საფეხურის ბიოლოგიის სტანდარტით გათვალისწინებულია ადამიანის ორგანიზმის ყველა ორგანოთა სისტემის სწავლება. გათვალისწინებულია, რომ რეპროდუქციული ორგანოთა სისტემასა და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული თემების სწავლება საქართველოს საჯარო სკოლებში უნდა

დაიწყოს საბაზო საფეხურიდან მოსწავლეებში გარდატეხის ასაკის დადგომის პერიოდში, რათა მათ მიიღონ სრულყოფილი/აკადემიური ცოდნა საკუთარი სხეულის აგებულების, ფუნქციონირების, ჰიგიენის და ჯანმრთელობის დარღვევების რისკების შესახებ. სქესობრივი აღზრდა გულისხმობს მხოლოდ იმ საკითხებს, რომლებსაც მოიცავს: 1. ქალის და მამაკაცის რეპროდუქციულ ორგანოთა სისტემების აგებულებასა და ფუნქციებს და 2. რეპროდუქციული ჯანმრთელობას.

მიზანი: 12.12. მავნე პრაქტიკების აღმოფხვრისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელება;

ამოცანა: 12.12.1. გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განხორციელება;

ამოცანის ინდიკატორი: გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციისათვის საინფორმაციო საგანმანათლებლო ღონისძიებები /კამპანიები განხორციელებულია; ნაყოფის სქესის გამხელის პერიოდთან მიმართებაში შემუშავებულია შესაბამისი რეკომენდაციები საერთაშორისო სტანდარტებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით პროფესიულ ასოციაციებთან თანამშრომლობით; იწარმოება დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის შესახებ მონაცემების დამუშავება და გავრცელება; ჯანდაცვის მუშაკთა ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები განხორციელებულია გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციისათვის;

საქმიანობა 12.12.1.2. ნაყოფის სქესის გამხელის საკითხის მიმართ ეთიკური მიდგომის ჩამოყალიბება გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციისათვის;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

გაეროს მოსახლეობის ფონდის მხარდაჭერით და საქართველოს ულტრასონოგრაფიული ასოციაციის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა ორსულობის პირველი ტრიმესტრის (14 კვირამდე) სტანდარტული ულტრასონოგრაფიული კვლევის ალგორითმი, სადაც მითითებულია, რომ ნაყოფის სასქესო ორგანოების შეფასება და სქესის დადგენა, უზუსტობის ალბათობის გამო, არ არის რეკომენდებული ორსულობის 14 კვირამდე.

საქმიანობა 12.12.1.4. ჯანდაცვის მუშაკთა ცნობიერების ამაღლება გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციისათვის;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

მომზადდა ორსულობის პირველი ტრიმესტრის (14 კვირამდე) სტანდარტული ულტრასონოგრაფიული კვლევის ალგორითმი, სადაც მითითებულია, რომ ნაყოფის სასქესო ორგანოების შეფასება და სქესის დადგენა, უზუსტობის ალბათობის გამო, არ არის რეკომენდებული ორსულობის 14 კვირამდე. აღნიშნული ალგორითმი დაურიგდათ ჯანდაცვის პროფესიონალებს.

ამოცანა: 12.12.2. ადრეული ქორწინების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განხორციელება;

ამოცანის ინდიკატორი: ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევებზე რეაგირების სახელმძღვანელო პრინციპები შემუშავებულია ქმედითად; ბავშვთა მიერ სკოლის მიტოვების მონიტორინგის სისტემის შეფასება განხორციელებულია, ხარვეზები გამოვლენილი და საპასუხო ღონისძიებები შემუშავებულია; ქორწინებაში მყოფ არასრულწლოვანთა სასწავლო პროცესში ხელახლა ჩართვისა და სკოლაში დაბრუნებისკენ მიმართული ღონისძიებები ხორციელდება რეგულარულად; ადრეულ ასაკში ქორწინების უარყოფითი მხარეებისა და რეაგირების პროცედურების შესახებ პროფესიული გადამზადების ღონისძიებები განხორციელებულია; ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, სოციალური სერვისების მიმწოდებელთა მხრიდან თარჯიმანთა ჩართულობა უზრუნველყოფილია; განხორციელებულია ცნობიერების ასამაღლებლად საინფორმაციო შეხვედრები ადრეული ქორწინების შესახებ;

საქმიანობა 12.12.2.1. ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევებზე რეაგირების სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება ზოგადი განათლების სისტემის, სოციალური სამსახურების და პოლიციის თანამშრომელთათვის;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სოციალური მომსახურების სააგენტო, უწყებათაშორისი კომისიის სპეციალური სამუშაო ჯგუფი;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში კანონმდებლობით დადგენილი წესით რეაგირების პროცედურების განსაზღვრის პროცესი. მომზადდა მინისტრის ბრძანების შესაბამისი პროექტი, ამ ბრძანებით დასამტკიცებელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და ოქმის შევსების ინსტრუქცია დანართი „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გაცემის წესის შესახებ“, რომელშიც გაწერილია სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები.

საქმიანობა 12.12.2.2. ბავშვთა მიერ სკოლის მიტოვების მონიტორინგის სისტემის აუდიტი, ხარვეზების გამოვლენა და საპასუხო ღონისძიებების შემუშავება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

მოსწავლის მიერ სწავლის მიტოვების ფაქტების პრევენციის მიზნით, ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების 23-ე მუხლის მე- 5 პუნქტის თანახმად, ,,თუ საკითხის შესწავლის შედეგად გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობა/დაგვიანება გახდა მიზეზი არასრულწლოვნის სწავლის უფლების შეზღუდვისა, მანდატური/უფლებამოსილი პირი ფაქტის შესახებ ავსებს ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათს „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილების შესაბამისად.“

მოსწავლის სტატუსის შეჩერების შემდგომ, სკოლის მხრიდან ეფექტური რეაგირების მექანიზმების განსაზღვრასთან დაკავშირებით, სამინისტრო განახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს.

აღნიშნულის გარდა, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ, ხორციელდება სტატისტიკის წარმოება სწავლის შეწყვეტის/სტატუსის შეჩერების თაობაზე, სხვადასხვა ჭრილში, როგორიცაა:
1. ყველა მოსწავლის რაოდენობა, რომელთაც შეუჩერდათ სტატუსი/შეწყვიტეს სწავლა (დაწყებითი საფეხურის და საბაზო საფეხურის ჭრილში, სასწავლო წლების მიხედვით);
2. მოსწავლეთა რაოდენობა, რომელთაც შეუჩერდათ სტატუსი/შეწყვიტეს სწავლა - დაწყებითი საფეხურის და საბაზო საფეხურის ჭრილში, სასწავლო წლების მიხედვით; (აღნიშნულ სტატისტიკაში, არ არიან გათვალისწინებული ის მოსწავლეები, რომელთაც სტატუსის შეჩერების მიზეზად, მითითებული აქვთ საზღვარგარეთ გამგზავრება და ასევე გარდაცვლილი მოსწავლეები);

3. სქესის პარიტეტის ინდექსი. ქალებისა და კაცების ჩართულობის მთლიანი მაჩვენებლების თანაფარდობა (დაწყებითი საფეხური; საბაზო საფეხური; საშუალო საფეხური; მთლიანად);
4. სკოლის მიღმა დარჩენილი მოსახლეობის პროცენტული წილი. ზოგადი განათლების კლასის შესაბამისი ასაკის იმ მოსახლეობის რაოდენობის შეფარდება, რომელიც არ ირიცხება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ქვეყანაში ამ ასაკის მოსახლეობის მთლიან რაოდენობასთან, (სამოქალაქო რეესტრის მონაცემების მიხედვით). (მე-4 კლასი; მე-6 კლასი; მე-9 კლასი).

5. კალენდარული წლის განმავლობაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული სტუდენტთა რიცხოვნობა (ასაკის მიხედვით: 15-19; 20+; სულ ჯამში).

საქმიანობა 12.12.2.3. ქორწინებაში მყოფ არასრულწლოვანთა სასწავლო პროცესში ხელახლა ჩართვისა და სკოლაში დაბრუნებისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო;

პარტნიორი უწყება: უწყებათაშორისი კომისიის სპეციალური სამუშაო ჯგუფი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

„ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის, 12 სექტემბრის, N437 დადგენილების თანახმად, საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაფიქსირებული ადრეული ქორწინების ფაქტების შესახებ ინფორმაცია ეგზავნება შემდგომი რეაგირებისთვის სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს, პოლიციასა და სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრს. სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ, ქორწინებაში მყოფი არასრულწლოვანთა სასწავლო პროცესში ხელახლა ჩართვის მიზნით, ხდება ფსიქოლოგიური მომსახურების შეთავაზება, თუმცა უმეტეს შემთხვევაში ფსიქო-სოციალური სერვისის მიღებაზე უარს აცხადებენ.
საანგარიშო პერიოდში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი, სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური შეუერთდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ორგანიზებულ არასრულწლოვანთა ნაადრევი ქორწინების წინააღმდეგ გამართულ საინფორმაციო კამპანიას „ნუ წაართმევ ბავშვობას“. აღნიშნული კამპანია მიზნად ისახავდა, არასრულწლოვანთა ნაადრევ ქორწინებებთან დაკავშირებული დანაშაულის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, სამართალდამცავ უწყებებში დროული მიმართვიანობის უზრუნველყოფასა და დანაშაულის პრევენციას. მანდატურის სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს, მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარებულ შეხვედრებში. მათ მიაწოდეს ინფორმაცია მოსწავლეებს ადრეული ქორწინების ნეგატიური გავლენის, რისკებისა და საფრთხეების შესახებ.

საქმიანობა 12.12.2.4. მასწავლებელთა, მანდატურთა, სოციალურ მუშაკთა, უბნის ინსპექტორთა პროფესიული გადამზადება ადრეულ ასაკში ქორწინების უარყოფითი მხარეებისა და რეაგირების პროცედურების სავალდებულო შესრულების შესახებ;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სოციალური მომსახურების სააგენტო, უწყებათაშორისი კომისიის სპეციალური სამუშაო ჯგუფი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, ეროვნული სკოლის პროგრამის ფარგლებში, სამოქალაქო განათლების ტრენინგი გაიარა 279-მა მაძიებელმა მასწავლებელმა. ერთ-ერთი განსახილველი თემაა - ადრეულ ასაკში ქორწინება. 2019 წლის 24-25 დეკემბერს, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის ორგანიზებით, 10 საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურს, ჩაუტარდა ტრენინგი - „დამაზიანებელი სექსუალური ქცევა ბავშვებსა და მოზარდებში“. ტრენინგის მიზანი იყო ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის სფეროში მომუშავე პროფესიონალებს გაეცნოთ დამაზიანებელი სექსუალური ქცევის შესახებ არსებულ მტკიცებულებაზე დაფუძნებული თეორიების, პრაქტიკისა და ინსტრუმენტების მიმოხილვა.

საქმიანობა 12.12.2.5. ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, სოციალური სერვისების მიმწოდებელთა მხრიდან ორენოვან თანამშრომელთა/ თარჯიმანთა ჩართულობის უზრუნველყოფა;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო;

პარტნიორი უწყება: უწყებათაშორისი კომისიის სპეციალური სამუშაო ჯგუფი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საქართველოში მცხოვრები ყრუ პირების სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, ,,ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ ფარგლებში 2018 წლის მაისიდან საქართველოში მცხოვრებ ყრუ პირებს საქართველოს (ქ. თბილისის გარდა) მინიმუმ რვა რეგიონში მიეწოდებათ სურდო თარჯიმნის მომსახურება, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებისათვის უზრუნველყოფილია აზერბაიჯანული და სომხურენოვანი ჟესტური ენის მცოდნე სურდო თარჯიმნის მომსახურება ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში.

საქმიანობა 12.12.2.6. ინფორმირებულობის/ცნობიერების ამაღლება ადრეული ქორწინების შესახებ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის;

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; ეთხოვოს საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს; უწყებათაშორისი კომისიის სპეციალური სამუშაო ჯგუფი; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; ეთხოვოს მუნიციპალიტეტებს;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

პროექტის „ახალგაზრდები გენდერული თანასწორობისთვის“ განხორციელების შედეგად, 282 შეხვედრა ჩატარდა 21 მუნიციპალიტეტის 196 სოფელში, შეხვედრას 7849 ბენეფიციარი დაესწრო. შეხვედრებზე ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია ოჯახური ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობის, ადრეული ქორწინებისა და ტრეფიკინგის საკითხებზე.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო სკოლის მოსწავლეებისთვის, მათ შორის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მოსწავლეებისთვის, სისტემატურად ატარებს სასკოლო კონკურსებს მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით ისეთი თემების მიმართულებით, როგორიცაა დამიანის უფლებები, ძალადობის, მათ შორის ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა, ადრეული ქორწინება და სხვა.

- 2018 წლის ნოემბერში, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ კამპანიის ფარგლებში, მოსწავლეებისთვის ჩატარდა დღიურების კონკურსი;

- 2019 წლის ნოემბერში ჩატარდა მოსწავლეთა პოსტერების კონკურსი "არა ბულინგს";
- 2019 წლის მარტში ჩატარდა ესეების კონკურსი "მომავლის ევროპელი";
- ამჟამად მიმდინარეობს მოსწავლეთა ესეების კონკურსი თანასწორობის საკითხებზე.

კონკურსებში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების VII-XII კლასის მოსწავლეები. საუკეთესო ნამუშევრების ავტორები დაჯილდოვდნენ/დაჯილდოვდებიან დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით. აღნიშნულ თემატიკაზე სასკოლო კონკურსების განხორციელება იგეგმება მომავალშიც. ზემოაღნიშნულის გარდა, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საინფორმაციო-საგანმანათლებლო რესურსების პროგრამის ფარგლებში, ინტერნეტ გაზეთ „mastsavlebeli.ge“-ზე რეგულარულად ქვეყნდება სტატიები და ბლოგები მასწავლებლებისთვის, ადრეული ქორწინების და ეთნიკური

უმცირესობების საკითხებზე. საანგარიშო პერიოდისათვის ამ თემაზე შეიქმნა 32 საგანმანათლებლო რესურსი.

ამოცანა: 12.12.3. ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების საზიანო პრაქტიკის აღმოფხვრა;

ამოცანის ინდიკატორი: ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების აღმოფხვრისათვის სპეციალური ადგილობრივი საკომუნიკაციო პროგრამები შემუშავებულია და ხორციელდება სამიზნე თემებში;

საქმიანობა 12.12.3.1. ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების აღმოფხვრისათვის სოციალური ცვლილებების ხელშესაწყობად სპეციალური ადგილობრივი საკომუნიკაციო პროგრამების შემუშავება და განხორციელება სამიზნე თემებში;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: უწყებათაშორისი კომისია;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

საკითხი სენსიტიურია და მოითხოვს დამატებით შესწავლას. გაეროს მოსახლეობის ფონდის მხარდაჭერით მიმდინარეობდა საკომუნიკაციო ღონისძიებების და საინფორმაციო მასალების შემუშავება სამედიცინო პერსონალისთვის.

მიზანი 12.13. განათლების რგოლში ჰორიზონტალური და ვერტიკალური სეგრეგაციის დაძლევა;

ამოცანა: 12.13.1. ჰორიზონტალური და ვერტიკალური სეგრეგაციის მიზეზების გამოვლენა და მის დასაძლევად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

ამოცანის ინდიკატორი: გენდერულად სეგრეგირებული მონაცემები შეგროვებული და გაანალიზებულია, კვლევა შესაბამისი ბარიერების გამოვლენითა და რეკომენდაციებით შემუშავებულია;

საქმიანობა 12.13.1.1. გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების შეგროვება და ანალიზი, ამ მონაცემებზე დაყრდნობით განათლების დარგში ჰორიზონტალური და ვერტიკალური სეგრეგაციის დასაძლევი რეკომენდაციების შემუშავება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, ყოველი სასწავლო წლის განმავლობაში, ახორციელებს გარკვეული სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება/წარმოებას. მათ შორის სასწავლო პროცესში გენდერული ნიშნით ჩართულობასთან დაკავშირებით ყველა საგანმანათლებლო საფეხურზე.

ამოცანა: 12.13.2. მასწავლებელთა სტატუსის გაუმჯობესება და პოპულარიზაცია;

ამოცანის ინდიკატორი: მასწავლებელთა ანაზღაურება გაუმჯობესებულია და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების შესახებ შემუშავებულია შესაბამისი დოკუმენტი;
განხორციელებულია ცნობიერების ამაღლებისა და მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციის კამპანიები;

საქმიანობა 12.13.2.1. მასწავლებელთა ანაზღაურების გაუმჯობესება და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

„მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით“ განსაზღვრულია ოთხი სტატუსი: პრაქტიკოსი, უფროსი, წამყვანი და მენტორი. 2018 წლის მონაცემებით, 64466 მასწავლებლიდან: პრაქტიკოსი-35847, უფროსი - 24646, წამყვანი - 475, მენტორი - 40, ხოლო 2019 წელს - 58652 მასწავლებლიდან: პრაქტიკოსი - 12421, უფროსი - 37820, წამყვანი - 2901, მენტორი - 260.
2019 წელს, უსტატუსო მასწავლებლებისა და მასწავლებლობის მსურველთათვის ამოქმედდა პროგრამა, რომლის ძირითად უპირატესობას, სკოლაში დასაქმებების პარალელურად, მასწავლებლობის უფლების მოპოვება წარმოადგენს. პროგრამა, ასევე უზრუნველყოფს მაძიებლის პროფესიული ცოდნის განვითარებას, მასწავლებლის უნარ-ჩვევებით აღჭურვას და სასკოლო გარემოსთან ადაპტირების ხელშეწყობას.
მასწავლებლობის მაძიებელთა რეგისტრაციისათვის და დასაქმებისათვის მოდიფიცირდა pedagogi.ge; Edx პლატფორმაზე დაემატა მაძიებლობის აკადემიური კურსისათვის შესაბამისი დისტანციური მოდულები; შეიქმნა და ამოქმედდა Eschool-ის ბაზაში დირექტორის, ტუტორის და მაძიებლის პროფილი. მაძიებლობის პროგრამის ფარგლებში Edx პლატფორმაზე რეგისტრაცია გაიარა 1080-მა მაძიებელმა და გადანაწილდა აკადემიური კურსით განსაზღვრულ მოდულებზე.

საქმიანობა 12.13.2.2. ცნობიერების ამაღლება მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციის კუთხით;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

განათლების რეფორმის ფარგლებში, ინფორმაციის უკეთ წარმოჩინებისა და თითოეული მოქალაქისთვის მიწოდების კუთხით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, აწარმოა საინფორმაციო კამპანია მასწავლებლის სერტიფიცირების თემაზე. დამზადდა შესაბამისი შინაარსის გრაფიკული ვიდეორგოლი, კამპანიის ფარგლებში უწყვეტად იყო უზრუნველყოფილი მედია-გაშუქება, სხვადასხვა მედია-საშუალებებში შესაბამისი რესპონდენტების სტუმრობა, საინფორმაციო გამოშვებებისთვის სიუჟეტების მომზადება, სამინისტროს ვებ და ფეისბუქ გვერდებზე საინფორმაციო სიახლეების განთავსება. მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციის კუთხით, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის კოორდინაციით, განხორციელდა კონკურსის გზით საუკეთესო დირექტორისა და მასწავლებლების გამოვლენა.
2019 წლის განმავლობაში გამოცხადდა კონკურსები ყველა საგნობრივი მიმართულებით, აგრეთვე გამოცხადდა და განხორციელდა კონკურსი „წლის საუკეთესო საჯარო სკოლის დირექტორი“ და „წლის საუკეთესო სპეციალური მასწავლებელი“.
შეირჩა 14 ფიზიკოსი, რომლებმაც გაიარეს სტაჟირება 2019 წლის მარტი-აპრილის თვეში, ჟენევაში, ბირთვული კვლევების ევროპულ საერთაშორისო ცენტრში.
წინასწარ შემუშავებული და დამტკიცებული კრიტერიუმების შესაბამისად, დაჯილდოვდა 69 დამსახურებული მასწავლებელი.

მიზანი 12.14. სასკოლო სახელმძღვანელოებსა და პროგრამებში გენდერული თანასწორობის პრინციპების ინტეგრირება და პოპულარიზაცია;

ამოცანა: 12.14.1. სასკოლო სახელმძღვანელოებში გენდერული თანასწორობის პრინციპების ინტეგრირება;

ამოცანის ინდიკატორი: ეროვნული სასწავლო გეგმის გენდერული მეინსტრიმინგი განხორციელებულია; გენდერული თანასწორობის ჭრილში სასკოლო სახელმძღვანელოები რეცენზირებულია; დაინტერესებული პირები ინფორმირებულია, შესაბამისი მასალა გამოქვეყნებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (mes.gov.ge);

საქმიანობა 12.14.1.1. ეროვნული სასწავლო გეგმის გენდერული მეინსტრიმინგი;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

ამ ეტაპზე დამტკიცებულია დაწყებითი და საბაზო საფეხურების ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელშიც ინტეგრირებულია გენდერული თანასწორობის პრინციპები.

საქმიანობა 12.14.1.2. გრიფირებისადმი დაქვემდებარებული სასკოლო სახელმძღვანელოების რეცენზირება გენდერული თანასწორობის ჭრილში;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

სახელმძღვანელოების შეფასების კრიტერიუმებში გამოყოფილია ბლოკი, რომელიც ამოწმებს სახელმძღვანელოების შესაბამისობას ეთიკურ და სამართლებრივ ნორმებთან. ამ ბლოკში მოიაზრება შემდეგი კრიტერიუმები: ა) სახელმძღვანელო თავისუფალია ენის, ეროვნების, რელიგიის, სქესის, სოციალური კუთვნილებისა და სხვა ნიშნით სტერეოტიპული, არაკორექტული, დისკრიმინაციული ან/და დისკრედიტაციული ელემენტებისგან; ბ) საგნობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, ტექსტებსა და ილუსტრაციებში დაცულია თანასწორობა ეროვნების, რელიგიის, სქესის, სოციალური კუთვნილების და სხვ. ნიშნით.
ამ ეტაპზე გრიფირებულია I-VII კლასების სახელმძღვანელოები, რომლებიც შეფასდნენ ზემოაღნიშნული კრიტერიუმების მიხედვითაც, გენდერული თანასწორობის ჭრილში.

საქმიანობა 12.14.1.3. დაქვემდებარებული სახელმძღვანელოების ავტორ-შემადგენელთა ინფორმირება სახელმძღვანელოს შექმნის პროცესში გენდერული თანასწორობის საკითხების გათვალისწინების შესახებ და რეცენზენტთა ინფორმირება შესაბამისი კრიტერიუმის გამოყენებით ამ ჭრილში სახელმძღვანელოს რეცენზირების შესახებ;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საქართველოს სახალხო დამცველის მიწვევით გამომცემლებს ჩაუტარდათ სემინარი მდგარდი განვითარების მიზნების გათვალისწინების თაობაზე; ასევე ორგანიზაცია TDI-ს მიერ განხორციელდა სამუშაო შეხვედრა ავტორებთან გენდერული თანასწორობის, ეთნიკური, რელიგიური ნიშნით დაბალანსებული ინფორმაციის წარმოდგენაზე სახელმძღვანელოებში.

ამოცანა: 12.14.2. სასკოლო პროგრამებში გენდერული თანასწორობის მოდულის ინტეგრირება და გენდერული თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული მიდგომების დამკვიდრება;

ამოცანის ინდიკატორი: სამოქალაქო განათლების პროგრამაში გენდერული თანასწორობის კომპონენტი ინტეგრირებულია;

საქმიანობა 12.14.2.1. სამოქალაქო განათლების პროგრამაში გენდერული თანასწორობის კომპონენტის ინტეგრირება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საბაზო საფეხურის ეროვნულ სასწავლო გეგმაში შევიდა საგანი "მოქალაქეობა", რომელშიც ასახულია გენდერული თანასწორობის კომპონენტი.

მიზანი 12.16. პროფესიული სეგრეგაციის დაძლევა;

ამოცანა: 12.16.1. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში საინჟინრო ტექნოლოგიების, პროგრამირებისა და მათემატიკის (STEM) მიმართულებით გენდერული ბალანსის გაუმჯობესება;

ამოცანის ინდიკატორი: გენდერულად სეგრეგირებული მონაცემები შეგროვებულია და ტექნიკური მიმართულებით სწავლის გაგრძელების ხელისშემშლელი ბარიერების შესახებ აქტივობები ხორციელდება; სკოლის დამამთავრებელ კლასებში პროფესიული ორიენტაციის კომპონენტი გაძლიერებულია;

საქმიანობა 12.16.1.1. გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების შეგროვება-ანალიზი და ტექნიკური მიმართულებით სწავლის გაგრძელების ხელისშემშლელი ბარიერების გამოვლენა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს მიერ განხორციელდა კვლევა, რომლის მიზანი იყო გამოეკვლია ის ბარიერები და ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლიან გოგონებსა და ქალებს გააგრძელონ სწავლა და მუშაობა ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მიმართულებით. კვლევის შედეგების შესაბამისად, განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების

მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების ტრენინგი გენდერულად თანასწორი სასწავლო გარემოს საკითხებზე. ტრენინგები დადებითად არის შეფასებული და მისი მონაწილეები სასარგებლოდ მიიჩნევენ მიღებულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. ასევე, საინჟინრო ტექნოლოგიების, პროგრამირებისა და სხვა ტექნიკურ პროფესიებში ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს მიერ განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საგრანტო დაფინანსება, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა და დაინერგა 38 ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და 13 სასერთიფიკატო კურსი. ახალი პროგრამების ფარგლებში მომზადდა გენდერული და სოციალური ასპექტების ინტეგრირების გეგმები და მიმდინარეობს მათი ეტაპობრივი იმპლემენტაცია.

საქმიანობა 12.16.1.2. სკოლის დამამთავრებელ კლასებში პროფესიული ორიენტაციის კომპონენტის გაძლიერება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

პროფესიული ორიენტაციის კომპონენტის ფარგლებში, 2019 წელსაც გაგრძელდა საჯარო სკოლებში სკოლის მოსწავლეებისთვის პროფესიული უნარების განვითარების აქტივობების განხორციელება. საორიენტაციო კურსების ფარგლებში, ქვეპროგრამის აღნიშნული კომპონენტი განხორციელდა 11 რეგიონის, 58 მუნიციპალიტეტში, ჩართული იყო 35 პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულება და 600 საჯარო სკოლა. საანგარიშო პერიოდში, სულ განხორციელდა 700 საგანმანათლებლო კურსი, სადაც ჩართული იყო 10 000 -ზე მეტი მოსწავლე.
„სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების“ ქვეპროგრამის ფარგლებში, 2019 წელს, დაიწყო სასერთიფიკატო კურსების განხორციელება, რომელშიც ჩართული იყო პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი 14 საგანმანათლებლო დაწესებულება და 30 საჯარო სკოლა. საანგარიშო პერიოდში, სულ განხორციელდა 28 სასერთიფიკატო კურსი, სადაც მონაწილეობა მიიღო 400-მა.

მიზანი 12.17. კულტურის სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა;

ამოცანა: 12.17.1. კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა გენდერული თანასწორობის პრინციპებისა და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით;

ამოცანის ინდიკატორი: კვლევა განხორციელებულია, ბარიერები გამოვლენილია, რეკომენდაციები შემუშავებულია, კონცეპტუალური დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა ჩამოყალიბებულია; ცნობიერების ამაღლების კამპანია განხორციელებულია;

საქმიანობა 12.17.1.1. კულტურისა და შემოქმედებით ინდუსტრიებში კვლევის განხორციელება გენდერის თვალსაზრისით არსებული ბარიერების გამოსავლენად სამინისტროს სისტემაში/მმართველობაში შემავალ ორგანიზაციებში, რეკომენდაციების შემუშავება და ხედვის ჩამოყალიბება კონცეპტუალური დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმის სახით;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

შემოქმედებითი ინდუსტრიების ფარგლებში სამინისტრო ახორციელებს კრეატიული ინდუსტრიების ხელშეწყობას ცალკეული პროექტების, ფესტივალების, საერთაშორისო ბაზრობა-გამოფენებში მონაწილეობით, (გამ: რეწვის სახელოსნოების "თიხის სახლი", რომელიც მუშაობს თიხის მხატვრულ დამუშავებასა და წარმოებაზე, ასევე ლაბორატორიას "ლურჯი სუფრა", ასევე, ინდივიდუალური რეწვის ოსტატები) ბაზარზე არსებული მოთხოვნის შესაბამისად 2018 და 2019 წლებში აჩვენებს, რომ ბაზრის მოთხოვნა, განსაკუთრებით ტურიზმის ინფრასტრუქტურასთან ბმაში დიდია. მნიშვნელოვანია კვლევითი სამუშაოების ჩატარება, მასტერკლასებისა და ვორქშოპების განხორციელება ამ მიმართულებით, აღსანიშნავია სამინისტროს ხელშეწყობილი პროექტები "ხელით ნაქსოვი ხალიჩების" ტრადიციული ფესტივალი, რომელიც რაბათის ციხეში ეწყობა 2018 და 2019 წლებში ფესტივალში ჯამში 30-მდე ქალმა ოსტატმა მიიღო მონაწილეობა, ასევე ფესტივალი "ეთნოფესტი" რომელშიც მონაწილეობენ რეწვის ოსტატები მთელი საქართველოდან, ფესტივალის ფარგლებში ტარდება მასტერკლასები და მონაწილეთა 80% არის ქალები. ასევე 2018-2019 წლებში სამინისტროს ხელშეწყობით "ლურჯი სუფრის" სახელოსნო და ინდ. რეწვის ოსტატები მონაწილეობას იღებდნენ მილანში რეწვის ოსტატთა დიდ გამოფენა-ბაზრობაში ამ მიმართულებით დასაქმებულია 30-მდე ქალი, რომელთა ნაწარმიც იყო წარმოდგენილი მილანის გამოფენებზე. ყოველივე ეს იძლევა შესაძლებლობას კვლევი ჩატარების, რათა გამოვლინდეს ადგილობრივი რეწვის სახელოსნოების ხვედრითი წილი მცირე ბიზნესის და ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარებაში.

საქმიანობა 12.17.1.2. ცნობიერების ამაღლება მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის კულტურის, მათ შორის შემოქმედებითი ინდუსტრიის როლზე;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

სსიპ - შემოქმედებითმა საქართველომ, „შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების კონკურსის ფარგლებში“ დააფინანსა 5 პროექტი. ერთ-ერთი პროექტი - „შემოქმედებითი კავკასიის მენტორობის პროგრამა“ მიზნად ისახავდა ქალი მეწარმეების და კულტურული მენეჯერების პროფესიულ ხელშეწყობას და ეკონომიკურ გაძლიერებას. პროექტის ფარგლებში ჩატარდა კონფერენცია და მენტორობის პროგრამა, რომელიც მოიცავდა ფინეთში სასწავლო ვიზიტებსაც, გაიარეს ქალმა მეწარმეებმა.

სსიპ - შემოქმედებითმა საქართველომ, იუნესკოს კულტურული მრავალფეროვნების საერთაშორისო ფონდის დაფინანსების მოსაპოვებლად წარადგინა პროექტი „შემოქმედებითი გარდასახვა“, რომელიც გულისხმობს ქვეყანაში შემოქმედებითი ინდუსტრიების სტრატეგიის განვითარებას, კვლევასა და ცნობიერების ამაღლებას. პროექტის ფარგლებში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოსალოდნელი შედეგი ქალი შემოქმედებითი მეწარმეების აქტიური ჩართულობა და პოპულარიზაციაა.

სსიპ - შემოქმედებითმა საქართველომ, იუნესკოსა და ევროკავშირის ერთობლივი პროგრამის ფარგლებში დაფინანსება მიიღო და დაიწყო პროექტის „შემოქმედებითი კლასტერების ეკოსისტემის განვითარება საქართველოში“ განხორციელება, რომელიც გულისხმობს შემოქმედებითი სივრცეების, ჰაბებისა და კლასტერების ხელშეწყობას მთელი ქვეყნის მასშტაბით. პროექტის ფარგლებში შექმნილი სექტორთაშორისი განვითარების საბჭოს 22 წევრიდან, 14 ქალია, 8 - მამაკაცი. პროექტის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებზე, ჯამში დამსწრე 158 ადამიანიდან, 120 - ქალი, ხოლო - 38 მამაკაცი იყო.

სსიპ - შემოქმედებითი საქართველოს ორგანიზებით, გაიმართა შემოქმედებითი მეწარმეობის უნარ-ჩვევების განვითარების ღონისძიებები. მათ შორის, შემოქმედებითი ნაპერწკლის საგრანტო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის - რე-კონცეფციის ფარგლებში გაიმართა საპრეზენტაციო ღონისძიება, ტრენერთა ტრენინგი და სტუდენტური „ბუთქემფი“. ღონისძიებების დამსწრე 124 ადამიანიდან 103 იყო ქალი, 21 მამაკაცი; ღონისძიებების ფარგლებში დატრენინგებული 25 ადამიანიდან, 21 ქალი, ხოლო 4 - მამაკაცი იყო.

2019 წლის 24-25 სექტემბერს განხორციელდა რეგიონული ვორქშოპი/მასტერკლასი სახელწოდებით: Paul Thiltges 50/50 Masterclass in Co-production, Sales & Distribution . ორდღიანი ვორქშოპი გაიმართა „ქალები კინოსა და ტელევიზიაში - კავკასია“ (WIFT Caucasus) ერთად. ვორქშოპში მონაწილეობდნენ პროფესიონალები როგორც საქართველოდან, ასევე სომხეთიდან და საერთაშორისო პროდიუსერები. ვორქშოპის ერთ-ერთი მიზანი იყო მონაწილეებში გენდერული ბალანსის დაცვა, 50/50%-იანი ჩართულობის მიღწევა და აუდიოვიზუალურ ინდუსტრიაში არსებული გენდერული პრობლემების ხაზგასმა.

სსიპ – საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის - ხელოვნების სასახლის მიერ განხორციელდა პროექტი „ტრადიციული ქართული ქსოვილის აღდგენა-წარმოება“ მანუფაქტურის შექმნა. პროექტის ფარგლებში მოეწყო გამოფენა და წიგნის „ქსოვილები საქართველოდან“ მეორე გამოცემა „ქართული თავსაბურავები“. პროექტის ფარგლებში აღდგენა-რეკონსტრუქცია განხორციელდა ქართული დაზგური და მონუმენტური ფერწერის, ასევე ხელნაწერი ნიმუშების მიხედვით, განახლდა ქართული საერო სამოსის აქსესუარები. შეიქმნა მანუფაქტურა სახელოსნო, რომელიც ხელს შეუწყობს ქართველი რეწვის ოსტატებს განავითარონ თავიანთი შემოქმედება, ასევე ხალხური რეწვის სახელოსნოებს ხელი

ეწყობათ საქართველოში და საზღვარგარეთ შემოქმედებითი ინდუსტრიების გამოფენა ბაზრობებში მონაწილეობაში, მათ შორის „თბილისი ექსპო“ და მილანის ბაზრობები, ასევე ქ. ახალციხის რაბათის ციხეში. ყოველ წელს ეწყობა რეწვის სახელოსნოების გამოფენები, რომელშიც მონაწილეობას იღებენ საქართველოს ყველა კუთხიდან რეწვის ოსტატები.

ამოცანა: 12.17.3. კულტურის სფეროს სახელმწიფო მხარდაჭერა გენდერული თანასწორობის პრინციპის დაცვით;

ამოცანის ინდიკატორი: სახელმწიფო გრანტების განაწილებისას გენდერული თანასწორობის პრინციპი დაცულია; გენდერული თანასწორობის იდეის მხარდამჭერი პროექტები სათანადოდ წახალისებულია; კულტურის სფეროს სახელმწიფო მხარდაჭერის ყოველწლიური გენდერული გავლენის შეფასება ხორციელდება რეგულარულად;

საქმიანობა 12.17.3.2. გენდერული თანასწორობის იდეის მხარდამჭერი პროექტების წახალისება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

გენდერული თანასწორობის იდეის მხარდამჭერი პროექტების წახალისება „კულტურის ხელშეწყობის“ მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში 2019 წელს არ შესრულებულა, მაგრამ კონკურსების გზით გამოვლენილ პროექტებში 2018-2019 წლებში ქალთა მონაწილეობა 300-მდე დასაქმებულ ქალს შეადგენს.

საქმიანობა 12.17.3.3. კულტურის სფეროს სახელმწიფო მხარდაჭერის გენდერული გავლენის ყოველწლიური შეფასება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

კულტურის სფეროში მიზნობრივი ქვეპროგრამის "კულტურის ხელშეწყობა" ფარგლებში განხორციელებული პროექტების ფარგლებში 2018-2019 წლებში ჯამში დასაქმებული იყო 10461 ქალი, მათ შორის უმრავლესობა პროექტების მენეჯმენტში.

ამოცანა: 12.17.4. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის შესახებ;

ამოცანის ინდიკატორი: გენდერული თანასწორობის მხარდამჭერი წელიწადში მინიმუმ ერთი კამპანია კულტურის სფეროს მოღვაწეების ჩართულობით განხორციელებულია;

საქმიანობა 12.17.4.1. გენდერული თანასწორობის მხარდამჭერი წელიწადში მინიმუმ ერთი კამპანია კულტურის სფეროს მოღვაწეების ჩართულობით;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

ქალთა მიმართ ძალადობის 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 500 თანამშრომელს დაურიგდა ინფორმაციული მასალა სექსუალური შევიწროების შესახებ. ასევე, კამპანიის დაწყების დღეს, სამინისტროს Facebook გვერდზე, დაიდო საინფორმაციო პოსტი.

მიზანი: 12.18. სპორტის სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა;

ამოცანა: 12.18.1. სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების გენდერული მეინსტრიმინგი;

ამოცანის ინდიკატორი: სპორტის პოლიტიკის დოკუმენტისა გენდერული მეინსტრიმინგი განხორციელებულია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა შემუშავებულია; სპორტის სფეროში გენდერული თანასწორობის სტრატეგია შემუშავებულია;

საქმიანობა 12.18.1.1. სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტისა გენდერული მეინსტრიმინგი და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

2018 წელს მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობისა და განვითარების სტრატეგიის შემუშავების დროს და საჯარო განხილვების დროს კეთდებოდა გენდერული მეინსტრიმინგი.

საქმიანობა 12.18.1.2. სპორტის სფეროში გენდერული თანასწორობის სტრატეგიის შემუშავება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: არ დაწყებულა.

საქართველოს პარლამენტის კოორდინირებითა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ჩართულობით, სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის შემუშავების მიზნით, დაგეგმილია შესაბამისი ღონისძიებები, რომელიც დასრულდება 2020 წლის ბოლოს. კონცეფციაში, ერთ-ერთი თავი დაეთმობა გენდერული თანასწორობის კომპონენტს.

ამოცანა: 12.18.2. სკოლაში ფიზიკური აღზრდის უზრუნველყოფა და სპორტული ცხოვრების წახალისება;

ამოცანის ინდიკატორი: შესაბამისი სტანდარტებით აღჭურვილი ფიზიკური აღზრდის დარბაზებითა და ინვენტარით უზრუნველყოფილი სკოლების რაოდენობა; ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებში საყოველთაო ჩართულობის უზრუნველსაყოფად და სპორტში სტერეოტიპული მიდგომების დაძლევისთვის შემუშავებულია და ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები; ქალაქებსა და რეგიონულ ცენტრებში იქმნება შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურა; სპორტული ცხოვრების წესის პოპულარიზაციისთვის ხორციელდება წელიწადში მინიმუმ ერთი კამპანია;

საქმიანობა 12.18.2.2. ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებში საყოველთაო ჩართულობის უზრუნველყოფა და სპორტში სტერეოტიპული მიდგომების (“გოგონების სპორტი”, “ბიჭების სპორტი”) დაძლევისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;
შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა;

ამ ეტაპზე გრიფირებული I-VI კლასების სახელმძღვანელოებში - „ფიზიკური აღზრდა და სპორტი“, დაძლეულია აღნიშნული სტერეოტიპული მიდგომები. ამასთან, მიმდინარე საპილოტე პროექტის „სკოლებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაძლიერება“ ფარგლებში (საგაკვეთილო პროცესი, საგანმანათლებლო ღონისძიებები, სპორტული ღონისძიებები, ლაშქრობები და ა.შ.) მასწავლებლებისთვის მიცემულია დავალებები მოსწავლეების საყოველთაო ჩართულობისა და სპორტში სტერეოტიპული მიდგომების („გოგონების სპორტი“, „ბიჭების სპორტი“) დაძლევისაკენ.

საქმიანობა 12.18.2.4. ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისთვის ცნობიერების ამაღლების კამპანიების განხორციელება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის

სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: ეთხოვოს საზოგადოებრივ მაუწყებელს;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2019 წლის აპრილში საქართველო შეუერთდა სპორტის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ონლაინ კამპანიას #WhiteCard. კამპანიაში ჩაერთო ასობით ცნობილი ქართველი სპორტსმენი, მათ შორის ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონები.

ამოცანა: 12.18.3. სპორტის სფეროში სახელმწიფო მხარდაჭერა გენდერული თანასწორობის პრინციპის დაცვით;

ამოცანის ინდიკატორი: სახელმწიფოს მხრიდან სპორტისთვის ფინანსური მხარდაჭერის განაწილებისას გენდერული თანასწორობა დაცულია და ქალთა პროფესიული სპორტის წახალისებისთვის შემუშავებულია და ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები;

საქმიანობა 12.18.3.1. სახელმწიფოს მხრიდან სპორტისთვის ფინანსური მხარდაჭერის განაწილებისას გენდერული თანასწორობის დაცვა და ქალთა პროფესიული სპორტის წახალისება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

ეროვნული სპორტული ორგანიზაციების დაფინანსების წლიური ლიმიტის განსაზღვრისას, ერთ-ერთი კრიტერიუმია გენდერული თანასწორობის მიმართულებით მუშაობა. ამ ფარგლებში, სპორტულმა ორგანიზაციები ითვალისწინებენ კონკრეტულ ღონისძიებებს ქალთა ჩართულობის ზრდის მიმართულებით, რაც ქალთა ჩართულობის დინამიკაზეც აისახა.

16. ბავშვთა უფლებები

მიზანი: 16.1. პრევენციული და ოჯახის მხარდამჭერი სახელმწიფო მექანიზმების გაძლიერება;

ამოცანა: 16.1.1. მოწყვლადი ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების იდენტიფიცირების კოორდინირებული მექანიზმის შემუშავება და დანერგვა (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი, ძალადობის რისკის წინაშე მყოფი, განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვები);

ამოცანის ინდიკატორი: მოწყვლადი ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების ადრეული იდენტიფიცირებისა და რეფერირების ინსტრუმენტების და რეაგირების სისტემის შექმნილია;

საქმიანობა 16.1.1.1. მოწყვლადობის კონცეფციის შემუშავება;

პასუხისმგებელი უწყება: გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებაზე პასუხისმგებელი კომისია;

პარტნიორი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, მუნიციპალიტეტები;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

უწყებათაშორისი მუშაობის შედეგად, მომზადდა „განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვების მონიტორინგის და მათი ფორმალურ განათლებაში ჩართვის სახელმწიფო პროგრამის შესახებ“ სახელმწიფო პროგრამის პროექტი, რომელიც განსაზღვრავს ბავშვთა განათლების უფლების დაცვის მიზნით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და მის მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მის მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და მის მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოებს/დაწესებულებებს შორის კოორდინირებულად მუშაობის წესს, ბავშვის განათლების მიღმა დარჩენის შემთხვევაში, ეფექტიანი და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს, უფლებამოსილი ორგანოების უფლება-მოვალეობებს, უწყებათაშორის ურთიერთობებს, რომლებიც დაკავშირებულია ბავშვთა განათლებისა და განვითარების უფლების დაცვასთან. აღნიშნული წესი დაარეგულირებს სავალდებულო ზოგადი განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვების შესახებ ინფორმაციის მონიტორინგისა და ანალიზისთვის უწყებათაშორის და სექტორთაშორის შესაბამისი ინფორმაციის მიმოცვლას, რომლის გარეშეც დღევანდელი მდგომარეობით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს არ აქვს წვდომა სხვა უწყებების საინფორმაციო ბაზების მაღალი დაცვის მქონე პერსონალურ

მონაცემებთან. სახელმწიფო პროგრამის პროექტის საბოლოო ვერსია მზად არის საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისთვის წარსადგენად.

ასევე, სასწავლო რესურსებისა და მეთოდოლოგიის (ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე შექმნილი დაწევისა და დაჩქარებული სწავლების პროგრამები, სასწავლო რესურსები, სკოლის ადმინისტრატორთა და მასწავლებელთა ტრენინგ მოდულები, შეფასებისა და მონიტორინგის ინსტრუმენტები) შექმნისა და შექმნილი რესურსებისა და მეთოდოლოგიის სოციალური მომსახურების სააგენტოს 6 დღის ცენტრსა და 15 საჯარო სკოლაში პილოტირების მიზნით, გაეროს ბავშვთა ფონდისა და ბულგარეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით დაიწყო 2 წლიანი პროექტის განხორციელება.

საქმიანობა 16.1.1.2. კონცეფციაზე დაფუძნებით გაანალიზდეს მოწყვლადი ჯგუფებისათვის შეთავაზებული მხარდამჭერი ღონისძიებები და ჩამოყალიბდეს კოორდინაციის მექანიზმი;

პასუხისმგებელი უწყება: გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებაზე პასუხისმგებელი კომისია;

პარტნიორი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, მუნიციპალიტეტები;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

უწყებათაშორისი კოორდინირებული მუშაობის, შემთხვევების ეფექტიანი მართვისა და ადამიანური რესურსის სწორად გამოყენების მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურსა და სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს შორის, შეთანხმდა თანამშრომლობის მექანიზმი ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორიცაა: შემთხვევების რეფერირება, მომსახურების გაწევა, სამიზნე ჯგუფების განსაზღვრა, შემთხვევის კონფერენციების გამართვა და ა.შ.

ამოცანა: 16.1.4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის ოჯახის დამხმარე მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა (დღის ცენტრები, ბინაზე მოვლა, ადრეული განვითარება, აბილიტაცია/რეაბილიტაცია და სხვა);

ამოცანის ინდიკატორი: მომსახურებაში ჩართული შშმ ბავშვების რაოდენობა;

საქმიანობა 16.1.4.1. შშმ ბავშვებისათვის შესაბამისი მომსახურების რაოდენობის ზრდა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

დღის ცენტრებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში: 2018 წელს მომსახურება ხორციელდებოდა: ოზურგეთში, გორში, თერჯოლაში, ზესტაფონში, ბათუმში, ქუთაისში, თელავში, სამტრედიაში, ფოთში, ჩხოროწყუში, ჩოხატაურში, სენაკში, რუსთავში, კასპში, ხარაგაულში, მცხეთაში, ვანში, გურჯაანში, საჩხერეში, ხონში, ბოლნისში, ლაგოდეხში, ხაშურში, წალენჯიხაში, სიღნაღში და თბილისში. 2019 წელს დღის ცენტრის მომსახურებები დარეგისტრირდა ქარელში, ზუგდიდსა და საგარეჯოში. ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურება ხორციელდება: თბილისში, ქუთაისში, თელავში, ზუგდიდში, ლაგოდეხში, ქობულეთში, ბათუმში, მარნეულში, ახალციხეში, გორში, ბორჯომში, რუსთავში, ზესტაფონში. განვითარების მძიმე და ღრმა შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა ხორციელდება: თბილისში, ზუგდიდსა და თელავში.

საქმიანობა 16.1.4.2. ოჯახის დამხმარე მომსახურებების სტანდარტებისა და სტანდარტების შესაბამისად მონიტორინგის მექანიზმის დახვეწა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; მუნიციპალიტეტები;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

დაიხვეწა "ტექნიკური რეგლამენტი ბავშვზე ზრუნვის სტანდარტი", ბავშვზე ზრუნვის სფეროში მომუშავე ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციით და ჩართულობით. შესაბამისად, მონიტორინგი განხორციელდება ახალი სტანდარტებით.

ამოცანა: 16.1.5. სოციალურად დაუცველი/სახელმწიფო ზრუნვაში განთავსების რისკის წინაშე მყოფი ბავშვების დღის ცენტრების მომსახურებათა გაძლიერება;

ამოცანის ინდიკატორი: სოციალურად დაუცველი/სახელმწიფო ზრუნვაში განთავსების რისკის წინაშე მყოფი ბავშვების დღის ცენტრები აწვდიან სტანდარტის შესაბამის მომსახურებას;

საქმიანობა 16.1.5.1. ბავშვთა მიტოვების მიზეზების ანალიზი;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

ორგანიზაციის „საქართველოს ბავშვები“ მიერ განხორციელდა ჩვილ ბავშვთა სახლში ბოლო სამი წლის მანძილზე შესული ბავშვების ჩარიცხვის მიზეზებისა და წყაროების დეტალური შეფასება.

საქმიანობა 16.1.5.2. მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვებისათვის მომსახურებების დახვეწა და გადახედვა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

დაიხვეწა "ტექნიკური რეგლამენტი ბავშვზე ზრუნვის სტანდარტი", ბავშვზე ზრუნვის სფეროში მომუშავე ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციით და ჩართულობით. შესაბამისად, მონიტორინგი განხორციელდება ახალი სტანდარტებით.

ამოცანა: 16.1.6. არასრულწლოვანთა დანაშაულის/კანონდარღვევის პრევენციის მექანიზმის დანერგვა;

ამოცანის ინდიკატორი: არასრულწლოვანთა დანაშულის პრევენციის მექანიზმი დანერგილია, აერთიანებს ყველა პასუხისმგებელ უწყებას და უზრუნველყოფს მათ კოორდინირებულ მუშაობას მთელი ქვეყნის მასშტაბით;

საქმიანობა 16.1.6.1. არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი;

პარტნიორი უწყება: სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს გენერალური პროკურატურა; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისმა საბჭომ, 2018 წელს დაამტკიცა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც განახლდა 2019 წელს.

საქმიანობა 16.1.6.2. დანაშაულის ხელშემწყობი რისკ ფაქტორების იდენტიფიცირების, ადრეული ჩარევის, რეფერირების და რეაგირების კონცეფციის შემუშავება;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი;

პარტნიორი უწყება: სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს გენერალური პროკურატურა; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საბჭოს ფარგლებში შექმნილმა სპეციალურმა სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა არასრულწლოვანთა რეფერირების მექანიზმის კონცეფცია. ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო სექტორის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ექსპერტები და სპეციალისტები, რომლებიც ამ სფეროში მუშაობენ.

საქმიანობა 16.1.6.3. დანაშაულის პრევენციის მექანიზმის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების, სამუშაო მეთოდოლოგიის და ინსტრუმენტების შემუშავება;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი;

პარტნიორი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს გენერალური პროკურატურა;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის შესაბამისად განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, 2019 წლის 31 დეკემბერის #681 მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა არასრულწლოვანთა რეფერირების წესი. ცვლილებების მიხედვით, 2020 წლის 1 იანვრიდან სსიპ - „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ ფარგლებში შეიქმნა სპეციალური სტრუქტურული ერთეული - არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრი, რომელიც პასუხისმგებელია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულზე და ასევე დანაშაულის ჩადენის მაღალი რისკის მქონე პირთა მიღებაზე, შეფასებაზე, ინდივიდუალური გეგმის შემუშავებაზე, შემდგომში სერვისების მიწოდებასა და ასევე რეფერირებაზე. 2020 წლის 1-ლი იანვრიდან, რეფერირების ცენტრი მუშაობს ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებით დანაშაულის პრევენციის მექანიზმთან კავშირში მყოფი უწყებების წარმომადგენლების ინფორმირების მიმართულებით.

შემუშავდა და დასამტკიცებლად მომზადდა რთული ქცევის მქონე არასრულწლოვნის იდენტიფიცირებისა და გადამისამართებისათვის საჭირო მიმართვის ფორმა და სკრინინგ კითხვარი; არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების, ხელშეკრულებისა და ხელშეკრულების შესრულების დეტალური გეგმის ფორმები; არასრულწლოვნის გეგმიური მონიტორინგისა და ზედამხედველობის ყოველთვიური ანგარიშის ფორმა; არასრულწლოვნის არაგეგმიური მონიტორინგის ანგარიშისა და საბოლოო ანგარიშის ფორმები; ხელშეკრულების დასრულების შემდგომ არასრულწლოვანზე დაკვირვების ანგარიშის ფორმა. შეფასების ინსტრუმენტების იმპლემენტაციის მიმართულებით მუშაობა გრძელდება.

საქმიანობა 16.1.6.4. მიზნობრივი პროგრამების/სერვისების შემუშავება და დანერგვა საჭიროებების და თანაბარი გეოგრაფიული გადანაწილების პრინციპის დაცვით;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი;

შესრულების სტატუსი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო - მეტწილად შესრულდა.

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ სხვადასხვა ქვეპროგრამის ფარგლებში ყოველწლიურად რეგისტრირდებიან ახალი ორგანიზაციები. ამასთან, საქართველოს კანონით „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ განისაზღვრა მიზნობრივი პროგრამების/სერვისების შემუშავებისა და დანერგვის ვადები და პასუხისმგებელი უწყებები. სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში შემუშავდა და დაინერგა შემდეგი სატრენინგო პროგრამები და პროექტები:

- სატრენინგო პროგრამა სასიცოცხლო უნარების განვითარება მოზარდებში;
- სატრენინგო პროგრამა მშობლებისა და მასწავლებლებისთვის „პოზიტიური დისციპლინირება“;
- კიბერბულინგი და ინტერნეტის უსაფრთხოდ მოხმარება;
- სატრენინგო დროში განგრძობადი პროგრამა „პრაქტიკული სამართალი მოზარდებისათვის“ ბენეფიციართა სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების შესახებ;
- „გოგონათა კლუბი“-სატრენინგო პროგრამა პიროვნული გაძლიერებისთვის გოგონებისთვის;
- „ორი თაობა“ - პროექტი გულისხმობს სკოლის მოსწავლეების მოხალისეობრივ ჩართულობას თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატის საქმიანობაში;
- „მოხალისე“ - პროექტი გულისხმობს ტრენინგ კურსის გავლის შემდეგ, 14-დან 21 წლამდე ახალგაზრდების მოხალისეობრივ ჩართულობას იუსტიციის სახლების საქმიანობაში;
- „ბულინგის პრევენცია სკოლებში“ - გულისხმობს ტრენინგს თემაზე „პიროვნული მრავალფეროვნება“ მოსწავლეებთან, პედაგოგებთან და მშობლებთან;
- „მოზარდი და სამართალი“ - სპეციალურად შემუშავებული ტრენინგ მოდულის საფუძველზე, ტრენინგები მოზარდებისათვის სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით;
- სხვადასხვა შემეცნებითი და რეკრეაციული ღონისძიებები.

აღნიშნული პროგრამები და სერვისები გეგმიურად ნაწილდებოდა და ხორციელდება თბილისსა და რეგიონებში არსებული საჭიროებებისა და რესურსების გათვალისწინებით.

საჭიროა პროგრამების სამიზნე ჯგუფთან უფრო აქტიური იმპლემენტაცია და გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით მათი დახვეწა.

საქმიანობა 16.1.6.5. მექანიზმში ჩართული პროფესიონალების ინფორმირება მექანიზმის შესახებ;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს გენერალური პროკურატურა;

შესრულების სტატუსი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო - არ დაწყებულა; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო - მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

მას შემდეგ რაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მიიღებს სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის მიერ შემუშავებულ სქრინინგ კითხვარს, რომელიც გამოიყენება რეფერირების სისტემაში მონაწილე უწყებების/დაწესებულებების მიერ რთული ქცევის იდენტიფიცირებისა და ცენტრში არასრულწლოვნის გადამისამართების საჭიროების განსაზღვრისთვის, დაიწყება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა ინფორმირების პროცესი მექანიზმის შესახებ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის შესაბამისად განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, 2020 წლის 1-ლი იანვრიდან ფუნქციონირება დაიწყო არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრმა, 2019 წლის 31 დეკემბერს დამტკიცდა არასრულწლოვანთა რეფერირების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის #681 დადგენილება. მუშაობა წარიმართა პასუხისმგებელი უწყებების ჩართულობით. 2020 წელს გაგრძელდება მუშაობა უწყებათაშორისი საკოორდინაციო მექანიზმის გაფართვა-გაუმჯობესების მიზნით, რაც პროფესიონალთა ინფორმირებას მოიცავს.

საქმიანობა 16.1.6.6. დანაშაულის ხელშემწყობი რისკ ფაქტორების იდენტიფიცირების, ადრეული ჩარევის, რეფერირების და რეაგირების(პროგრამები) უწყებათაშორისი მექანიზმის დანერგვა/ამოქმედება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს გენერალური პროკურატურა;

შესრულების სტატუსი: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო - მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - განხორციელდა.

2020 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის დადგენილება N681 „არასრულწლოვანთა რეფერირების წესის დამტკიცების შესახებ", რომლის მიზანია რთული ქცევის მქონე არასრულწლოვნების სოციალიზაცია, რესოციალიზაცია, რეაბილიტაცია, დანაშაულის პრევენცია ინსტიტუციური და კომპლექსური მიდგომის გზით. არასრულწლოვნების რეფერირების სისტემა აერთიანებს არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ამ სამინისტროთა მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს, საქართველოს პროკურატურასა და „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს/სკოლებს. მოცემული მომენტისთვის მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები მექანიზმის ამოქმედების მიზნით.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის შესაბამისად განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, 2020 წლის 1-ლი იანვრიდან ფუნქციონირება დაიწყო არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრმა, 2019 წლის 31 დეკემბერს დამტკიცდა არასრულწლოვანთა რეფერირების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება. მუშაობა წარიმართა პასუხისმგებელი უწყებების ჩართულობით. 2020 წელს მუშაობა გაგრძელდება უწყებათაშორისი საკოორდინაციო მექანიზმის გაძლიერების მიზნით.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე ძალადობის/სავარაუდო ძალადობის ფაქტის გამოვლენა და სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოში მსხვერპლის/სავარაუდო მსხვერპლის გადამისამართება ხორციელდება საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით განსაზღვრული წესით. საჯარო სკოლების მიერ დამტკიცებულია ძალადობასთან დაკავშირებული შიდა წესები, რომლის თანახმადაც, ძალადობის/სავარაუდო ძალადობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში ხდება სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოში მსხვერპლის/სავარაუდო მსხვერპლის გადამისამართება და საჭიროების შემთხვევაში აღნიშნულის თაობაზე პოლიციის ინფორმირება. პროცედურაზე პასუხისმგებელ სუბიექტს წარმოადგენს მანდატური, ხოლო იმ სკოლებში, სადაც მანდატურები არ არიან წარმოდგენილები, დირექტორი, დირექტორის მოადგილე ან უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

ამასთანავე, მანდატური უზრუნველყოფს, რეფერირების შიდა პროცედურების თანახმად, მოსწავლეთა გადამისამართებას მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების

ცენტრში, სადაც ისინი იღებენ მაღალკვალიფიციურ ფსიქო-სოციალურ დახმარებას. 2018 წლის განმავლობაში, შიდა რეფერირების მექანიზმით, სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრში, მანდატურის მიერ გადმომისამართდა და თვითდინებით მიმართა 2903-მა ბენეფიციარმა.

მიზანი: 16.2. ღარიბი და მოწყვლადი ბავშვებისა და მათი ოჯახების და განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვების მომსახურების გაძლიერება და დახვეწა;

ამოცანა: 16.2.1. სოციალური მუშაკის ინსტიტუტის გაძლიერება;

ამოცანის ინდიკატორი: სოციალური სამუშაო სახელმწიფო უწყებებში მიმდინარეობს დამკვიდრებული სტანდარტების შესაბამისად პროფესიული ზედამხედველობის ქვეშ;

საქმიანობა 16.2.1.1. სოციალური სამუშაოს კონცეფციის შემუშავება და მისი დამტკიცება, რომელიც შესაბამისობაში იქნება სოციალური სამუშაოს შესახებ კანონპროექტის პრინციპებთან;

პასუხისმგებელი უწყება: გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებაზე პასუხისმგებელი კომისია; საქართველოს მთავრობა;

პარტნიორი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

პენიტენციურ სისტემაში 2019 წელს შემუშავდა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის განვითარებისა და მდგრადობის შესანარჩუნებლად კონცეფცია და სამოქმედო გეგმა კონცეფცია 3 ძირითად მიმართულებას ითვალისწინებს:

- პროფესიონალ თანამშრომელთა მოზიდვა, მხარდაჭერა და შენარჩუნება;
- ბენეფიციარებისთვის ეფექტიანი მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა;
- გარდამავალი მენეჯმენტის გამართული ფუნქციონირება.

სამოქმედო გეგმის მიხედვით 2020 წელს დაგეგმილია:

- სოციალური მუშაობის პრაქტიკის სტანდარტის შემუშავება;
- ბენეფიციარზე სარეაბილიტაციო მომსახურების მიწოდების სტანდარტის შემუშავება.

საქმიანობა 16.2.1.3. სოციალური მუშაკების პროფესიული ზედამხედველობის სისტემის განვითარება სოციალური მუშაკების დამსაქმებელ უწყებებში, შესაბამისი ტრენინგ-პროგრამების მომზადება და დამტკიცება;

პასუხისმგებელი უწყება: გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებაზე პასუხისმგებელი კომისია;

პარტნიორი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

სსიპ - „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ და სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ მომზადდა სისტემაში დასაქმებული სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის პროფესიული ზედამხედველობის კონცეფციის სამუშაო ვერსია. მომზადდა საჭირო დოკუმენტაცია მექანიზმის პილოტირებისათვის, მათ შორის სამოქმედო გეგმა.

ამოცანა: 16.2.2. განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვების ფორმალური განათლების პროცესში ჩართვის უზრუნველყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული ბავშვების რაოდენობა; ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული მოწყვლად ჯგუფების წარმომადგენელი ბავშვების რაოდენობა;

საქმიანობა 16.2.2.1. განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვებისათვის ფორმალური განათლების სისტემაში ჩასართავად დამატებითი კურიკულუმისა და საგანმანათლებლო რესურსების შემუშავება განათლების და მეცნიერების სამინისტროს პროგრამის "განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი ბავშვებისთვის საქართველოში" ფარგლებში;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, შემუშავდა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის სტრატეგიის პროექტი სკოლის მიღმა დარჩენილი და დარჩენის მაღალი რისკის მქონე ბავშვებისათვის.

გაეროს ბავშვთა ფონდისა და ბულგარეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, დაიწყო 2 წლიანი პროექტის განხორციელება, რომლის მიზანია ზოგადი განათლების საბაზო საფეხურისთვის სასწავლო რესურსებისა და მეთოდოლოგიის (ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე შექმნილი დაწევისა და დაჩქარებული სწავლების პროგრამების, სასწავლო რესურსების, სკოლის ადმინისტრატორთა და მასწავლებელთა ტრენინგ მოდულების, შეფასებისა და მონიტორინგის ინსტრუმენტების) შექმნა, ასევე შექმნილი რესურსების და მეთოდოლოგიის სოციალური მომსახურების სააგენტოს 6 დღის ცენტრსა და 15 საჯარო სკოლაში პილოტირება.

საქმიანობა 16.2.2.2. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისათვის ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდა ქვეყანაში არსებული მიუსაფარი ბავშვების ყველა სერვისის ბენეფიციარებისთვის. პროგრამა მუშაობს მიუსაფარი ბავშვების ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციაზე, მათი სოციალური ჩართულობის გასაუმჯობესებლად და სკოლაში ან პროფესიულ სასწავლებელში სწავლის ხელშეწყობისთვის, სასწავლო პროცესებში სრულფასოვანი ჩართვისთვის. სპეციალური საგანმანათლებლო სერვისის მიმღები ბენეფიციარების რაოდენობა საანგარიშო წლის სხვადასხვა პერიოდში, შეადგენს 120-დან 140-მდე ბენეფიციარს. მათი დიდი ნაწილი ირიცხება სკოლაში, აქვს მოსწავლის სტატუსი და გრძელდება მუშაობა სწავლის ვადაზე ადრე მიტოვების პრევენციისთვის. მხოლოდ 19 მათგანი არ ირიცხება სკოლაში.

საქმიანობა 16.2.2.3. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე, სოციალურად დაუცველი, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზება შემდგომში მათი ფორმალურ განათლებაში ჩართვის მიზნით;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

სოციალური ინკლუზიის მიზნების შესაბამისად შერჩეული საჯარო სკოლების განაცხადების დაფინანსდებით, ხდება პროგრამის ბენეფიციარებისა (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე და

რეპატრიანტი მესხი (36), ბოშა (65), სსსმ (112) მოზარდები) და მათი თანატოლების (272) საერთო ინტერესების გარშემო მოზიდვა, სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება; უმცირესობების თვითმყოფადობის შესწავლით და თანატოლებთან კომუნიკაციის ხელშეწყობით, მონაწილეებში იზრდება განსხვავებული კულტურის მიმართ მიმღებლობა. საკონკურსო განაცხადებს წარმოადგენენ ის საჯარო სკოლები, რომელთა ახლოს მდებარეობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა 8 რესურს სკოლა, დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლა-პანსიონი და/ან ცხოვრობენ ბოშები, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე და რეპატრიანტი მესხები, წარმოადგენენ ქვეპროგრამის მიზნის შესაბამისად აქტივობებს, რომელიც გაკვეთილების შემდგომ ამუშავდება საჯარო სკოლისა და ბენეფიციარების სათანამშრომლოდ. მოხალისეებისა და ბენეფიციარების თანამშრომლობით საკონფერენციო პრეზენტაციების მომზადება საქართველოში მცხოვრები ბოშებისა და მესხების ისტორიის, ყოფისა და კულტურის შესახებ, თეატრის, ხელგარჯილობისა და კითხვის კლუბების ამუშავება; საკონფერენციო თემების საფუძველზე აიკინძა და გამოიცა სასკოლო (სსიპ ქალაქ თბილისის N45 საჯარო სკოლა და სსიპ ქალაქ სამტრედიის N3 საჯარო სკოლა) ჟურნალები. პროგრამის მონაწილეები აცნობიერებენ პროგრამის ბენეფიციარების მოზარდების სასწავლო პროცესში ჩართულობისა და საზოგადოებაში სოციალიზაციის საჭიროებას; 2019 წელს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტში საჯარო სკოლებიდან შემოსულია 27 საკონკურსო განაცხადი. აქედან სსსმ-ების სოციალიზაციაზე 7 პროექტი, ბოშების სოციალიზაციაზე 6 პროექტი, მესხების სოციალიზაციაზე 3 პროექტი, დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლა-პანსიონიდან 2 პროექტი. მიმდინარე წელს პროექტებით ჩართული იყო საქართველოს მოქალაქეობის არმქონე და რეპატრიანტი მესხი (31), ბოშა (65), სსსმ (108) და დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლა-პანსიონის (73) მოზარდი. მოხდა მათი თანატოლების (331) რეკრუტირება საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული დამოკიდებულებების შეცვლის, განსხვავებული კულტურის მიმართ მიმღებლობის ზრდისა და ბენეფიციარებთან თანამშრომლობის მიზნით. არაფორმალური განათლებით თანატოლთა შორის შექმნილი კეთილგანწყობილი გარემო საგანმანათლებლო სივრცეში იზიდავს მოზარდებს.

მიზანი: 16.3. ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის შექმნა და თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ამოცანა: 16.3.2. ბავშვზე მორგებული გარემოს შექმნა;

ამოცანის ინდიკატორი: 2 ქალაქში, პოლიციის, პროკურატურის, სასამართლოს და იურიდიული დახმარების შენობებში შექმნილია ბავშვზე მორგებული გარემო; შემუშავებულია გეგმა ბავშვზე მორგებული გარემოს კონცეფციის გაფართოების შესახებ მთელი ქვეყნის მასშტაბით; სასჯელაღსრულების სისტემა მოდერნიზებულია ბავშვთა და ახალგაზრდათა უფლებების რეალიზაციის კონცეფციის შესაბამისად;

საქმიანობა 16.3.2.1. საქართველოს 2 ქალაქში პოლიციის, პროკურატურის, სასამართლოს და იურიდიული დახმარების შენობებში ბავშვზე მორგებული სივრცის მოწყობა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს მთავარი პროკურატურა;

პარტნიორი უწყება: საქართველოს უზენაესი სასამართლო; სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური;

შესრულების სტატუსი: არ დაწყებულა.

2019 წელს, სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ ვერ იქნა შესაბამისი ფინანსებისა და სახსრების მოძიება დამატებით ერთ ოფისში ბავშვზე მორგებული სივრცის მოწყობისთვის. აღნიშნული ღონისძიების განხორციელება გადაიდო 2020 წლისთვის.

საქმიანობა 16.3.2.2. ბავშვზე მორგებული გამოკითხვა/დაკითხვის პროცედურების დანერგვა, რომელსაც ახორციელებენ სპეციალიზებული ინტერვიუერები;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს მთავარი პროკურატურა;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2019 წლის 1 აპრილიდან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ტერიტორიულ ქვედანაყოფებში გამოიყო სპეციალიზებულ გამომძიებელთა ჯგუფები, რომლებიც არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილ სექსუალური ძალადობის საქმეები. მომზადდა რეკომენდაციები სპეციალიზებული გამომძიებლებისათვის. რეკომენდაციები ეხება როგორც არასრულწლოვნების საქმეთა გამოძიების სტანდარტებს, ისე საქმეში

კანონიერი/საპროცესო წარმომადგენლის ჩართვის საკითხებს; აღნიშნული რეკომენდაციების პრაქტიკაში ყოველდღიური გამოყენება მნიშვნელოვნად ზრდის გამოძიების ხარისხს;

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით სპეციალიზებულმა 20-მა გამომძიებელმა დამატებითი გადამზადების 4-დღიანი კურსი გაიარა. გადამზადების კურსი ორიენტირებული იყო როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფ, ასევე, დანაშაულის მოწმე და დაზარალებულ ბავშვებზე. სწავლება მოიცავდა როგორც სამართლებრივ საკითხებს ასევე, გამოკითხვა/დაკითხვისას ბავშვებთან ურთიერთობის ფსიქოლოგიურ ასპექტებს.

2018- 2019 წლებში, არასრულწლოვანთა მიერ/მიმართ ჩადენილი დანაშაულების სამართლებრივ ინსტრუმენტებთან და არასრულწლოვნებთან მუშაობის სტანდარტებთან დაკავშირებით, გადამზადდა 500 პატრულ-ინსპექტორი და 100 გამომძიებელი. პირველ ეტაპზე, განგრძობადი სპეციალიზაციის ტრენინგისთვის გამომძიებლები იმ ქალაქებიდან და რაიონებიდან შეირჩა, სადაც ყველაზე მაღალია არასრულწლოვანთა მიერ/მიმართ ჩადენილი დანაშაულების მაჩვენებელი;

საქმიანობა 16.3.2.3. ბავშვზე მორგებული გარემოს კონცეფციის გაფართოების გეგმის შემუშავება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს მთავარი პროკურატურა;

პარტნიორი უწყება: საქართველოს უზენაესი სასამართლო; სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური;

შესრულების სტატუსი: სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური - მიმდინარე - მეტწილად შესრულდა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო - განხორციელდა.

სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური მუდმივ რეჟიმში ახორციელებს კვლევებისა და სტატისტიკების წარმოებას მთელი ქვეყნის მასშტაბით ბავშვზე მორგებული გარემოს კონცეფციის შესამუშავებლად, თუმცა კონცეფციის საბოლოო ვერსია ჯერ დასრულებული არ არის. შემუშავებულია გეგმა 2020-2022 წლებში საქართველოს მასშტაბით განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებით.

საქმიანობა 16.3.2.4. სასჯელაღსრულების სისტემაში, არასრულწლოვანთა დაწესებულებების მოდერნიზაცია;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

2019 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის განახლებული მცირე (ოჯახური) ტიპის დაწესებულებების კონცეფციაზე. ახალი მიდგომის შესაბამისად, დაწესებულებებში კიდევ უფრო გააქტიურდება სოციალური მიმართულება და მაქსიმალურად ხელშეწყობილი იქნება არასრულწლოვანი მსჯავრდებულების საზოგადოებასთან დაახლოების პროცესი. დაწესებულებებში განთავსებული არასრულწლოვნებისთვის უზრუნველყოფილი იქნება პიროვნული და პროფესიული განვითარებისკენ მიმართული ღონისძიებები, რომელთა შორის მნიშვნელოვან კომპონენტს კრიმინალურ მენტალიტეტთან ბრძოლა წარმოადგენს. 2020 წლის ბოლომდე დაგეგმილია 2 ახალი მცირე (ოჯახური) ტიპის დაწესებულების მოწყობა არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის.

ამოცანა: 16.3.3. მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუციური სპეციალიზაცია;

ამოცანის ინდიკატორი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე უწყებებში დანერგილია პროფესიონალთა სპეციალიზაციის ინსტიტუციური მექანიზმი;

საქმიანობა 16.3.3.2. თითოეულ უწყებაში (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს გენერალური პროკურატურა, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო) სპეციალიზაციის პროცესის მარეგულირებელი შიდა ნორმატიული აქტის შემუშავება, რომელიც არეგულირებს პროფესიონალთა შერჩევის კრიტერიუმებს, სამუშაო აღწერილობებს, მეთოდოლოგიას და ინსტრუქციებს, საწყისი და უწყვეტი გადამზადების პროგრამებს, საქმეთა გადანაწილების სისტემას და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს გენერალური პროკურატურა; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი;

პარტნიორი უწყება: სსიპ - იუსტიციის სასწავლო ცენტრი; სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო;

შესრულების სტატუსი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო - მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო განხორციელდა.

„არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ საფუძველზე შემუშავდა და დამტკიცდა „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში სოციალური მომსახურების სააგენტოს სამოქმედო ინსტრუქცია“, რომლითაც ხელმძღვანელობენ სოციალური მუშაკები. რაც შეეხება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, შემუშავდა დოკუმენტის სამუშაო ვერსია. ამ ეტაპზე მიმდინარეობს საკონსულტაციო სამუშაოები. სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო

სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში დანერგილია ინტერვიზიის და სუპერვიზიის მეთოდები და მედიატორები ამ მექანიზმს პრაქტიკაში აქტიურად იყენებენ. აღსანიშნავია, რომ საქმიანობის მონიტორინგისა და მედიატორთა შეფასების ფორმები დამტკიცებულია ცენტრის შიდა აქტით, ხოლო სპეციალიზაციის პროცესის დროს სააგენტო ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის #668 დადგენილებით.

საქართველოს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ინიცირებით, გამოიცა „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მოსამსახურეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კანდიდატებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 25 სექტემბრის N399 ბრძანება. სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში სპეციალიზაციის პროცესის მარეგულირებელი შიდა ნორმატიული აქტი შემუშავების პროცესშია.

საქართველოს კანონების „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ და „სოციალური მუშაობის შესახებ“ იმპლემენტაციისთვის საჭირო ღონისძიებების განსახორციელებლად საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ შეიქმნა 5 სამუშაო ჯგუფი, რომელთაგან ორში, კერძოდ, კანონქვემდებარე აქტების/სამოქმედო გეგმების ჯგუფსა და სამინისტროების პროგრამების ჯგუფში ჩართულია სპეციალური პენიტენციური სამსახური. შესაბამისად, 2019 წლის დეკემბერში დაიწყო მუშაობა სპეციალიზაციის მარეგულირებელი აქტების შემუშავებაზე, რაც მიმართული უნდა იყოს ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე არასრულწლოვანთა მიმართებით.

აქტივობის ფარგლებში, 2019 წელს, სსიპ - იუსტიციის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზაციის კურსი“ ორი ჯგუფისთვის, რომელსაც დაესწრო ჯამში 48 მონაწილე შემდეგი უწყებებიდან:

- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო - 11 მონაწილე;
- არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო - 29 მონაწილე;
- სპეციალური პენიტენციური სამსახური - 8 მონაწილე.

საქმიანობა 16.3.3.3. საქმეთა სპეციფიკის, სირთულისა და რაოდენობის გათვალისწინებით საქმეთა ზღვრული რაოდენობის დადგენა და სოციალურ მუშაკთა რაოდენობის ზრდა პრობაციის ეროვნულ და სოციალური მომსახურების სააგენტოებში;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო - მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო - განხორციელდა.

2019 წლის 1 იანვრიდან, სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს საშტატო ნუსხით გათვალისწინებული სოციალური მუშაკების რაოდენობა გაიზარდა 30 სოციალური მუშაკის საშტატო ერთეულით, ასევე, ხელშეკრულებით დასაქმებული 20 სოციალური მუშაკით. საქმეთა სპეციფიკის, სირთულისა და რაოდენობის გათვალისწინებით ზღვრული ოდენობის დადგენა და სოციალური მუშაკების რაოდენობის შემდგომი ზრდა დაგეგმილია "სოციალური მუშაობის შესახებ" საქართველოს კანონის სამოქმედო გეგმის შესაბამისად. ამასთან, ჩამოყალიბდა მეურვეობისა და მზრუნველობის ერთიანი სისტემა სსიპ "სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო. სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში შექმნილი მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის შექმნისას საშტატო რიცხოვნობაში განისაზღვრა ფსიქოლოგის 40 საშტატო ერთეული, რაც მანამდე არსებულს 9 ერთეულით აღემატება და სოციალურ მუშაკთა 90 საშტატო ერთეული.

2019 წლის 11 მარტს მიღებულ იქნა სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის №1391 ბრძანება „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“, რომელშიც გაწერილია სოციალურ მუშაკთა მზარდობის სქემა 2024 წლის ჩათვლით: 2020 წლის 1 იანვრისათვის - 120, 2022 წლის 1 იანვრისათვის - 140 და 2024 წლის 1 იანვრისათვის -160. ზემოაღნიშნული სრულ თანხვედრაშია სოციალური მუშაობის შესახებ კანონის სამოქმედო გეგმასთან.

პენიტენციურ სისტემაში, არასრულწლოვანი ბრალდებულ/მსჯავრდებულებისთვის გამოყოფილია სოციალური მუშაკების ის ოდენობა, რომელიც სრულად აკმაყოფილებს „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის მე-2 პუნქტს, რომლის მიხედვითაც „სოციალური მუშაკის სამუშაოს სირთულიდან გამომდინარე, დადგენილია მიმდინარე საქმეთა (შემთხვევათა) ზღვრული ოდენობა. შემთხვევების რაოდენობა 50-ს არ უნდა აღემატებოდეს. დამატებით მიღებული საქმეებით გათვალისწინებული შემთხვევები არ უნდა აღემატებოდეს ზღვრულ ოდენობას ამ ოდენობის ერთი მესამედით.“

N11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაზე მიმაგრებულია 2 სოციალური მუშაკი (შემთხვევის მმართველი) და შემთხვევების სრული რაოდენობა არ აღემატება 30 ერთეულს. N2 და N8 პენიტენციური დაწესებულებების არასრულწლოვანთა განყოფილებებზე მიმაგრებულია თითო სოციალური მუშაკი (შემთხვევის მმართველი) და შემთხვევების სრული რაოდენობა თითო დაწესებულებაში არ აღემატება 15 ერთეულს. პრობაციის ეროვნული სააგენტო საქმეთა სპეციფიკის, სირთულისა და რაოდენობის ზრდის გათვალისწინებით, საქმეთა ზღვრული ოდენობის დადგენისა და სოციალურ მუშაკთა რაოდენობის ზრდის საკითხებთან დაკავშირებით ხელმძღვანელობს „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონით.

მიზანი: 16.4. ბავშვთა ძალადობისაგან დაცვის პრევენციული მექანიზმების ჩამოყალიბება და გაძლიერება;

ამოცანა: 16.4.2. უსაფრთხო და ძალადობისაგან დაცული გარემოს შექმნა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში და სკოლის გარეშე სასწავლებლებში;

ამოცანის ინდიკატორი: განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შექმნილი და დამტკიცებულია უსაფრთხო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების კონცეფცია;

საქმიანობა 16.4.2.1. უსაფრთხო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების კონცეფციის დამტკიცება და პილოტირება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვარის N06/ნ ბრძანებით დამტკიცდა „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“. დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირების კუთხით განსახორციელებელი ღონისძიებები. ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ ეს არის პირველი დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს მანდატურის სამსახურსა და საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის კოორდინირებული თანამშრომლობის მექანიზმს. ზემოაღნიშნული ბრძანებით განსაზღვრულია განსახორციელებელი აქტივობების პერიოდი, რომელიც უნდა დასრულდეს 2022 წლის 31 დეკემბრამდე. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით უნდა შეიქმნას:

- საფრთხეების იდენტიფიცირების მიზნით რისკების შეფასების მექანიზმი - სხვადასხვა კითხვარები, მრჩეველთა საბჭო და ა.შ.

- ელექტრონული პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს მშობლის, სკოლის ადმინისტრაციის, მანდატურისა და განათლების სამინისტროს წარმომადგენლების მაღალ ჩართულობას სასკოლო პროცესებში.
- სკოლის სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებული მოქმედების მიზნით შეიქმნება სკოლის მრჩეველთა საბჭო, რომელიც ერთგვარ მაკონტროლებელ და საკონსულტაციო როლს შეასრულებს სკოლის უსაფრთხოების საკითხებში;
- მანდატურის სამსახურის მიერ სკოლებისათვის უსაფრთხოების საკითხებზე რეკომენდაციების მიცემისა და ამ რეკომენდაციებთან დაკავშირებით სკოლების მიერ განხორციელებული მოქმედებების შესახებ უკუკავშირის წესი.

ასევე, ყველა საჯარო სკოლაში სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განისაზღვრება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი - მანდატური/უფლებამოსილი პირი. კერძო სკოლა ვალდებულია იხელმძღვანელოს წესით, ან საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით შეიმუშაოს წესი, რომელიც უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებას.

ამოცანა: 16.4.3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირების მექანიზმის დანერგვა;

ამოცანის ინდიკატორი: ძალადობის პრევენციისა და რეაგირების ინსტრუქციები შემუშავებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში;

საქმიანობა 16.4.3.1. ძალადობის პრევენციისა და რეაგირების ინსტრუქციების შემუშავება და დამტკიცება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

2019 წლის განმავლობაში სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრმა შეიმუშავა ძალადობის პრევენციის გრძელვადიანი თანმიმდევრული პროგრამა. პირველ ეტაპზე, პროგრამის განხორციელება დაიწყო საპილოტედ 11 საჯარო სკოლაში, რომლებიც რისკის მაჩვენებლების მიხედვით შეირჩა. საპილოტე პროგრამა ასევე, მოიცავს კვლევით კომპონენტს. პროგრამის შედეგების შეფასების შემდეგ დაიგეგმება მისი ეტაპობრივი დანერგვა. პროგრამის ფარგლებში, განხორციელდა საგანმანათლებლო დაწესებულების ყველა რგოლთან ინტერვენცია: პედაგოგები, ადმინისტრაცია, მშობლები, მოსწავლეები.

2019 წელს მანდატურის სამსახურმა დაიწყო მუშაობა სასკოლო მედიაციის სტანდარტულ გეგმაზე. ევროკავშირის სასამართლო რეფორმის მხარდაჭერის პროექტის დახმარებით საერთაშორისო ექსპერტი ტიმ ჩაპმანი ჩაერთო აღნიშნული გეგმის შემუშავების პროცესში. (2019 წლის შემოდგომაზე მან გამართა სამუშაო ვიზიტი საქართველოში).

ამოცანა: 16.4.4. ზოგადსაგანმანათლებლო და დაწესებულებების სასწავლო პროგრამებში ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხების ინტეგრირება;

ამოცანის ინდიკატორი: ეროვნულ სასწავლო გეგმაში ინტეგრირებულია ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხები;

საქმიანობა 16.4.4.1. სწავლების სხვადასხვა საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სხვადასხვა საგნებში ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების ჩართვა, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად მოიცავენ ბავშვთა მიმართ ძალადობის ასპექტს;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

დაწყებითი საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების: „მე და საზოგადოება“ და „ჩვენი საქართველო“ სტანდარტებით გათვალისწინებულია ბავშვის უფლებათა სწავლების საკითხი, ხოლო საბაზო საფეხურის „მოქალაქეობის“ სასწავლო გეგმა ასევე მოიცავს ადამიანის/ბავშვის უფლებათა კომპონენტს. ეს საგნები ორიენტირებულია არაძალადობრიობის, კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების, ტოლერანტობის ღირებულებებით მოსწავლეთა აღზრდაზე, რაც ხელს შეუწყობს, როგორც მათი სამოქალაქო ცნობიერების, ისე ზნეობრივ-ეთიკური საფუძვლების გაძლიერებასა და ამ ყოველივეს მეშვეობით, ძალადობის პრევენციას. გარდა ამისა, ეროვნული სასწავლო გეგმა გამოყოფს პრიორიტეტულ თემებს. მათ შორის ერთ-ერთია ადამიანის უფლებები. პრიორიტეტული თემა, გარდა იმისა, რომ ფორმალური განათლების მინიმუმ ერთ საგანში ისწავლება, ასევე უნდა მოექცეს სხვა საგნების ყურადღების ქვეშ და შეძლებისდაგვარად გაითვალისწინონ სწავლა-სწავლების პროცესში. ასევე სკოლებს ეძლევათ რეკომენდაცია, რომს ასკოლო პროექტების თემატიკად გამოყენებულ იქნას პრიორიტეტული თემები.

ამოცანა: 16.4.5. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება სკოლებში ბავშვის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული აქტივობების განსახორციელებლად, მოსწავლეებში ერთმანეთის უფლებების დაცვისა და ურთიერთპატივისცემის კულტურის დასამკვიდრებლად;

ამოცანის ინდიკატორი: აღნიშნულ თემატიკაზე დატრენინგებული სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლების, მათ შორის არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა რაოდენობა;

საქმიანობა 16.4.5.1. ტრენინგების ჩატარება ბავშვთა უფლებების დაცვის და ბულინგისა და ჩაგვრის საკითხებზე სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლებისათვის, მათ შორის არაქართულენოვანი სკოლებისათვის;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ატარებს ტრენინგებს თემაზე „სკოლებში ბულინგის პრევენცია და ტოლერანტული კულტურის განვითარების ხელშეწყობა“. 2019 წელს ტრენინგი გაიარა 453 პედაგოგმა.

მიზანი: 16.5. ძალადობის მსხვერპლ ბავშვთათვის სარეაბილიტაციო მექანიზმების გაუმჯობესება/გაძლიერება;

ამოცანა: 16.5.1. ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების აღსრულება ყველა ჩართული უწყების მიერ;

ამოცანის ინდიკატორი: ძალადობის მსხვერპლი/სავარაუდო მსხვერპლი ბავშვების გამოვლენა და მიმართვიანობა მიმდინარეობს გადამზადებული პროფესიონალების მიერ ბავშვთა დაცვის პროცედურების შესაბამისად;

საქმიანობა 16.5.1.1. ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურებში ჩართული ყველა უწყების მიერ რეფერირების შიდა ინსტრუქციების დამტკიცება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს გენერალური პროკურატურა;

პარტნიორი უწყება: მუნიციპალიტეტები;

შესრულების სტატუსი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო - განხორციელდა; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბერს №437 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ მე-6 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, 2016 წლის 11 ოქტომბრის სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის №04-519/ო ბრძანებით დამტკიცდა ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში სოციალური მომსახურების სააგენტოს სამოქმედო ინსტრუქცია, ხოლო სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიერ შემუშავდა და ფონდის დირექტორის (04.05.2017წ. № 07-43/ო; 05.05.2017წ. № 07-45/ო) ბრძანებებით დამტკიცდა ფონდის სტრუქტურულ ერთეულებში (თავშესაფარი, კრიზისული ცენტრი) და ტერიტორიულ ერთეულებში (ჩვილ ბავშვთა სახლი; კოჯრის შშმ ბავშვთა სახლი) ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებით სამოქმედო ინსტრუქციები. ამასთან, გამოიცა „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სამოქმედო ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 19 თებერვლის N1/80 ბრძანება.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში მიმდინარეობს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით კანონმდებლობით დადგენილი წესით რეაგირების პროცედურების განსაზღვრის პროცესი. მომზადდა მინისტრის ბრძანების შესაბამისი პროექტი, ამ ბრძანებით დასამტკიცებელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და ოქმის შევსების ინსტრუქცია დანართი „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გაცემის წესის შესახებ“, რომელშიც გაწერილია სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები.

საქმიანობა 16.5.1.2. ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურებში ჩართული სპეციალისტების გადამზადება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს გენერალური პროკურატურა;

პარტნიორი უწყება: მუნიციპალიტეტები;

შესრულების სტატუსი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო - განხორციელდა; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით სოციალური მუშაკების გადამზადება მიმდინარეობს სისტემატიურად სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის ძალადობის, რეაგირების და ა.შ. სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია მუდმივად ახორციელებს პოლიციელთა ცნობიერების ამაღლების პოლიტიკას ოჯახში/ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე. აკადემიის სასწავლო პროგრამები, კერძოდ: უბნის ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო, პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის ტერიტორიული ორგანოების მართლწესრიგის ოფიცერთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო და პოლიციელთა საბაზისო მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და ითვალისწინებს ოჯახური ძალადობის, ქუჩაში მყოფი არასრულწლოვნების გამოვლენის, ოჯახური ძალადობის გავლენას ბავშვზე, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების, ბავშვთა მიმართ ძალადობის გამოვლენის და შემდგომი რეაგირების საკითხების სწავლებას. აგრეთვე, აღნიშნული თემატიკის სწავლება გათვალისწინებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელ სპეციალიზებულ პოლიციელთა და გამომძიებელთა მომზადების პროგრამაში.

2019 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ზემოხსენებული თემატიკით მომზადდა შემდეგი ჯგუფები:

- პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 50 მსმენელი;
- უბნის-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 32 მსმენელი;
- კრიმინალური პოლიციის ტერიტორიული ორგანოების მართლწესრიგის ოფიცერთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 62 მსმენელი;
- პოლიციელთა საბაზისო მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 256 მსმენელი;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელ სპეციალიზებულ პოლიციელთა და გამომძიებელთა მომზადების პროგრამა - 101 მსმენელი.

გარდა ამისა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის ინიციატივით განხორციელებული კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრეინინგების მოდული, რომლის თემატიკაც მოიცავს ოჯახში ძალადობის ან/და ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ არსებული სამართლებრივი

მექანიზმების შესწავლას, ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის დადგენილების N437 „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“, „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურეთა სამოქმედო ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ 2018 წლის 19 თებერვლის, შს მინისტრის №1/80 ბრძანებისა და მომიჯნავე აქტების სწავლებას. ასევე, ამავე დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ განხორციელებული მონიტორინგის დროს, უფლებამოსილი პოლიციის თანამშრომლისათვის ყოველდღიურ რეჟიმში ხდება პირდაპირი მითითება შესაბამისი უწყებისათვის ბავშვზე ძალადობის შემთხვევების შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე;

არასამთავრობო ორგანიზაცია „HUMAN DOC“-ის და ფონდი „სოხუმი“-ს ორგანიზებით, იმერეთის რეგიონში შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის მონაწილეობით ჩატარდა ტრენინგთა ციკლი თემაზე "პოლიციის როლი ძალადობის პრევენციასა და მსხვერპლის უსაფრთხოებაში", სადაც პოლიციის თანამშრომლებს დეტალურად მიეწოდათ ინფორმაცია საქართველოს მთავრობის დადგენილების N437 „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ და პროცესში ჩართული სპეციალისტების შესახებ.
იმ სკოლებში, სადაც არ არის წარმოდგენილი მანდატური, უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ სკოლების მიერ გამოყოფილი უფლებამოსილი პირები. მანდატურის სამსახურის მიერ შეიქმნა უფლებამოსილ პირთა გადამზადების ტრენინგ-მოდული და მიმდინარეობს აღნიშნულ პირთა გადამზადება. ამჟამად, გადამზადებულია 1500-მდე ადამიანი.

ამოცანა: 16.5.2. ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვების (მათ შორის ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე) პრევენციული მომსახურებების გაძლიერება;

ამოცანის ინდიკატორი: ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების რაოდენობა იდენტიფიცირებულია ქვეყნის მასშტაბით; ქუჩაში მოხვედრის რისკის წინაშე მყოფი ბავშვების მომსახურებები გაფართოებულია; ადრეული იდენტიფიცირების მექანიზმი შემუშავებული და გადასინჯულია;

საქმიანობა 16.5.2.1. ორგანიზაცია "FAFO"-ს რეკომენდაციების გათვალისწინებით, ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვების მომსახურებათა კონცეფციის გადასინჯვა და ამ კონცეფციის შესაბამისად მომსახურების სტანდარტების დამტკიცება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

შემუშავდა საქართველოს მთავრობის დადგენილების „ტექნიკური რეგლამენტი - ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ (№66) ცვლილების პროექტი, რომელშიც გათვალისწინებულია მიუსაფარი ბავშვების სერვისების სპეციფიკა. პროცესში ჩართულები იყვნენ ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები. შესაბამისად, ახალი სტანდარტით განხორციელდება სერვისების მონიტორინგი.

ამოცანა: 16.5.3. ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისათვის ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო მომსახურებების შექმნა და გაძლიერება;

ამოცანის ინდიკატორი: ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების საშუალებით გამოვლენილი ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისათვის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის კონცეფცია შემუშავებულია;

საქმიანობა 16.5.3.1. ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მომსახურების საჭიროებათა განსაზღვრა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრი;

შესრულების სტატუსი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო - მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის დამტკიცდა №2633 განკარგულება „ძალადობის მსხვერპლი ბავშებისათვის ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრის კონცეფციაზე მომუშავე უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“. აღნიშნული განკარგულებით განსაზღვრულია, რომ სამუშაო ჯგუფი გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებისა და ბავშვის უფლებების საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიას წარუდგენს ცენტრის კონცეფციას არაუგვიანეს 2020 წლის 1 მაისისა.

საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მანდატურების მიერ ხორციელდება ძალადობის ნებისმიერი ფორმის პირველადი იდენტიფიცირება, რის საფუძველზეც იგი ახდენს შესაბამისი სამსახურის ინფორმირებას, მათ შორის მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის, სადაც ინდივიდუალური მიდგომებისა და მუშაობის შედეგად

განისაზღვრება ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მომსახურების საჭიროება და ხდება შესაბამისი მომსახურების გაწევა.

საქმიანობა 16.5.3.2. ძალადობის მსხვერპლი ბავშვების ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის კონცეფციის შემუშავება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრი;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

იხილეთ საქმიანობა 16.5.3.1.

ამოცანა: 16.5.4. ბავშვზე მორგებული სპეციალიზირებული მომსახურების შექმნა სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლოატაციის მსხვერპლი ბავშვებისათვის;

ამოცანის ინდიკატორი: სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლოატაციის მსხვერპლი ბავშვებისათვის ამოქმედებულია შესაბამისი მომსახურება;

საქმიანობა: 16.5.4.1. მომსახურების კონცეფციის შექმნა, განფასება და მისი პილოტირება;

პასუხისმგებელი უწყება: გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებაზე პასუხისმგებელი კომისია;

პარტნიორი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრი;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

იხილეთ საქმიანობა 16.5.3.1.

ამოცანა: 16.5.5. ბავშვთა შრომისა და ბავშვთა ტრეფიკინგის შემთხვევების შესაბამისი გამოვლენისა და რეაგირების მექანიზმის განვითარება;

ამოცანის ინდიკატორი: შემუშავებულია ბავშვთა შრომისა და ბავშვთა ტრეფიკინგის იდენტიფიკაციის სახელმძღვანელო პრინციპების დოკუმენტი შესაბამისი სამიზნე ჯგუფებისათვის;

საქმიანობა: 16.5.5.1. სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება და დამტკიცება;

პასუხისმგებელი უწყება: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

იხილეთ საქმიანობა 16.5.3.1.

ამოცანა: 16.5.6. „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის კონვენციის ფარგლებში ბავშვთა უფლებების დაცვისა და კოორდინაციის მექანიზმის გაუმჯობესება;

ამოცანის ინდიკატორი: შემუშავებულია ბავშვთა საერთაშორისო არამართლზომიერი გადაადგილების საქმეებზე რეფერირებისა და აღსრულების მექანიზმი; შემუშავებულია სახელმძღვანელო წიგნი;

საქმიანობა: 16.5.6.1. ბავშვთა საერთაშორისო არამართლზომიერი გადაადგილების/დაკავებისა და ურთიერთობის უფლების განხორციელების საქმეებზე რეფერირებისა და აღსრულების მექანიზმის შემუშავება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

დასრულდა მუშაობა ბავშვთა საერთაშორისო არამართლზომიერი გადაადგილების/დაკავებისა და ურთიერთობის უფლების განხორციელების საქმეებზე რეფერირებისა და აღსრულების მექანიზმის პროექტზე და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების პროექტები გაიგზავნა საქართველოს პარლამენტში.

საქმიანობა: 16.5.6.3. თანამშრომლობის გაძლიერება/მოლაპარაკებების წარმოება იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც საქართველო არ ახორციელებს ორმხრივ თანამშრომლობას „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის კონვენციის საფუძველზე;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2019 წელს საქართველომ აღიარა ერაყის რესპუბლიკის მიერთება „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის კონვენციასთან, ამასთან, 2019 წელს დაიწყო მოლაპარაკებები ალბანეთის რესპუბლიკასთან, ანდორის სამთავროსთან, სომხეთის რესპუბლიკასთან, მოლდოვას რესპუბლიკასთან, ყაზახეთის რესპუბლიკასთან, კორეის რესპუბლიკასთან, მონტენეგროსთან, მაროკოს სამეფოსთან, ფილიპინების რესპუბლიკასთან, სინგაპურის რესპუბლიკასთან და უზბეკეთის რესპუბლიკასთან ჰააგის 1980 წლის კონვენციასთან მათი მიერთების აღიარების მიზნით.

მიზანი: 16.6. შეზღუდული შესაძლებლობის და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების დიდი ზომის სამზრუნველო დაწესებულებათა დეინსტიტუციონალიზაცია;

ამოცანა: 16.6.1. დიდი ზომის სამზრუნველო დაწესებულებებში ბავშვთა შედინების შემცირება;

ამოცანის ინდიკატორი: შშმ და განსაკუთრებული საჭიროებების ბავშვების რაოდენობა სახელმწიფო 24-იან ზრუნვაში (დიდი ზომის სამზრუნველო დაწესებულებებში) შემცირებული და მინიმიზირებულია; სახელმწიფო 24-იან ზრუნვაში ბავშვები ხვდებიან ყველა პრევენციული მექანიზმის ამოქმედების შემდეგ "გეითქიფინგის" მექანიზმის შესაბამისად;

საქმიანობა 16.6.1.1. სახელმწიფო ზრუნვაში განთავსების პრევენციის ("გეითქიფინგის") მექანიზმის დახვეწა, დამტკიცება და ამოქმედება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: მუნიციპალიტეტები;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

2017 წლის 6 ივნისს დამტკიცდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-129/ო ბრძანება „სამედიცინო დაწესებულებებში ბავშვის მიტოვების პრევენციის სამოქმედო ინსტრუქცია“. აღნიშნული ბრძანების გაცნობის მიზნით, შეხვედრები გაიმართა ქ.

თბილისის, ქ. ქუთაისის, კახეთის, გურიისა და ქვემო ქართლის რეგიონის სამედიცინო დაწესებულებების პერსონალთან.

საქმიანობა 16.6.1.2. დიდი ზომის სამზრუნველო დაწესებულებებიდან შშმ ბავშვების საჭიროებების მიხედვით: რეინტეგრირება ბიოლოგიურ ოჯახში, განთავსება სპეციალიზებული ოჯახური ტიპის მომსახურებასა ან სპეციალიზირებულ მინდობით აღზრდაში;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: მუნიციპალიტეტები;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

ბავშვების ინტერესებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით მუდმივად მიმდინარეობს მათი საქმეების გადახედვა და ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნების ან ალტერნატიულ სერვისებში გადასვლის დაგეგმვა.

ამოცანა: 16.6.2. ოჯახის ჩამნაცვლებელი ალტერნატიული მომსახურებების (მინდობით აღზრდა, სპეციალიზირებული ოჯახური ტიპის მომსახურება) განვითარება და დახვეწა;

ამოცანის ინდიკატორი: ოჯახის ჩამნაცვლებელი ალტერნატიული მომსახურებები (მინდობით აღზრდა, სპეციალიზირებული ოჯახური ტიპის მომსახურება) ფუნქციონირებენ შემუშავებული სტანდარტების შესაბამისად;

საქმიანობა 16.6.2.1. სპეციალიზებული ოჯახური ტიპის მომსახურებისათვის დამატებითი საჭიროებების განსაზღვრა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

შემუშავდა საქართველოს მთავრობის დადგენილების „ტექნიკური რეგლამენტი - ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ (№66) ცვლილების პროექტი, რომელშიც გათვალისწინებულია სპეციალიზებული ოჯახური ტიპის მომსახურების სპეციფიკა. "სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში გაიზარდა მინდობით აღმზრდის (მათ შორის განსხვავებული საჭიროების მქონე ბავშვებისათვის) დაფინანსება.

საქმიანობა 16.6.2.2. სპეციალიზებული ოჯახური ტიპის დამატებითი მომსახურებების შექმნა არსებული საჭიროების გათვალისწინებით;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

2018 წლის ბოლოს გაიხსნა მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის მეორე მცირე საოჯახო ტიპის სახლი ქ. თბილისში, სადაც განთავსდა 7 აღსაზრდელი ჩვილ ბავშვთა სახლიდან. ბავშვების ინტერესებისა და ჯანმრთელობის მდგომარეების გათვალისწინებით ჩვილ ბავშვთა სახლიდან ბენეფიციარები გადადიან სპეციალიზებულ მინდობით აღზრდაში.

საქმიანობა 16.6.2.3. ოჯახური ტიპის მომსახურებების აღმზრდელების მომზადების ინსტიტუციური მექანიზმის შემუშავება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

მცირე საოჯახო ტიპის სახლების მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების ასოციაციას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს სატრენინგო მოდული. სასწავლო პროცესი ტარდება წელიწადში ორჯერ და სატრენინგო კურსს გადის მცირე საოჯახო ტიპის სახლების მომსახურების მომწოდებელი სხვადასხვა ორგანიზაცია.

მიზანი: 16.7. რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე მუნიციპალიტეტების მიერ ადმინისტრირებული ბავშვთა თავშესაფრების და სკოლა-პანსიონების რეგულირების სფეროში მოქცევა;

ამოცანა: 16.7.1. რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე მუნიციპალიტეტების მიერ ადმინისტრირებული ბავშვთა თავშესაფრების და სკოლა-პანსიონების ოპტიმიზაცია;

ამოცანის ინდიკატორი: რეგულირების ჩარჩოს ფარგლებში მოქცეულია ყველა რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე მუნიციპალიტეტების მიერ ადმინისტრირებული ბავშვთა თავშესაფარი და სკოლა-პანსიონატი;

საქმიანობა 16.7.1.1. რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე მუნიციპალიტეტების მიერ ადმინისტრირებული ბავშვთა თავშესაფრების და სკოლა-პანსიონების შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: მუნიციპალიტეტები;

შესრულების სტატუსი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო - მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროსა და გაეროს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობით შემუშავდა შეფასების ინსტრუმენტი.

2019 წლიდან, დუშეთის მუნიციპალიტეტის სამ სოფელში (მაღაროსკარი, ბარისახო, შატილი) მდებარე სკოლა-პანსიონი მართვაში გადმოეცა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს. სკოლა-პანსიონში ირიცხებიან მოსწავლეები, რომლებიც ცხოვრობენ სკოლიდან დაშორებულ სოფლებში, ასევე ახლომდებარე სოფლებიდან მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მომართვის საფუძველზე. პანსიონის ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან:

1. სააღმზრდელო მომსახურებით, რომელიც მოსწავლეს განუმტკიცებს აკადემიურ, დამოუკიდებელი ცხოვრებისა და მუშაობის უნარებს, სოციალურ უნარებს;
2. ხარისხიანი საკვებით, საჭირო პირველადი მოხმარების პირადი ნივთებით, საჭიროების შემთხვევაში სეზონური ტანისამოსით, პირველადი მედიკამენტებით და პირველადი სამედიცინო დახმარების მომსახურებით.

ამჟამად პანსიონური მომსახურება მიეწოდება 25 ბენეფიციარს (მაღაროსკარი-11, ბარისახო-9, შატილი-5).

2019 წელს სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა ბარისახოსა და შატილის (ხანძრის შედეგად სრულად განადგურდა) სკოლა-პანსიონებს. სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა მაღაროსკარის საცხოვრებელ კორპუსს.

ასევე, მომზადდა სპეციალური პროფილის მქონე რესურს სკოლების ზრუნვის სტანდარტის პირველადი დოკუმენტი, რომლის განხილვაც და დასამტკიცებლად მომზადებაც განხორციელდება 2020 წელს.

საქმიანობა 16.7.1.2. შემუშავებული ინსტრუმენტებით დაწესებულებების შეფასება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: მუნიციპალიტეტები;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

შემუშავებული ინსტრუმენტის საფუძველზე განხორციელდა დაწესებულებების სწრაფი შეფასება, რომლის საფუძველზეც გამოიკვეთა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და მუსლიმანური კონფესიის დაქვემდებარებაში არსებულ ბავშვთა პანსიონებში მცხოვრები არასრულწლოვნების დაწესებულებებში მოხვედრის მიზეზები და საჭიროებები.

საქმიანობა 16.7.1.3. რელიგიურ დაწესებულებებში და ადგილობრივ დონეზე მუნიციპალიტეტების მიერ ადმინისტრირებული ბავშვთა თავშესაფრების და სკოლა-პანსიონების მარეგულირებელი ჩარჩოს დადგენა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; მუნიციპალიტეტები.;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ხელმძღვანელობით შეიქმნა ბავშვთა კეთილდღეობისაკენ მიმართული საკოორდინაციო საბჭო, რომლის დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების კომიტეტის ფარგლებში მიმდინარეობს მუშაობა.

მიზანი: 16.9. შიდა მონიტორინგის სისტემების გაუმჯობესება;

ამოცანა: 16.9.1. არასრულწლოვნებთან დაკავშირებულ მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის სისტემის დანერგვა;

ამოცანის ინდიკატორი: შექმნილია და ფუნქციონირებს არასრულწლოვნებთან დაკავშირებულ მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის სისტემა;დამტკიცებული ინდიკატორების შესაბამისად მიმდინარეობს არასრულწლოვნებთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვება და ანალიზი;

საქმიანობა 16.9.1.1. ბაზის ინდიკატორების დასრულება და დამტკიცება შესაბამისი ნორმატიული აქტის მომზადება, საკანონმდებლო ცვლილებების და ბაზის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული კანონქვემდებარე აქტების შემუშავება; ელექტრონული სისტემის შექმნა და დანერგვა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს გენერალური პროკურატურა; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; საქართველოს უზენაესი სასამართლო; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი;

შესრულების სტატუსი: სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური - არ დაწყებულა; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო - პრობლემურია.

სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური მუდმივ რეჟიმში ახორციელებს კვლევებისა და სტატისტიკების წარმოებას მთელი ქვეყნის მასშტაბით ბავშვზე მორგებული გარემოს კონცეფციის შესამუშავებლად, თუმცა კონცეფციის საბოლოო ვერსია ჯერ დასრულებული არ არის.

საქართველოს მთავრობის დადგენილების N437 „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: ბავშვზე ძალადობის ერთიანი ბაზის ტექნიკურ ადმინისტრირებას ახორციელებს პოლიცია. ამ მიზნით მიმდინარეობს სამუშაოები შესაბამის ინფორმაციაზე სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს პროკურატურას გააჩნია წვდომა აღნიშნულ ინფორმაციაზე.

17. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა

მიზანი: 17.1. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების დისკრიმინაციული მოპყრობისაგან დაცვის ხელშეწყობა და მათი მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა;

ამოცანა: 17.1.1. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების ცნობიერების ამაღლება მათ უფლებებსა

და ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობასთან მიმართებაში;

ამოცანის ინდიკატორი: ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა; დამსწრეთა რაოდენობა; გაფართოებული გეოგრაფიული არეალი;

საქმიანობა 17.1.1.1. საინფორმაციო კამპანიის წარმოება ეროვნული/ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში;

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში (მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, ახალციხის, ახალქალაქის, ნინოწმინდის) გაიმართა შეხვედრები, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას, სკოლის მოსწავლეებს, მათ მშობლებს მიეწოდათ ინფორმაცია "1+4" პროგრამის, უმაღლესი განათლების პროგრამების შესახებ. ამას გარდა, განხორციელდა თანატოლ განმანათლებელთა პროექტი, რომლის ფარგლებშიც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების (კახეთი, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი) 23 მუნიციპალიტეტის 177 სოფელში ჩატარდა 172 შეხვედრა და 2752 ადამიანს მიეწოდა ინფორმაცია განათლების სფეროში არსებული შესაძლებლობების, 1+4 საგანმანათლებლო და სტაჟირების პროგრამების შესახებ.

ამოცანა 17.1.2. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების ინფორმირება სახელმწიფოს სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის შესახებ;

ამოცანის ინდიკატორი: ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა; დამსწრეთა რაოდენობა გაფართოებული გეოგრაფიული არეალი;

საქმიანობა 17.1.2.1. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სამოქალაქო ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის გაცნობა;

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

პარტნიორი უწყება: სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისია;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში (მარნეულის, გარდაბნის, ბოლნისის, დმანისის, ახალციხის, ახალქალაქის, ნინოწმინდის) გაიმართა 20-მდე შეხვედრა, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს მიეწოდათ ინფორმაცია სამოქალაქო ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელებისა და სამომავლო გეგმების შესახებ.

მიზანი: 17.2. ეთნიკურ უმცირესობათა წვდომის გაუმჯობესება მასმედიასა და ინფორმაციაზე;

ამოცანა: 17.2.1. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების ენებზე ბეჭდვითი მედიის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: მედიაპროდუქტი მომზადებული და გავრცელებულია;

საქმიანობა 17.2.1.1. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების ენებზე ბეჭდური მედია საშუალებების გავრცელების ხელშეწყობა ეროვნული/ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პენიტენციალურ დაწესებულებებში;

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

პარტნიორი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი - განხორციელდა; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო - მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

წლის განმავლობაში გამოიცა სომხურენოვანი გაზეთი "ვრასტანი“ (102 ნომერი, ტირაჟი 3500) და აზერბაიჯანულენოვანი გაზეთი "გურჯისტანი" (98 ნომერი, ტირაჟი 2000). გამოცემული გაზეთები გავრცელდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პენიტენციალურ დაწესებულებებში. ყველა პენიტენციური დაწესებულის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია აზერბაიჯანულენოვანი ,,გურჯისტანისა'' და სომხურენოვანი ,,ვრასტანის'' გაზეთების მომარაგებით.

ამოცანა: 17.2.2. ეროვნულ უმცირესობებში გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლება;

ამოცანის ინდიკატორი: ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა; დამსწრეთა რაოდენობა;

საქმიანობა 17.2.2.1. გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების (მათ შორის ოჯახში ძალადობა) შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება საზოგადოებრივი ცენტრების ბაზაზე;

პასუხისმგებელი უწყება: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია;

პარტნიორი უწყება: სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით 2019 წელს საზოგადოებრივი ცენტრის დაფინანსებით დმანისის საზოგადოებრივ ცენტრში 1 ღონისძიება გაიმართა, რომელსაც 26 ადამიანი ესწრებოდა. ასევე, სხვადასხვა უწყებების ჩართულობით საზოგადობრივი ცენტრის ბაზაზე 2019 წლის განმავლობაში სულ გაიმართა 11 შეხვედრა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით.

მიზანი: 17.3. ცნობიერების ამაღლება ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ;

ამოცანა: 17.3.1. საინფორმაციო კამპანია საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ;

ამოცანის ინდიკატორი: ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა; მონაწილეთა რაოდენობა; სამიზნე ჯგუფები; გავრცელებული მასალების რაოდენობა;

საქმიანობა 17.3.1.1. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების, სოფლის მეურნეობის განვითარების, განათლების კუთხით არსებული პერსპექტივებისა და ინიციატივების გაცნობა;

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

პარტნიორი უწყება: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო (სსიპ საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ);

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ სსიპ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრთან და საქართველოს გაეროს ასოციაციასთან მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა პროექტი "ახალგაზრდა ევროპელი ელჩები", რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პერსპექტივების შესახებ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ინფორმირებულობის გაზრდას. 2017-2019 წლებში პროექტის ფარგლებში 39 მუნიციპალიტეტის 241 სოფელში 302 შეხვედრა გაიმართა, რომელსაც დაესწრო 6349 მონაწილე. შეხვედრების შედეგად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს მათ მშობლიურ ენებზე მიეწოდა ინფორმაცია და შესაბამისი მასალები, ასევე, საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესების შესახებ - მათ მშობლიურ ენებზე.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ინიციატივით, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ფინანსური მხარდაჭერით, პირველად განხორციელდა პანკისის ხეობის პედაგოგებისთვის ცნობიერების ამაღლებასა და ჩართულობის გაძლიერებაზე ორიენტირებული პროექტი - „ცნობიერების ამაღლება საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შესახებ". პროექტის პირველი ეტაპი 2018 წლის დეკემბრის ბოლოს განხორციელდა, რომლის ფარგლებშიც თბილისში პროექტის მონაწილე პედაგოგებისთვის ევროინტეგრაციის საკითხებზე ორდღიანი სემინარი გაიმართა. პროექტში მონაწილეობა მიიღეს პანკისის ხეობის საჯარო სკოლების პედაგოგმა და დირექტორმა ქალბატონებმა (20 ადამიანი), რომელთაც საშუალება ჰქონდათ მიეღოთ ინფორმაცია საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შესახებ, ემსჯელათ და განეხილათ ზემოაღნიშნულთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები. პროგრამის მეორე ეტაპზე, პროექტის ყველა მონაწილე 2019 წლის 3-7 თებერვალს სასწავლო ვიზიტით ბრიუსელში გაემგზავრა და ადგილზე გაეცნო ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურების მუშაობის პრინციპებს. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები ევროკავშირის სტრუქტურებსა და ნატოს შტაბ-ბინაში, ასევე ადგილობრივი განათლების სისტემისა და ამ მიმართულებით ევროპული გამოცდილების გაზიარების მიზნით შეხვედრები გაიმართა ბელგიის საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც. პროექტი გაშუქდა მედიით.

საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება საგარეო საქმეთა სამინისტროს სსიპ-ის „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ" ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს. 2019 წელს სსიპ-მა საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის განახორციელა

სხვადასხვა სახის აქტივობა, მათ შორის, საჯარო ღონისძიებები, სემინარები, საინფორმაციო შეხვედრები, ღია დისკუსიები, საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიებები. საინფორმაციო ცენტრმა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს ინფორმაცია მიაწოდა ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მნიშვნელობის, ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის, ასოცირების შეთანხმებისა და თავისუფალი ვაჭრობის, ასევე, სოფლის მეურნეობის განვითარების, განათლების კუთხით არსებული პერსპექტივებისა და ინიციატივების შესახებ.

შეხვედრები ჩატარდა როგორც თბილისში, ასევე, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში: გარდაბანში, მარნეულში, ბოლნისში, დმანისში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, წალკაში, ახალციხეში, ახალქალაქში, ნინოწმინდაში, პანკისის ხეობაში, ლაგოდეხში, საგარეჯოსა და თელავში. საინფორმაციო ცენტრმა წლის განმავლობაში იმუშავა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიასთან: მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, სტუდენტებთან, ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან, მედიასთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან.

საერთო ჯამში, საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე გაიმართა 51 ღონისძიება და პირდაპირი კომუნიკაცია დამყარდა ეთნიკური უმცირესობის 2150-მდე წარმომადგენელთან. საინფორმაციო ცენტრმა ეთნიკური უმცირესობების ენებზე 2019 წელს მოამზადა და გაავრცელა საინფორმაციო მასალები, მათ შორის: „13 მითი ნატოს შესახებ“ (სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე), „10 მითი ევროკავშირის შესახებ“, საინფორმაციო ბროშურები უვიზო მიმოსვლის შესახებ (სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე).

ამოცანა: 17.3.2. ევროკავშირის შესახებ ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობა ადგილობრივ ბეჭდვით/ელექტრონულ მედიაში; არაქართულენოვან გაზეთებში;

ამოცანის ინდიკატორი: მასალები განთავსებულია ადგილობრივ ელექტრონულ/ბეჭდვით მედიაში და გაზეთებში - "ვრასტანი" და "გურჯისტანი";

საქმიანობა 17.3.2.1. ადგილობრივ ელექტრონულ/ბეჭდვით მედიაში და გაზეთებში "ვრასტანი" და "გურჯისტანი" ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ ინფორმაციის განთავსების ხელშეწყობა;

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ;

პარტნიორი უწყება: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი - განხორციელდა; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო განხორციელდა.

სომხურენოვანი გაზეთის „ვრასტანის“ 102 ნომერში დაიბეჭდა 100 სტატია, ხოლო აზერბაიჯანულენოვანი გაზეთის "გურჯისტანი" 31 ნომერში 55 სტატია. სსიპ-მა საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, 2018 წელს უზრუნველყო ადგილობრივი ელექტრონული/ბეჭდური მედიისთვის, ასევე, „ვრასტანისა“ და ,,გურჯისტანისათვის" ნატოსთან და ევროკავშირთან დაკავშირებული სხვადასხვა სიახლის მიწოდება; შესაბამისად, მომზადდა საგაზეთო სტატიები.

მიზანი: 17.5. ეთნიკური უმცირესობებისათვის ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება;

ამოცანა: 17.5.1 საინფორმაციო/ ცნობიერების ამაღლების კამპანია განათლების სისტემაში დაგეგმილი და მიმდინარე სიახლეების შესახებ;

ამოცანის ინდიკატორი: ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა; მონაწილეთა რაოდენობა; გაფართოებული გეოგრაფიული არეალი; მედიაში გაშუქების დინამიკა;

საქმიანობა 17.5.1.1. უმაღლესი განათლების სისტემის საშეღავათო პოლიტიკის, სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიის, სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სასწავლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდება საქართველოში მცხოვრები ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის;

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემია; სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია; შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საქართველოში მცხოვრებ ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მხრიდან, პერმანენტულად ხორციელდება თავდაცვის აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და შესაბამისი საინფორმაციო კამპანიების წარმოება. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის

აკადემიაში დანერგილია ერთწლიანი აკრედიტირებული საგანმანათლებლო „ქართულ ენაში მომზადების პროგრამა“, რომლის მიზანია, საქართველოს სახელმწიფო ენა შეასწავლოს საქართველოს მოქალაქე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, რომლებიც ვერ ფლობენ ქართულ ენას. აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა არაქართულენოვანი იუნკერებისათვის უზრუნველყოფს ქართულ ენაში შესაბამისი უნარ-ჩვევებისა და ცოდნის (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) ამაღლებას B2 დონეზე, რომელიც აუცილებელია ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, აგრეთვე მიზნად ისახავს, როგორც სახელმწიფო ენის სწავლებას, ასევე არაქართულენოვანი იუნკერებისათვის თავდაცვის ძალებში ქვეყნის ერთგული და ღირსეული სამსახურისთვის ხელშეწყობას.

- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ: აბიტურიენტებს, რომლებიც დარეგისტრირდნენ მიმდინარე წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის და მიმდინარე წელს არ უსრულდებათ 23 წელი;
- აბიტურიენტები ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აბარებენ მხოლოდ ერთ-ერთ შემდეგ ტესტს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული საქართველოს მოქალაქეებისათვის დადგენილი წესით: ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტი;
- ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტი;
- ოსური ენის ტესტი და აფხაზური ენის ტესტი.

ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში (მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, ახალციხის, ახალქალაქის, ნინოწმინდის), შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ გაიმართა შეხვედრები, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას, სკოლის მოსწავლეებს, მათ მშობლებს მიეწოდათ ინფორმაცია "1+4" პროგრამის, უმაღლესი განათლების პროგრამების შესახებ. ამას გარდა, განხორციელდა თანაგანმანათლებელთა პროექტი, რომლის ფარგლებშიც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების (კახეთი, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი) 23 მუნიციპალიტეტის 177 სოფელში ჩატარდა 172 შეხვედრა და 2752 ადამიანს მიეწოდა ინფორმაცია განათლების სფეროში არსებული შესაძლებლობების, 1+4 საგანმანათლებლო და სტაჟირების პროგრამების შესახებ.

ამოცანა: 17.5.2. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ საჯარო მოხელეთა პროფესიული ზრდა და განვითარება;

ამოცანის ინდიკატორი: სახელმწიფო ენის სწავლებისა და საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების განხორციელებული პროგრამების რაოდენობა; პროგრამებით გადამზადებულ პირთა რაოდენობა; სახელმწიფო ენის სწავლებისა და საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამების განხორციელების გეოგრაფიული დაფარვის გაზრდილი არეალი;

საქმიანობა 17.5.2.1. საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში საჯარო მოხელეთა (ეროვნული/ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები პირები) გადამზადება სხვადასხვა დარგობრივი მიმართულებებით;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის ფარგლებში:
- განხორციელდა 7 პროგრამა;
-გადამზადდა ეროვნული უმცირესობის 3545 წარმომადგენელი;
- განხორციელდა 4 ქალაქში, 66 სოფელსა და 7 სამხედრო ბაზაზე

საჯარო მმართველობა და ადმინისტრირება:
- განხორციელდა 7 პროგრამა;
- გადამზადდა 442 საჯარო მოსამსახურე;
- პროგრამით ისარგებლა 46 მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა.

ამოცანა: 17.5.3. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის განათლების მიღების ხელშეწყობა; სახელმწიფო ენის სწავლების პოპულარიზაცია/გაუმჯობესება; "1+4 პროგრამის" განხორციელება;

ამოცანის ინდიკატორი: ქართულ ენაში მოსამზადებელი საგანმანათლებლო 1+4 პროგრამით მოსარგებლე ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა რაოდენობა;

საქმიანობა 17.5.3.1. „ქართულ ენაში მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამის“, იგივე 1+4 პროგრამა განხორციელება ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის; პროგრამის შესახებ საინფორმაციო კამპანიების ჩატარება სამიზნე ჯგუფებთან, საინფორმაციო საშუალებებით, ელექტრონული და ბეჭდვითი საინფორმაციო საშუალებებით ინფორმაციის გავრცელება აღნიშნულის თაობაზე;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2019 წელს ქართულ ენაში მოსამზადებელ პროგრამაზე ჩაირიცხა 1181 სტუდენტი.

იხილეთ საქმიანობა 17.5.1.1.

მიზანი: 17.6. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების კულტურისა და თვითმყოფადობის დაცვის უზრუნველყოფა;

ამოცანა: 17.6.1. ისტორიული საკულტო ნაგებობების თანმიმდევრული რეაბილიტაციის და დაცვის უზრუნველყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: რეაბილიტირებული ისტორიული საკულტო ნაგებობების რაოდენობის მზარდი ტენდენცია განადგურების საფრთხის წინაშე მდგომი ობიექტების რეაბილიტაცია;

საქმიანობა 17.6.1.1. ისტორიული საკულტო ნაგებობების რეაბილიტაციის პრიორიტეტულობის დადგენა და შესაბამისი სიის შემუშავება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

2019 წელს მიმდინარეობდა და 2020 წელსაც გაგრძელდება საქართველოში პოლონური კულტურული მემკვიდრეობის კომპლექსური მულტიდისციპლინარული კვლევისა და ინვენტარიზაციის პროგრამის პირველი ეტაპი - პოლონელ არქიტექტორთა და ინჟინერთა მიერ დაპროექტებული შენობების, პოლონელთა კუთვნილი ან მათ ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული შენობებისა და სხვა ობიექტების ინვენტარიზაცია (,,კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამა“ - 94500 ლარი).

ამოცანა: 17.6.2. კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების ტრადიციების და შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერით;

ამოცანის ინდიკატორი: ეთნიკურ უმცირესობათა სსიპ ორგანიზაციების და სხვა ორგანიზაციების მხარდაჭერის მზარდი ბიუჯეტი;

საქმიანობა 17.6.2.1. ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით ჩატარდა კონკურსი, და გამოვლენილ იქნა გამარჯვებული 6 პროექტი. კონკურსის შედეგად გამოვლენილი გამარჯვებული პროექტების ფარგლებში გამოიცა საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსის საზოგადო მოღვაწეთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი 5 წიგნი-ალბომი და აუდიო-დისკი (სულ 2150 ეგზემპლარი); მოზარდ მაყურებელთა თეატრის დიდ სცენაზე დაიდგა აფხაზური მითებისა და ლეგენდების საფუძველზე შექმნილი სპექტაკლი "სარა ბარა ბზია ბზო ანუ მე შენ მიყვარხარ". პრემიერას დაესწრო 800 მაყურებელი.

სამინისტროს მმართველობის სფეროშია სამი ეთნიკური სახელმწიფო პროფესიული თეატრი . 2019 წელს სსიპ პეტროს ადამიანის სახელობის სომხურმა თეატრმა გამართა - 31 სპექტაკლი, მათ შორის 9 პრემიერა, გასვლითი - 7, 1 საქველმოქმედო, საგასტროლო - 8 სომხეთსა და ფინეთში, მაყურებელი 5 811; სსიპ ალ. გრიბოედოვის სახელობის რუსულმა დრამატულმა თეატრმა 143 სპექტაკლი, 14 საგასტროლო და გასვლითი სპექტაკლი,4 პრემიერა 12760 მაყურებელი; სსიპ ჰეიდარ ალიევის სახელობის აზერბაიჯანულმა სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა დადგა 2 ახალი და აღადგინა 1 სპექტაკლი, გამართა 2 გასტროლი ყაზახეთსა და თურქეთში., დაესწრო 1050 მაყურებელი.

მიზანი: 17.7. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლება და ინფორმირებულობის გაზრდა სხვადასხვა სფეროში მიმდინარე პროგრამების/სერვისებისა და სიახლეების შესახებ;

ამოცანა: 17.7.1. საინფორმაციო კამპანიის წარმოება სოციალურ-ეკონომიკური საკითხების შესახებ;

ამოცანის ინდიკატორი: გამართული შეხვედრების/სემინარების და მონაწილეთა რაოდენობა; გეოგრაფიული არეალი, სამიზნე ჯგუფები;

საქმიანობა 17.7.1.1. საინფორმაციო შეხვედრები სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამებსა და სერვისებზე;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; მუნიციპალიტეტები; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი - განხორციელდა; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო - მიმდინარე - მეტწილად შესრულდა. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო - განხორციელდა.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში (ქვემო ქართლი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი) შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ გაიმართა 300-ზე მეტი საინფორმაციო შეხვედრა სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების თაობაზე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის განხორციელდა საინფორმაციო-საკონსულტაციო და ექსტენციის მომსახურება, მათ შორის მობილური ექსტენცია. შეხვედრების რაოდენობა: 382, გავრცელებული საინფორმაციო მასალების რაოდენობა: 27 905 ერთეული. გეოგრაფიული არეალი: ქვემო ქართლის რეგიონი - გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროს, წალკის მუნიციპალიტეტები; სამცხე-ჯავახეთის რეგიონი - თელავის, ახალციხის, ბორჯომის, ასპინძის, ახალქალაქის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტები; კახეთის რეგიონი - ახმეტის, ყვარლის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტები.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობისათვის ფართომასშტაბიან საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, სოციალური პროგრამების გაცნობის მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დეპარტამენტის მიერ ჩატარდა შეხვედრები, რომელსაც ესწრებოდნენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები - ადგილობრივი მოსახლეობა, გუბერნიის ადმინისტრაცია, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები, საკრებულოს თანამშრომლები, სოფლების რწმუნებულები, მასწავლებლები, სამედიცინო პერსონალი, არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივ მედია, ახალგაზრდები, სხვა დაინტერესებული მხარეები.

ქვემო ქართლის რეგიონში ჩატარდა 2 საინფორმაციო შეხვედრა: 1) მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია; 2) დმანისის მუნიციპალიტეტის კარაბულახის ადმინისტრაციული ერთეული (შედის 10 სოფელი). გარდა ამისა, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებულ, საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობისათვის სოციალური პროგრამების გაცნობის მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის სოციალური პოლიტიკის სამმართველოს მიერ, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ჩატარდა 4 შეხვედრა: ახალქალაქის მუნიციპალიტეტის - სოფ. სულდა, კარტიკამი; ასპინძის მუნიციპალიტეტი - სოფ. დამალი, დაბა ასპინძა. ,,სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის“ 2019 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, სულ ჩატარდა - 6 საინფორმაციო შეხვედრა.

18. რელიგიის თავისუფლებისა და რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვა

მიზანი: 18.1. სეკულარიზმის და რელიგიური ნეიტრალიტეტის განმტკიცება;

ამოცანა: 18.1.1. საქართველოში რელიგიის თავისუფლების, ტოლერანტობის, თანასწორუფლებიანობისა და რელიგიური ნეიტრალიტეტის განმტკიცება;

ამოცანის ინდიკატორი: შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის ანგარიშებში ასახული პოზიტიური დინამიკა; 2018 წლის განმავლობაში საჯარო სამსახურში გამოვლენილია პრიორიტეტული/ რისკის შემცველი სამიზნე ჯგუფები და ხდება მათი ტრენინგი; საგანმანათლებლო მოდულის ზეგავლენის შეფასება და შესაბამისი ცვლილებების პროექტის მომზადება მაღალი სტანდარტის დასანერგად;

საქმიანობა 18.1.1.2. საქართველოს მთავრობის N200 დადგენილების (საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ) პოპულარიზაცია და საჯარო მოხელეებისათვის აღნიშნული დადგენილების მე-7 მუხლის შესახებ საინფორმაციო მასალების მომზადება;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

საჯარო სამსახურში ეთიკური გარემოს შექმნისა და კორუფციის პრევენციული მექანიზმების დანერგვის ხელშეწყობისთვის, 2018 წლის აპრილში, სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურომ შეიმუშავა „საჯარო დაწესებულების ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების კომენტარი. აღნიშნული გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა და ხელს უწყობს ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების გამოყენების ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებას საქართველოს საჯარო დაწესებულებებში. კომენტარების საჯარო განხილვა 2018 წლის 7 მაისს მოეწყო. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული მოხელეები, ასევე აკადემიური, არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

გარდა ამისა, ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების შესახებ ცნობიერების ამაღლებისთვის ბიურო ატარებს ეთიკის ფორუმებს. 2018 წლის 20 მარტს ბიუროს ორგანიზებითა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) სამართლის პროგრამის მხარდაჭერით გაიმართა საჯარო სამსახურის ეთიკის რიგით მეორე ფორუმი, რომელზეც საჯარო მოსამსახურეთა შეუთავსებელ საქმიანობასა და ხელმძღვანელის ქცევის სტანდარტებთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს. ეთიკის ფორუმები პერიოდულად ტარდება და მათში მონაწილეობენ ცენტრალური საჯარო დაწესებულებების შიდა აუდიტისა და ინსპექტირების, ასევე ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების წარმომადგენლები. ფორუმზე განიხილება პრობლემური საკითხები და მუშავდება შესაბამისი რეკომენდაციები საჯარო სამსახურში ეთიკური გარემოს გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი მექანიზმების შექმნასთან დაკავშირებით. ეთიკის ფორუმის

თემატიკა ბიუროს მიერ მონაწილეებისათვის გაგზავნილი კითხვარის შესაბამისად განისაზღვრება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2018 წლის იანვარში, ბიუროს ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნოს თანამშრომლობითა და USAID-ის პროექტის - „კარგი მმართველობის ინიციატივა საქართველოში (GGI)“ მხარდაჭერით, ჩატარდა სამი ორდღიანი ტრენინგი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისათვის. ტრენინგის მთავარი თემა იყო საჯარო სამსახურის რეფორმის სიახლეები, ანტიკორუფციული პოლიტიკა და სამართლებრივი ჩარჩო, ასევე კორუფციის პრევენციის მექანიზმები. ტრენინგში მონაწილეობდა 4 რეგიონის (იმერეთი, სამეგრელო, ზემო სვანეთი და სამცხე-ჯავახეთი) მუნიციპალიტეტის 48 წარმომადგენელი.

საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების პოპულარიზების აუცილებლობიდან გამომდინარე, 2018 წლის განმავლობაში, ბიუროს მიერ და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, განხორციელდა პროექტი - „„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონსა და ანტიკორუფციულ მექანიზმებზე ცნობიერების ამაღლების გზით, საჯარო სამსახურის რეფორმის დანერგვის მხარდაჭერა“. პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის სიახლეებსა და ანტიკორუფციულ მექანიზმებზე, მათ შორის ეთიკის საკითხებზე, როგორც ცენტრალურ საჯარო უწყებებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებულ მოხელეთათვის, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებისათვის - სულ 400-მდე ადამიანისთვის. პროექტი 2019 წლის მარტის თვეში დასრულდა და დამატებით გადამზადდა 130-მდე პირი. გარდა ამისა, აღნიშნული პროექტის ფარგლებში, შემუშავდა სახელმძღვანელო ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა რელიგიური ნეიტრალიტეტი საჯარო სამსახურში.

დამატებით, ბიურო აქტიურად მუშაობს საჯარო სამსახურში ეთიკის ელექტრონული სასწავლო კურსის შემუშავებაზე. კერძოდ, 2018 წლის განმავლობაში, მომზადდა საჯარო სამსახურში ეთიკის ელექტრონული სასწავლო პლატფორმის კონცეფცია. ელექტრონული კურსის მიზანია საქართველოს საჯარო სამსახურში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების შესახებ ცოდნის ამაღლება, მისი გამოყენების ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობა, ამავდროულად, საჯარო მოსამსახურეებში ეთიკური გარემოსა და კეთილსინდისიერების მნიშვნელობის წახალისება. სწავლების ელექტრონული მოდელის მეშვეობით, შესაძლებელი გახდება საჯარო მოსამსახურეთა დისტანციურად გადამზადება საჯარო სამსახურში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების შესახებ. კურსის ფარგლებში მოხელეები, სამუშაო ადგილისა და გარემოს დატოვების გარეშე, მიიღებენ ინფორმაციას საჯარო დაწესებულებაში „ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული ცნებებისა და მათი პრაქტიკაში გამოყენების შესახებ, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში მიზნად ისახავს შესაძლო გადაცდომების, ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევების, ასევე, ეთიკის ნორმებისა და ქცევის ზოგადი წესების დარღვევის თავიდან აცილებას. აღნიშნული კონცეფციის საფუძველზე გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) სამართლის პროგრამის მიერ გამოცხადებული ტენდერის საფუძველზე შერჩეულმა კომპანიამ განახორციელა ელექტრონული კურსის პროგრამული უზრუნველყოფა და შეიქმნა ვებპორტალი - Ethics.gov.ge. 2019 წლის 2 და 3

მაისს კი, გამართა სამუშაო შეხვედრა, რომელსაც დაესწრნენ საჯარო დაწესებულებების ადამიანური რესურსების მართვისა და შიდა აუდიტის თანამშრომლები და ეთიკის ელექტრონული სასწავლო მოდულის შინაარსის მონახაზი შემუშავდა. ამ ეტაპზე, დასრულებულია ელექტრონული სასწავლო კურსის დიზაინზე მუშაობა და ასევე, შინაარსობრივი მხარის გამართვის მიზნით, მომზადებულია ტექსტობრივი მასალები შესაყვანად. გარდა ამისა, შემუშავებულია 5 ვიდეო რგოლი და 3 კომიქსი, რომლებიც უნდა განთავსდეს კურსის შინაარსობრივ ნაწილში.

საქმიანობა 18.1.1.3. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ბეჭდვითი და ელექტრონული გამოცემების საშუალებებით;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

საზოგადოებაში საქართველოს რელიგიური მრავალფეროვნების, შემწყნარებლობის კულტურის, ადამიანის უფლებების, მათ შორის რელიგიის თავისუფლების სამართლებრივი გარანტიების შესახებ ცნობიერების ამაღლების, ასევე ტოლერანტული გარემოს მხარდაჭერის მიზნით:

- ყოველწლიურად გამოიცემა ინტერრელიგიური კალენდარი (კედლის, სამაგიდო და ბრაილის შრიფტით). პროექტი გულისხმობს სხვადასხვა რელიგიური თემების (ამჟამად 11 რელიგიური მიმდინარეობა) დღესასწაულთა თავმოყრას ერთი კალენდრის ფორმატში. კალენდარი ყოველწლიურად ვრცელდება რელიგიურ თემებში, პრაქტიკულად ყველა საჯარო უწყებაში, უნივერსიტეტებში და სხვ. აღნიშნული პროექტი თავის მხრივ ხელს უწყობს განსხვავებულ რელიგიურ ჯგუფებს შორის ურთიერთცნობადობის ამაღლებას და ინტერრელიგიური კულტურის განვითარებას, ასევე საჯარო მოხელეთა ცნობიერების ამაღლებას რელიგიური მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობის მიმართულებით;
- გამოიცა „რელიგიური რუკა“ (რეგიონული და რაიონული მასშტაბით). შემუშავდა რუკების ელექტრონული ვარიანტიც - (http://religion.geo.gov.ge/statmaps/). რუკებში ასახულია მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობის რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებლები, რომლებიც ეყრდნობა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებულ 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგად მიღებულ ინფორმაციას;
- საქართველოში მოქმედი რელიგიური ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ მოწოდებული ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიქმნა საქართველოში მოქმედი საკულტო ნაგებობების რუკა, რომელზეც დატანილია მოქმედი საკულტო ნაგებობების რაოდენობა და პროცენტული მაჩვენებლები როგორც რეგიონების, ისე მუნიციპალიტეტების დონეზე. რუკა საშუალებას მისცემს სახელმწიფოს, ყველა დაინტერესებულ უწყებასა თუ რელიგიურ ორგანიზაციას, საქართველოს მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობის გათვალისწინებით დაგეგმოს და განახორციელოს საკუთარი საქმიანობა;

- განხორციელდა საზოგადოებასთან ურთიერთობის ორთვიანი კამპანია რწმენისა და რელიგიის თავისუფლების თემასთან დაკავშირებით. საზოგადოებასთან 2 ურთიერთობის კამპანიის ფარგლებში მომზადდა სატელევიზიო კლიპი და ფოტომასალა. კლიპი განთავსდა საზოგადოებრივ მაუწყებელზე სოციალური კლიპის ეგიდით. ფოტომასალა კი გავრცელდა რელიგიის სააგენტოს ვებგვერდითა და სოციალური ქსელით. ინტერრელიგიური შინაარსისა და რწმენის თავისუფლების იდეის მატარებელი კლიპი და საუკეთესო ფოტო გამოფენილი იყო თბილისში, რამდენიმე ბანერზე;
- სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ შეიქმნა ფოტოალბომი „რელიგიები საქართველოში", რომელშიც ასახულია საქართველოს რელიგიურ-კულტურული მრავალფეროვნება და რელიგიურ ლიდერთა ფოტოები. ალბომი დაყოფილია საქართველოს მხარეების მიხედვით და აღწერილია ამ რეგიონებში არსებული მნიშვნელოვანი და ისტორიული საკულტო ნაგებობები. ცალკე სივრცე აქვს დათმობილი საქართველოში არსებულ უმრავლეს რელიგიურ მიმდინარეობებს, ხოლო ალბომის ელექტრონული ვერსია რელიგიის სააგენტოს საიტზეა ატვირთული.
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, სააგენტომ ჩაატარა ტრენინგების ციკლი საქართველოში არსებულ უნივერსიტეტებში. ტრენინგები ჩატარდა თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში დედაქალაქსა და რეგიონებში. ტრენინგები მოისმინა 1000-ზე მეტმა სტუდენტმა. ტრენინგების შემადგენელი საკითხები იყო: ტოლერანტობის კულტურა საქართველოში და რელიგიის თავისუფლების განვითარების პოლიტიკა და თანამედროვე გამოწვევები; საქართველოში მოქმედი რელიგიების ისტორია; რელიგიის თავისუფლების სამართლებრივი გარანტიები და სასამართლო პრაქტიკა. ტრენინგები ჩატარდა: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 2018 წლის 11 ოქტომბერი; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 2018 წლის 17 ოქტომბერი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - 2018 წლის 5 ნოემბერი; სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 2018 წლის 7 ნოემბერი; გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი - 2018 წლის 4 დეკემბერი; ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 2018 წლის 27 ნოემბერი.

საქმიანობა 18.1.1.4. მასმედიის წარმომადგენლებში ცნობიერების ამაღლება რელიგიის თავისუფლების, ტოლერანტობის, თანასწორობისა და რელიგიური ნეიტრალიტეტის საკითხებზე;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

ამავე სამოქმედო გეგმის ფარგლებში, მასმედიის წარმომადგენლებში რელიგიის თავისუფლების, ტოლერანტობის, თანასწორობისა და რელიგიური ნეიტრალიტეტის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, (პუნქტი 18.1.1.4.) სააგენტომ ტრენინგები ჩაატარა

საქართველოში მოქმედი თითქმის ყველა ტელევიზიის რადიოს და გაზეთის 3 წარმომადგენლებისთვის. ტრენინგები ტარდებოდა 2018 წლის განმავლობაში სხვადასხვა ქალაქებში, მათ შორის თბილისში რამოდენიმეჯერ. სულ ტრენინგი გაიარა მასმედიის რამდენიმე ათეულმა წარმომადგენელმა.

ამოცანა: 18.1.3. საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის ანალიზი და შესაძლო რელიგიური შეუწყნარებლობის შემთხვევებზე კვალიფიციური კვლევის ჩატარება;

ამოცანის ინდიკატორი: რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს სპეციალური ანგარიში; შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის ანგარიშებში ასახული პოზიტიური დინამიკა;

საქმიანობა 18.1.3.1. რელიგიის საკითხებში კვლევაზე დაფუძნებული პოლიტიკის წარმოების მიზნით ანგარიშებში გამოვლენილი პრობლემების მიზეზების კვლევა;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს სახალხო დამცველის ოფისთან თანამშრომლობით;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო ყოველწლიურად ეცნობა და სწავლობს სხვადასხვა ავტორიტეტულ საერთაშორისო და ადგილობრივ ანგარიშებს და მათში გამოვლენილი პრობლემების მიზეზების კვლევის მიზნით მიმდინარეობს კონსულტაციები რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან არსებული ინტერრელიგიური სათათბიროს წევრ რელიგიურ ორგანიზაციებთან. ასევე, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტთან სამუშაოდ და გაიმართა ინტერრელიგიური სათათბიროს წევრი რელიგიური ორგანიზაციების რამდენიმე შეხვედრა ხსენებულ კომიტეტში. იგეგმება თემატური შეხვედრები შესაბამის უწყებებთან კომპეტენციების მიხედვით.

საქმიანობა 18.1.3.2. რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენლების (სასულიერო პირების) ცნობიერების ამაღლება რელიგიის თავისუფლების და ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების კუთხით, ასევე, რელიგიური შემწყნარებლობისა და ტოლერანტობის კულტურის გაძლიერება;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს სახალხო დამცველის ოფისთან თანამშრომლობით;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

რელიგიის თავისუფლების და ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების კუთხით რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენლების (სასულიერო პირების) ცნობიერების ამაღლების, ასევე, რელიგიური შემწყნარებლობისა და ტოლერანტობის კულტურის გაძლიერების მიზნით (პუნქტი 18.1.3.2.) სააგენტომ ჩაატარა ტრენინგები საქართველოს მასშტაბით. ტრენინგებს ესწრებოდნენ საქართველოში მოქმედი თითქმის ყველა რელიგიური ორგანიზაციის წარმომადგენლები: საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია; ებრაული თემი; ლათინ-კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია; მუსლიმი თემი; სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქია; საქართველოს იეზიდთა სასულიერო კრება; საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია; საქართველოს სახარების ქრისტიან-ბაპტისტთა ეკლესიების კავშირი; თბილისის საერთაშორისო ბაპტისტური ეკლესია; საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია; სახარების რწმენის ეკლესია; კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოება. საერთო ჯამში 770-ზე მეტი სასულიერო პირი. ტრენინგი მოიცავდა თემებს: ადამიანის უფლებები ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით; რელიგიის თავისუფლება, სამართლებრივი გარანტიები და ევროპული სტანდარტები; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის თემაზე (ევროკონვენციის მე-9 მუხლთან მიმართებაში). აღნიშნული ტრენინგები ჩატარდა: თბილისში - 2018 წლის 19, 26 და 27 ივნისს. ბათუმში - 2018 წლის 10 ოქტომბერს. ახალციხეში - 2018 წლის 6 ნოემბერს. ქუთაისში - 2018 წლის 26 ნოემბერს. გორში - 2018 წლის 5 დეკემბერს. ზუგდიდში - 2019 წლის 30 მაისს. ყვარელში - 2019 წლის 20 ივნისს.

წინამდებარე სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებული ტრენინგების - „ადამიანის უფლებები და რელიგიური შემწყნარებლობა“ მიმდინარეობისას გამოიკვეთა, რომ სემინარების მონაწილე რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელ სასულიერო პირებს სახელმწიფო ენის სათანადოდ, ან საერთოდ ვერ ფლობის გამო უჭირდათ სასაუბრო თემის გაგება-გააზრება. გადაწყდა, განხორციელებულიყო სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტი, სახელწოდებით: „სახელმწიფო ენა სასულიერო პირებისთვის“, რომლის ფარგლებშიც ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლასთან გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი. პროექტი წარმატებით მიმდინარეობს ა/წ ივლისის თვიდან და ამ ეტაპზე პროექტში მონაწილეობას იღებენ: საქართველოს მუსლიმი თემი, სომხური სამოციქულო ეკლესია და ევანგელურ-ლუთერული ეკლესია. შემდგომში, პროექტში მონაწილე რელიგიური ორგანიზაციების რიცხვი გაიზრდება.

საქმიანობა 18.1.3.3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის მიერ სტატისტიკის წარმოება, დაკავშირებული რელიგიური სიძულვილით ჩადენილ დანაშაულებებთან;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს გენერალური პროკურატურა;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის პრევენცია და ასეთ დანაშულზე რეაგირება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულების დროული გამოვლენა და ეფექტური გამოძიების განხორციელება არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება. ამ მიზნით, უწყებაში შექმნილი ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი მონიტორინგს უწევს შეუწყნარებლობის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების საქმეებზე სათანადო სამართალწარმოების განხორციელებას და სპეციალური ფორმის მეშვეობით აწარმოებს სტატისტიკურ მონაცემებს იმ სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებშიც შესაძლოა იკვეთებოდეს (მათ შორის, რელიგიური ნიშნით) შეუწყნარებლობის მოტივი.

საქმიანობა 18.1.3.4. რელიგიის ან რწმენის ნიშნით დისკრიმინაციასთან დაკავშირებით კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ შსს-ს და პროკურატურის თანამშრომლების გადამზადება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს გენერალური პროკურატურა;

პარტნიორი უწყება: სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო; საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2018-2019 წლებში დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების (მათ, შორის რელიგიური ნიშნით) და სიძულვილის ენის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადამზადდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს როგორც რიგით, ისე - მენეჯერულ პოზიციაზე მყოფი 200-მდე თანამშრომელი. 2019 წლის 19 თებერვალს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ეუთოს ODIHR-ს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. შეთანხმების საფუძველზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულების გამოძიებაზე სპეციალური ტრენინგ-პროგრამა - TAHCLE (Trainong Ageinst Hate Crime for Law Enforcment) დაინერგა, რომელიც შემუშავებულ იქნა ODIHR-ის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურის, სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ჩართულობით. თანამშრომლობის ფარგლებში ეუთოს მიერ სპეციალურად მოწვეულმა ექსპერტებმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 30 თანამშრომელს ტრენერთა ტრენინგი ჩაუტარა.

ამასთან, 2019 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დანერგილ იქნა ევროსაბჭოს ექსპერტების მიერ შემუშავებული ახალი სასწავლო მოდული სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის აღკვეთისკენ მიმართული საპოლიციო ზომების გატარებასთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნულ სასწავლო პროგრამებთან დაკავშირებით ევროსაბჭოს ექსპერტებმა დაატრენინგეს სამინისტროს პერსონალი, რომლებიც თავის მხრივ ჩაატარებენ კასკადურ ტრენინგებს. ასევე,

მოცემული ტრენინგ-მოდულის საფუძველზე სამინისტროს ოთხმა თანამშრომელმა გაიარა ტრენერთა ტრენინგი ესპანეთსა და იტალიაში.

გარდა აღნიშნულისა, 2019 წელს, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების თემაზე ევროპის საბჭოს HELP-ის დისტანციური სწავლების კურსში ჩაერთო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 15 თანამშრომელი. აღნიშნული კურსი ერთობლივად არიან ჩართულნი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურისა და სასამართლოს თანამშრომლები. გარდა ამისა, დისკრიმინაციის აკრძალვის თემატიკა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის სასწავლო მოდულის შემადგენელი ნაწილია.

ამოცანა: 18.1.4. ზოგადი განათლების სისტემაში რელიგიური ნეიტრალიტეტის პრინციპების განმტკიცება;

ამოცანის ინდიკატორი: გადამზადებული მასწავლებლების რაოდენობა; შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის ანგარიშებში ასახული პოზიტიური დინამიკა;

საქმიანობა 18.1.4.2. შერეული ეროვნული/ეთნიკური კომპოზიციის საჯარო სკოლებში მულტიკულტურალიზმის და თანასწორობის ხელშეწყობისათვის პოზიტიური აქტივობების განხორციელება;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

სკოლების მიერ, ხორციელდება მულტიკულტურალიზმისა და თანასწორობის ხელშეწყობისათვის პოზიტიურ აქტივობები. აღნიშნული მიმართულებით სამინისტრო ასევე ხელს უწყობს სხვადასხვა ორგანიზაციებს სკოლებში აღნიშნულ თემატიკაზე პროექტების განხორციელებაში.

2018 და 2019 წლის ზაფხულში, სამინისტროს მიერ ორგანიზებულ „ქართული ენის საზაფხულო სკოლაში“ მონაწილეობა მიიღო საქართველოს არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სექტორების 400-მა მოსწავლემ.

საზაფხულო სკოლის მიზანი იყო სახელმწიფო ენის პოპულარიზაციის ხელშეწყობა და ენობრივი კომპეტენციების განვითარება. საზაფხულო სკოლის მოსწავლეებისთვის განხორციელდა სხვადასხვა გასართობი, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები, მათ შორის კინოხელოვნების მიმართულებით.

ასევე, საქართველოს არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სექტორების კლასის მოსწავლეებისთვის, 2018 წლის გაზაფხულზე ჩატარდა ქართულენოვანი სპექტაკლების კონკურსი სახელწოდებით „ჩემი პირველი ქართული როლი“.

კონკურსის მიზანი იყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეებისთვის სახელმწიფო ენაზე სამეტყველო კომპეტენციების განვითარება და შემოქმედებითი უნარების გამოვლენა.

საქმიანობა 18.1.4.3. სკოლის სახელმძღვანელოების რევიზია და გრიფირების სტანდარტში ასახვა;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

დაწყებითი საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების: „მე და საზოგადოება“ და „ჩვენი საქართველო“ სტანდარტებით გათვალისწინებულია ბავშვის უფლებათა სწავლების საკითხი, ხოლო საბაზო საფეხურის „მოქალაქეობის“ სასწავლო გეგმა ასევე მოიცავს ადამიანის/ბავშვის უფლებათა კომპონენტს. ეს საგნები ორიენტირებულია არაძალადობრიობის, კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების, ტოლერანტობის ღირებულებებით მოსწავლეთა აღზრდაზე, რაც ხელს შეუწყობს როგორც მათი სამოქალაქო ცნობიერების, ისე ზნეობრივ-ეთიკური საფუძვლების გაძლიერებასა და, ამ ყოველივეს მეშვეობით, ძალადობის პრევენციას.

საქმიანობა 18.1.4.4. სკოლების მონიტორინგის მეთოდოლოგიაში ადამიანის უფლებებისა და თანასწორობის კრიტერიუმების გათვალისწინება (მათ შორის რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვა);

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტს ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმისა და რელიგიური დისკრიმინაციისაგან თავისუფალ საგანმანათლებლო სივრცის უზრუნველყოფა წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონმა შექმნა საჯარო სკოლებში სეკულარული და ტოლერანტული გარემოს დაცვის მნიშვნელოვანი სამართლებრივი გარანტიები. მასში გათვალისწინებული იქნა მთელი რიგი პრინციპები, რომლებიც გამოიყენება სკოლების ყოველდღიურ ცხოვრებაში, ინერგება სასწავლო პროცესში, სხვა აქტივობებში.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო რელიგიური ძალადობის წინააღმდეგ კომპლექსურ ღონისძიებებს ახორციელებს შემდეგი მიმართულებით: ა)

მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა ცნობიერების ამაღლება ბ) რელიგიური და სხვა ტიპის ძალადობის იდენტიფიცირება გ) ძალადობის ფაქტების გამოვლენა და რეაგირება. სკოლების მონიტორინგის ფუნქცია დაეკისრათ აგრეთვე საგანმანათლებლო რესურსცენტრებს და სკოლის დირექციაც ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო სკოლაში საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვა და ამ კუთხით აკონტროლოს მდგომარეობა. მონიტორინგის ჯგუფი, აღმოჩენილი გადაცდომის სირთულისა და ხასიათის შესაბამისად სკოლას ადგილზე აძლევს მითითებას, წერილობით რეკომენდაციას ან/და მიმართავს სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტს შემდგომი რეაგირების მიზნით.

ამოცანა: 18.1.5. დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობის გაზრდა;

ამოცანის ინდიკატორი: დისკრიმინაციული დანაშაულის გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით პროკურორებმა, გამომძიებლებმა და სტაჟიორებმა გაიარეს სასწავლო კურსები, სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით შესაბამისი რეკომენდაცია მომზადებულია;

საქმიანობა 18.1.5.1. დისკრიმინაციული დანაშაულის გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით პროკურორების, გამომძიებლებისა და სტაჟიორების მომზადება/გადამზადება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს გენერალური პროკურატურა;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

იხილეთ საქმიანობა 18.1.3.4.

საქმიანობა 18.1.5.2. დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტურობის გაზრდის მიზნით ანგარიშის მომზადება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს გენერალური პროკურატურა;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით, 2019 წელს ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულთა გამოძიების პროცესში დანაშაულის მსხვერპლთა კმაყოფილების

შესწავლა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტთან შეთანხმებით, კვლევა ფოკუსირდა რელიგიურ უმცირესობებსა და ლგბტ თემის წარმომადგენლებზე; აღნიშნული კვლევის საფუძველზე მომზადებულია ანგარიში.

საქმიანობა 18.1.5.3. რელიგიური ნიშნით ჩადენილი დანაშაულების გამოვლენისა და დევნის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციის მომზადება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს გენერალური პროკურატურა.

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2019 წელს, შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ შემუშავდა რეკომენდაცია დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულთა იდენტიფიცირებისა და ეფექტიანი გამოძიების შესახებ. რეკომენდაცია მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულისა და დისკრიმინაციის ნიშნების განმარტება (მათ შორისაა, რელიგიური ნიშნით შეუწყნარებლობა), დანაშაულის სამიზნეები, მისი გამოძიების მეთოდოლოგია და მოტივის იდენტიფიცირება, გამომძიებელთან დაზარალებულის ურთიერთობის სტანდარტები, მოტივის გამოსაკვეთად გასათვალისწინებელი გარემოები. რეკომენდაციას ახლავს სპეციალური კითხვარი, რომელიც განკუთვნილია (პოტენციური) დაზარალებულის, ბრალდებულის და მოწმის გამოკითხვისთვის. აღნიშნული დოკუმენტი დაეგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებს.

ამოცანა: 18.1.8. კანონმდებლობაში არსებული დისკრიმინაციული ჩანაწერების აღმოფხვრა;

ამოცანის ინდიკატორი: შესაბამისი ცვლილებების პაკეტი შემუშავებულია;

საქმიანობა 18.1.8.1. დისკრიმინაციული ხასიათის ჩანაწერების აღმოფხვრის მიზნით საკანონმდებლო სისტემის გადახედვა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს პარლამენტი;

შესრულების სტატუსი:

საქართველოს მთავრობის (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო) მიერ შესაბამისი საკანონმდებლო პაკეტის შემუშავება უკვე დასრულებულია, თუმცა მისი საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენა საქართველოს პარლამენტში ჯერ არ მომხდარა. პარლამენტისთვის არსებული ინფორმაციით, აღნიშნული 2020 წელს იგეგმება. საკანონმდებლო პაკეტის მიხედვით,

მოხდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი სამართალდარღვევების დამამძიმებელ გარემოებად განსაზღვრა, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსში არსებული შესაბამისი რეგულაციების შევსება/მოდიფიცირება. საკანონმდებლო ცვლილებები გააადვილებს შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების იდენტიფიცირებას და მათზე ეფექტიან რეაგირებას, ასევე შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებას.

ამოცანა: 18.1.9. რელიგიური გაერთიანებების მიერ საკუთარი საქმიანობის შეუზღუდავად განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული არასადაო ისტორიული, მათ შორის რელიგიური ორგანიზაციების სარგებლობაში არარსებული, საკულტო შენობა- ნაგებობების გადაცემის პროცესი სისტემატიზირებული და გაგრძელებულია; საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული სადავო ისტორიული საკულტო შენობა-ნაგებობების კონფესიური წარმომავლობის და დავების გადაწყვეტის პოლიტიკის კონცეფცია და სამოქმედო გეგმა შემუშავებულია;

საქმიანობა 18.1.9.1. საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული არასადაო ისტორიული, მათ შორის რელიგიური ორგანიზაციების სარგებლობაში არარსებული, საკულტო შენობა- ნაგებობების გადაცემის პროცესის სისტემატიზირება და გაგრძელება;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული საკულტო-რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობების დაბრუნების პროცესი გრძელდება. სრულად დაუბრუნდა სინაგოგები ებრაულ თემს. მუსლიმურ თემს 2018 წლის განმავლობაში დაუბრუნდა 30 მეჩეთი. 2014 წლიდან დღემდე გადაცემულია 200 მეჩეთი. ასევე, საქართველოს ევანგელურ¬ლუთერული ეკლესიას დაუბრუნდა თბილისში არსებული ეკლესია და სასაფლაო მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთთან ერთად (სულ ევანგელურ-ლუთერულ ეკლესიას გადაეცა 5500 კვ.მ. მიწის ნაკვეთი). საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული საკულტო ნაგებობების დაბრუნების საკითხთან დაკავშირებით სომხურ თემთან მიმდინარე კონსულტაციები წარმატებით გაგრძელდა სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის ახალი ხელმძღვანელის - არქიმანდრიტ კირაკოს დავთიანის პირობებშიც. რელიგიის სააგენტოს მიერ გამოცემული საკულტო ნაგებობების რუკის მიხედვით, სომეხთა სამოციქულო ეკლესია ფაქტობრივად ფლობს

58 საკულტო ნაგებობას, რომლებიც გადაცემული არ არის სარგებლობაში და მიმდინარეობს მუშაობა. ამ მხრივ უკვე გაიმართა რამდენიმე საკონსულტაციო შეხვედრა.

საქმიანობა 18.1.9.2. საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული სადავო ისტორიული საკულტო შენობა-ნაგებობების კონფესიური წარმომავლობის და დავების გადაწყვეტის პოლიტიკის კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

საკითხის გადასაჭრელად, კერძოდ, „საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული სადავო ისტორიული საკულტო შენობა-ნაგებობების კონფესიური წარმომავლობისა და დავების გადაწყვეტის პოლიტიკის კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის“ შემუშავების მიზნით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და რეგიონალურ საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩევლის წარმომადგენლების მონაწილეობით. აღნიშნული გეგმის განხორციელებისათვის პირველ რიგში აუცილებელია კონკრეტულად იმ საკულტო ნაგებობების შესახებ ინფორმაციის მოძიება, რომელთა ჩამორთმევაც მოხდა 1921 წლიდან, რათა შესწავლილ იქნას მათი წარმომავლობისა და შემდგომში სხვადასხვა რელიგიურ უმცირესობათათვის გადაცემის საფუძვლიანობის საკითხი. შესაბამისად, ინფორმაციის მოძიება ეთხოვა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში შემავალ „გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნულ კვლევით ცენტრს“ კონფესიების, კერძოდ: მართლმადიდებლურ, კათოლიკურ, ლუთერულ, სომხურ სამოციქულო და მუსლიმურ თემებს რომელი საკულტო ნაგებობები ჩამოერთვათ 1921 წლიდან 1991 წლამდე პერიოდში, საკულტო ნაგებობების ჩამონათვალითა და ადგილმდებარეობის მითითებით. ასევე, ამჟამად რომელი რელიგიური ორგანიზაცია სარგებლობს შესაძლო სადავო საკულტო ნაგებობებით.

19. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები

მიზანი: 19.1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა და მათი საზოგადოებაში სრული ჩართულობა;

ამოცანა: 19.1.2. შშმ პირთა სოციალური დაცვის უფლებით სარგებლობის გაუმჯობესება;

ამოცანის ინდიკატორი: შშმ პირთა შეფასების ახალი ინსტრუმენტი შემუშავებულია; დაწყებულია შეფასების ახალი ინსტრუმენტის დანერგვა; სატრენინგო მასალა მომზადებულია; პროფესიონალები შერჩეული და გადამზადებულია; მომზადებული საკანონმდებლო ბაზა; გაანალიზებულია რეფორმის შემდგომი რეკომენდაციები; გაზიარებულია შესაბამის უწყებებთან სამუშაო ჯგუფის ფორმატში (შეხვედრების რაოდენობა), საჭიროებისამებრ მომზადებულია ცვლილებები;

საქმიანობა 19.1.2.1. შშმ პირთა შეფასებისა და სტატუსის მინიჭების სისტემის რეფორმირების მიზნით ახალი მოდელის მომზადება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

2019 წლის 8 აპრილიდან დაიწყო შეზღუდული შესაძლებლობის შეფასებისა და სტატუსის განსაზღვრის ახალი მეთოდოლოგიისა და სისტემის პილოტირების განხორციელება აჭარის რეგიონის იმ სამედიცინო დაწესებულებებში, რომლებიც უფლებამოსილნი არიან განახორციელონ სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზა. საფრანგეთის განვითარების სააგენტოს ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფის ფარგლებში და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების ხელშეწყობით საპილოტე პროექტის განხორციელება დაიწყო სამცხე-ჯავახეთის რეგიონშიც.

საქმიანობა 19.1.2.2. შშმ პირთა შეფასებისა და სტატუსის მინიჭების ახალი სისტემის ამოქმედება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: არ დაწყებულა.

2020 წლის განმავლობაში დაგეგმილია საპილოტე პროექტის შედეგების საბოლოო შეფასება და მონიტორინგის ძირითადი მაჩვენებლების კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავება. ჩატარდება შესაბამისი მონიტორინგი. ასევე, პროექტის შედეგების შეფასება მოხდება შშმ პირთა

უფლებების კონვენციის მოთხოვნების მიმართულებით. დაგეგმილია პროექტის საბოლოო ანგარიშის მომზადება და დაინტერესებული მხარეებისათვის წარდგენა. ასევე, დაიწყება საკანონმდებლო ცვლილებებისთვის რეკომენდაციების, პილოტის winner-loser ანალიზის, პოლიტიკის დოკუმენტისა და ფინანსური ხარჯთაღრიცხვის ანალიზის დოკუმენტების მომზადება.

საქმიანობა 19.1.2.3. "ქმედუნარიანობის სისტემის" რეფორმის პროცესის ანალიზი და იდენტიფიცირებული გამოწვევების აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი ცვლილებების მომზადება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო; სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

მომზადებული იქნა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პროექტები, რომლებიც 2018 წლის 07 ნოემბრის N01-9201/ს წერილით გადაგზავნილი იქნა მთავრობის ადმინისტრაციაში (საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მოთხოვნის (N10271/4-10; 23.10.2018) საფუძველზე - 2019-2020 წლებში საქართველოს პარლამენტის საშემოდგომო და საგაზაფხულო სესიებზე საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარსადგენ კანონპროექტებთან და საკანონმდებლო პაკეტებთან დაკავშირებით). ასევე, ,,ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების წესისა და სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 29 მაისის №01-16/ნ ბრძანებაში 2019 წლის აპრილში შეტანილი და დამტკიცებული იქნა ცვლილება.

ამოცანა: 19.1.3. შშმ პირთა განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

ამოცანის ინდიკატორი: საქართველოს კანონმდებლობით უზრუნველყოფილია შშმ პირების უფლება განათლებაზე შშმ პირთა უფლებების დაცვის კონვენციის შესაბამისად; გადამზადებული მასწავლებლებისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტების რაოდენობა; ნაწილობრივ და სრულად ადაპტირებული საჯარო სკოლების რაოდენობა; გაზრდილი პროფესიულ განათლებაში ჩართული სსსმ და შშმ პირების რაოდენობა; გაზრდილი პროფესიული სასწავლებლების რაოდენობა, რომლებიც უზრუნველყოფენ სსსმ და შშშმ პირებს შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურებით; დაფინანსებული მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შშმ სტუდენტების რაოდენობა;

საქმიანობა 19.1.3.1. ინკლუზიური განათლების მარეგულირებელ დოკუმენტთა სრულყოფა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს მთავრობა;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

დამტკიცდა ალტერნატიული სასწავლო გეგმა და განმავითარებელი აქტივობები დაწყებითი საფეხურის კლასებისთვის მათემატიკაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ბუნებისმეტყველებაში, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, მუსიკასა და სპორტში. შემუშავდა გაფართოებული სასწავლო გეგმა უსინათლო მოსწავლეებისთვის, ჟესტური ენისა და წერითი მეტყველების სტანდარტი სმენადაქვეითებული მოსწავლეებისთვის დაწყებულია მუშაობა სენსორულ სასწავლო გეგმაზე.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანებით დამტკიცდა „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმი“. შევიდა ცვლილება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში.

საქმიანობა 19.1.3.2. ახალი მარეგულირებელი დოკუმენტების ამოქმედება და ეფექტიანი განხორციელება, მათ შორის შესაბამისი სპეციალისტების მომზადების გზით;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

შემუშავდა „პირის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების იდენტიფიკაციისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების განხორციელების წესი და პირობები". აღნიშნული დოკუმენტი განხილვის პროცესშია მისი შემდგომი დამტკიცების მიზნით. სსსმ პირების განათლების ხელშეწყობის მიზნით, მომზადდა ცვლილებები „ზოგადი განათლების შესახებ“ და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონებში, მომზადდა სსსმ პირის ასისტენტისა და სსსმ მოსწავლეებთან მომუშავე ფსიქოლოგის ფუნქცია-მოვალეობების ამსახველი დოკუმენტი, რომლის დამტკიცებაც იგეგმება 2020 წელს.

საქმიანობა 19.1.3.3. შშმ პირებისათვის საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება დამტკიცებული გეგმის შესაბამისად;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს მოწყობის მიმართულებით, ზოგადი განათლების საფეხურზე განხორციელდა შემდეგი სამუშაოები: დასრულდა 5 ახალი სრულად ადაპტირებული სკოლის მშენებლობა, მიმდინარეობს 12 სკოლის რომელიც ასევე სრულად ადაპტირებული იქნება. დასრულდა 140 სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ყველა სარეაბილიტაციო სამუშაოს დაგეგმვისას გათვალისწინებულია სპეციალური საგანმანათლებლო მოსწავლეებისთვის საჭირო გარემოს შექმნის მოთხოვნები, შენობის კონსტრუქციული მდგომარეობის გათვალისწინებით.
2019 წელს განხორციელდა 67- საჯარო სკოლის სანიტარული კვანძის მოწყობა, 10 საჯარო სკოლაში პანდუსი ან/და ლიფტის მოწყობა, დასრულდა 7 სრულად ადაპტირებული სკოლის მშენებლობა.

საქმიანობა 19.1.3.4. პროფესიული ტესტირების ალტერნატიული ფორმატის შემოღება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისათვის;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის შემუშავებულია ალტერნატიული ტესტირების პროცედურა, რომელიც რეგულირდება „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N 152/ნ ბრძანებით.

საქმიანობა 19.1.3.5. შშმ აბიტურიენტებისა და მაგისტრანტების კანდიდატებისათვის სპეციალურად მოწყობილი საგამოცდო სექტორით უზრუნველყოფა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2019 წელს ერთიან ეროვნულ/საერთო სამაგისტრო გამოცდებზე სპეციალური პირობები (ბრაილის/ხმოვანი პროგრამებით უზრუნველყოფა, ტესტური დავალებების გაზრდილი შრიფტით მიწოდება, საგამოცდო დროის დამატება, დამხმარე პირის გამოყოფა მოტორული ფუნქციების დარღვევის მქონე აპლიკანტებისათვის და სხვ.) შეექმნა 318 აბიტურიენტს და მაგისტრანტობის კანდიდატს (აბიტურიენტი -264 და მაგისტრანტობის კანდიდატი - 54).

საქმიანობა 19.1.3.6. მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შშმ პირებზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მოქმედი სოციალური პროგრამით სწავლის დაფინანსება უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამებზე;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურზე, 2019 წელს დაფინანსდა 52 მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შშმ სტუდენტი (თანხა შეადგენს 195 600 ლარს).

ამოცანა: 19.1.5. შშმ პირთა ჯანმრთელობის უფლების ხელშეწყობა;

ამოცანის ინდიკატორი: ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს დეინსტიტუციონალიზაციის და თემზე დაფუძნებული სერვისების განვითარების სტრატეგია შემუშავებულია და განვითარებულია თემზე დაფუძნებული მომსახურებები, მათ შორის ბავშვებისთვის; დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის 2017-2030 წლების სტრატეგიასა და 3-წლიან სამოქმედო გეგმაში (2017-2019) გათვალისწინებულია შშმ პირთა ხელმისაწვდომობა ოჯახის დაგეგმვის სერვისებზე და ასაკის შესაბამის განათლებაზე, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე;

საქმიანობა 19.1.5.1. ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგიის შემუშავება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო; საქართველოს მთავრობა;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

დაწყებულია დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი: ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებებისა და საოჯახო ტიპის მცირე ზომის დაწესებულებების ჩამოყალიბება. ფსიქიკური ჯანმრთელობის დეინსტიტუციონალიზაცია გაერთიანდება დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგიაში.

საქმიანობა 19.1.5.2. ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში თემზე დაფუძნებული მომსახურებების განვითარება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო; საქართველოს მთავრობა;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

2019 წლის ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამის სათემო ამბულატორიული მომსახურების და თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის კომპონენტის ფარგლებში გაწეული მომსახურება ფინანსდება გლობალური ბიუჯეტის პრინციპით. სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, 2019 წელს დაწესებულებას მოეთხოვება ყოველთვიური ბიუჯეტის არანაკლებ 35%-ის მდგ წევრების ხელფასების ასანაზღაურებლად მიმართვა. 2019 წელს ფუნქციონირებდა 31 მობილური გუნდი ქვეყნის მასშტაბით.

საქმიანობა 19.1.5.3. ბავშვების საჭიროებების გათვალისწინებით თემზე დაფუძნებული ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების განვითარება და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო; საქართველოს მთავრობა;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ დაიწყო მუშაობა ბავშვების საჭიროებების გათვალისწინებით თემზე დაფუძნებული ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების განვითარებაზე. აღნიშნული სერვისები ქ. თბილისის მერიის დაფინანსებით უკვე მიეწოდება დედაქალაქის 18 წლამდე ასაკის მოსახლეობას.

საქმიანობა 19.1.5.4. დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის 2017-2030 წლების სტრატეგიისა და 3-წლიანი სამოქმედო გეგმის (2017-2019) - შეფასების შედეგების საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებების პროექტის მომზადება და დამტკიცება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო; საქართველოს მთავრობა;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა 2017-2019 წლების სამოქმედო გეგმის შეფასების პროცესი ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ინსტრუმენტარის გამოყენებით. შედეგების და რეკომენდაციების შესაბამისად შემუშავდა ახალი 2020-2022 წლების სამოქმედო გეგმა.

ამოცანა: 19.1.6. შშმ პირთა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა;

ამოცანის ინდიკატორი: ზრდასრულებისთვის სარეაბილიტაციო საჭიროებები და სერვისის განვითარების შესაძლებლობები განსაზღვრულია;
შშმ ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის სერვისების ხელმისაწვდომობა გაზრდილია (სერვისებში ჩართული ბავშვების რაოდენობა 2017 წელთან მიმართებაში);

საქმიანობა 19.1.6.1. ზრდასრულ პირთათვის რეაბილიტაციის სერვისის საჭიროების განსაზღვრა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

2018 წელს დაიწყო საქართველოში ფიზიკური რეაბილიტაციის პროექტის განხორციელება. პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში ფიზიკური რეაბილიტაციის პროფესიის გაძლიერების, სპეციალისტების გადამზადების, მომსახურების გაუმჯობესების, შშმ პირებისათვის დამხმარე და ტექნოლოგიური საშუალებების ხელმისაწვდომობისა და სხვა ღონისძიებების ხელშეწყობას.

საქმიანობა 19.1.6.2. ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

ბავშვთა რეაბილიტაციის/აბილიტაციის ქვეპროგრამის 2019 წლის ბიუჯეტი გაიზარდა 550 000 ლარით და შეადგინა 3 400 000 ლარი. ამასთან, ქვეპროგრამის ფარგლებში გაიზარდა დაფინანსებული კურსების რაოდენობა და თითოეულ ბენეფიციარზე წლის განმავლობაში 7-ის ნაცვლად შეადგინა 8 კურსი, წლის განმავლობაში 1300 ბენეფიციარზე გათვლით - 11 000-ზე მეტი კურსი, ხოლო, (ათდღიანი კურსის) ღირებულების ასანაზღაურებელი ვაუჩერის ფასი 308 ლარიდან გაიზარდა 330 ლარამდე. 2019 წლის განმავლობაში გაიზარდა პროგრამის მომწოდებელთა მომსახურების გეოგრაფული არეალი: ქვეპროგრამის ფარგლებში ამავე პერიოდის მონაცემებით, სულ მომსახურების მომწოდებლად ქვეყნის 9 მუნიციპალიტეტში დარეგისტრირებულია 22 სარეაბილიტაციო ცენტრი, რომლებიც მომსახურებას უწევენ წელიწადში 1500-მდე ბენეფიციარს. აღნიშნული ქვეპროგრამის მომსახურებით სარგებლობა არ არის შეზღუდული ტერიტორიული პრინციპით და ბენეფიციარი მომსახურების მომწოდებელს ირჩევს სურვილის შესაბამისად მისთვის ხელსაყრელი პირობებით. 2020 წლის პროგრამის შესაბამისად, ქვეპროგრამის ფარგლებში სამიზნე ჯგუფს დაემატება რეტის სინდრომის მქონე ბავშვები. თერაპიულ ინტერვენციაში შემავალ სეანსებში საჭიროების შემთხვევაში, დამატებით იქნა შეტანილი მომსახურების ისეთი სახეები, როგორიცაა: ფიზიოთერაპია, აქვა თერაპია, ხელოვნებითი თერაპია და სპეციალური პედაგოგის მომსახურება.

ამოცანა: 19.1.7. შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა;

ამოცანის ინდიკატორი: დიდი ზომის რეზიდენტული დაწესებულებების დეინსტუციონალიზაციის და შშმ პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის გეგმა შემუშავებულია;დიდი ზომის რეზიდენტულ დაწესებულებებში მცხოვრები შშმ პირების შეფასება; სათემო ორგანიზაციებში ჩარიცხული შშმ პირების რაოდენობა (დიდ ინსტიტუციაში ჩარიცხვის პრევენცია, დიდი ინსტიტუციებიდან გადაყვანა);

საქმიანობა 19.1.7.1. დიდი ზომის რეზიდენტული დაწესებულების დეინსტიტუციონალიზაციის გეგმის შემუშავება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი;

შესრულების სტატუსი: არ დაწყებულა.

2019 წელს აღნიშნული აქტივობა ვერ განხორციელდა.

საქმიანობა 19.1.7.2. თემზე დაფუძნებული მომსახურებების განვითარება შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის მიზნით;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამის 2019 წლის ბიუჯეტი გაიზარდა 899 500 ლარით და შეადგინა 2 299 500 ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში ხანდაზმულთა და შშმ პირთა სათემო მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტის ბენეფიციართა დღიური თანხა გაიზარდა 20 ლარამდე, ხოლო შშმ პირთა საოჯახო ტიპის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში ბენეფიციართა დღიური თანხა გაიზარდა 30 ლარამდე. ამასთან, მომსახურების მიმღებთა ლიმიტი გაიზარდა 300 ბენეფიციარამდე. სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამის ფარგლებში 2019 წლის მონაცემებით საქართველოში რეგისტრირებულია სულ 26 ორგანიზაცია 391 ბენეფიციარზე. მათ შორის: თბილისში (8 ორგანიზაცია 70 ბენეფიციარზე), ქარელში, გორში, რუსთავში, სიღნაღში,

ყვარელში, წნორში, ლაგოდეხში, საგარეჯოში, თელავში, გურჯაანსა და ოზურგეთში. ქვეპროგრამის ბიუჯეტი 2020 წლიდან გაიზარდა და შეადგინა 2 830 000 ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში ხანდაზმულთა და შშმ პირთა სათემო მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტის ბენეფიციართა, მათ შორის ბავშვების, დღიური თანხა გაიზარდა 22 ლარამდე, ხოლო შშმ პირთა საოჯახო ტიპის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში მომსახურების მიმღებთა ლიმიტი გაიზარდება 30-დან 58 ბენეფიციარამდე.

ამოცანა: 19.1.8. შშმ პირთა შრომის უფლების რეალიზება და დასაქმების უზრუნველყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამით“ და „პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამით“ მოსარგებლე შშმ პირთა რაოდენობა; „დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის“ კომპონენტებში ჩართული შშმ პირთა რაოდენობა, მათ შორის: მხარდაჭერითი დასაქმების, პროფესიული კონსულტირების, სტაჟირების და სუბსიდირების მიმართულებით; შესაბამისი კანონპროექტი მომზადებული და ინიცირებულია საქართველოს პარლამენტში;

საქმიანობა 19.1.8.1. მხარდაჭერითი დასაქმების მოდელის გეოგრაფიული არეალის გაფართოება და ადამიანური რესურსის გაძლიერება - დასაქმების კონსულტანტების რაოდენობის ზრდა 9-დან 15 კონსულტანტამდე;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო; სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

2019 წელს მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტებმა შშმ პირთათვის მოიძიეს 167 ვაკანსია. მხარდაჭერითი მომსახურება გაეწია 211 შშმ პირს (თბილისი - 82, აჭარა - 30, გურია - 8, იმერეთი - 44, კახეთი - 8, შიდა ქართლი - 39). აღნიშნული აქტივობის ფარგლებში დასაქმდა 33 შშმ პირი (თბილისი - 16, რეგიონი 17). დასაქმების კონსულტანტების მხარდაჭერით, სუბსიდირების კომპონენტში ჩაერთო 3 დამსაქმებელი და 3 ბენეფიციარი. მათ შორის, 2 შშმ პირი. (თბილისი- 1, გურია- 2). დასაქმდა 3 სამუშაოს მაძიებელი მათ შორის 2 შშმ პირი.

საქმიანობა 19.1.8.2. შშმ პირთა პროფესიულ ორიენტაციის სერვისზე, მომზადება-გადამზადების/სტაჟირების პროგრამებზე, დასაქმების სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა („დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ და „პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამის" განხორციელება);

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო; სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2019 წელს სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების კომპონენტის ფარგლებში, სწავლების პროცესში ჩაერთო 2 457 სამუშაოს მაძიებელი, სრული კურსი დაასრულა 2 094 სამუშაოს მაძიებელმა, რომელთა შორისაც, 82 შშმ პირია. 2020 წლის 1 იანვრის მონაცემებით, 2019 წლის პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამის კურსდამთავრებულთა მონიტორინგის შედეგად დასაქმდა 436 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის 16 შშმ პირი. 2019 წლის
პროგრამის ფარგლებში სტაჟირების კომპონენტში ჩაერთო 25 დამსაქმებელი და 98 სტაჟიორი მათ შორის 12 შშმ პირი. პროგრამაში ჩართული სტაჟიორებიდან, პროგრამის ფარგლებში დასაქმდა 42 მოსარგებლე, მათ შორის 6 შშმ პირი.

საქმიანობა 19.1.8.3. შშმ პირთა შრომის უფლების რეალიზების მიზნით, შესაბამისი კანონპროექტის მომზადება და ინიცირება საქართველოს პარლამენტში, რაც გაითვალისწინებს შშმ პირთა დასაქმებისათვის შესაბამის პოზიტიურ, წამახალისებელ მექანიზმებს;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო; სსიპ - საქართველოს მთავრობა;

შესრულების სტატუსი: პრობლემურია.

შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის საკითხებზე, სამინისტროში 2016 წელს შეიქმნა სამუშაო ჯგუფი (მინისტრის ბრძანება #01-101/ო, 27 აპრილი, 2016 წ.), რომლის შემადგენლობაშიც სახელმწიფო უწყებების, სოციალური პარტნიორებისა და დაინტერესებული მხარეების გარდა მონაწილეობდნენ შშმ პირთა ორგანიზაციების წარმომადგენლები. ჯგუფის საქმიანობის მიზანი იყო, შრომის ბაზარზე შშმ პირთა საჭიროებების იდენტიფიცირება და დასაქმების ხელშეწყობის კონცეფციის შემუშავება. დღეის მდგომარეობით სამუშაო ჯგუფის საქმიანობა შეჩერებულია, ვინაიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროში მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს კანონის პროექტზე ,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“.

ამოცანა: 19.1.9. ფიზიკურ გარემოზე, ტრანსპორტზე, ინფორმაციაზე და ტექნოლოგიებზე შშმ პირთა მისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: ფიზიკური გარემოს ადაპტირების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია; საზოგადოებრივ ტრანსპორტზე მომუშავე მძღოლებს გავლილი აქვთ შესაბამისი სწავლება; შშმ პირებისათვის მომსახურება უზრუნველყოფილია; სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 30 იანვრის №16 ბრძანების შესაბამისად; ძირითად სარკინიგზო სადგურებზე გაუმჯობესებულია შშმ პირებისათვის სარკინიგზო გადაყვანის მომსახურების მიწოდება; უსინათლო და მცირედმხედველთა პირებისთვის მოწყობილია ინტერნეტ სერვის ცენტრი (Information Access Center – IAC), რომელიც აღჭურვილია ტექნიკური დანადგარებით, მათ შორის უსინათლოთა შშმ პირებისთვის განკუთვნილი ბრაილის შრიფტის მქონე კლავიატურებით და სხვა საჭირო ტექნიკური აღჭურვილობით; საქართველოს მთავრობის ყველა სამინისტროს ვებ-გვერდი ადაპტირებულია ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის;

საქმიანობა 19.1.9.2. შშმ პირთა უფლებების შესახებ საზოგადოებრივ ტრანსპორტზე მომუშავე მძღოლების ინფორმირებულობის გაზრდა შესაბამისი ტრენინგების ორგანიზების გზით;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს საკვალიფიკაციო ცენტრში, IRU-ს აკრედიტაციის პირობებით, 2017 წლიდან პერმანენტულად მიმდინარეობს CPC მძღოლის/მენეჯერის სწავლება, რომელიც გულისხმობს პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკაციის/დიპლომის გაცემას საერთაშორისო გადაზიდვების სფეროში დასაქმებულ მძღოლებზე/მენეჯერებზე. დღეის მდგომარეობით მომზადებულია ასეთი 1100 მძღოლი და 160 მენეჯერი. სწავლების აღნიშნული კურსის ფარგლებში მძღოლებს გარკვეული მოცულობის სახით ეკითხებათ აგრეთვე შშმ პირთა უფლებების შესახებ.

ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის 19.1.9.2. პუნქტი ითვალისწინებს საზოგადოებრივ ტრანსპორტზე მომუშავე მძღოლების ინფორმირებულობის გაზრდას შშმ პირთა უფლებების შესახებ შესაბამისი ტრენინგების ორგანიზების გზით. იქედან გამომდინარე, რომ აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიების ორგანიზება წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის პრეროგატივას, მათი მხრიდან გამოხატული ინიციატივის შემთხვევაში, სააგენტო საკუთარ ბაზაზე უზრუნველყოფს აღნიშნულ აქტივობის შესრულებას".

საქმიანობა 19.1.9.3. სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 30 იანვრის №16 ბრძანებით დამტკიცებული „საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვისას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის დახმარების აღმოჩენის წესის“ შესაბამისად აეროპორტის ოპერატორების გეგმური და არაგეგმური ინსპექტირება, შშმ პირებისათვის განკუთვნილი აღჭურვილობების შემოწმება და მათი შესაბამისობის დადგენა შიდა სახელმწიფოებრივ და საერთაშორისო სტანდარტებთან;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო ყოველწლიურად (წელიწადში ორჯერ) ახორციელებს საქართველოში მდებარე აეროპორტების მონიტორინგს (ინსპექტირებას), სსიპ - „სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს“ დირექტორის 2013 წლის 30 იანვარის №16 ბრძანებით დამტკიცებული ,,საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვისას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის დახმარების აღმოჩენის წესის“, საფუძველზე, რათა საქართველოს აეროპორტებში სრულად იქნეს დაცული შშმ პირების უფლებები.

აღნიშნული მონიტორინგის ფარგლებში მოწმდება აეროპორტების სამგზავრო ტერმინალის აღჭურვილობა, შშმ პირების მიღების ადგილების მონიშვნა, შშმ სავარძლების, სპეც. ავტოტრანსპორტის მდგომარეობა, პერსონალის მომზადება შშმ პირების მომსახურებისათვის და სამგზავრო ტერმინალის ადაპტირება შშმ პირებზე. აღსანიშნავია, რომ სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის მიზნით 2019 წელს განახორციელა ქ. თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ამბროლაურის, მესტიის და ნატახტრის აეროპორტების შემოწმება, სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს“ დირექტორის 2013 წლის 30 იანვარის №16 ბრძანებით დამტკიცებული ,,საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვისას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის დახმარების აღმოჩენის წესის“ მოთხოვნების შესაბამისად.

საქმიანობა 19.1.9.4. ძირითად სარკინიგზო სადგურებზე, ბაქნებზე, სამგზავრო მატარებლებში და სხვა მათთან დაკავშირებულ ობიექტებზე შშმ პირებისთვის ხელმისაწვდომობის გაზრდა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; სს „საქართველოს რკინიგზა;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის N1-1/586 ბრძანებით დამტკიცებული „რკინიგზის მგზავრთა უფლებებისა და ვალდებულებების განსაზღვრის შესახებ დებულების” მე-2 თავისა და მე-6 თავის მე-15 მუხლის შესაბამისად, სს

„საქართველოს რკინიგზას“ დაეკისრა ვალდებულება, 2017 წლის დეკემბრიდან, ახალი მოძრავი შემადგენლობის შეძენისას ან/და ახალი სარკინიგზო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას გაითვალისწინოს შშმ პირთა საჭიროებები და უზრუნველყოს მგზავრთა მომსახურებისათვის განკუთვნილი სამგზავრო ვაგონების, რკინიგზის ვაგზლების, სხვა ნაგებობებისა და მოწყობილობების ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და გადაადგილების შეზღუდული უნარის მქონე პირებისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2017 წლის 29 დეკემბრიდან, სს - „საქართველოს რკინიგზის“ მიერ განსახორციელებელი/განხორციელებული ყველა ინფრასტრუქტურული პროექტის ტექნიკური დავალება ითვალისწინებს შშმ პირთა საჭიროებებზე ინფრასტრუქტურის ადაპტირებას. 2019 წელს, შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინებით განხორციელდა ზუგდიდის სადგურის პირველი და მე-2 ბაქნის რეკონსტრუქცია და ყვიბისის ბაქნის რეკონსტრუქციაც.

საქმიანობა 19.1.9.5. საქართველოში ინტერნეტ სერვის ცენტრის უსინათლო და მცირემხედველთა პირებისთვის (Information Access Center – IAC) ფუნქციონირების ხელშეწყობა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო;

პარტნიორი უწყება: ქალაქ თბილისის მერია; ქალაქ თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

აღნიშნული აქტივობა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ სრულად განხორციელდა 2018 წელს.

საქართველო -კორეის ინფორმაციაზე წვდომის ცენტრი დაარსდა 2016 წელს საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA), თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის (TML) და სამხრეთ კორეის რესპუბლიკის ეროვნული ინფორმაციული საზოგადოების სააგენტოს (NIA) ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში. პროექტი განხორციელდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხარდაჭერით ცენტრის ფორმირება განხორციელდა კორეული მხარის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით და განთავსდა თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის მ. გელოვანის სახელობის ფილიალის ბაზაზე. საქართველო-კორეის ინფორმაციაზე წვდომის ცენტრი არის მრავალფუნქციური ორგანიზაცია, რომელიც მოიცავს საკონფერენციო დარბაზს, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სასწავლო ლაბორატორიას, საერთო სამუშაო სივრცეს და ინტერნეტ ლაუნჯს უსინათლო და მცირემხედველი ადამიანებისთვის. ცენტრის მიზანია საზოგადოების ყველა წევრისთვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის შექმნას საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით

სარგებლობის და მათი ფართო გამოყენების შესაძლებლობა. საქართველო-კორეის ინფორმაციზე წვდომის ცენტრი აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკური დანადგარებით, მათ შორის, უსინათლო და მცირემხედველ პირებზე ადაპტირებული ტექნიკური მოწყობილობებით. უსინათლო და მცირემხედველი ადამიანებისთვის მოწყობილ სპეციალურ ინტერნეტ სივრცეში განთავსებულია წიგნის საკითხავი მოწყობილობები, ასევე ბრაილის შრიფტის კლავიატურის მქონე სხვადასხვა აპარატურა, მათი გამოყენებით უსინათლო ადამიანებს აქვთ წვდომა ინტერნეტთან და ნებისმიერ ციფრულ ინფორმაციასთან, რაც ხელს უწყობს მათი ინფორმირებულობის გაზრდას, დისტანციური სწავლის შესაძლებლობას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობას.

ამოცანა: 19.1.11. შშმ პირთა თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფა სპორტულ, კულტურულ, რეკრეაციულ და გასართობ ღონისძიებებში;

ამოცანის ინდიკატორი: იდენტიფიცირებულია კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ფიზიკური ინფრასტრუქტურის და შესაბამისი მასალების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის კუთხით არსებული საჭიროებები; საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში შემავალი 7 ორგანიზაცია ადაპტირებულია და აღჭურვილია შესაბამისი ტექნოლოგიური საშუალებებით; შექმნილია განახლებადი საინფორმაციო პლატფორმა კულტურისა და სპორტის სამინისტრო სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული ადაპტირებული დაწესებულებებისა და ღონისძიებების შესახებ;

საქმიანობა 19.1.11.1. შშმ პირთა საჭიროებების შესახებ კვლევის ჩატარება კულტურული დაწესებულებებისა და მასალების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2016-2017 წლებში ჩატარდა კვლევები შშმ პირთა ადაპტაციისა და შესაბამისი ტექნოლოგიური საშუალებების დანერგვის მიზნით. იქნა მოძიებული სრული ინფორმაცია სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის კოორდინაციის სფეროში არსებული სახელოვნებო დაწესებულებების შშმ და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთათვის ხელსაყრელი გარემოსა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით ღონისძიებების გატარების თაობაზე. მათზე დაყრდნობით მომდევნო წლებში განხორციელებულ ყველა ინფრასტრუქტურულ პროექტებში საჭიროებები იქნება გათვალისწინებული.

საქმიანობა 19.1.11.2. კულტურული და სპორტული სივრცეების ადაპტირება შშმ პირთა საჭიროებების შესაბამისად;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

დღეის მდგომარეობით, სახელოვნებო განათლების 12-დან 5 დაწესებულებაში დამონტაჟებულია პანდუსი; 29-დან 6 პროფესიულ თეატრს აქვს პანდუსი, ხუთ თეატრში კი ინფრასტრუქტურა იძლევა შშმ პირთა თავისუფალი გადაადგილებისა და წარმოდგენებზე დასწრების შესაძლებლობას; სამი მუსიკალური ცენტრიდან ერთში - სსიპ - საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში მოწყობილია პანდუსი.

სამინისტროს ხელშეწყობით განხორციელებულ და მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებში ყველგან გათვალისწინებულია შშმ პირთა და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთათვის ადაპტირებული სივრცეების შექმნა: სსიპ - ქ . სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი, სსიპ - ქ. ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი, სსიპ - თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი, სსიპ - ქ. თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი, სსიპ - თბილისის მარიონეტების პროფესიული სახელმწიფო თეატრი და სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული 24-დან 4 მუზეუმში, მოწყობილია პანდუსი.

ქ. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი აღჭურვილია შშმ პირთათვის აუცილებელი ტექნოლოგიური საშუალებებით, ხოლო რაც შეეხება სამომავლოდ დაგეგმილი მშენებლობებს, შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნა აუცილებელი პირობა გახდება.

საქმიანობა 19.1.11.3. საინფორმაციო პლატფორმის შექმნა, სადაც ხელმისაწვდომი იქნება ინფორმაცია ადაპტირებული კულტურული და სპორტული დაწესებულებებისა და მათ მიერ შემოთავაზებული პროგრამების შესახებ;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

სამინისტროს მიერ შექმნილია სპორტის სფეროში მონაცემთა ერთიანი პლატფორმა sportstat.gov.ge, რომელზედაც ასევე ინტეგრირებულია მონაცემთა ბაზა საქართველოში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის შესახებ. შექმნილია კულტურული მემკვიდრეობის გის პორტალი (memkvidreoba.gov.ge), რომლის

კომპლექსურ მონაცემთა ბაზაში განთავსებულია ინფორმაცია 20 700 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე/ობიექტზე; 3354 კულტურული მემკვიდრეობის მოძრავ ობიექტზე; 11 ზოგად დამცავ ზონებზე, 21 მუზეუმსა და მუზეუმ-ნაკრძალზე. აღნიშნულის გარდა, არსებობს მუზეუმების შიდა მოხმარების პორტალი, სადაც მოცემულია ინფორმაცია მუზეუმებში დაცული ექსპონატების შესახებ. სამინისტროს მიერ, 2019 წელს დაიწყო და 2020 წლის I კვარტალში სრულდება კულტურული მარშრუტების მობილური აპლიკაცია „Geo Routes“ აწყობა ISO (Phone) პლატფორმაზე და შესაბამისად, აპლიკაცია განთავსდება App Store-ზე კულტურული მარშრუტების მობილური აპლიკაცია Geo Routes წარმოადგენს პლატფორმას, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია სამინისტროს მიერ სერტიფიცირებულ კულტურულ მარშრუტებზე, მათში შემავალი ობიექტებისა და სერვისების შესახებ, ასევე, ამა თუ იმ ობიექტისა თუ სერვისის ადაპტირების თაობაზე.

ამოცანა: 19.1.12. აღნიშნული სამოქმედო გეგმის ამოცანების შესრულების მიზნით ადმინისტრაციული და ინსტიტუციური გარანტიების შექმნა და/ან ამოქმედება;

ამოცანის ინდიკატორი: გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის 33-ე მუხლის გათვალისწინებით, კონვენციის იმპლემენტაციასა და კოორდინაციაზე პასუხისმგებელი ინსტიტუციური მექანიზმი შექმნილი და ამოქმედებულია; ადგილობრივ დონეზე შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოების მოდალური დებულების შემუშავებულია და მუნიციპალიტეტების წარმომადგენელთათვის ორგანიზებულია შესაბამისი ღონისძიებები საბჭოების მუშაობის ეფექტურობის ზრდის მიზნით; საქართველოში შშმ პირთა მდგომარეობის შესახებ საბაზისო კვლევა განხორციელებულია; საბაზისო კვლევის საფუძველზე მომზადებულია შესაბამისი სამოქმედო გეგმის პროექტი; გაეროს შშმ პირთა უფლებების შესახებ კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირების თაობაზე წინადადებები მომზადებული და წარდგენილია საქართველოს პარლამენტში; შშმ პირთა არსებული მონაცემთა ბაზის სახელმწიფო უწყებებისთვის და მუნიციპალიტეტებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით გატარებულია შესაბამისი ღონისძიებები; "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" კანონის პროექტის მომზადებული და ინიცირებულია საქართველოს პარლამენტში; ინიცირებულია საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომლებიც შესაბამისობაშია გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის დებულებებთან;

საქმიანობა 19.1.12.5. გაეროს შშმ პირთა უფლებების შესახებ კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირების შესაძლებლობის განხილვა, რატიფიცირების თაობაზე წინადადების მომზადება და საქართველოს პარლამენტში წარდგენა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; საქართველოს მთავრობა;

პარტნიორი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებების კონვენციის ფაკულტატურ ოქმს საქართველოს მხრიდან ხელი მოეწერა 2009 წლის 10 ივლისს. შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულებისა და ოქმის პარლამენტის მიერ რატიფიცირების მიზნით, საგარეო საქმეთა სამინისტრომ არაერთხელ განახორციელა შესაბამისი პროცედურები 2013 და 2017 წლებში. თუმცა, იმ ეტაპზე ოქმის რატიფიცირება არ იქნა მიზანშეწონილი შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინიტროს მიერ. 2019 წლის 28 ნოემბერს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ისევ მიმართა N01/45240 წერილით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ხსენებული ოქმის რატიფიცირების მიზანშეწონილობის თაობაზე. მას შემდეგ რაც საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის მიწოდებულ იქნება ზემოაღნიშნული სამინისტროს შესაბამისი პოზიცია საგარეო საქმეთა სამინისტრო გააგრძელებს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ პროცედურებს ამ საკითხთან დაკავშირებით.

საქმიანობა 19.1.12.6. შშმ პირთა არსებული მონაცემთა ბაზის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა დაინტერესებული უწყებებისათვის და მუნიციპალიტეტებისთვის სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამების შემუშავების მიზნით;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის აპარატი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

შშმ პირთა სტატისტიკურ მონაცემები რაოდენობრივ, ასაკობრივ, რეგიონალურ, გენდერულ ჭრილში, ასევე, სოციალური პაკეტის ოდენობისა და შესაძლებლობის შეზღუდვის ხარისხების შესაბამისად, ხელმისაწვდომია სამინისტროსა და სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდებზე.

საქმიანობა 19.1.12.7. "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" კანონის პროექტის მომზადება და საქართველოს პარლამენტში ინიცირება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს მთავრობა;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

დასრულდა მუშაობა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის პროექტზე, რომელიც, ერთი მხრივ, ეხმიანება გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ ძირითად პრინციპებს და, მეორე მხრივ, მაქსიმალურად ითვალისწინებს დაინტერესებული სახელმწიფო უწყებების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების შენიშვნებსა და რეკომენდაციებს. კანონპროექტის მიზანია, ერთიანი საკანონმდებლო აქტის მიღების გზით საქართველოს კანონმდებლობაში კონვენციის მოთხოვნათა სრულფასოვანი იმპლემენტაცია და მისი პრაქტიკული აღსრულებადობის უზრუნველყოფა, ისევე, როგორც საქართველოს მიერ საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულების ხელშეწყობა შშმ პირთა უფლებების საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების დამკვიდრებისა და განვითარების თაობაზე, რომლითაც ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს შშმ პირების უფლებების რეალიზებისთვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება ჯანდაცვის, განათლების, სამოქალაქო ინტეგრაციის, დასაქმების, სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური მიმართულებებით, აგრეთვე საზოგადოებაში ამ პირთა სრული ინტეგრაცია და მათთვის ყველა სახის მომსახურების ხელმისაწვდომობა თანასწორობის უნივერსალური პრინციპის დაცვით.

კანონპროექტის მიღებით გამოწვეული მოსალოდნელი შედეგებისა და კანონპროექტით გათვალისწინებული ვალდებულებების ამოქმედების ეტაპების პროგნოზირების საფუძველზე, კანონპროექტი კიდევ ერთხელ გადაიხედა, განისაზღვრა შესაბამისი ვალდებულებების შესრულების საერთო ვადები და მისი განახლებული ვერსია მთავრობის ელექტრონულ პროგრამაში (E-Flow) აიტვირთა. ამის შემდეგ კიდევ ერთხელ წარიმართა სამთავრობო და სხვა დაინტერესებულ უწყებებთან კონსულტაციების პროცესი. 2020 წლის თებერვლიდან „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საკანონმდებლო პაკეტი გადის განხილვას საქართველოს პარლამენტში.

20. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა

მიზანი: 20.1. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა;

ამოცანა: 20.1.2. შემოწმების მობილური ჯგუფების ეფექტიანი საქმიანობა;

ამოცანის ინდიკატორი: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევების ეფექტიანი გამოძიების მიზნით შემოწმების მობილური ჯგუფების მიერ სხვადასხვა შემთხვევის პროაქტიულად გამოვლენილია;

საქმიანობა 20.1.2.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევების ეფექტიანი გამოძიების მიზნით შემოწმების მობილური ჯგუფების მიერ სხვადასხვა შემთხვევის პროაქტიული გამოვლენა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტების პროაქტიულად გამოვლენის მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს მობილური ჯგუფების მიერ, შიდა ქართლის რეგიონში შემოწმებული იქნა ტრეფიკინგის რისკ შემცველი 48 დაწესებულება და განხორციელდა რისკ ჯგუფს მიკუთვნებული 225 მოქალაქის გამოკითხვა მათ მიმართ შესაძლო განხორციელებული ტრეფიკინგის ფაქტის გამოვლენის მიზნით, რა დროსაც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) ფაქტები არ გამოვლენილა.

- ქვემო ქართლის რეგიონში შემოწმებული იქნა ტრეფიკინგის რისკ შემცველი 41 დაწესებულება და განხორციელდა რისკ ჯგუფს მიკუთვნებული 261 მოქალაქის გამოკითხვა მათ მიმართ შესაძლო განხორციელებული ტრეფიკინგის ფაქტის გამოვლენის მიზნით, რა დროსაც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) ფაქტები არ გამოვლენილა;
- ქ. თბილისში შემოწმებული იქნა ტრეფიკინგის რისკ შემცველი 3 დაწესებულება და განხორციელდა რისკ ჯგუფს მიკუთვნებული 23 მოქალაქის გამოკითხვა მათ მიმართ შესაძლო განხორციელებული ტრეფიკინგის ფაქტის გამოვლენის მიზნით, რა დროსაც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) ფაქტები არ გამოვლენილა;
- ქ. თბილისში შემოწმებული იქნა ტრეფიკინგის რისკ შემცველი 4 დაწესებულება საიდანაც 3 ობიექტთან დაკავშირებით დაიწყო გამოძიება შესაძლო ტრეფიკინგის ფაქტზე, ხოლო 1 დაწესებულებაში გამოვლენილი იქნა პროსტიტუციის ხელშეწყობის ფაქტი რასთან დაკავშირებითაც ასევე დაწყებული იქნა გამოძიება. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეებზე მიმდინარეობს გამოძიება;

- სამცხე-ჯავახეთის რეგიონში შემოწმებული იქნა ტრეფიკინგის რისკ შემცველი 4 დაწესებულება და განხორციელდა რისკ ჯგუფს მიკუთვნებული 19 მოქალაქის გამოკითხვა მათ მიმართ შესაძლო განხორციელებული ტრეფიკინგის ფაქტის გამოვლენის მიზნით, რა დროსაც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) ფაქტები არ გამოვლენილა.

ამოცანა: 20.1.3. სპეციალისტების ჯგუფის (Task Force) ეფექტიანი საქმიანობა;
ამოცანის ინდიკატორი: სპეციალისტების ჯგუფის წევრების მონაწილეობით განხორციელებული პოლიციური კონტროლის და შემოწმებული დაწესებულებების/ადგილებისა და გამოკითხულ პირთა რაოდენობა; გამოვლენილი სავარაუდო ტრეფიკინგის ფაქტების რაოდენობა;

საქმიანობა 20.1.3.1. სპეციალისტების ჯგუფის (Task Force) წევრების მონაწილეობა ტრეფიკინგის რისკის შემცველი ადგილების შემოწმებისა და პოლიციური კონტროლის განხორციელებისას;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილებაში ფუნქციონირებას აგრძელებს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული შემოწმების ჯგუფი (Task Force), რომელთა ძირითად მოვალეობას წარმოადგენს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) რისკის შემცველი დაწესებულებების, ადგილების გამოვლენა, სადაც შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტებს, ასევე, რისკ ჯგუფს მიკუთვნებულ პირთა გამოკითხვა მათ მიმართ შესაძლო განხორციელებული ტრეფიკინგის ფაქტის გამოვლენის მიზნით;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების თანამშრომლების მიერ, განხორციელებულ იქნა აჭარის მასშტაბით ტრეფიკინგის რისკშემცველი ადგილების გამოვლენა-აღრიცხვა, გამოვლენილ იქნა რიგი დაწესებულებებისა, მათ შორის ისინი სადაც სისტემატურად ხდებოდა პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემა. გატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად აღნიშნული ჯგუფის მიერ 2019 წელს აჭარის რეგიონში შემოწმებული იქნა ტრეფიკინგის რისკშემცველი 23 დაწესებულება და განხორციელდა რისკ ჯგუფს მიკუთვნებული 44 მოქალაქის გამოკითხვა, მათ მიმართ შესაძლო განხორციელებული ტრეფიკინგის ფაქტის გამოვლენის მიზნით, ქ.ბათუმში შემოწმებული იქნა ქუჩაში მომუშავე რისკის შემცველი 9 ჯგუფი და განხორციელდა რისკ ჯგუფს მიკუთვნებული

49 მოქალაქის გამოკითხვა მათ მიმართ შესაძლო განხორციელებული ტრეფიკინგის ფაქტის გამოვლენის მიზნით;

Task force ჯგუფის მიერ პროაქტიულად გატარებული ღონისძიებების შედეგად გამოვლინდა და გამოძიება დაიწყო ტრეფიკინგის 2 ფაქტზე, რომლებიც შემდგომ გადაკვალიფიცირდა და სსკ 254-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის პასუხისგებაში მიცემული იქნა 3 პირი, ასევე პროაქტიული ღონისძიებების შედეგად პროსტიტუციის გადაცემის ფაქტზე 4 სისხლის სამართლის საქმეზე დაწყებული იქნა გამოძიება, რის საფუძველზეც პასუხისგებაში იქნა მიცემული 10 პირი, განცხადების საფუძველზე დაწყებული იქნა გამოძიება ტრეფიკინგის ფაქტზე 3 სისხლის სამართლის საქმეზე, საიდანაც 1 სისხლის სამართლის საქმეზე შეწყდა გამოძიება, ხოლო ორზე მიმდინარეობს გამოძიება, ასევე შრომითი ექსპლუატაციის ფაქტზე დაკავებული იქნა 2 პირი, დაზარალებულად კი იქნა ცნობილი 4 არასრულწლოვანი.

ამოცანა: 20.1.4. ტრეფიკინგის საქმეებზე მომუშავე პირთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;

ამოცანის ინდიკატორი: ჩატარებული ტრენინგებისა და გადამზადებულ სამართალდამცავთა რაოდენობა; ჩატარებული ტრენინგების თემატიკა;

საქმიანობა 20.1.4.1. სამართალდამცავთა კვალიფიკაციის ამაღლება შესაბამისი ტრენინგების გზით;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში ტრეფიკინგი თემატიკა ისწავლება, როგორც გადამზადების, ისე საბაზისო მომზადების პროგრამებში და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცა:

- ტრეფიკინგის განმარტება;
- ტრეფიკინგის პრობლემები საქართველოში;
- ტრეფიკინგის გამომწვევი მიზეზები და ხელშემწყობი ფაქტორები;
- ტრეფიკინგში მსხვერპლის ჩათრევის გზები;
- ექსპლუატაციის ნიშნები;
- საქართველოს კანონმდებლობის მიმოხილვა;
- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) დანაშაულის პრევენცია;
- ტრეფიკინგის მსხვერპლთა რეფერალური მექანიზმები.

2019 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ტრეფიკინგის თემაზე მომზადდა/გადამზადდა:

- სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 88 მსმენელი;
- კრიმინალური პოლიციის ტერიტორიული ორგანოების მართლწესრიგის ოფიცერთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 62 მსმენელი;
- მესაზღვრე-კონტროლიორის კვალიფიკაციის მიმნიჭებელი საგანმანათლებლო კურსი - 30 მსმენელი;
- ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტსა და ტერიტორიულ ორგანოებში თანამდებობრივი დაწინაურების სასწავლო პროგრამა - 97 მსმენელი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა თანამდებობრივი დაწინაურების საგანმანათლებლო პროგრამა - 95 მსმენელი;

მიზანი: 20.2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულთან ბრძოლა/პრევენცია;

ამოცანა: 20.2.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშულის შესახებ ცნობიერების ამაღლება;

ამოცანის ინდიკატორი: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ცხელ ხაზზე შემოსული ზარების გაზრდილი რაოდენობა; საქართველოს რეგიონებში საინფორმაციო შეხვედრები განხორციელებულია;

საქმიანობა 20.2.1.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საფრთხეების, ამ დანაშაულთან ბრძოლისა და მისგან თავის დაცვის საშუალებების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის რეგიონებში.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; ადამიანით ვაჭრობის - ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო.

პარტნიორი უწყება: სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს გენერალური პროკურატურა;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2019 წლის განმავლობაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შრომის ინსპექტირების დეპარტამენტი და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო) წარმომადგენლებმა საინფორმაციო შეხვედრები ჩაატარეს ხაშურსა და დუშეთში (სულ 85 მონაწილე), მარნეულში (105 მონაწილე),

შიდა ქართლის სოფელ ჭალაში (40 მონაწილე), კოდაში (15 მონაწილე), თბილისში (200 მონაწილე), ბათუმში (30 მონაწილე), ოზურგეთში (20 მონაწილე), თელავში (25 მონაწილე) და გორის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზისპირა სოფელ კოშკაში (15 მონაწილე). ტრეფიკინგის თემაზე საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა ასევე, მიუსაფარ ბავშვთა ექვსივე თავშესაფარში, რომელსაც 44 მიუსაფარი ბავშვი დაესწრო. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები, ეთნიკური უმცირესობები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, ოჯახის ექიმები, სოციალური მუშაკები, მიუსაფარი ბავშვები და ზოგადად ადგილობრივი მოსახლეობა.

გარდა ამისა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) ორგანიზებით, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოსთან თანამშრომლობითა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ფინანსური მხარდაჭერით, 2019 წლის 15-17 თებერვალს, ქ. თბილისში, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში სტუდენტებისთვის გაიმართა პროექტის ,,გიორგი მარგიანის სახელობის იმიტირებული სასამართლო პროცესი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე" ზეპირი რაუნდები. პროექტში მონაწილეობა მიიღო 5 უნივერსიტეტის 8 გუნდმა (სულ 36 მონაწილე).

ბავშვთა შრომის საწინააღმდეგო საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული (12 ივნისი) კვირეულის ფარგლებში სსიპ - ,,დანაშაულის პრევენციის ცენტრმა''[9] საქართველოს 12 ქალაქში/დაბაში ჩაატარა საინფორმაციო შეხვედრები 13-18 წლის მოზარდებთან. კამპანიის მიზანს წარმოადგენდა შრომითი უფლებების შესახებ ბავშვებისთვის ცნობიერების ამაღლება. შეხვედრების ფარგლებში ყურადღება გამახვილდა, ასევე, ტრეფიკინგსა და ბავშვთა შრომით ექსპლუატაციაზე. შეხვედრები ჩატარდა თბილისში (12 მონაწილე), მცხეთაში (25 მონაწილე), გორში (11 მონაწილე), ოზურგეთში (16 მონაწილე), ლანჩხუთში (6 მონაწილე), ლესაში (8 მონაწილე), ბორჯომში (8 მონაწილე), ახალციხეში (13 მონაწილე), აწყურში (20 მონაწილე), ვალეში (11 მონაწილე), ადიგენსა (7 მონაწილე) და ახალქალაქში (9 მონაწილე) (ჯამში 146 მონაწილე). 2019 წლის 30 ივლისს, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი ორგანიზებით სტუდენტებისთვის გაიმართა კონფერენცია ტრეფიკინგის თემაზე (მონაწილეთა რაოდენობა - 15).

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ევროპულ დღესთან დაკავშირებით საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა და

[9] 2020 წლის 1 იანვრიდან განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შედეგად იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი" და სსიპ „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო" გაერთიანდა და ჩამოყალიბდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად - „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო."

მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრმა (ICMPD), საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის მიერ დაფინანსებული ENIGMMA 2 პროექტის ფარგლებში განახორციელა ხელოვნების ნამუშევრების კონკურსი. კონკურსი მიზნად ისახავდა საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) რისკებისა და საფრთხეების თაობაზე. მასში მონაწილეობა შეეძლო ყველა დაინტერესებულ პირს 16 წლის ასაკიდან, როგორც პროფესიონალს, ისე მოყვარულს. კონკურსის შედეგად გამოვლინდა 3 გამარჯვებული, რომელთაც გადაეცათ სხვადასხვა პრიზები.

ამოცანა: 20.2.2 ტრეფიკინგთან ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება;

ამოცანის ინდიკატორი: სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის ფარგლებში ერთობლივად განხორციელებული ღონისძიებები: გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით გამართული სამთავრობათაშორისო შეხვედრების რაოდენობა;

საქმიანობა 20.2.2.1. ერთობლივი ღონისძიებების განხორციელების გზით სახელმწიფო უწყებების თანამშრომლობის გაღრმავება სამოქალაქო საზოგადოებასთან (არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვ.);

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; ადამიანით ვაჭრობის - ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო.

პარტნიორი უწყება: სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2019 წლის განმავლობაში არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ერთობლივი თანამშრომლობით, ამერიკის საელჩოს დაფინანსებით 2019 წლის 25-27 ივნისს, ქ. ბათუმში გაიმართა ტრენინგი „ტრეფიკინგის კურსი: ბავშვთა მათხოვრობა და ექსპლუატაციის სხვა ფორმები.“ ტრენინგი განკუთვნილი იყო გამომძიებლებისთვის, პროკურორებისა და სოციალური მუშაკებისთვის. მონაწილეობა მიიღო ჯამში 28 ადამიანმა;

- 2019 წლის 14-15 სექტემბერს, ქ. ბათუმში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს გენერალური პროკურატურის ორგანიზებით, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა და ამერიკის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა 2 სამუშაო შეხვედრა: 1) თბილისიდან და ბათუმიდან გამომძიებლების, მოსამართლეებისა და პროკურორების ერთობლივი შეხვედრა, რომლის მიზანიც იყო ტრეფიკინგის გამოვლენისა და კვალიფიკაციის კუთხით არსებული საკანონმდებლო ბაზის, ახლადგამოვლენილი ფორმებისა და არსებული გამოწვევების განხილვა და 2) შრომითი ტრეფიკინგის გამოვლენაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის, სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის წარმომადგენლები;
- 2019 წლის 13-14 ნოემბერს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიისა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის ორგანიზებით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ENIGMMA 2 პროექტის ფარგლებში განხორციელდა სამუშაო შეხვედრა ევროკავშირის 2 დირექტივაზე: Directive 2011/36/EU of 5 April 2011; Directive 2004/81/EC of 29 April. მონაწილეობა მიიღეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს გენერალური პროკურატურის, საგარეო საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის, სოციალური მომსახურების სააგენტოსა და მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის წარმომადგენლებმა (ჯამში 21 ადამიანი);
- 2019 წლის 25-27 ნოემბერს, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში ბრიტანელი ექსპერტის მონაწილეობით ჩატარდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მეირ ორგანიზებული ტრენინგი „ტრეფიკინგის საქმეების ფინანსური გამოძიების ძირითადი ასპექტები“. მონაწილეობა მიიღეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს გენერალური პროკურატურის, ფინანსური მონიტორინგის სამსახურისა და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენლებმა (სულ 25 მონაწილე);
- იმავე ბრიტანელი ექსპერტის მონაწილეობით 2019 წლის 28-29 ნოემბერს, გენერალურ პროკურატურაში ჩატარდა ტრენინგი „ეფექტიანი ერთობლივი მოქმედება შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგის წინააღმდეგ“. ტრენინგი განკუთვნილი იყო შრომის ინსპექტორებისა და სამართალდამცავებისთვის (სულ 27 მონაწილე);
- 2019 წლის 13 დეკემბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR)ს ორგანიზებით გამართულ ტრენინგში: „Trauma Informed Approach to Identification of Victims of Trafficking“, მონაწილეობა მიიღეს არასამთავრობო ორგანიზაციებისგან შემდგარი ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიცირების მუდმივმოქმედი ჯგუფისა (IOM, ICMPD, საია, ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი

და ა/ო თანადგომა) და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის წარმომადგენლებმა (სულ 10 მონაწილე).

საქმიანობა 20.2.2.2. პარტნიორი ქვეყნების, განსაკუთრებით კი საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფოების, შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობის გაღრმავება/მოლაპარაკებების დაწყება, მათ შორის, ტრანსნაციონალური თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს გენერალური პროკურატურა; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2019 წლის 16-17 მაისს, ქ. სტრასბურგში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კიბერდანაშაულის სამმართველოს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ევროპის საბჭოს ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციაში თემაზე „მულტი-სექტორული თანამშრომლობა ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლა“. კონფერენციის ფარგლებში იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელმა მონაწილე 9 ქვეყანას (ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, მოლდოვა, მონტენეგრო, სერბეთი, თურქეთი და უკრაინა) გაუზიარა საქართველოს გამოცდილება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებზე.

2019 წლის 6 ივნისს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს გენერალური პროკურატურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. კიევში გამართულ მრგვალ მაგიდაში თემაზე „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თანამედროვე ტენდენციები და ექსპლუატაციის ნაკლებად ცნობილი ფორმები“. ღონისძიების მიზანი იყო საქართველოს, უკრაინას, ბელორუსიასა და მოლდოვას შორის გამოცდილების გაზიარება. 2019 წლის 17-18 სექტემბერს საქართველოს გენერალური პროკურატურის წარმომადგენელი მონაწილეობას იღებდა უზბეკეთში, უზბეკი პროკურორებისთვის გამართულ ტრენინგში ტრეფიკინგის თემაზე. საქართველოს გენერალური პროკურატურის წარმომადგენელი მიწვეული იყო ქართული გამოცდილების გაზიარების მიზნით.

2019 წლის 24-25 ოქტომბერს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ორგანიზებით, ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით ქ. თბილისში განხორციელდა რეგიონული კონფერენცია „შრომითი

ექსპლუატაციის მიზნით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა და პრევენცია: გამოწვევები და საუკეთესო პრაქტიკა.“ კონფერენციის მიზანი იყო საქართველოს, უკრაინას, მოლდოვასა და ბელორუსიას შორის გამოცდილების გაზიარება შრომითი ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში. მონაწილეობდნენ როგორც თითოეული ქვეყნის სამთავრობო უწყებები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ისე მოწვეული ექსპერტები ეუთოდან (OSCE), დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისიდან (ODIHR) და ევროპის საბჭოს ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა ჯგუფიდან (GRETA).

2019 წლის 26-29 ნოემბერს შედგა საქართველოს შსს სასაზღვრო პოლიციის უფროსის თეიმურაზ კეკელიძის ოფიციალური ვიზიტი სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების სამსახურის სასაზღვრო ჯარებში. შეხვედრის მიზანი იყო სახელმწიფო საზღვარზე არსებული სიტუაციის შეფასება, პრობლემური საკითხების არსებობის შემთხვევაში მათი გადაწყვეტის შესაძლო გზების განხილვა და ორმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარება. ვიზიტის დროს ხელი მოეწერე „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციასა და სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების სამსახურის სასაზღვრო ჯარებს შორის სასაზღვრო სფეროში 2020 წლის ერთობლივ ღონისძიებათა გეგმას". ხელმოწერილი გეგმის თანახმად, მონაცვლეობით საქართველოსა და სომხეთში ჩატარდება ორი ღონისძიება - საინფორმაციო-ანალიტიკური საქმიანობის, საერთაშორისო თანამშრომლობის და პროექტების მართვის სფეროში. ასევე, გამოცდილება იქნება გაზიარებული სახელმწიფო საზღვრის დაცვისა და კინოლოგიის სფეროში.

ტრანსნაციონალური თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით დანაშაულთან ბრძოლის, მიგრაციისა და რეადმისიის საკითხებზე შს სამინისტრომ 2019 წელს გააფორმა შემდეგი საერთაშორისო დოკუმენტები:

1. განზრახვის წერილი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და კატარის სახელმწიფოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის შესახებ" – ხელმოწერილია ქ. დოჰაში 2019 წლის 15 იანვარს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

2. ადმინისტრაციული შეთანხმება „საქართველოს ვიცე–პრემიერს, შინაგან საქმეთა მინისტრსა და საფრანგეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს შორის ოპერატიული საპოლიციო თანამშრომლობის გაძლიერებისა და საფრანგეთში მივლენილი ქართველი პოლიციელების მიღების შესახებ" – ხელმოწერილია ქ. თბილისში 2019 წლის 10 მაისს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

3. შეთანხმება „საქართველოსა და ჩეხეთის რესპუბლიკას შორის დანაშაულთან ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ" – ხელმოწერილია ქ. თბილისში 2019 წლის 10 ივლისს, არ არის ძალაში;

4. ოქმი „საქართველოს მთავრობასა და ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციის თაობაზე" – ხელმოწერილია ქ. თბილისში 2019 წლის 10 ივლისს, არ არის ძალაში;

5. ერთობლივი განცხადება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შვეიცარიის მართლმსაჯულებისა და პოლიციის ფედერალურ დეპარტამენტს შორის მიგრაციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ" – ხელმოწერილია ქ. თბილისში 2019 წლის 16 სექტემბერს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) შესახებ წარმოებულ 2 სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრისა და გენერალური პროკურატურის მეშვეობით თურქეთის, რუსეთის, უკრაინისა და კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაგზავნილი იქნა 10 სამართლებრივი დახმარების შუამდგომლობა.

მიზანი: 20.3. ტრეფიკინგის მსხვერპლთა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ პირთა ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა;

ამოცანა: 20.3.1. ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის სერვისების გაუმჯობესება, შესაძლებლობების განვითარება და რეაბილიტაცია;

ამოცანის ინდიკატორი: სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებზე სამედიცინო შემოწმების პრაქტიკა დანერგილია; ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურებების დახვეწილია; თავშესაფარში დასაქმებულ პერსონალს გავლილი აქვს შესაბამისი ტრეინინგი; რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის ინდივიდუალური პროგრამები შემუშავებულია; ტრეფიკინგის მსხვერპლთა შესაძლებლობების განვითარებაზე ორიენტირებული პროექტები (ინდივიდუალური გეგმები) შემუშავებულია და ხორციელდება; ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების ბენეფიციარები ჩართულები არიან სპორტულ და კულტურულ აქტივობებში, მათი სურვილის და შესაძლებლობების გათვალისწინებით; ტრეფიკინგის საკითხებზე მომუშავე პერსონალს გავლილი აქვთ შესაბამის ტრენინგები;

საქმიანობა 20.3.1.1. თავშესაფარში მიღებიდან 48 საათის განმავლობაში სექსუალური ექსპლუატაციის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებზე სამედიცინო შემოწმების პრაქტიკის დანერგვა;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი;

პარტნიორი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

თავშესაფარში მიღებიდან 48 საათის განმავლობაში სექსუალური ექსპლუატაციის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებზე სამედიცინო შემოწმების პრაქტიკა დანერგილია.
2019 წელს ფონდის თავშესაფრების მომსახურებით არ უსარგებლიათ სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლს.

საქმიანობა 20.3.1.2. ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის მოქმედი ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურებების (თავშესაფრის/კრიზისული ცენტრის ფარგლებში) დახვეწა;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი;

პარტნიორი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2017 წლის დეკემბერში სახელმწიფო ფონდმა შეიმუშავა სახელმწიფო ფონდის ბენეფიციარებთან სოციალური მუშაობის და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის/დახმარების შესახებ სახელმძღვანელო მითითებებისა და ინსტრუმენტები (მათ შორის, ფსიქოლოგიური და სოციალური მუშაობისთვის საჭირო სხვადასხვა მოდულების), რაც ასევე მოიცავდა თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში ბენეფიციარის პირადი საქმეებისთვის განკუთვნილი ფორმების გაუმჯობესებას/დახვეწას. შესაბამისად, სახელმძღვანელო მითითებების ინტეგრირება შინაგანაწესებსა და რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის (შემთხვევის მართვის) გეგმებში და მათი დანერგვა პრაქტიკაში (საქმიანობაში) ხორციელდება 2018 წლიდან. 2019 წელს ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის და სოციალური მუშაობის სახელმძღვანელოებში მოხდა ბავშვებთან და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მუშობის სპეციფიკური საკითხების ინტეგრირება.

საქმიანობა 20.3.1.3. თავშესაფარში დასაქმებული პერსონალის გადამზადება მოწყვლადი ჯგუფების სპეციფიკის გათვალისწინებით;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი;

პარტნიორი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2019 წლის 24 – 27 ივნისს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM) და ფონდთან თანამშრომლობით გაიმართა ტრენინგი სახელწოდებით: "ბავშვთა შრომითი ექსპლუატაცია". (ფონდიდან მონაწილეთა რაოდენობა - 3). 2019 წლის 13 დეკემბერს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR)ს ორგანიზებით გამართულ ტრენინგში: „Trauma Informed Approach to Identification of Victims of Trafficking“, მონაწილეობა მიიღეს ფონდის ცენტრალური აპარატის, თბილისის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი) და ბათუმის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი) თანამშრომლებმა (ფონდიდან მონაწილეთა რაოდენობა - 5).

საქმიანობა 20.3.1.4. ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებებში ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის ინდივიდუალური პროგრამების შემუშავება;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

იხილეთ საქმიანობა 20.3.1.2.

საქმიანობა 20.3.1.5. ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებებში მსხვერპლთა შესაძლებლობების განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების (ინდივიდუალური გეგმების) შემუშავება და განხორციელება;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2017 წლის ივლისში ფონდის მიერ გადაიხედა, განახლდა და დაიხვეწა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთათვის/დაზარალებულთათვის არსებული რეაბილიტაცია--რეინტეგრაციის (შემთხვევის მართვა) გეგმები. აღნიშნულ გეგმებში დეტალურად ხორციელდება თითოეული ბენეფიციარისათვის (მათ შორის ბენეფიციარზე დამოკიდებული პირების) საჭირო მომსახურებების დაგეგმვა და მისი განხორციელებისათვის საჭირო აქტივობების განსაზღვრა.

საქმიანობა 20.3.1.6. ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების ბენეფიციარების ხელშეწყობა სპორტულ და კულტურულ აქტივობებში, მათი სურვილის და შესაძლებლობების გათვალისწინებით;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების ბენეფიციარები მათი სურვილის შემთხვევაში, ერთვებიან სხვადასხვა კულტურულ და შემეცნებით აქტივობებში, რომლებიც ხორციელდება პარტნიორ დაწესებულებებთან აქტიური თანამშრომლობით.

საქმიანობა 20.3.1.7. ტრეფიკინგის საკითხებზე მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

იხილეთ საქმიანობა 20.3.1.3.

2019 წლის 5 ნოემბერს ფონდის ორგანიზებით ფონდის სტრუქტურული ერთეულების (თავშესაფარი/კრიზისული ცენტრი) თანამშრომლებისათვის გამართულ ტრენინგში "ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკა (ეროვნულ რეფერალური მექანიზმი), არსებული გამოწვევები, სამართლებრივი რეგულაციები და მსხვერპლთა დაცვის სახელმწიფო სტანდარტები" მონაწილეობა მიიღეს ბათუმის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი) და ოზურგეთის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრის თანამშრომლებმა (მონაწილეთა რაოდენობა - 6).

2019 წლის 13-14 ნოემბერს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) ორგანიზებით გამართულ ტრენინგში, რომელიც ეხებოდა ევროკავშირის 2 დირექტივას: Directive 2011/36/EU of 5 April 2011; Directive 2004/81/EC of 29 April. მონაწილეობა მიიღეს ფონდის ცენტრალური აპარატის, თბილისის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი) და თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრის თანამშრომლებმა (ფონდიდან მონაწილეთა რაოდენობა - 3).

2019 წლის 13 დეკემბერს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR)ს ორგანიზებით გამართულ ტრენინგში: „Trauma Informed Approach to Identification of Victims of Trafficking“, მონაწილეობა მიიღეს ფონდის ცენტრალური აპარატის, თბილისის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი) და ბათუმის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი) თანამშრომლებმა (ფონდიდან მონაწილეთა რაოდენობა - 5).

2019 წლის 16 დეკემბერს, საქართველოს საგარეოს საქმეთა სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ტრენინგში: „პოლიტიკის დაგეგმვა და ევროკავშირში ინტეგრაციის 2020 წლის სამოქმედო გეგმა“ მონაწილეობა მიიღო ფონდის ცენტრალური აპარატის თანამშრომელმა (ფონდიდან მონაწილეთა რაოდენობა - 1).

21. იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები

მიზანი: 21.1. დევნილთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მათი ადეკვატური საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა, სამართლებრივი, კულტურულ-ეკონომიკური გაძლიერება და ინტეგრაცია;

ამოცანა: 21.1.1. დევნილთა სოციალური დახმარებისა და დაცვის სახელმწიფო პროგრამებში ჩართვის ხელშეწყობა;

ამოცანის ინდიკატორი: სოციალურ პროგრამებში ჩართულ დევნილთა რაოდენობა;

საქმიანობა 21.1.1.1. ყველა დევნილის სოციალურ პროგრამებში ჩართვის უზრუნველყოფა, რომლებიც აკმაყოფილებენ შესაბამის კრიტერიუმებს;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

იძულებით გადაადგილებული პირების - დევნილების სოციალურ-ეკონომიკური მგომარეობის გაუმჯობესების მიზნით არაერთი პროგრამა მუშაობს. 2019 წელს ახალი საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილდა 2000-ზე მეტი ოჯახი. 8000-მდე ოჯახს გაეწია ერთჯერადი ფინანსური დახმარება, ხოლო 1500-ზე მეტ ოჯახს დაუფინანსდა ბინის ქირა. გერმანიის განვითარების ბანკის დაფინანსებით დაწყებულია სოფლის ტიპის დასახლებების აშენება, პროექტის ფარგლებში საერთო ჯამში საცხოვრებელი აუშენდება 236 ოჯახს.

ამოცანა: 21.1.2. დევნილთა საარსებო წყაროებზე წვდომის გაუმჯობესება;
ამოცანის ინდიკატორი: მხარდაჭერილია, სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული, საჭიროების მქონე ყველა დევნილი, მათ შორის 40% ქალი;
დაფინანსებულია, სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წინასწარგანსაზღვრული პროფესიების 50-მდე კურსდამთავრებული დევნილი, მათ შორის 40% ქალი;
საქმიანობა 21.1.2.1. სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული საჭიროების მქონე დევნილებისთვის ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2019 წელს დევნილთა პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მგზავრობის თანხა აუნაზღაურდა 222 დევნილს, მათ შორის 113 იყო ქალი (59.9%).
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში, როგორც პროფესიულ კოლეჯებში, ისე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, 2019 წელს, ჯამში ჩაირიცხა 7699 პირი, მათ შორის 3146 ქალი, მათგან დევნილის სტატუსის მქონე 165 ქალი;
• საგაზაფხულო მიღება: სულ 2623 პირი, მათ შორის 970 ქალი, ხოლო მათ შორის 16 ქალი დევნილი;
• საშემოდგომო მიღება: სულ 5076 პირი, მათ შორის 2176 ქალი, მათ შორის, 149 ქალი დევნილი;
ქალ აპლიკანტთა მხრიდან განსაკუთრებული ინტერესი გამოიხატა სამკერვალო ნაწარმის, თმის სტილისტის, თექის ოსტატის, ვებ-ინტერფეისის დეველოპერის, მზარეულისა და პრაქტიკოსი ექთნის საგანმანათლებლო პროგრამების მიმართ.

საქმიანობა 21.1.2.2. სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების, წინასწარგანსაზღვრული პროფესიების კურსდამთავრებულ დევნილთა თვითდასაქმების ხელშეწყობა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2019 წელს დევნილთა თვითდასაქმების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში გამოვლინდა 50 გამარჯვებული დევნილი და მათთვის ხელსაწყოების შეძენა მოხდება 2020 წლის 1 კვარტალში.

ამოცანა: 21.1.3. დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;

ამოცანის ინდიკატორი: 2018 წელს - 2424 დევნილი ოჯახი იქნა უზრუნველყოფილი გრძელვადიანი საცხოვრებლით; 2018 წელს - 100 დევნილმა ოჯახმა, რომელმაც მინისტრის ნორმატიული აქტით დამტკიცებულ ვადამდე იპოთეკური სესხით შეიძინა საცხოვრებელი ბინები და იგი არის მათი ერთადერთი ფაქტობრივი საცხოვრებელი, მიიღო ფინანსური დახმარება;
2018 წელს - დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა მათ საკუთრებაში არსებულ ობიექტებში (ყოველწლიურად მინიმუმ 150 ობიექტი) ჩასატარებელი სამუშაოების თანადაფინანსება; 2000 დევნილმა ოჯახმა (ყოველწლიურად) მიიღო საცხოვრებელი ფართების დაქირავებისთვის ყოველთვიური ფულადი დახმარება;
2019-2020 წლების ინდიკატორები დაზუსტდეს 2018 წლის ბოლოს;

საქმიანობა 21.1.3.1. ახალი საცხოვრებელი კორპუსების (კომპლექსების) მშენებლობა თბილისსა და საქართველოს რეგიონებში და დევნილი ოჯახებისთვის საკუთრებაში გადაცემა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

ახალაშენებულ საცხოვრებელ კორპუსებში 1047 ოჯახს გადაეცა საცხოვრებელი ფართი.

საქმიანობა 21.1.3.2. დევნილი ოჯახებისათვის სახლებისა და ბინების შესყიდვა და საკუთრებაში გადაცემა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

1050 დევნილი ოჯახისათვის განხორციელდა საცხოვრებელი ფართის (სახლი/ბინა) შესყიდვა. 812 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებელი.

საქმიანობა 21.1.3.3. ერთჯერადი ფულადი დახმარება იმ დევნილი ოჯახებისთვის, რომლებმაც მინისტრის ნორმატიული აქტით დამტკიცებულ ვადამდე იპოთეკური სესხით შეიძინეს საცხოვრებელი და იგი არის მათი ერთადერთი ფაქტობრივი საცხოვრებელი;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: არ დაწყებულა.

2019 წელს არ გაცემულა დახმარება იპოთეკური სესხების დაფარვის მიზნით. პროგრამა შეჩერებულია.

საქმიანობა 21.1.3.4. საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით დევნილებისათვის საკუთრებაში გადაცემულ მრავალბინიან სახლებში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსება მუნიციპალიტეტებთან ერთად;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

დაფინანსდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის 63 პროექტი.

საქმიანობა 21.1.3.5. იმ დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, რომლებიც ცხოვრობენ სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ ნგრევად და/ან საცხოვრებლად უვარგის მართლზომიერ

მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართობების შესახებ ინფორმაციის რეგულარული განახლება და აღნიშნული ობიექტების დახურვა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხის შემცველი ნგრევადი 31 ობიექტიდან განსახლდა 351 დევნილი ოჯახი.

საქმიანობა 21.1.3.6. საცხოვრებელი ფართების დაქირავების მიზნით დევნილთა ოჯახებისთვის ყოველთვიური სოციალური და ფულადი დახმარებების გაწევა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საცხოვრებლის ქირის თანხის გადასახადი დაუფინანსდა 1557 დევნილ ოჯახს.

ამოცანა: 21.1.4. დევნილთა ჩართულობა და ინფორმირება მათთვის განკუთვნილი პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში მათ შორის საარსებო წყაროების პროგრამების შესახებ;

ამოცანის ინდიკატორი: დევნილებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე, პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე, შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მუნიციპალიტეტებთან, მედიის წამომადგენლებთან და დევნილთა ჯგუფებთან გამართული შეხვედრების თანაფარდობა მიღებულ გადაწყვეტილებების რაოდენობასთან გაიმართა მინიმუმ 10 საინფორმაციო შეხვედრა; გავრცელდა 6000-მდე ბეჭდური მასალა; ინფორმირებულთა მინიმუმ 40% ქალია; საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გაიმართა საარსებო წყაროების მინიმუმ 3 ფორუმი; გაიგზავნა 3,000,000-მდე მოკლე ტექსტური შეტყობინება საარსებო წყაროების სხვადასხვა პროგრამასთან დაკავშირებით; სამინისტროს თითოეულ ტერიტორიულ ორგანოს გადაეცა 2000 ცალი საინფორმაციო ბეჭდური მასალა საარსებო წყაროების პროგრამებზე;

საქმიანობა 21.1.4.1. არასამთავრობო ორგანიზაციების, მუნიციპალიტეტებისა და მედიასაშუალებებისა და დევნილების ინფორმირება, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები დევნილებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე, პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

დევნილთა საინიციატივო ჯგუფთან 6 შეხვედრა გაიმართა. აღნიშნულ შეხვედრებზე მიმდინარეობდა მსჯელობა მოქმედ პროგრამებზე და გასატარებელ ღონისძიებებზე. 8 შეხვედრა შედგა არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

საქმიანობა 21.1.4.2. სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში დევნილთა ჩართულობა, მათი პოზიციისა და საჭიროებების იდენტიფიცირება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

იხილეთ საქმიანობა 21.1.4.1.

საქმიანობა 21.1.4.3. დევნილთა ჯგუფებთან წარმომადგენლობითი შეფასებისა და საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება. სტრატეგიის განხორციელების განხილვა და წინადადებების მომზადება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

თბილისსა და რეგიონებში ჩატარდა 10 საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა, სადაც მსჯელობა წარიმართა სტრატეგიის განხორციელების განხილვის შესახებ იყო მსჯელობა.

საქმიანობა 21.1.4.4. სააგენტოს თანამშრომლების მიერ, საველე ვიზიტების ფარგლებში, დევნილთა დასახლებებში საარსებო წყაროების პროგრამების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების გამართვა;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ ჩაატარა საველე ვიზიტები სხვადასხვა დევნილთა ჩასახლებებში ქვეყნის მასშტაბით - სულ ჩატარდა 20-მდე საველე ვიზიტი. 2019 წლის განმავლობაში 2 მილიონამდე მოკლე ტექსტური შეტყობინება გაიგზავნა საარსებო წყაროების სახელმწიფო პროგრამების შესახებ.

საქმიანობა 21.1.4.5. მოხალისეების მიერ, საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, კარდაკარ პრინციპით დევნილთა ინფორმირებულობა საარსებო წყაროების პროგრამების შესახებ;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ ჩაატარა საინფორმაციო კამპანია მოხალისეთა ჩართულობით. მოხალისეებმა 5000 - მდე დევნილ ოჯახს პირადად გააცნეს ინფორმაცია. სულ მუშაობდა 25 მოხალისე. კამპანია განხორციელდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტ ZRDA - სთან თანამშრომლობით.

საქმიანობა 21.1.4.6. მთელი საქართველოს მასშტაბით, საარსებო წყაროების ფორუმების გამართვა სადაც ერთ სივრცეში წარმოდგენილია იქნება საარსებო წყაროების განმახორციელებელი უწყებები/სააგენტოები და ორგანიზაციები;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საარსებო წყაროების ფორუმები დევნილთათვის - სულ ჩატარდა 3 ფორუმი იმერეთში, შიდა ქართლსა და სამეგრელოში.

საქმიანობა 21.1.4.8. სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლების უზრუნველყოფა ინფორმაციის გავრცელების საშუალებებით;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

დაიბეჭდა და გავრცელდა 10 000 საინფორმაციო მასალა. კერძოდ სამინისტროს აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს გადაეცა 3 000 საინფორმაციო მასალა და იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის ტერიტორიულ ორგანოს - 2 000. დარჩენილი 5 000 გავრცელდა შეხვედრებისას დევნილთა დასახლებებში და განთავსდა დევნილთა მისაღების საინფორმაციო დაფაზე.

ამოცანა: 21.1.5. დევნილთა მონაწილეობის ხელშეწყობა საგანმანათლებლო, კულტურულ და სპორტულ პროგრამებსა და აქტივობებში;

ამოცანის ინდიკატორი: დევნილთათვის ხელმისაწვდომია სკოლისგარეშე და არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამები. უზრუნველყოფილია დევნილთა ჩართულობა კულტურულ და სპორტულ აქტივობებში;

საქმიანობა 21.1.5.1. დევნილთა დასახლებებში სკოლისგარეშე სახელოვნებო და სპორტული სასწავლებლების ხელშეწყობა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის ქვეყანაში მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციას ემსახურებოდა სსიპ - გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის პროექტი „კულტურა საზღვრებს გარეშე“, რომელიც განხორციელდა შიდა ქართლისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში. კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები გაიმართა საზღვრისპირა 2 მუნიციპალიტეტსა და 9 სოფელში. განხორციელდა 50-ზე მეტი აქტივობა, რომლებსაც 4000-მდე ადამიანი დაესწრო, მათ შორის ცხინვალისა და აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობაც. პროექტი განხორციელდა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურისა და განათლების სამინისტროს ჩართულობით.

საქმიანობა 21.1.5.2. არაფორმალური განათლების პროგრამებში დევნილთა ჩართვის ხელშეწყობა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში და რეგიონებში სახელოვნებო განათლების ხელმისაწვდომობის მიზნით ჩატარდა კონკურსი ,,ხელოვნება გამყოფი ხაზების გარეშე“. გამარჯვებული პროექტის ,,სახელოვნებო სკოლები დევნილთა დასახლებებში“ ფარგლებში შიდა და ქვემო ქართლის რეგიონებში არსებულ დევნილთა 12 კომპაქტურ დასახლებაში შექმნილ 61 სხავადასხვა მიმართულების სახელოვნებო წრეებში გაერთიანდა 707 მოსწავლე. სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით დასაქმდა 68 ადგილობრივი პედაგოგი.

საქმიანობა 21.1.5.3. კულტურულ და სპორტულ აქტივობებში დევნილთა მონაწილეობის ხელშეწყობა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2019 წელს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით, სსიპ - გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის მიერ, განხორციელდა პროექტი ,,კულტურა საზღვრებს გარეშე, რომლის მიზანია გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრები ჩვენი მოსახლეობის, მათ შორის დევნილების, ქვეყანაში მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებში ჩართულობის ხელშეწყობა,

ახალგაზრდების ინფორმირებულობა, სახელოვნებო განათლების დონის ამაღლება და შემოქმედებითი უნარების განვითარება.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, შიდა ქართლისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში (სოფ. დიცი, სოფ. ტირძნისი/ქ. გორი; სოფ. ტყაია, სოფ. რუხი ქ. ზუგდიდი/; სოფ. ხურვალეთი/ქ. გორი; სოფ. ორსანტია, სოფ.კოკი, ანაკლია, ქ. ზუგდიდი და სოფ. მერეთი) გაიმართა შემდეგი ღონისძიებები:

• შეხვედრები ქართველ მწერლებთან, ხელოვანებთან და მეცნიერებთან: ლექციები საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით, წიგნის პრეზენტაციები - მარჯორი უორდროპი - 150 (Unesco), პარლამენტარიზმის 100 წლისთავი, კორნელი კეკელიძე, გიორგი ლეონიძე, ანა კალანდაძე, მუხრან მაჭავარიანი, შოთა ნიშნიანიძე, გურამ დოჩანაშვილი (სალექციო კურსი და სემინარი) – 19;

• მოეწყო სხვადასხვა სახის გამოფენები, როგორც ადგილობრივი, ასევე დედაქალაქიდან ჩასული ხელოვანების მონაწილეობით - 11;

• დაგეგმილია სპექტაკლების, სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი მხატვრული და ანიმაციური ფილმების ჩვენება;

• სპექტაკლი (სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი) - 1;

• სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი მხატვრული და ანიმაციური ფილმების ჩვენება - 11;

• მუსიკალური კონცერტები ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლების, ინსტრუმენტული ჯგუფების და დედაქალაქიდან ჩასული თანამედროვე მუსიკოს - შემსრულებლების მონაწილეობით - 9;

• სამინისტროს ხელშეწყობით გამოცემული წიგნებით განახლდება აღნიშნული რეგიონების სკოლების, მუნიციპალური და ქალაქის ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი - 11;

• სამინისტროს ხელშეწყობით გახსნილი სკვერის ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის განახლება (სოფ. დიცი, სოფ. ტყაია, სოფ.ორსანტია, სოფ. მერეთი) – 4.

აღნიშნულ ღონისძიებებს 4 000-მდე ადამიანი დაესწრო.

რაც შეეხება სპორტულ აქტივობებში დევნილთა მონაწილეობის ხელშეწყობას, სპორტის სხვადასხვა სახეობებში გამართულ შეჯიბრებებსა და ღონისძიებებში, ჩართულია დევნილი მოსახლეობაც.

მიზანი: 21.2. საერთაშორისო ძალისხმევის მობილიზება ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების და მათი უფლებების დაცვის ხელშეწყობის მიზნით;

ამოცანა: 21.2.1. ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების საკითხის საგნობრივი განხილვა;

ამოცანის ინდიკატორი: ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში მიმდინარეობს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების საკითხის განხილვა;

საქმიანობა 21.2.1.1. ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების აუცილებლობის დაყენება და საკითხის საგნობრივი განხილვის მიზნით ძალისხმევის გაგრძელება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

ქართული დელეგაცია ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების საკითხის განხილვის აუცილებლობას მუდმივად აყენებდა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებზე, სადაც აღნიშნული თემა დღის წესრიგის ერთ-ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენს; ასევე მუდმივად მიმდინარეობდა მუშაობა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეებთან და მათ ორგანიზაციებთან, ასევე, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, როგორც მოლაპარაკებების მონაწილესთან, კონკრეტული გზების გამონახვის მიზნით, რათა მოხერხებულიყო ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში საკითხზე საგნობრივი მსჯელობა.

ამოცანა: 21.2.2. საერთაშორისო თანამეგობრობის დღის წესრიგში ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უფლებების დაცვის საკითხის დასმა/შენარჩუნება;

ამოცანის ინდიკატორი: ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა საკითხი დგას საერთაშორისო თანამეგობრობის დღის წესრიგში; გაეროს გენერალური ასამბლეა იღებს რეზოლუციას "აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ";

საქმიანობა 21.2.2.1. პარტნიორ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უფლებების დაცვის საკითხის რეგულარულად დაყენება და ძალისხმევის გაგრძელება სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტებში (მათ შორის, განცხადებებში, ანგარიშებში, დეკლარაციებში, რეზოლუციებში და სხვ.) საკითხის სათანადოდ ასახვის მიზნით;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა ყველა ორმხრივი და მრავალმხრივი ფორმატის გამოყენება ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნების ხელშეწყობის მიზნით. საანგარიშო პერიოდში ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების თემა განხილვის საგანი იყო პარტნიორ ქვეყნებთან ორმხრივ ურთიერთობებში, მათ შორის, აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში გამართული უსაფრთხოების სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე, საქართველო-გაერთიანებული სამეფოს უორდროპის სტრატეგიული დიალოგისას, დიმიტრი ამილახვარის სახელობის ქართულ-ფრანგული დიალოგისას. აღნიშნული საკითხზე ყურადღება გამახვილებულ იქნა 2019 წლის განმავლობაში გაერო-ს, ეუთო-ს, ევროპის საბჭოს, ევროკავშირისა და ნატოს, ფორმატებში გამართულ არაერთ ღონისძიებასა და შეხვედრაში.

ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში გაწეული საქმიანობის შედეგად შესაძლებელი გახდა ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მიერ საკუთარ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების აუცილებლობის და მათთვის აღნიშნული უფლების განხორციელებისთვის ხელშეწყობის შესაბამის დოკუმენტებში ასახვა:

- გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა მდგომარეობის შესახებ;

- გაეროს გენერალური მდივნის ანგარიში იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა მდგომარეობის შესახებ;
- გაეროს ადამიანის უფლებების საბჭოს რეზოლუცია საქართველოსთან თანამშრომლობის შესახებ;
- გაეროს ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისრის ანგარიში საქართველოსთან თანამშრომლობის შესახებ;
- ევროსაბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის გადაწყვეტილება;
- ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის კონსოლიდირებული ანგარიშები საქართველოში კონფლიქტის შესახებ (აპრილი; ნოემბერი);
- ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია სერგეი მაგნიცკის და დაუსჯელობის წინააღმდეგ სანქციებით ბრძოლის შესახებ (იანვარი);
- ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის რეზოლუცია ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა როლი დევნილთა დაცვის საკითხებში;
- ეუთო-ში საქართველოს მეგობართა ჯგუფის ერთობლივი განცხადებები რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შესახებ (სექტემბერი; დეკემბერი); 2019 წლის 8 ივლისის ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია "უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების მდგომარეობა აფხაზეთში, საქართველო და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთი, საქართველო";
- აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი რეზოლუცია;
- აშშ-ს 2019 წლის ადამიანის უფლებათა ანგარიში;
- გაერთიანებული სამეფოს საგარეო და თანამეგობრობის ოფისის ანგარიში — ადამიანის უფლებები და დემოკრატია;
- დიმიტრი ამილახვარის სახელობის ქართულ-ფრანგული დიალოგის“ ფარგლებში ერთობლივი დეკლარაცია (2 დეკემბერი, 2019).

საქმიანობა 21.2.2.2. გაეროს გენერალური ასამბლეაზე საქართველოს მიერ ინიცირებული რეზოლუციის "აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ" მიღება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2019 წლის 4 ივნისს, გაერო-ს გენერალური ასამბლეის სესიის პლენარულ სხდომაზე, მიღებულ იქნა რეზოლუცია "აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ",

რომელსაც პირველად დაემატა თანასპონსორი სახელმწიფოები (რეზოლუცია მიღებულ იქნა 45 ქვეყნის თანასპონსორობით).

22. მიგრანტთა და ლტოლვილთა უფლებები

მიზანი: 22.1. იმიგრანტთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა;

ამოცანა: 22.1.1. იმიგრანტთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობა;

ამოცანის ინდიკატორი: ინტეგრაციის ხარისხის მაჩვენებელი (ექსპერტთა დასკვნები, შეფასების დოკუმენტი;

საქმიანობა 22.1.1.1. იმიგრანტთა ინტეგრაციის მექანიზმის ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: მსსკ-ს ინტეგრაციის საკითხთა სამუშაო ჯგუფის წევრი უწყებები;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

იმიგრანტთა ინტეგრაციის მექანიზმი ფუნქციონირებს შეუფერხებლად. გამოვლენილია გრანტის მიმღები ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს საინტეგრაციო პროექტებს.

საქმიანობა 22.1.1.2. საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის ცენტრის ფუნქციონირება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: მსსკ-ს ინტეგრაციის საკითხთა სამუშაო ჯგუფის წევრი უწყებები;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

ინტეგრაციის ცენტრი ფუნქციონირებს შეუფერხებლად.

საქმიანობა 22.1.1.3. ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩოს გაძლიერება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: მსსკ-ს ინტეგრაციის საკითხთა სამუშაო ჯგუფის წევრი უწყებები;

შესრულების სტატუსი: არ დაწყებულა.

სამართლებრივ აქტებში რაიმე სახის ცვლილება არ განხორციელებულა.

საქმიანობა 22.1.1.4. იმიგრანტთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინფორმირება მათი უფლებებისა და ინტეგრაციის შესაძლებლობების შესახებ;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: მსსკ-ს ინტეგრაციის საკითხთა სამუშაო ჯგუფის წევრი უწყებები;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

დამზადდა საინფორმაციო ვიდეო რგოლები, რომელიც განთავსდა სამინისტროსა და ICMPD-ს ვებ გვერდზე.

საქმიანობა 22.1.1.5. მიმღები საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ინტეგრაციის მნიშვნელობის შესახებ;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: მსსკ-ს ინტეგრაციის საკითხთა სამუშაო ჯგუფის წევრი უწყებები;

შესრულების სტატუსი: არ დაწყებულა.

სტრუქტურული რეორგანიზაციის გამო აღნიშნული აქტივობის განხორციელება 2019 წელს ვერ მოესწრო.

მიზანი: 22.2. საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

ამოცანა: 22.2.1. საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა საზღვარგარეთ მიღებული ცოდნისა და პროფესიული უნარ-ჩვევების აღიარების ხელმისაწვდომობის და მისი რეფერალურ მექანიზმში გათვალისწინების უზრუნველყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: სერვისით სარგებლობის მაჩვენებელი (პირთა რაოდენობა);

საქმიანობა 22.2.1.1. არაფორმალური განათლების აღიარების წესისა და პირობების დამტკიცება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №97/ნ ბრძანებით განისაზღვრა „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საერთაშორისო დაცვის მქონე პირების და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირების – დევნილების განათლების აღიარების პირობები და პროცედურა.

საქმიანობა 22.2.1.2. არაფორმალური განათლების აღიარების წესისა და პირობების დამტკიცების შემდეგ აღნიშნული სერვისის სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამებში გათვალისწინება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: მსსკ-ს ინტეგრაციის საკითხთა სამუშაო ჯგუფის წევრი უწყებები;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საინტეგრაციო პროგრამების ფარგლებში მიმდინარეობს კონსულტაციის გაწევა დაინტერესებული პირებისადმი არაფორმალური განათლების აღიარების წესისა და პირობების შესახებ.

ამოცანა: 22.2.2. სარეინტეგრაციო პროგრამის გაფართოება და დახვეწა;

ამოცანის ინდიკატორი: შეფასების დოკუმენტი;

საქმიანობა 22.2.2.1. მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით სახელმწიფო სარეინტეგრაციო პროგრამაში ცვლილებების განხორციელება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: მსსკ-ს ინტეგრაციის საკითხთა სამუშაო ჯგუფის წევრი უწყებები;

შესრულების სტატუსი: არ დაწყებულა.

სტრუქტურული რეორგანიზაციის გამო აქტივობის განხორციელება ვერ მოხერხდა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს დაბრუნებულ მიგრანტთა საჭიროებების კვლევა, რომელსაც ახორციელებს მიგრაციის სამთავრობო კომისიის სამდივნო. კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე, მოხდება სარეინტეგრაციო პროგრამების დახვეწა.

23. ეკო-მიგრანტთა უფლებები

მიზანი: 23.1. სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) სამართლებრივი და სოციალური დაცვა და ინტეგრაცია;

ამოცანა: 23.1.1. სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლებით უზრუნველყოფა, მათი ინტეგრაციის ხელშეწყობა;

ამოცანის ინდიკატორი: ყოველწლიურად 120 ეკომიგრანტი ოჯახის საცხოვრებლით უზრუნველყოფა;

უძრავი ქონება საკუთრებაში გადაცემულია 600-მდე ეკომიგრანტი ოჯახისთვის;

საქმიანობა 23.1.1.1. სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახებისთვის (ეკომიგრანტებისთვის) საცხოვრებელი ფართების გადაცემა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო; სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; სსიპ - ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2019 წელს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახებისთვის (ეკომიგრანტებისთვის) 164 საცხოვრებლის შესყიდვა განხორციელდა.

საქმიანობა 23.1.1.2. საცხოვრებელი ფართების კანონმდებლობით დადგენილი წესით, საკუთრებაში გადაცემა იმ ეკომიგრანტებისთვის, რომლებიც 2014 წლის 1 იანვრამდე სამინისტროს მიერ არიან განსახლებულნი;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;

შესრულების სტატუსი: არ დაწყებულა.

ეკომიგრანტებისათვის, რომლებიც 2014 წლის 1 იანვრამდე არიან განსახლებული სამინისტროს მიერ, საცხოვრებელი ფართების დაკანონება 2019 წელს არ განხორციელებულა.

საქმიანობა 23.1.1.3. არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად განსახლების ადგილებში ეკომიგრანტი ოჯახებისათვის საინტეგრაციო პროგრამების შემუშავება, განხორციელება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: არ დაწყებულა.

აღნიშნული აქტივობა არ განხორციელებულა სამინისტროში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების გამო.

ამოცანა: 23.1.2. სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) საარსებო წყაროების საჭიროებების

შესწავლა;

ამოცანის ინდიკატორი: ეკომიგრანტების საარსებო წყაროების საჭიროებები იდენტიფიცირებულია;

საქმიანობა 23.1.2.1. ეკომიგრანტების საარსებო წყაროების საჭიროებების შესწავლა, გამოკვლევა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

განხორციელდა ეკომიგრანტი ოჯახების შერჩევითობის პრინციპით სატელეფონო გამოკითხვა, წინასწარ შემუშავებული კითხვარის მეშვეობით.

24. ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფი ხაზების სიახლოვეს მცხოვრები ადამიანების უფლებების დაცვა

მიზანი: 24.1. ოკუპირებულ ტერიტორიებზე და გამყოფი ხაზების სიახლოვეს მცხოვრები ადამიანების უფლებათა დაცვის ხელშეწყობა;

ამოცანა: 24.1.1. საერთაშორისო თანამეგობრობის რეგულარული ინფორმირება ოკუპირებულ ტერიტორიებზე და გამყოფი ხაზების სიახლოვეს ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ;

ამოცანის ინდიკატორი: საერთაშორისო თანამეგობრობა ინფორმირებულია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესების შესახებ;

საქმიანობა 24.1.1.1. ოკუპირებულ ტერიტორიებზე და გამყოფი ხაზების სიახლოვეს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე სხვადასხვა მასალების მომზადება და ინფორმაციის რეგულარულად მიწოდება პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

საანგარიშო პერიოდში რეგულარულად ხდებოდა საერთაშორისო საზოგადოების აქტიური ინფორმირება ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მძიმე უსაფრთხოების და ადამიანის უფლებრივ მდგომარეობაზე. ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. რეგულარულად ხორციელდებოდა ორმხრივი ვიზიტები, მიმდინარეობდა პარტნიორ ქვეყნებთან საქმიანობის მჭიდრო კოორდინაცია, რაც თავის მხრივ, აისახა შესაბამისი ორგანიზაციების და პარტნიორი ქვეყნების დოკუმენტებში (განცხადებები, დეკლარაციები, რეზოლუციები, ანგარიშები, გადაწყვეტილებები და სხვ.).

2019 წლის განმავლობაში განსაკუთრებული აქცენტები კეთდებოდა ადამიანის სიცოცხლის ხელყოფაზე, გადაადგილების თავისუფლების უხეშ დარღვევებზე, უკანონო დაკავებებსა და გატაცებებზე, ეთნიკური ქართული მოსახლეობის დისკრიმინაციაზე, მშობლიურ ენაზე განათლების აკრძალვაზე, დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთარ სახლში დაბრუნების უფლებაზე.

2019 წელს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადდა რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში შექმნილი ადამიანის უფლებების მდგომარეობის ამსახველი ყოველწლიური, 2018 წლის შემაჯამებელი ანგარიში, რომელიც გავრცელდა საზღვარგარეთის ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში.

ამოცანა: 24.1.2. პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევის კონსოლიდაცია, რათა საერთაშორისო დღის წესრიგში მუდმივად იდგეს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში და გამყოფი ხაზის სიახლოვეს ადამიანის უფლებათა მდგომარეობა და ადგილზე არსებული ჰუმანიტარული პრობლემების გადაწყვეტის აუცილებლობა;

ამოცანის ინდიკატორი: ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზების სიახლოვეს ადამიანის უფლებათა მდგომარეობა ასახულია სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტებში (მათ შორის, პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების განცხადებებში, ანგარიშებში, დეკლარაციებში, რეზოლუციებში, სხვ.);

საქმიანობა 24.1.2.1. ოკუპირებულ ტერიტორიებზე და გამყოფი ხაზების სიახლოვეს ადამიანის უფლებათა მდგომარეობის რეგულარული დაყენება ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში და ძალისხმევის მობილიზება სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტებში (მათ შორის, პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების განცხადებებში, ანგარიშებში, დეკლარაციებში, რეზოლუციებში, სხვ.) საკითხის სათანადოდ ასახვის მიზნით;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

საქართველოს მთავრობა აქტიურად იყენებდა მის ხელთ არსებულ ყველა დიპლომატიურ, პოლიტიკურ და სამართლებრივ მექანიზმს, რათა მოეხდინა საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერის მობილიზება, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში და საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიებზე ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული კუთხით არსებული მძიმე მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, კერძოდ:

- აღნიშნული საკითხი მუდმივი განხილვის საგანი იყო მაღალი და უმაღლესი დონის ვიზიტებისა და შეხვედრების ფარგლებში, ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში;
- საგარეო საქმეთა სამინისტრო და საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები მუდმივ რეჟიმში ახდენდნენ საერთაშორისო თანამეგობრობის ინფორმირებას;
- პარტნიორ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საგარეო უწყება მუდმივად აყენებდა ადგილზე უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების დაშვების საკითხს;
- საგარეო საქმეთა სამინისტრომ აქტიური ძალისხმევა გასწია პარტნიორ სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რათა საერთაშორისო დოკუმენტებში სათანადოდ ასახულიყო ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების მხრივ არსებული რთული ვითარება.

2019 წლის განმავლობაში საქართველო აქტიურად იყენებდა საერთაშორისო ორგანიზაციების, როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს ღია დებატების, გენერალური ასამბლეის და მისი ძირითადი კომიტეტების სხდომების, ასევე ადამიანის უფლებათა საბჭოს სესიებს, ეუთო-სა და ევროპის საბჭოს შესაბამის ფორმატებს, სადაც აქცენტი კეთდებოდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთა უფლებებზე. ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მძიმე ვითარება ადამიანის უფლებათა მდგომარეობის და ჰუმანიტარული თვალსაზრისით მწვავედ დადგა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს, ადამიანის უფლებათა დიალოგის და უსაფრთხოების საკითხებში სტრატეგიული დიალოგის შეხვედრებზე.

საანგარიშო პერიოდში ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული კუთხით არსებული მდგომარეობა ერთ-ერთი მთავარი განხილვის საგანი იყო პარტნიორ ქვეყნებთან ორმხრივ ურთიერთობებში, მათ შორის, აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში გამართული უსაფრთხოების სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე, საქართველო-გაერთიანებული სამეფოს „უორდროპის სტრატეგიული დიალოგისას“, დიმიტრი ამილახვარის სახელობის ქართულ-ფრანგული დიალოგისას.

ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში გაწეული საქმიანობის შედეგად შესაძლებელი გახდა ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული კუთხით არსებული მდგომარეობის შესაბამის დოკუმენტებში ასახვა:

- გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა მდგომარეობის შესახებ;
- გაეროს გენერალური მდივნის ანგარიში იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა მდგომარეობის შესახებ;
- გაეროს ადამიანის უფლებების საბჭოს რეზოლუცია საქართველოსთან თანამშრომლობის შესახებ;
- გაეროს ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისრის ანგარიში საქართველოსთან თანამშრომლობის შესახებ;
- ევროსაბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის გადაწყვეტილება;
- ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის კონსოლიდირებული ანგარიშები საქართველოში კონფლიქტის შესახებ (აპრილი, ნოემბერი);
- ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია სერგეი მაგნიცკის და დაუსჯელობის წინააღმდეგ სანქციებით ბრძოლის შესახებ (იანვარი);
- ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია (Resolution 2261) ასამბლეის მონიტორინგის პროცედურის შესახებ.
- ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის რეზოლუცია ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა როლი დევნილთა დაცვის საკითხებში;
- ეუთო-ში საქართველოს მეგობართა ჯგუფის ერთობლივი განცხადებები რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შესახებ (სექტემბერი; დეკემბერი); 2019 წლის 8 ივლისის ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია "უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების მდგომარეობა აფხაზეთში, საქართველო და ცხინვალის რეგიონში/ სამხრეთ ოსეთი, საქართველო"
- აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი რეზოლუცია;
- აშშ-ს 2019 წლის ადამიანის უფლებათა ანგარიში;
- გაერთიანებული სამეფოს საგარეო და თანამეგობრობის ოფისის ანგარიში - ადამიანის უფლებები და დემოკრატია;
- დიმიტრი ამილახვარის სახელობის ქართულ-ფრანგული დიალოგის“ ფარგლებში ერთობლივი დეკლარაცია.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან გაკეთდა მრავალი განცხადება, რომლებიც ეხმიანებოდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე განვითარებულ მოვლენებს, მათ შორის, ე.წ. ირაკლი კვარაცხელიას გარდაცვალებას, გადასასვლელი პუნქტების დახურვას და მის სავალალო შედეგებს, დაკავებებსა და გატაცებებს, საოკუპაციო ხაზზე მიმდინარე უკანონო სამუშაოებს, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩატარებულ ე.წ. არჩევნებს. ასევე, საერთაშორისო საზოგადოება აქტიურად გამოეხმაურა რუსეთ-საქართველოს ომის წლისთავს.

ამოცანა: 24.1.3. ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში შედეგზე ორიენტირებული დისკუსიების წარმართვა ადამიანის უფლებათა დაცვისა და ჰუმანიტარული კუთხით

არსებული პრობლემების გადასაწყვეტად;

ამოცანის ინდიკატორი: ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში მიმდინარეობს საგნობრივი დისკუსიები ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარულ საკითხებზე;

საქმიანობა 24.1.3.1. ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფარგლებში ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზების სიახლოვეს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების დასმა და ძალისხმევის გაწევა არსებული პრობლემების გადაჭრის გზების დასასახად;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

ქართული დელეგაცია ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზების სიახლოვეს ადამიანის უფლებათა დარღვევის საკითხებს მწვავედ აყენებდა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ყველა რაუნდზე. ასევე მუდმივად მიმდინარეობდა მუშაობა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეებთან და მათ ორგანიზაციებთან, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებთან, როგორც მოლაპარაკებების მონაწილესთან, რათა მოხერხდეს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში საგნობრივი მსჯელობა და მწვავე პრობლემების გადაწყვეტისთვის კონკრეტული გზების გამონახვა. თუმცა, რუსეთის და მისი საოკუპაციო რეჟიმების დესტრუქციული ქმედებების გამო ვერ ხერხდება კონკრეტული შედეგების მიღწევა. რუსეთის ფედერაცია ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული საკითხებით მანიპულირებს და მათ პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებს.

ამოცანა: 24.1.4. ინციდენტთა პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების ფარგლებში შეხვედრების გამართვა ადამიანის უფლებათა დაცვისა და ჰუმანიტარული კუთხით არსებული პრობლემების გადასაწყვეტად;

ამოცანის ინდიკატორი: ინციდენტთა პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში განხილულ საკითხთა რაოდენობა;

საქმიანობა 24.1.4.1. ინციდენტთა პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული კუთხით არსებული საკითხების დასმა და განხილვა;

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ 2019 წელს ერგნეთში გაიმართა ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის (IPRM) 5 შეხვედრა, ხოლო 29 აგვისტოდან, საოკუპაციო რეჟიმის მორიგი არაკონსტრუქციული მიდგომის გამო, ერგნეთის IPRM მხოლოდ ტექნიკური შეხვედრების ფორმატის ფარგლებში იმართება. შეხვედრები გალში შეწყვეტილია 2018 წლის 27 ივნისიდან, ასევე საოკუპაციო რეჟიმის არაკონსტრუქციული მიდგომის გამო.

IPRM-ის გამართულ შეხვედრებზე ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები მუდმივად მწვავედ აყენებდნენ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დარღვევის, მათ შორის, საქართველოს მოქალაქეების მკვლელობის, უკანონო დაკავებების, გატაცებების, ე.წ. გადასასვლელი პუნქტების ჩაკეტვის, თავისუფალ გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების და სხვადასხვა ხელოვნური ბარიერების აღმართვის ფაქტებს.

ამოცანა: 24.1.5. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ეფექტიანად გამოყენება გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები ადამიანებისთვის ნორმალური საცხოვრებელი პირობების ხელშესაწყობად;

ამოცანის ინდიკატორი: ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ეფექტიანადაა ჩართული გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები ადამიანების უფლებებისა და საცხოვრებელი პირობების ხელშეწყობის საქმეში;

საქმიანობა 24.1.5.1. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან მჭიდრო თანამშრომლობისა და კოორდინაციის გაგრძელება; საერთაშორისო ძალისხმევის მობილიზება ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

საანგარიშო პერიოდში ქართული მხარე აქტიურად თანამშრომლობდა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან საოკუპაციო ხაზზე კონფლიქტის ესკალაციის პრევენციისა და რუსეთის პროვოკაციულ ქმედებებთან გამკლავების მიზნით. გრძელდებოდა კოორდინაცია ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირებისა და ადგილზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, მათ შორის, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფარგლებში.

მიმდინარეობდა აქტიური ძალისხმევა ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების შეხვედრების განახლების მიზნით.

წლის განმავლობაში ქართული მხარე ყველა შესაძლო დონეზე, ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში, მუდმივად აყენებდა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განხორციელებისა და გაძლიერების აუცილებლობას. შედეგად, ევროკავშირის ორმა წევრმა სახელმწიფომ (საფრანგეთი, სლოვენია) მიიღო გადაწყვეტილება მისიაში თავიანთი წარმომადგენლების გამოგზავნის თაობაზე. აღნიშნული ევროკავშირის ერთადერთი საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიაა, სადაც ორგანიზაციის ყველა წევრია წარმოდგენილი.

ამოცანა: 24.1.6. საერთაშორისო მხარდაჭერის მობილიზება ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების წვდომისა და ადგილზე ადამიანის უფლებათა მდგომარეობის რეგულარული მონიტორინგის უზრუნველყოფის მიზნით;

ამოცანის ინდიკატორი: საერთაშორისო მხარდაჭერა ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების წვდომასა და ადგილზე რეგულარული მონიტორინგის უზრუნველყოფაზე;

საქმიანობა 24.1.6.1. ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების წვდომისა და ადგილზე ადამიანის უფლებათა მდგომარეობის რეგულარული მონიტორინგის აუცილებლობის დასმა და ძალისხმევის მობილიზება სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტებში (მათ შორის, ანგარიშებში, დეკლარაციებში, რეზოლუციებში) აღნიშნული მოწოდების სათანადოდ ასახვის მიზნით;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

პარტნიორ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საგარეო საქმეთა სამინისტრო მუდმივად აყენებდა ადგილზე უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების დაშვების საკითხს. შედეგად, 2019 წლის განმავლობაში შემუშავდა არაერთი განცხადება, რეზოლუცია, დეკლარაცია, გადაწყვეტილება თუ ანგარიში, რომლებშიც ასახულ იქნა აღნიშნული თემატიკა.

მიზანი: 24.2. გამოყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრები ადამიანების უფლებების დაცვა და მათი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება;

ამოცანა: 24.2.1. გამოყოფი ხაზის სიახლოვეს არსებულ დასახლებებში ინფრასტრუქტურის მოწესრიგება;

ამოცანის ინდიკატორი: განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობა;

საქმიანობა 24.2.1.1. გამოყოფი ხაზის სიახლოვეს არსებულ დასახლებებში ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა;

პასუხისმგებელი უწყება: გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია;

პარტნიორი უწყება: გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის წევრი სახელმწიფო უწყებები; ეთხოვოს გამყოფ ხაზთან მდებარე მუნიციპალიტეტებს;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში 2019 წელს განხორციელდა საავტომობილო გზების, წყალმომარაგების სისტემების, ამბულატორიების, სკოლების, საბავშვო ბაღების, სოფლის ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიების მოწყობა-რეაბილიტაციის 220-ზე მეტი პროექტი, რომელთა საერთო ღირებულება დაახლოებით 77 მლნ ლარს შეადგენს.

ამოცანა: 24.2.2. გამოყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ პირთა ინფორმირება მათთვის არსებული სერვისებისა და პროგრამების შესახებ;

ამოცანის ინდიკატორი: გამყოფი ხაზის სიახლოვემ მცხოვრებ პირებთან ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა;

საქმიანობა 24.2.2.1. საინფორმაციო შეხვედრების წარმოება გამოყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ პირებთან;

პასუხისმგებელი უწყება: გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია;

პარტნიორი უწყება: ეთხოვოს გამყოფ ხაზთან მდებარე მუნიციპალიტეტებს;

შესრულების სტატუსი: ნაწილობრივ შესრულდა.

ამოცანის შესრულების მიზნით ღონისძიებების გატარება მიმდინარეობს პერიოდულად.

ამოცანა: 24.2.3. უფასო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის გაზრდა გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ პირთათვის;

ამოცანის ინდიკატორი: განხორციელებული უფასო იურიდიული დახმარების საკონსულტაციო შეხვედრების რაოდენობა გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ პირთათვის;

საქმიანობა 24.2.3.1. წლიურად არანაკლებ 5 უფასო იურიდიული დახმარების საკონსულტაციო შეხვედრის ორგანიზება გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ პირთათვის;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლებმა 2019 წლის განმავლობაში განახორციელეს 11 შეხვედრა გორისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების სოფლების მოსახლეობასთან. აღნიშნულ შეხვედრებზე დამსწრე პირებს გაეწიათ სამართლებრივი კონსულტაციები ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე, ქალთა უფლებებზე, სოციალური დახმარებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა პროგრამების საკითხებზე; სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის, პენსიის დანიშვნის, მემკვიდრეობისა და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ასევე გაეცნენ სამსახურის სერვისებს.

მიზანი: 24.3. საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის უფლების დაცვა;

ამოცანა: 24.3.1. საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობის უზრუნველყოფა ხარისხიანი სამედიცინო სერვისებით;

ამოცანის ინდიკატორი: საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობა უზრუნველყოფილია ხარისხიანი სამედიცინო სერვისებით;

საქმიანობა 24.3.1.1. საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. რუხში მრავალპროფილური საავადმყოფოს მშენებლობის გაგრძელება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

დასრულდა სოფელ რუხში მრავალპროფილური საუნივერსიტეტო კლინიკის მშენებლობა. ამჟამად მიმდინარეობს აღჭურვისა და კადრებით დაკომპლექტების სამუშაოები.

საქმიანობა 24.3.1.2. გამყოფი ხაზის სიახლოვეს მდებარე სოფლებში ზოგადი და პროფილური ექიმების რაოდენობის გაზრდა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

2015 წლიდან ხორციელდება პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს საექიმო სპეციალობის მაძიებელთა მომზადებას „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ტერიტორიებისა და მაღალმთიანი და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტების სამედიცინო დაწესებულებებისათვის პრიორიტეტულ საექიმო სპეციალობებში.

მიზანი: 24.4. ოკუპირებულ ტერიტორიებზე და გამყოფი ხაზების სიახლოვეს მცხოვრებ პირთათვის განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ამოცანა: 24.4.1. გამყოფი ხაზების სიახლოვეს მცხოვრები პირებისთვის განათლების სერვისებზე წვდომის გაუმჯობესება;

ამოცანის ინდიკატორი: გარემონტებული, აღჭურვილი და მოქმედი სასწავლო დაწესებულებების რაოდენობა; სოციალური პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა; არაფორმალური განათლების პროგრამებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა;

საქმიანობა 24.4.1.1. გამყოფი ხაზის სიახლოვეს სასწავლო ინფრასტრუქტურისა და მომსახურების გაუმჯობესების განხორციელება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერი“ ფარგლებში ოკუპირებული გალის რაიონში ფუნქციონირებადი სკოლების პირველკლასელებისთვის და მათი დამრიგებლებისთვის გადასაცემად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს გადაეცა 553 ცალი პორტაბელური კომპიუტერი (ბუკი). ასევე, პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერი“ ფარგლებში დაჯილდოვდა საბაზო საფეხურის კურსდამთავრებული 6 წარჩინებული მოსწავლე. „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში ოკუპირებული გალის რაიონის ენგურს მოსაზღვრე 9 სკოლის, ოკუპირებული გალის რაიონის ომამდელ საზღვრებში აღდგენილი და ფუნქციონირებადი ოცი სკოლის პირველი კლასის და ოკუპირებული გალის რაიონის ომამდელ საზღვრებში აღდგენილი და ფუნქციონირებადი ოცი სკოლის II-XI კლასის (მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიისა და საქართველოს გეოგრაფიის სახელმძღვანელოები) მოსწავლეებისთვის გადასაცემად I-VI კლასის 2646 ცალი და პირველკლასელთათვის განკუთვნილი დედაენა 710 ცალი (I-II ნაწილი) სახელმძღვანელო გადაეცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს. პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერი“ და „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში პორტაბელური კომპიუტერებითა (ბუკი) და სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფილნი არიან გამყოფი ხაზების სიახლოვეს არსებული საჯარო სკოლების მოსწავლეები.

რაც შეეხება გამყოფ ხაზთან მდებარე საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურული პროექტებს, სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და მუნიციპალიტეტებს შორის გაფორმებული 2018 წლის 2 თებერვლის მემორანდუმის ფარგლებში,

ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილებები დელეგირებულია მუნიციპალიტეტებისთვის, შესაბამისად, გამყოფ ხაზთან მდებარე საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს პრეროგატივაა. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო სსიპ საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსთან თანამშრომლობით ახორციელებს „დევნილთა პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამას", რომლის ფარგლებშიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე (აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი) და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები, დევნილის სტატუსის მქონე სტუდენტები, მათ შორის ქალები, რომლებიც ირიცხებიან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფო დაწესებულებებში, სამინისტროს მხრიდან უზრუნველყოფილნი არიან ვაუჩერული დაფინანსებით, ხოლო სააგენტოს მხრიდან ტრანსპორტირების ხარჯით. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფი ხაზის მიმდებარედ ფუნქციონირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი ოთხი დაწესებულება:

- სსიპ პროფესიული კოლეჯი ,,ლაკადა"- წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი;
- ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი ,,განთიადი"- ქ. გორი;
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი- ქ. გორი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი - ქ. ზუგდიდი;

ასევე, გამყოფი ხაზის მიმდებარედ არსებული აღნიშნული საგანმანათლებლო დაწესებულებები, გარდა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისა, ჩართულნი არიან პროექტში ,,სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარება", რომელიც მიზნად ისახავს სკოლის მოსწავლეებში შრომითი/პროფესიული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელებას. აღნიშნული დაწესებულებები, ადგილობრივ საჯარო სკოლასთან/სკოლებთან თანამშრომლობით უზრუნველყოფენ პროფესიული უნარების განმავითარებელი გაკვეთილების/აქტივობების კურსების განხორციელებას, რომლებშიც ჩართულნი არიან საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების VIII და IX კლასის მოსწავლეები, მათ შორის გოგონები.

ამოცანა: 24.4.2. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების განათლების სერვისებზე წვდომის გაუმჯობესება;

ამოცანის ინდიკატორი: ოკუპირებულ ტერიტორიებიდან ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ უმაღლესი განათლების მისაღებად დაფინანსებულ სტუდენტთა რაოდენობა; ოკუპირებულ ტერიტორიებზე გაცემული განათლების დამადასტურებელი აღიარებული დოკუმენტების რაოდენობა; გალის რაიონის პედაგოგების გადამზადებისა და აბიტურიენტების ეროვნული გამოცდებისათვის მომზადების“ ქვეპროგრამის ფარგლებში გადამზადებული პედაგოგები რაოდენობა; გალის რაიონის პედაგოგების გადამზადებისა და აბიტურიენტების ეროვნული გამოცდებისათვის მომზადების“ ქვეპროგრამის ფარგლებში გადამზადებული პედაგოგები მიერ გადამზადებულ სტუდენტებთან რაოდენობა; გალის რაიონის პედაგოგების გადამზადებისა და აბიტურიენტების ეროვნული გამოცდებისათვის მომზადების“ ქვეპროგრამის ფარგლებში გადამზადებული პედაგოგები მიერ გადამზადებულ სტუდენტებთან რაოდენობა რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს ეროვნული გამოცდები;

საქმიანობა 24.4.2.1. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრების პირთათვის ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ არსებული უმაღლესი განათლების მიღების, შესაძლებლობების გაზრდა და მათ შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის № 1067 ბრძანებით დამტკიცებული „ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების წესის“ შესაბამისად, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შესული განცხადებების საფუძველზე ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, 2019 წელს, მიღებულ იქნა 17 (ჩვიდმეტი) დადებითი გადაწყვეტილება ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების თაობაზე. ამათგან, 5 (ხუთი) განცხადება წარმოდგენილი იყო 2018 წელს, ხოლო დანარჩენი 12 (თორმეტი) განცხადება 2019 წელს. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების მოთხოვნით, 2019 წელს, წარმოდგენილ კიდევ 1 (ერთი) განცხადებასთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოება დასრულდა 2020 წლის იანვარში (განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებით).

საქმიანობა 24.4.2.2. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მოქმედი სოციალური პროგრამით ოკუპირებული ტერიტორიებიდან სტუდენტების დაფინანსება და სხვა სახის შეღავათებით უზრუნველყოფა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

იხილეთ საქმიანობა 24.4.2.1.

საქმიანობა 24.4.2.3. კონფლიქტის ზონებში და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ (გალის რაიონი; ახალგორის მუნიციპალიტეტი) მოსწავლეთა სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინსიტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 12 მარტის N16 ბრძანებით, დამტკიცებულია „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამა“, რომლის ფარგლებშიც, გალის რაიონის სკოლების მიეწოდათ მათ მიერ მოთხოვნილი სასკოლო სახელმძღვანელოები.

სააგენტომ მოსწავლეებისა და მასწავლებლების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს, მათი მოთხოვნის შესაბამისად, გადასცა 1-6 კლასის 10410 ცალი სახელმძღვანელო, ღირებულებით - 27212.6 ლარი.

საქმიანობა 24.4.2.4. ,,გალის რაიონის პედაგოგების გადამზადებისა და აბიტურიენტების ეროვნული გამოცდებისათვის მომზადების“ ქვეპროგრამის განხორციელება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

„ზოგადი განათლების ხელშეწყობა„ პროგრამის „გალის რაიონის პედაგოგების გადამზადების და აბიტურიენტების ეროვნული გამოცდებისთვის მომზადება“ ქვეპროგრამაში ჩართული იყო სხვადასხვა საგნის 45 პედაგოგი, სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სპეციალისტების მიერ ჩაუტარდათ ტრენინგები და გადაეცათ დამხმარე ლიტერატურა. პედაგოგებმა, ეროვნული გამოცდებისათვის მოამზადეს 410 აბიტურიენტი, საიდანაც 202-მა მოიპოვა სტუდენტის სტატუსი. გალის რაიონის 45 პედაგოგი გადამზადდა 9 საგანში (ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, ისტორია, გეოგრაფია, მათემატიკა, ზოგადი უნარები, ბიოლოგია, ქიმია). მასწავლებლებს გადაეცათ საგამოცდო ტესტების კრებულები და შესაბამისი საგნების მეთოდური სახელმძღვანელოები, პედაგოგების მიერ ეროვნული გამოცდებისათვის მომზადდა 410 აბიტურიენტი, აქედან 220 აბიტურიენტმა წარმატებით ჩააბარე ერთიანი ეროვნული გამოცდები და მოიპოვა სტუდენტის სტატუსი.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება N784 (31,12.2018) დანართი N6, პროგრამული კოდი 320213, ქვეპროგრამის მიზნების შესასრულებლად, 1) 2019 წელს, ოკუპირებული გალის რაიონის ომამდელი საზღვრების სკოლებში ეროვნული გამოცდებისათვის ჩამოყალიბდა მოსამზადებელი ცენტრები, რომლის მუშაობაშიც 2ჩართული იყო სხვადასხვა საგნის 45 პედაგოგი. ამ პედაგოგებს, „გალის რაიონის პედაგოგების გადამზადებისა და აბიტურიენტების ეროვნული გამოცდებისათვის მომზადების ქვეპროგრამის“ ფარგლებში შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სპეციალისტების მიერ ჩაუტარდათ ტრენინგები და გადაეცათ დამხმარე ლიტერატურა. 2). 2019 წელს ოკუპირებული გალის რაიონის აბიტურიენტებისთვის "სკოლის შემდგომი განათლების" პროგრამის ფარგლებში, ჯავახიშვილის სახელობის თსუ-სა და ზუგდიდში, მესხიას სახ. უნივერსიტეტში, ემზადებოდა 140 აბიტურიენტი. მათი ეროვნული გამოცდების ყველა პროცესში მონაწილეობა უზრუნველყოფილი იქნა სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ.

ცენტრი აგრძელებს აღნიშნული მიმართულებით მუშაობას, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 გეგმის მიხედვით.

საქმიანობა 24.4.2.5. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდებისათვის არაფორმალური განათლების პროგრამების განხორციელება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე (აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი) და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის საგანმანათლებლო დაწესებულებები, მათ შორის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფი ხაზის მიმდებარედ არსებულ დაწესებულებები (კოლეჯი ,,ლაკადა“- წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი; კოლეჯი ,,განთიადი“- ქ. გორი; გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი- ქ. გორი; შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი - ქ. ზუგდიდი;) ჩართულნი არიან

პროექტში ,,სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარება“, რომელიც მიზნად ისახავს სკოლის მოსწავლეებში შრომითი/პროფესიული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელებას. აღნიშნული დაწესებულებები, ადგილობრივ საჯარო სკოლასთან/სკოლებთან თანამშრომლობით უზრუნველყოფენ პროფესიული უნარების განმავითარებელი გაკვეთილების/აქტივობების კურსების განხორციელებას, რომლებშიც ჩართულნი არიან საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების VIII და IX კლასის მოსწავლეები.

მიზანი: 24.5. კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობისათვის საქართველოს სხვა მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომი სიკეთეებითა და შესაძლებლობებით სარგებლობის უზრუნველყოფა;

ამოცანა: 24.5.1. კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის სახელმწიფოებრივ სივრცეში არსებული სერვისებისადმი წვდომის გაუმჯობესება და ხელშეწყობა;

ამოცანის ინდიკატორი: სახელმწიფო სერვისებით მოსარგებლე პირების რაოდენობა; გაწეული დახმარების მოცულობა; განხორციელებულია საკანონმდებლო და ნორმატიული ცვლილებები;

საქმიანობა 24.5.1.1. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის მიერ სახელმწიფოებრივ სივრცეში განათლების, სოციალურ-ეკონომიკური და სხვა სერვისების მიღების შესაძლებლობების განვითარება;

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

პარტნიორი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი - მიმდინარე - მეტწილად შესრულდა. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო - განხორციელდა.

2019 წელს სამართლებრივი პროცესის დასრულების შედეგად, დაიწყო სამშვიდობო ინიციატივის "ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ" აქტიური განხორციელება, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის მიერ განათლების, სოციალურ-ეკონომიკური, ჯანდაცვის და სხვა სერვისებით სარგებლობას. ამოქმედდა სამშვიდობო ინიციატივით გათვალისწინებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც ითვალისწინებს გამყოფი ხაზის გასწვრივ სავაჭრო-ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობას. მნიშვნელოვნად გამარტივდა საშუალო, უმაღლეს და პროფესიულ განათლებაზე წვდომა, მათ შორის 2019 წლის 17 აპრილს ამოქმედდა სამშვიდობო ინიციატივით გათვალისწინებული აბიტურიენტების

მომზადების პროგრამა, რომელიც დაინტერესებულ პირებს სთავაზობს მომზადებასა და უმაღლეს სასწავლებლებში უგამოცდოდ ჩარიცხვას, ასევე ყოველთვიურ სტიპენდიას 150 ლარის ოდენობით და საერთო საცხოვრებლით უზრუნველყოფას. პროგრამაზე სწავლა დაიწყო 142-მა სკოლადამთავრებულმა ახალგაზრდამ და აქედან 139-მა გამარტივებული წესით ჩააბარა უმაღლეს სასწავლებელში. ჯამში 2019-2020 აკადემიურ წლებში უმაღლეს სასწავლებლებში ოკუპირებული რეგიონებიდან 348 სტუდენტი ჩაირიცხა, რაც წინა წლებთან შედარებით გაორმაგებული რიცხვია.

გრძელდებოდა სახელმწიფო რეფერალური პროგრამის ეფექტური ფუნქციონირება, რომელიც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ პირებს ჯანდაცვის მომსახურეობას უფასოდ აწვდის. 2019 წელს რეფერალური პროგრამის მომსახურებით ოკუპირებული რეგიონების 1481 მცხოვრებელმა ისარგებლა. ამასთან, 2019 წელს აფხაზეთის რეგიონს გადაეცა იმუნიზაციის, წითელას და ანტი-რაბიული ვაქცინები, დიაბეტის, ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ანტიბიოტიკები და აივ/შიდსის საწინააღმდეგო მედიკამენტები.

2019 წელს, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ხელშეწყობის მიზნით, აფხაზეთის რეგიონს გადაეცა ვეტერინარული ვაქცინები და აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის შესაწამლი ტექნიკა, ფერომონები, სპეციალური აღჭურვილობა და საჭირო პესტიციდები. „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონში 06.06.2018 წელს შესული ცვლილების საფუძველზე 28.01.2019 წელს გამოიცა საქართველოს მთავრობის N14 დადგენილება, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთა საქართველოს მოქალაქეობის დადგენის შესახებ განცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესს.

2019 წელს ცვლილებები შევიდა შესაბამის კანონქვემდებარე აქტებში, მათ შორის: „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და რეგისტრაციიდან მოხსნის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობის, პასპორტის, სამგზავრო პასპორტისა და სამგზავრო დოკუმენტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის N 98 ბრძანებაში, „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის N 18 ბრძანებასა და „აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრები პირების რეგისტრაციის, პირადი ნომრის მინიჭების, პირადობის ნეიტრალური მოწმობის და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გაფორმების, გაცემის და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის N 133 ბრძანებაში. აღნიშნული ბრძანებებით გაიწერა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის, პირადი ნომრის მინიჭებისა და სამოქალაქო აქტის რეგისტრაციისას პროცედურა, როდესაც სააგენტო ცნობად იღებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედი უკანონო ორგანოების მიერ გაცემულ დოკუმენტებს.

N18 ბრძანების მე-19[1] მუხლის თანახმად, „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო უფლებამოსილია დაბადების რეგისტრაცია განახორციელოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უკანონო ორგანოების (თანამდებობების პირების) მიერ გამოცემული აქტით/დოკუმენტით, თუ ბავშვის დაბადების ფაქტი დასტურდება უფლებამოსილი ლეგიტიმური

ორგანოს მიერ გაცემული აქტის/დოკუმენტის საფუძველზე და ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უკანონო ორგანოების (თანამდებობების პირების) მიერ გამოცემულ აქტში/დოკუმენტში მითითებული ინფორმაცია/მონაცემები შეესაბამება სააგენტოში დაცულ მონაცემებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ინფორმაციის/მონაცემების სააგენტოში დაცულ მონაცემებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, დაბადების რეგისტრაცია ხორციელდება სააგენტოში დაცული მონაცემებით".

ასევე, ამავე ბრძანების 52[1] მუხლის თანახმად, „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო უფლებამოსილია საქართველოში გარდაცვლილი პირის გარდაცვალების რეგისტრაცია განახორციელოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უკანონო ორგანოების (თანამდებობების პირების) მიერ გამოცემული აქტით/დოკუმენტით, თუ პირის გარდაცვალების ფაქტი დასტურდება უფლებამოსილი ლეგიტიმური ორგანოს მიერ გაცემული ცნობის/დოკუმენტის საფუძველზე და ამ მუხლით გათვალისწინებული ორგანოების მიერ გამოცემულ აქტში/დოკუმენტში მითითებული ინფორმაცია/მონაცემები შეესაბამება სააგენტოში დაცულ მონაცემებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ინფორმაციის/მონაცემების სააგენტოში დაცულ მონაცემებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, გარდაცვალების რეგისტრაცია ხორციელდება სააგენტოში დაცული მონაცემებით."

აღნიშნული რეგულაციები ხელს უწყობს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მომხდარი ყველა პირის დაბადება და გარდაცვალება იყოს აღრიცხული და სახელმწიფოს გააჩნდეს შესაბამისი ინფორმაცია. ამასთან, N133 ბრძანებაში შეტანილი ცვლილების თანახმად, ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებ პირს მიეცა უფლება, მოითხოვოს მხოლოდ რეგისტრაცია და პირადი ნომრის მინიჭება.

საქმიანობა 24.5.1.2. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე სარგებლის (როგორიც არის, მაგალითად, უვიზო რეჟიმით მიმოსვლა, ევროკავშირის ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობა) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

პარტნიორი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის უვიზო რეჟიმით სარგებლობის უზრუნველყოფის მიზნით, სამშვიდობო ინიციატივის ფარგლებში, 2019 წელს საგრძნობლად გამარტივდა საქართველოს მოქალაქის პასპორტის აღების პროცედურები. ამასთან, სამშვიდობო ინიციატივის მთავარი მიმართულება - ვაჭრობის წახალისება გამყოფი ხაზების გასწვრივ

გულისხმობს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში წარმოებული პროდუქციის გამყოფი ხაზების გავლით საგარეო ბაზრებზე წვდომას იმ უპირატესი საექსპორტო შესაძლებლობების გამოყენებით, რაც საქართველოსთვის ხელმისაწვდომი გახდა ევროკავშირთან ინტეგრაციის შედეგად. ინიციატივის ამოქმედებისათვის საჭირო სამართლებრივი პროცესის სრულად დასრულების შედეგად, უკვე არსებობს მსგავსი სიკეთით სარგებლობისთვის საჭირო სამართლებრივი და პრაქტიკული შესაძლებლობები.

საქმიანობა 24.5.1.3. გამყოფი ხაზების გასწვრივ ვაჭრობის ხელშეწყობის შესახებ სამშვიდობო ინიციატივის შემუშავება;

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

პარტნიორი უწყება: საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

სამშვიდობო ინიციატივის ფარგლებში, გამყოფი ხაზების გასწვრივ ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით, 2019 წლის 12 მარტს გამოცხადდა საგრანტო პროგრამის „აწარმოე უკეთესი მომავლისთვის“ პირველი საგრანტო კონკურსი, რომელიც ითვალისწინებდა გამყოფი ხაზების ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის ინდივიდუალური და ერთობლივი წარმოებისა და პარტნიორული პროექტების მხარდაჭერას 7,000-დან 35,000 ლარამდე. საგრანტო კონკურსის შედეგად შემოვიდა განაცხადების უპრეცედენტო რაოდენობა - 368 განაცხადი, აქედან 274 განაცხადი (75%) უშუალოდ ოკუპირებული ტერიტორიებიდან. საგრანტო პროგრამისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის ფარგლებში (500 000 ლარი, საიდანაც პროგრამის ფარგლებში გაცემულ იქნა 320,643.11 ლარი, რომლიდანაც 285,788,11 ლარი გაიცა 2019 წელს, ხოლო 34,885 ლარი 2020 წელს) უწყებათაშორისი კომისიის მიერ გამოვლინდა და დაფინანსდა 14 გამარჯვებული პროექტი.

2019 წლის 12 აგვისტოს, სს - „საპარტნიორო ფონდთან“ და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან ერთად, შეიქმნა სამშვიდობო ინიციატივით „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ გათვალისწინებული მეორე ფინანსური ინსტრუმენტი, არაკომერციული იურიდიული პირი - „მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის“, რომელიც მშვიდობის მშენებლობისა და ნდობის აღდგენასთან ერთად, მიზნად ისახავს გამყოფი ხაზების გასწვრივ კონკრეტული სავაჭრო პროექტების/ინიციატივების განხორციელებას. წარიმართა და გრძელდება ინტენსიური მუშაობა საერთაშორისო დონორებთან და პარტნიორ-სახელმწიფოებთან მშვიდობის ფონდის ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად.

აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში 2019 წელს სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ მიერ შემუშავდა და გამოიცა ,, სპეციალური საწარმოს სტატუსის მქონე პირისათვის აქციზით დაბეგვრის ობიექტის, აქციზის გადასახადის გამოანგარიშების, დეკლარირებისა და გადახდის

წესების დამტკიცების შესახებ" 2019 5 აპრილის N184, ,,პირისთვის სპეციალური საწარმოს სტატუსის მინიჭებისა და გაუქმების, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე წარმოშობილი ან წარმოებული საქონლის დადგენისა და აღნიშნული სტატუსის მქონე პირის ფუნქციონირების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 აპრილის N 185 და ,,სპეციალური საწარმოს სტატუსის მაძიებელი პირისთვის საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის განსახორციელებლად სპეციალური თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 აპრილის N186 დადგენილებები.

25. ბიზნესი და ადამიანის უფლებები

მიზანი: 25.1. თავისუფალი მეწარმეობის უზრუნველყოფა/ხელშეწყობა;

ამოცანა: 25.1.1. ბაზარზე რეგულაციების ზემოქმედების შეფასების უზრუნველყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: ყოველ კონკრეტულ რეგულაციის შემოღებამდე კონკრეტულ სფეროს ბაზარზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტების არსებობა;

საქმიანობა 25.1.1.1. ბაზარზე რეგულაციების ზემოქმედების ანალიზის განმახორციელებელი სამუშაო ჯგუფის შექმნა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს მთავრობა; საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით და "გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების" დახმარებით განხორციელდა რეგულირების ზემოქმედების ანალიზის ჯგუფის შექმნა და მათი გადამზადება. პროცესში ჩართული იყო საქართველოს ბიზნეს ომბუდსმენის აპარატის ორი წარმომადგენელი.

ამოცანა: 25.1.2. ბაზრის ნებისმიერ სექტორსა და სეგმენტში მონოპოლიური და ოლიგოპოლიური გამოვლინების საწინააღმდეგო მექანიზმების უზრუნველყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონისა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული სამართლებრივი აქტების პროექტების რაოდენობა;

საქმიანობა 25.1.2.1. საკანონმდებლო ბაზის ანალიზი და სათანადო საკანონმდებლო აქტების პროექტების შემუშავება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი; სსიპ - კონკურენციის სააგენტო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატის მიერ მუდმივად ხორციელდება საკანონმდებლო აქტების ანალიზი და მათი დახვეწის მიზნით რეკომენდაციებისა და სამართლებრივი დასკვნების მომზადება.

ამოცანა: 25.1.4. პასუხისმგებლიანი ბიზნესის ჭრილში საჭირო უნარ-ჩვევების პოპულარიზაცია და ცნობიერების ამაღლება;

ამოცანის ინდიკატორი: სამეწარმეო განათლების საზოგადოებაში პოპულარიზაციის სტრატეგიული დოკუმენტის არსებობა; საგანმანათლებლო დაწესებულებებში, განსაკუთრებით ზოგადი განათლების ყველა საფეხურისათვის სამეწარმეო განათლების სასწავლო პროგრამის შემუშავება და მათი დანერგვის რაოდენობა; პროფესიული ორიენტაციის შემუშავებული ინსტრუმენტების და სკოლამდელი და ზოგად საგანმანათლებლო სწავლების საფეხურზე დანერგილი მექანიზმების რაოდენობა; საინფორმაციო უზრუნველყოფის კონკრეტული ფორმისა და შინაარსის მატარებელი საინფორმაციო მასალების რაოდენობა; სახელმწიფო პროგრამებში საზოგადოების სამეწარმეო განათლების პოპულარიზაციის მექანიზმების რაოდენობა;

საქმიანობა 25.1.4.1. ექსპერტთა ჯგუფის შექმნა და სამუშაო ჯგუფის მართვა;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ „აწარმოე საქართველოში“, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

უწყვეტი სამეწარმეო სწავლების (LLEL) დანერგვის პროცესის მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის მიერ, 2019 წლის 28 ივნისის N857 ბრძანებით, დამტკიცდა განათლების სისტემის ყველა დონეზე უწყვეტი სამეწარმეო სწავლების (LLEL) დანერგვის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა.

სამოქმედო გეგმაში, ამოცანები და აქტივობები, ერთიანდება ორი ძირითადი მიზნის გარშემო: მეწარმეობის ეკოსისტემის შექმნა განათლების სისტემაში და სამეწარმეო სწავლების გაუმჯობესება, რომელშიც გათვალისწინებულია, ჯამში, სულ 32 აქტივობა. სამოქმედო გეგმის შესრულების კოორდინირების მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის 2019 წლის 8

ნოემბრის N1423 ბრძანებით, შეიქმნა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, და დამტკიცდა მისი შემადგენლობა, სადაც შესულია ყველა ის ძირითადი დაინტერესებული მხარე, რომელიც უწყვეტი სამეწარმეო სწავლების პროცესშია ჩართული.

საქმიანობა 25.1.4.2. სასწავლო პროგრამების შემუშავება და მათი დაწესებულებებში დანერგვა;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ „აწარმოე საქართველოში“, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

პროფესიული განათლების საფეხურზე, საგანმანათლებლო პროგრამებში, სავალდებულო მოდულად ინტეგრირებულია მეწარმეობის მოდული. 2019 წლის იანვრიდან, პროფესიული განათლების სისტემა სრულად გადავიდა მოდულური მიდგომით სწავლებაზე, შესაბამისად, მეწარმეობის მოდული გახდა ნებისმიერი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კომპონენტი.

სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მეწარმეობის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და ახალი სერვისების დანერგვის მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის დაფინანსებით, ა(ა)იპ-ის „გარემო და განვითარება“, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინიტროსა და კალიფორნიის უნივერსიტეტის, დევისის, D-Lab-თან პარტნიორობით, განხორციელდა პროფესიული სასწავლებლების გაძლიერების პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა მეწარმეობის სწავლების ხელშეწყობას ახალი სასწავლო მოდულის განვითარებისა და პროექტზე დაფუძნებული სწავლების პრინციპების დანერგვის გზით. პროექტის ფარგლებში, კალიფორნიის უნივერსიტეტის (UC Davis) გამოცდილების საფუძველზე და ევროპული EntreComp კომპეტენციების ჩარჩოს ფარგლებში, გადაიხედა მეწარმეობის არსებული მოდული და დამხმარე მასალები, რომლებიც, თავის მხრივ, დაფუძნებულია პროექტული სწავლების მეთოდზე. გადამუშავებული მოდულის დანერგვა ინიცირებულ იქნა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. განახლებული მოდული ითვალისწინებს პასუხისმგებლიანი ბიზნესის (CSR) კომპონენტსაც.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს განხორციელდა OECD-ის მიერ ქვეყნის შეფასება „SME Policy Index - 2020“-ის ფარგლებში. შეფასების შედეგების თანახმად, მეწარმეობის სწავლების კომპონენტი 2016 წელთან შედარებით 2.70-დან 4.24 ნიშნულამდეა გაუმჯობესებული. ETF-ის და UNDP-ის მხარდაჭერით, დაიგეგმა პროფესიულ სასწავლებლებში მეწარმეობრივი კულტურის დანერგვის მოდელის შექმნა. მოდელზე მუშაობა 2019 წელს დაიწყო და დეკემბრის თვეში განხორციელდა ვორქშოფი „სამეწარმეო პროფესიული სასწავლებელი“, რომელშიც

მონაწილეობდნენ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები. ვორქშოფის ფარგლებში, შემუშავდა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მეწარმეობრივი კულტურის დანერგვის მოდელები. აღნიშნული მოდელების პილოტირება დაგეგმილია 2020 წელს, შერჩეულ 4 საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საქმიანობა 25.1.4.3. სათანადო ეფექტური ინსტრუმენტების შემუშავება და მათი ინტეგრირება სასწავლო პროგრამებში;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ „აწარმოე საქართველოში“, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

ხორციელდება სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების პროგრამა“, რომლის მთავარ მიზანსაც ზოგადი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლობის საფუძველზე კარიერის მართვის/პროფესიული ორიენტაციის სერვისების განვითარება წარმოადგენს, რაც მოსწავლეებს სხვადასხვა პროფესიაში საკუთარი ძალების მოსინჯვის შესაძლებლობას აძლევს. გარდა აღნიშნულისა, ქვეპროგრამა რამდენიმე მიზნის მიღწევაზეა ორიენტირებული: (1) პროფესიული ორიენტაციის სერვისების განვითარების ხელშეწყობა, (2) მოსწავლეებში ზოგადი პროფესიული უნარების განვითარების ხელშეწყობა, (3) ზოგად და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება, (4) პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და განათლების უწყვეტობის ხელშეწყობა, (5) საჯარო სკოლების შესაძლებლობების გაძლიერება. ამასთანავე, პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონის შესაბამისად, სამინისტრო გეგმავს საშუალო პროფესიული პროგრამების განხორციელებას, რომელშიც ინტეგრირებული იქნება სრული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. აღნიშნული პროგრამები შეთავაზებული იქნება პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებიც პროფესიულ პროგრამებზე სავალდებულო საბაზო განათლების (9 კლასი) საფუძველზე ჩაირიცხებიან. პროგრამის გავლა დასრულდება დიპლომის გაცემით, რომელიც სრული ზოგადი განათლების ატესტატს გაუთანაბრდება. აღნიშნული მიზნით, 2019 წლის 19 აგვისტოს დამტკიცდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №170/ნ "საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ".

ამოცანა: 25.1.5. ქალთა მეწარმეობის წახალისება;

ამოცანის ინდიკატორი: წელიწადში მინიმუმ 2 შეხვედრა;

საქმიანობა 25.1.5.1. ქალთა მეწარმეობის განვითარების მიზნით პლატფორმის შექმნა და ფუნქციონირება დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში ქალთა მეწარმეობის განვითარების და საჭიროებათა იდენტიფიცირების მიზნით, კერძო სექტორის განვითარების საკონსულტაციო საბჭოსთან შექმნილია პლატფორმა - ქალთა მეწარმეობის ხელშეწყობის ქვესაბჭო, რომლის მიზანია ქალთა მეწარმეობის განვითარების კუთხით პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების იდენტიფიცირება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. 2019 წელს ჩატარდა ქვესაბჭოს 2 სხდომა. სხდომებში მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო უწყებების, ქვესაბჭოს წევრმა მეწარმე ქალებმა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საკითხებზე მომუშავე ასოციაციის წარმომადგენლებმა.

ამოცანა: 25.1.6. კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის, მათ შორის ქალთა გაძლიერების პრინციპების შესახებ შესაბამისი ცვლილებების პაკეტის მომზადება;

ამოცანის ინდიკატორი: საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი შემუშავებულია;

საქმიანობა 25.1.6.1. კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის, მათ შორის ქალთა გაძლიერების პრინციპების შესახებ შესაძლო წახალისების მექანიზმების კვლევა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს პარლამენტი;

შესრულების სტატუსი:

გაცნობებთ, რომ გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა არ მოიცავს კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის, მათ შორის, ქალთა გაძლიერების პრინციპების შესახებ შესაბამისი პაკეტის მომზადებისა და ამ მიზნისათვის კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის, მათ შორის, ქალთა გაძლიერების პრინციპების შესახებ შესაძლო წახალისების მექანიზმების კვლევის შესახებ საქმიანობას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო ვერ იქნება ერთადერთი პასუხისმგებელი უწყება მოცემული ამოცანის

შესრულებაზე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სამოქმედო გეგმაში ცვლილება შევიდეს და საქართველოს პარლამენტი მიეთითოს როგორც პარტნიორი უწყება.

ამოცანა: 25.1.13. კერძო სექტორში მამხილებლის დაცვის გარანტიების შექმნა/გაუმჯობესება;

ამოცანის ინდიკატორი: შესაბამისი კვლევა მომზადებულია საუკეთესო პრაქტიკის ანალიზზე დაყრდნობით;

საქმიანობა 25.1.13.1. კერძო სექტორში მამხილებლის დაცვის გარანტიების შესახებ საუკეთესო პრაქტიკის შესწავლა და არსებული მდგომარეობის ანალიზი;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო;

შესრულების სტატუსი: არ დაწყებულა.

სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო კერძო სექტორში მამხილებლის დაცვის გარანტიების შესახებ პრაქტიკის კვლევის განხორციელებას 2020 წლის ბოლოსთვის გეგმავს. რაც შეეხება საჯარო სექტორში მამხილებლის ინსტიტუტის ფუნქციონირებას, 2019 წელს ბიურომ სხვადასხვა საჯარო დაწესებულებას, მათი წერილობითი თხოვნის საფუძველზე, კომპეტენციის ფარგლებში, გაუწია სამართლებრივი დახმარება და გასცა რეკომენდაციები, როგორც ინტერესთა შეუთავსებლობის, ასევე დისციპლინური გადაცდომის თაობაზე მიმდინარე წარმოებებთან დაკავშირებით. 2019 წლის განმავლობაში ბიუროს ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.mkhileba.gov.ge) დაფიქსირდა სხვადასხვა საჯარო დაწესებულების მისამართით მხილების 26 ფაქტი. თუმცა, სანგარიშო პერიოდში, ბიუროში არ შემოსულა წერილი ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების დარღვევასთან დაკავშირებით.

ამოცანა: 25.1.18. საქართველოს მიერ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის რატიფიცირებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: ეროვნული კანონმდებლობა შესაბამისობაშია მოყვანილი;

საქმიანობა 25.1.18.1. ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო პაქტთან შესაბამისობაში მოყვანა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს პარლამენტი;

შესრულების სტატუსი:

მოგახსენებთ, რომ საქართველომ გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის რატიფიცირება განახორციელა 1994 წელს. შესაბამისად, მიზანშეწონილია, მოცემული საქმიანობის სამოქმედო გეგმიდან ამოღება ან არსებულ რეალობაზე მორგება.

ამოცანა: 25.1.19. საქართველოს მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის დამატებითი ოქმების რატიფიცირებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: ეროვნული კანონმდებლობა შესაბამისობაშია მოყვანილი;

საქმიანობა 25.1.19.1. ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო კონვენციის დამატებით ოქმებთან შესაბამისობაში მოყვანა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს პარლამენტი;

შესრულების სტატუსი:

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ შემუშავებულ იქნა საქართველოს პარლამენტის რეკომენდაციის პროექტი საქართველოს მთავრობისადმი, რომელიც შეეხება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ ფაკულტატური ოქმის საქართველოსთვის შესასრულებლად სავალდებულოდ აღიარების მიზნით კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაწყებას. აღნიშნული დადგენილების პროექტით, საქართველოს მთავრობას ეძლევა რეკომენდაცია, დაიწყოს კანონით გათვალისწინებული პროცედურები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ ფაკულტატური ოქმის საქართველოსათვის შესასრულებლად სავალდებულოდ აღიარების მიზნით. დადგენილების აღნიშნული პროექტი პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განიხილება და მას კენჭი უახლოეს სასესიო კვირებში ეყრება.

ამოცანა: 25.1.25. საჯარო მოხელეებისათვის გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარების უზრუნველყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა;

საქმიანობა 25.1.25.1. საჯარო მოხელეთა დატრენინგება, მათ შორის ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პრინციპების კუთხით ; ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პრინციპების შესახებ უკვე არსებული მოდულის გამოყენება;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციის თანახმად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობის პრინციპის დაცვას და საჯარო სამსახურის სისტემაში თანაბარ შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N200 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესები“ ქმნის დამატებით საფუძვლებს საჯარო სამსახურში მიუკერძოებელი და თანასწორი სამუშაო გარემოს შექმნისათვის.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროცესების განხორციელებისას, ბიურო თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ხელს უწყობს გენდერული მეინსტრიმინგისა და თანასწორობის პრინციპების დანერგვას. კერძოდ, ბიურო საჯარო დაწესებულებების ვაკანსიების გამოქვეყნების პროცესში აფასებს განაცხადის შესაბამისობას კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან და განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სამუშაო აღწერილობების, შრომის ანაზღაურების, საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და ვაკანსიის სხვა მახასიათებლების გენდერული თანასწორობისა და ანტი-დისკრიმინაციულ პრინციპებთან შესაბამისობაზე.

ასევე, საჯარო სამსახურში ქალთა ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისთვის, ბიურო აწარმოებს პროფესიული საჯარო მოხელეების ხელფასების გენდერულად სეგრეგირებულ წლიურ სტატისტიკას. ყველა საჯარო დაწესებულება ბიუროს აწვდის გენდერული ნიშნით სეგრეგირებულ მონაცემებს. 2019 წელს, პროფესიული საჯარო მოხელე ქალის საშუალო ხელფასი შეადგენდა 1192 ლარს, ხოლო პროფესიული საჯარო მოხელე კაცის - 1299 ლარს.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი ყველასთვის თანაბრად უზრუნველყოფს დასაქმებისა და განვითარების შესაძლებლობას, მნიშვნელოვანია ქალთა პროფესიული განვითარების დამატებით ხელშეწყობა, ვინაიდან ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილი საჯარო სამსახურის მაღალი რანგის თანამდებობებზე და დაბალია მათი ჩართულობის ხარისხი გადაწყვეტილების მიღების

პროცესში, როგორც ცენტრალურ, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე. ამ მიზნით, ბიურო, აქტიურად ცდილობს ქალთა გაძლიერებას და გადაწყვეტილების პროცესში მათი ჩართულობის ხელშეწყობას. კერძოდ, 2019 წლის 29 ივლისიდან 2 აგვისტოს ჩათვლით, ქალაქ ბათუმში, ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელისუფლების ქალი პოლიტიკური თანამდებობის პირებისთვის ჩატარდა ტრენინგი მენეჯმენტის, ლიდერობისა და გენდერის საკითხებში. ტრენინგი გერმანიის საჯარო მოხელეთა აკადემიის ხელმძღვანელმა - ჰანს რიგერმა და ამავე აკადემიის ტრენერმა - ასტრიდ ჰოლმანმა ჩაატარეს.

გარდა ამისა, 2019 წელს, ბიურომ, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის - „საჯარო სამსახურის რეფორმის იმპლემენტაციის პროცესში მმართველობის ახალი გზების დანერგვის ხელშეწყობა“ - ფარგლებში, დაიწყო ტრენინგების ჩატარება საჯარო სამსახურში ლიდერობისა და მართვის საკითხებზე. პირველი 4 ტრენინგი 2019 წლის ბოლოს, 25-27 ნოემბერსა და 2-4 დეკემბერს გაიმართა და მოიცავდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა კარგი ლიდერობა და მართვა, ორგანიზაციის მუშაობის შეფასება, პროცესების ანალიზი, სტრატეგიული დაგეგმვა, ხედვისა და მისია/მიზნების არსი და სტრუქტურული მოწყობის ძირითადი პრინციპები. ტრენინგებს საერთო ჯამში დაესწრო საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული I და II რანგის 64 პროფესიული საჯარო მოხელე, მათ შორის, 35 ქალი.

ამავე პროექტის ფარგლებში, შემუშავდა სახელმძღვანელოები საჯარო სამსახურში მოტივაციების სქემების, ასევე, მენტორინგისა და ქოუჩინგის შესახებ, რომელთა დანერგვა ხელს შეუწყობს საჯარო სამსახურში არსებული სამოტივაციო სისტემების გაანალიზებას და გენდერული გამოწვევების გათვალისწინებით განახლებას. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში, მომზადდა კვლევა საჯარო სამსახურში მომავლის პროფესიების დაგეგმვის შესახებ, რაც რეკომენდაციის სახით ითვალისწინებს ადამიანური რესურსის დაგეგმვისას ქალთა პროფესიულ გაძლიერებას.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, პროექტის ფარგლებში შეიქმნა მოხელეთა ფორუმი, რომელიც ითვალისწინებს თავისუფალ გარემოში, დარგის ექსპერტების ჩართულობით პრაქტიკის გაზიარებას. მოხელეთა ფორუმი საშუალებას აძლევს ქალ საჯარო მოხელეებს, აქტიურად ჩაერთონ დისკუსიებში, განავითარონ საკუთარი პროფესიული შესაძლებლობები, გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება და გაამყარონ პროფესიული კავშირები. 2019 წელს ჩატარდა ერთი ფორუმი თემაზე - „პროფესია - საჯარო მოხელე“.

26. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის დანერგვა პოლიტიკის წარმოების პროცესში და კარგი მმართველობის ინსტრუმენტების განვითარება

27. ადამიანის უფლებების საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება

მიზანი: 27.1. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოვების პროცესის გაგრძელება;

ამოცანა: 27.1.1. გაერო-ს სახელშეკრულებო ორგანოების წინაშე ვადაგადაცილებული სახელმწიფო ანგარიშების წარდგენა;

ამოცანის ინდიკატორი: გაერო-ს სახელშეკრულებო ორგანოებში ვადაგადაცილებული სახელმწიფო ანგარიშები გაგზავნილია;

საქმიანობა 27.1.1.1. ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის (CESCR) შესრულებაზე მე-3 პერიოდული ანგარიშის მომზადების კოორდინაცია და შესაბამის კომიტეტში გაგზავნა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს მთავრობის შესაბამისი სამინისტროები;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N26 დადგენილების საფუძველზე, „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 16 ნოემბრის N206 დადგენილებაში შეტანილი ცვლილების შემდეგ, 2013 წლიდან ახორციელებს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობით და სხვა მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ანგარიშების მომზადების კოორდინაციას. ამასთან, ვინაიდან 2007-2011 წლებში საქართველოს დაუგროვდა არაერთი ვადაგადაცილებული ანგარიში, საგარეო საქმეთა სამინისტრო ეტაპობრივად მუშაობს სხვადასხვა ვადაგადაცილებული ანგარიშის მომზადების კოორდინაციის მიზნით.

ამ პერიოდისთვის უკვე გაგზავნილია 3 ვადაგადაცილებული ანგარიში: 1) „ბავშვთა უფლებათა შესახებ კონვენციის შესრულების შესახებ“ მე-4 პერიოდული ანგარიში 2) „შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ ბავშვის უფლებების კონვენციის“ დამატებითი ოქმის შესრულების შესახებ პირველადი ანგარიში და 3) „ბავშვთა ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ ბავშვის უფლებათა კონვენციის“ დამატებითი ოქმის შესრულების შესახებ პირველადი ანგარიში. აღნიშნულის გათვალისწინებით, საგარეო საქმეთა სამინისტრომ, მიმდინარე ანგარიშების პარალელურად, უკვე დაიწყო მუშაობა „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის შესრულების შესახებ მე-3 პერიოდული ანგარიშის მომზადებაზე. ამ ეტაპზე მომზადებულია ანგარიშის პირველადი პროექტი. საგარეო საქმეთა სამინისტრო გეგმავს აღნიშნულ პროექტის საბოლოო სახით ჩამოყალიბებას გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისთან (OHCHR) თანამშრომლობით, ყველა კომპეტენტური უწყების, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისა და არასამთავრობო სექტორის ჩართულობით. აღნიშნულის შემდეგ, იგი წარედგინება

საქართველოს პარლამენტს განსახილველად პარლამენტი რეგლამენტის 174-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად.

საქმიანობა 27.1.1.2. წამების, სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ (CAT) კონვენციის შესრულებაზე მე-5 პერიოდული ანგარიშის მომზადების კოორდინაცია და გაგზავნა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს მთავრობის შესაბამისი სამინისტროები;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

იხილეთ საქმიანობა 27.1.1.1. ამასთან, ანალოგიურად, სამინისტრო გეგმავს აღნიშნული ანგარიშის პროექტის მომზადებას, ყველა კომპეტენტური უწყების, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისა და არასამთავრობო სექტორის ჩართულობით. აღნიშნულის შემდეგ, იგი წარედგინება საქართველოს პარლამენტს განსახილველად პარლამენტი რეგლამენტის 174-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად.

ამოცანა: 27.1.2. გაერო-ს სახელშეკრულებო ორგანოების წინაშე სახელმწიფო ანგარიშების წარდგენა დადგენილ ვადაში;

ამოცანის ინდიკატორი: გაერო-ს სახელშეკრულებო ორგანოებში სახელმწიფო ანგარიშები გაგზავნილია;

საქმიანობა 27.1.2.1. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის (CEDAW) შესრულებაზე მე-6 პერიოდული ანგარიშის მომზადების კოორდინაცია და შესაბამის კომიტეტში გაგზავნა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს მთავრობის შესაბამისი სამინისტროები;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

ხსენებული ანგარიში უახლოეს პერიოდში წარედგინება შესაბამის კომიტეტს, მას შემდეგ, რაც დასრულდება მისი რევიზია კომპეტენტური უწყებების მხრიდან.

საქმიანობა 27.1.2.2. უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) მესამე ციკლის ფარგლებში შუალედური ანგარიშის მომზადების კოორდინაცია და შესაბამის კომიტეტში გაგზავნა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს მთავრობის შესაბამისი სამინისტროები;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

შუალედური ანგარიში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე საქართველომ წარადგინა 2019 წლის მარტში.

საქმიანობა 27.1.2.3. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის (CCPR) შესრულებაზე მე-5 პერიოდული ანგარიშის მომზადების კოორდინაცია და შესაბამის კომიტეტში გაგზავნა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს მთავრობის შესაბამისი სამინისტროები;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საქართველომ ანგარიში წარადგინა 2020 წლის თებერვალში.

საქმიანობა 27.1.2.4. რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CERD) შესრულებაზე მე-9 და მე-10 პერიოდული ანგარიშის მომზადების კოორდინაცია და შესაბამის კომიტეტში გაგზავნა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს მთავრობის შესაბამისი სამინისტროები;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

აღნიშნული ანგარიშის წარდგენის ვადაა 2020 წლის 2 ივლისი; ანგარიში პროექტი მომზადებულია და შეჯერებულია ყველა კომპეტენტურ უწყებასთან. იგი ასევე დაეგზავნა არასამთავრობო სექტორს მათი მოსაზრებებისა და გაზიარების მიზნით. უახლოეს პერიოდში ანგარიში პროექტი საქართველოს მთავრობის მიერ წარედგინება პარლამენტს რეგლამენტის 174-ე მუხლის პირველი

პუნქტის შესაბამისად. მას შემდეგ რაც დასრულდება ანგარიშის პროექტის საპარლამენტო განხილვა, ის წარედგინება შესაბამის კომიტეტს.

საქმიანობა 27.1.2.5. უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) მესამე ციკლი ფარგლებში ანგარიშის მომზადების კოორდინაცია და შესაბამის კომიტეტში გაგზავნა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს მთავრობის შესაბამისი სამინისტროები;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

აღნიშნული ანგარიშის წარდგენის ვადა თავდაპირველად განსაზღვრული იყო 2020 წლის 3 აგვისტოსთვის, თუმცა, არსებული პანდემიის გამო, მისი წარდგენის ვადა გადაიწია 2020 წლის ოქტომბრისათვის. ანგარიშის პროექტის მომზადება საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ფინალურ ფაზაშია. საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ანგარიშის პროექტის მომზადების შემდეგ ის საქართველოს მთავრობის მიერ წარედგინება პარლამენტს რეგლამენტის 173-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად. მას შემდეგ რაც დასრულდება ანგარიშის პროექტის საპარლამენტო განხილვა, ის წარედგინება ადამიანის უფლებათა საბჭოს.

მიზანი: 27.2. სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობა;

ამოცანა: 27.2.1. სამართლებრივი თანამშრომლობის ქსელებთან ურთიერთობების გაღრმავება;

ამოცანის ინდიკატორი: eurojust-თან ხელშეკრულება გაფორმებულია;

საქმიანობა 27.2.1.1. Eurojust-თან ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე მოლაპარაკებების წარმართვა და შეთანხმების გაფორმება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს გენერალური პროკურატურა;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2019 წლის 29 მარტს ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირის სამართლებრივი თანამშრომლობის სააგენტოს (EUROJUST) შორის თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას. საქართველოს მხრიდან შეთანხმებას ხელი მოაწერეს საქართველოს იუსტიციის მინისტრმა და საქართველოს გენერალურმა პროკურორმა, ხოლო EUROJUST-ს მხრიდან - სააგენტოს პრეზიდენტმა. საქართველოსა და EUROJUST-ის მიერ შიდა პროცედურების განხორციელებისა და

EUROJUST-ის წარმომადგენლების საქართველოში ვიზიტის შედეგად, რომელიც განხორციელდა 2019 წლის 15 ივლისს, შეთანხმება ძალაშია 2019 წლის 27 ივლისიდან.
„საქართველოსა და EUROJUST-ს შორის თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმება მიზნად ისახავს საქართველოსა და EUROJUST-ს შორის სისხლის სამართლის სფეროში სამართლებრივი ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის გაძლიერებას მძიმე დანაშაულთან, განსაკუთრებით, ორგანიზებული დანაშაულის და ტერორიზმის წინააღმდეგ.

მიზანი: 27.3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებთან დაკავშირებით საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებში მოცემული რეკომენდაციების შესრულების ხელშეწყობა;
ამოცანა: 27.3.1. საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების ასახვა თემატურ სამოქმედო გეგმებში;
ამოცანის ინდიკატორი: რეკომენდაციების შესრულებაზე საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასების დოკუმენტები;
თემატური სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები;
საქმიანობა 27.3.1.1. თემატური სამოქმედო გეგმებით აღებული ვალდებულებების შესრულებისთვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (თემატური უწყებათაშორისი საბჭოები;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2018 წლის 24 დეკემბერს დამტკიცდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა. მომზადდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების 2-წლიანი ანგარიში, რომელიც ხელმისაწვდომია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (http://justice.gov.ge/Ministry/Index/334). 2019 წლის 20 ივნისის ანგარიშით, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოს მიერ ტრეფიკინგთან ბრძოლის კუთხით გატარებული ღონისძიებები კვლავ პოზიტიურად შეაფასა და ევროკავშირისა და დასავლური სახელმწიფოების გვერდით 1-ელ კალათაშია, რაც რეიტინგული სისტემის პირველი, უმაღლესი ნიშნულია და ნიშნავს, რომ სახელმწიფო აკმაყოფილებს ტრეფიკინგთან ბრძოლის სტანდარტებს და მთავრობა სისტემატურად ახორციელებს ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს.

საერთაშორისო ორგანიზაციის „Walk Free Foundation“ 2019 წლის ანგარიშით „გაზომვა, ქმედება, თავისუფლება“ (Measurement, Action, Freedom”) საქართველომ 183 ქვეყანას შორის მე-18 ადგილი დაიკავა, ხოლო რეგიონში პირველ ადგილზეა. ანგარიშში აღნიშნულია, რომ

საქართველო როგორც დაბალი მშპ-ს მქონე ქვეყანა, გამოირჩევა ტრეფიკინგის წინააღმდეგ გატარებული ეფექტიანი ქმედებებით.[10]

[10] ანგარიში ხელმისაწვდომია: (https://cdn.globalslaveryindex.org/2019-content/uploads/2019/07/17123602/walk.free_.MAF_190717_FNL_DIGITAL-P.pdf).